

114
1980/2

(64)



ISSN 0132-5001 X
საქართველოს
ქრონიკონი

ქრონიკონი

12

1980



ენათოგი

საქართველოს
საბჭოთავო პენალის

საქართველოს საბჭოთავო პენალის საბჭოს მიერ გამოსული
საქართველოს საბჭოთავო პენალის საბჭოს მიერ გამოსული

ფალინატი 57-0

№ 12

დეკემბერი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთავო პენალის კავშირის ორგანო

შინაარსი

შთაბრუნების დაუზრდაბელი წყარო	3
თამარა ჯანაშვილი — ბავარჯვებული რისკულნიკა აბას ტრიბუნაში, ლექსი.	5
რეზა ჯანაშვილი — მიხეილ ჯვარი. რომანი. დასასრული.	7
იზა მარჯონიძე — ლექსები.	63
მზია ჩხეტიანი — ლექსები.	66
დავით მხედველი — ლექსები.	69
გურამ ბაბუნიანი — ხმა მლაღაღებლისა. რომანი. გაგრძელება.	72
ხუბა ბერუაშვილი — ძარმხელისანი დევილი. დრამატული პოემა. დასასრული.	92
მოდარ ნარსია — ლექსები.	114
ალი გუგუნიანი — ლექსები.	117
გურამ გომარაშვილი — ლექსები.	119
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. გაგრძელება.	121
თენგიზ გომარაშვილი — ცინზერი ციცხლი. დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება.	136
ელაშვილი ჯანაშვილი — ერთბაშისა. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება.	147

კრიტიკა და კუბლიცისტისკა

ოთარ ჩხეიძე — ოლი.	157
მიხეილ სვანიძე — დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორიის ჯოგინათი საქითხი.	162
გურამ ჯანაშვილი — ლაიონ ტარდის ბართველოლოგიური მოღვაწიობა.	171
სერგო თურნაშვილი — ჩვენი უცხოელი პენალისტი.	177

წიგნების მიმოხილვა

გურამ ბაბუნიანი — ვაჟა-ფშაველას და რუსული სინამდვილე.	181
ილია ბერუაშვილი — ახალი წიგნი ფარეიშვილისა.	184
ბ. ჩიბაური — მაღალი გუნდისა.	186
თურნაშვილი „ენათოგის“ 1980 წლის ნომერის შინაარსი.	188

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

ს ა რ ე დ ა კ ტ ი რ უ კ ო ლ ე გ ი ა :

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
 ლაშა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლაბანიძე,
 ლ. მრეღაშვილი, ა. სულაბაური, ა. ქუთათელი, დ. უნგვალია, ნ. წუ-
 ლეისკერი, ვ. წულუკიძე, ო. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე,
 ბ. ჯიგლაძე.

ტექნიკური რუსულან ჩაპვატაძე

რედაქციის მახარით:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, ნაბეჭდი ფურცელი — 13, სადრ-საგომცემლო
 მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფი- საქ. კბ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა,
 ლეგების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

● საქ. ცვ-ის გამომცემლობა, 1980.

გადაეცა ასაწეობად 6/XI-80 წ., ხელმოწერი-
 ლია დასაბეჭდად 15/XII-80 წ., ასაწეობის ზომა
 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
 თაბაზი 16,58.

● უე 08685. ტირაჟი 19.350. შეკ. 2915.



შთაბრუნების დაუშრატელი წყარო



მთელი ჩვენი უზარმაზარი სამშობლო გულდაქერებით, ახალი ენერჯით, ახალი წარმატებებით ეგებება სკაპ XXVI ურილობას, უკველ შრომით კოლექტივში სუფევს მხნეობის განწყობილება, დაუღვეველი სწრაფვა იქითკენ, რომ უყვლა ხელდაშვენებულად, უყვლა პირნათლად შეხედებს ამ დიდ ისტორიულ მოვლენას, პარტიის შორეუ ურილობას, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისმის მშენებლობის დამდეგ ეტაპზე საბჭოთა ზალბის წინსვლის, შიხი შრომისა და ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

„უკველ ურილობა ახალ შორიზონტებს უსახავს ჩვენს პარტიასა და მოავრობს. მგერა, ასეთი იქნება მომავალი ურილობაც“, — სკაპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სპრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ჭე ბრეტენეის ამ სიტყვებში მთელი სიღრმითა და სისრულით, ამომწურავი სიზუსტით არის განსაზღვრული დედაზარი მომავალი ურილობისა; საერთოდ, საბჭოთა ზალბის წეაღმავალი ისტორიის ვრცელ მანძილზე შეიძინევა ერთი ფრიალ საგულესში მოვლენა: პარტიული ურილობები მუდამ იყო და არის ის შრავალმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვებები, ის მიქნება წინსვლის გზაზე, რომელთა შემდეგ იყვება ახალი გზები; და შესახამისად ამისა, შესახამისად იმ წინსვლისა და ცვლილებებისა, ეკონომიკის სფეროში რომ ხდება, იდეოლოგიის ფორმირება, კერძოდ მხატვრული ლიტერატურის დარგში, ჩნდება ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ემშაურებიან ამ ცვლილებებს, ამ წინსვლას; ასეთ ახლაც: პარტიის XXIV და XXV ურილობების შემდგომ დროინდელმა პოლიტიკურმა და შორალურ-ეთიკურმა ატმოსფერომ აღმოაცენა ახალი რომანები, მოთხრობები, ლექსები, პიესები, რომლებსაც თავისი დროის მძაფრი ნიშანწყალი აჩვენევათ.

ეს ლიტერატურის ურუევი კანონია, და იგი მოქმედებდა ადრეც, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე; ეს შესანიშნავად გამოხატა თავის ლექსში დაუფიქრამა გლაკტიონმა, მეოცე საუკუნის უდიდესმა პოეტმა, რომელიც სეისმური სიზუსტით გრძნობდა იდნავ შერხევისასაც კი ატმოსფეროში, დაუყოვნებლივ ემშაურებოდა მას და თანმოკალმებესაც მოუწოდებდა: „არა თუ წლები ვადეშვა ტუდომად, წამიც კი ვატყდა და რეკავს ცხარედ... ნუ შოატოვებ ლექსს უთერხტომოდ — დროის, ეპოქის და სივრცის გარეთი ბეგრი შიეცა ტალახსა და ლექსს, ბეგრის ნახიჩი არის ტატი... დრო, დრო აღნიშნე, შოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი. ეპოქა არის ნამგლის, ქურების, ეპოქა, რამაც ჭველი შეთოქა, ეპოქა ჭველას განადგურებს, იმხდებრული დროის ეპოქა“.

შოაწერე ლექსს წელიწადი, დღე და საათი შოაწერე იპოტომ, რომ თავბრუდამხვევად ბრუნავს ისტორიის ჩარხი, და პოეტა პირველი უნდა გრძნობდეს უკველ სიახლეს, უკველი ახალი სიოს შემოქრამლებას, და შიხი უმეტეს, ისტორიის ქარიშხალს, გუგუნით რომ ვადღუვლის ქვეყნებსა და ქალაქებს.

იმ დიდმნიშვნელოვან შოთიებებს ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, რომლებიც გამოიქშული იყო ამხანაგ ლ. ი. ბრეტენეის მოხსენებაში პარტიის XXV ურილობაზე, თან შომუყა მთელი ჩვენი კულტურის ახალი აღმავლობა, და რაოდენია ჭეშმარიტი სიახლეები ჩვენს ლიტერატურულ ხეოწმედში ჩვენ შიხლოდ ერთი შავალითი დავკშაუფილდებთ: XXV ურილობის შემდეგ, პირველად ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მანძილზე, ქართული მწერლის — ნოდარ დუმბაძის რომანს „შარადისობის კანონს“ მიენიჭა ჩვენი ქვეყნის უდიდესი მადალი, ფელაზუ-საბჭოთაი კლდო — ლენინური პრემია. ნოდარ დუმბაძის ნაწარ-

1649/1

დ. შარადისობის ნაწარმის სახელმწიფო ბიბლიოთეკის კატალოგის ნაწილი

მოვებმა დაიმსხურეს მაღალი შეფასება არა მარტო მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველისა, საკავშირო პრესისა და სალიტერატურო კრიტიკისა, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყნის მკითხველთა ერთსულოვანი აღიარებაც მოიპოვეს. „მარადისობის კანონი“ უფრადღებან „ვეტერანების ახალი პლატოს, ახალი „მიკროსამყაროს“ მართალი, გაბედული ჩვენებით, ამასთან მის მიკროსამყაროში მუდამ ჩანს და იგულახსნება ვაცოდებით უფრო დიდი რამ. ამ წიგნმა გადაშალა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ახალი ფურცელი.

დიდი წარმატებით მუშაობდა ქართველ მწერალთა მთელი კოლექტივი. ამაზე ნათლად შეტყვევებენ შეხანწევი ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა „მნათობის“, „ცისკრის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „განთიადის“ და სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე და რომლებმაც უკვე დაამსახურეს როგორც მკითხველთა მოწონება, ისე ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება. ახალ ქართულ რომანებს, რომლებიც საუბრადღებო შენაძნია არა მარტო ქართული მწერლობისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის, ახლა მსოფლიო რეზონანსი აქვთ. ესეც, არსებითად, ბოლო წლებში მიღწეული გამარჯვება: ქართული კულტურა წარმატებით გავიდა მსოფლიო ასპარეზზე. ქართული წიგნი ითარგმნება და გამოდის ბერლინისა და პარიზში, სპარაისა და ლუდვიგსჰაიმში, მსოფლიოს სხვა დიდ დედაქალაქებში. ვის შეეძლო ადრე ამაზე თუნდა ოცნებაც კი!

ჩვენ ახალი ისტორიული ამოცანების გადაჭრის წინაშე ვდგავართ. დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — სკკ ცენტრალური კომიტეტის პარტიკტი — „სსრ კავშირის ეკონომიურა და სოციალურა განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლებამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. ეს არის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომლებზეც შემოქმედებითად არის განწოგადებული სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, გათვალისწინებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, ზორცუხსმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა საბჭოეთის ეკონომიურა, სოციალური და სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ამასთან გათვალისწინებულია ჩვენი საუბუნის ოთმომოცანი წლების კონკრეტული პირობები.

ერთ სიტყვით, ეს არის ბრძნულად და უადრესი მეცნიერული სიწესტით დაგეგმილი მეთორმეტე და მეთორმეტე ზეთწლებელას წათელი კონტურები, ეს არის მომავლის მატინე. უოველი შემოქმედისათვის, უოველი მწერლისათვის, ეს არის შთაგონების ახალი, დაუშრეტელი წყარო!

გადაბედეთ პარტიკტის იმ სტრიქონებს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ენება რა მართლაც ბუმბუჩაწული ტემპებია წრდისა — რა გიგანტური ნაბიჯებით უნიაწვიდები წინ ჩვენი ქვეყანა!

ეს ისტორიული დოკუმენტი იოვალისწინებს ასეთსავე წინსვლას ლიტერატურისა და ზელოვნების სფეროში. სკკ ცენტრალური კომიტეტი ამ დოკუმენტით მოგვწოდებს „ხელი შევუწოთ სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განვითარებას, ავამაღლოთ მათი როლი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვან სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დამაყოფილებაში.

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კინომომსახურება, ფართოდ გამოვიყენოთ კინო აღმწრდელოობისა და საწავლო მუშაობაში.

სრულყოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. გავფართოოთ მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კლუბების ქსელი, ავამაღლოთ მათი, როგორც მშრომელთა ოცთომოქმედი შემოქმედებისა და დახვეწების ცენტრების, როლი. ვავაუმჯობესოთ მუწეუმების მუშაობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა და პრესაგანდა.

განავითაროთ საგამომცემლო საქმე უფრო სრულად დავაქაყოფილოთ მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ნაბეჭდ პროდუქციაზე, ავამაღლოთ გამოცემათა პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი.

კიდევ უფრო განავითაროთ ტელევიზია და რადიომაწყებლობა. შემოვიღოთ ტელევიზიის მეორე ხაერთი საკავშირო პროგრამა.

ახალი გამარჯვებებითი შევზადეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყილობებს — ასეთია გულითადი მისწრაფება ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისა, მთელი ჩვენი ხალხისა.

გამარჯვებული რესპუბლიკა დგას ტ რ ი ბ უ ნ ა ზ ე


1 დეკემბერს, თბილისში, სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე გაიმართა რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მიტინგი. იგი მიეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას საქართველოს მშრომელებისადმი, რომლებმაც ეადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებები.

თბილისი,
მთელი საქართველოს
მაღალ ტრიბუნად
კონსტიტუციის სახელობის
დგას მოედანი.
მზეო, ზაფხულის სიცხოველ
რამ დაგიბრუნა,
ამ დეკემბერში
ეგ ღიმილი ვით მოიტანე...
ერთ ტალღად მოჩქეფს
სიხარულის ათასი წყარო
ზერებით,
ბალებით,
პლანტაციით,
მით,
ჭიუხებით.
ქართულო მიწავ,
სანუკუვარო და საფიკარო,
ვინ დაგანათლა ეს სიმაღლე,
ეს სხივუხვობა...
ყური მიუგდე
ჩქერანკარა ბადაგის თქრიალს,
გულით უსმინე
ჩაის ფოთლის ჩურჩულს უნაზეს, —
ამ დღეს ხუთწლედის დიდი რთვლობის
გვირგვინი ჰქვია,

— გამარჯვებული საქართველო
დგას ტრიბუნაზე!
თვალი შეავლე მანგანუმის
მთათა სიმაღლეს,
შეხე ენგურის დიდი შუქის
ცაზე მბრუნავ წრეს —
ამ დღეს პარტიის თავყრილობის
წინაღვე ჰქვია,
— გამარჯვებული რესპუბლიკა
დგას ტრიბუნაზე!
ისმენს სრულიად საქართველო
ამ ტრიბუნიდან
კრემლიდან მოსულ
მოსალოც წერილს!
ვეტყვი მაღლობას,
ამოხეტილს გულისგულიდან,
მას,
ვინც გვიქცია დიდ მწვერვალად
ეს ხუთი წელი.
მაგრამ ვით დაეტევ
ლექსში ამ დღის უსაზღვროებას —
ფართოდ გამხსნია შთაგონების
ოთხივე კარი.
მამული ჩემი
იწერება დიად პოემად
რქაწითლის მელნით,

პალმის კალმით,
 შარაგზის ბწყართ.
 მანქანის ბორბლით,
 მეცნიერის ახალ ფორმულით,
 მუხის ფესვით თუ
 კვიპაროსის წერწეტი ტანით
 კომუნისტების მომავალი
 დიდი ფორუმის
 წერს შესახვედრად
 ამ პოემას
 ხალხი ტიტანი.
 გონებით ნათლით,
 გულით მართლით,
 მარჯვენით მძლავრით
 წერს მწყემსის ნაბლით,
 მხვენელის გუთნით,
 ზეინკლის ჩარხით,
 ქვეყნად ყველაზე უდიდესი პოეტი —
 ხალხი,
 ქვეყნად ყველაზე უდიდესი მხატვარი
 — ხალხი.
 მან ამიმადლა,
 მან მიმძლავრა მიწა — ქართული,
 მან,
 ვინც ძმობაშიც ერთგულია,
 როგორც შრომაში.
 მე ვაზის ლერწმის სიმწვანეში
 ვარ გახლართული
 და თუკი მკერდზე მისი ცრემლი
 შევიშრო, მაშინ,

დე, სიტყვის მადლმაც მილაღატოს
 და თვალის ჩინმაც...
 — შენი ყველა დღე
 გამარჯვების გრგვინავდეს ჰიმნად
 მამულთ ჩემო,
 ხალხო ჩემო —
 ხუთწლედის გმირო!
 მძლავრად იბგერე
 მშობლის გულს,
 ტკბილო და თბილო,
 მიწის ყივილით ძარღვეგამთბარი,
 მზით მოხატული.
 მარად მესმოდეს ტკბილქართული
 შენი ნაღური;
 შეხვედი!
 დახვედრა სიკეთისა
 გკოდნია ოდით —
 მოდის ხუთწლედი მეთერთმეტე,
 გოლიათური
 ნაბიჯით მოდის!
 სულის სიმადლით,
 მკლავის მადლით,
 რწმენის სიწმინდით —
 მამულში უფრო დიდი შეუქი
 დაგვიბინავდეს!
 ქვეყანა შენი დიდი შრომის
 ძახილს ისმენდეს,
 შენი ყველა დღე
 გამარჯვების ჰიმნად გრგვინავდეს!



მამე ჯვარი

რომანი

წიგნი ავტორი

მეორე მუხასა

მდინარეზე რომ ჩავიდნენ, წყურვილისაგან გადარეულ ხარებს წყალი დაალევიან და სულის მოსათქმელად ჩრდილში არ გაჩერებულან, გზა მაშინვე განაგრძეს. მეურმე ათი წუთის წასულიც არ იყო, გაზრდილი და დამშვენებული ბეჟან წულუკიძე რომ ბატონიშვილების ურემს მოადგა, ჩამოქვეითდა, მდიდრულად შეკაზმული ცქვიტი ცხენი მხლებლებს შეატოვა და ავაზისებური ნახტომით თავად ურემზე გაჩნდა. თამარმა შეჰკივლა. ალექსანდრე გაახარა ბეჟანის დანახვამ, რომელთანაც უკვე რამდენიმე წლის მეგობრობა აკავშირებდა და ისიც აღარ გახსენებია, რომ წვერ-ულვაშწამოშლილი პირმშვენიერი ვაჟაკი მისი მტრის, სამეფო კარის გამგე ბერი წულუკიძის სიყრმის შვილი და თვალის სინათლე იყო. ახალგაზრდა თავადი ბატონიშვილებს თანატოლებად თვლიდა და არაფერი დაუმალავს. ალექსანდრემ და თამარმა დაწვრილებით შეიტყვეს, რაც უკანასკნელი დღენახევრის მანძილზე ქუთაისში მომ-

ხდარიყო და რას მოასწავებდა სატახტო ქალაქიდან მათი ასე უცნაურად გამომგზავრება.

თამარს გული ამოუჯდა და ტირილი აუვარდა. ალექსანდრესაც უჭირდა თავის შემაგრება, ვინაიდან თვალწინ საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი დედა უდგა, მაგრამ ბეჟან წულუკიძის წინაშე სისუსტის გამოჩენას სიკვდილი ერჩინა და დას შეუტია:

— რა გატირებს, ქალო?

თამარმა პასუხი არ გასცა, მთელი სხეულით ციებიანივით კანკალებდა და მდულარე ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა.

ღის ცრემლების დანახვამ ალექსანდრესაც ცრემლი მოჰგვარა და ეს რომ არ შეემჩნია, გაბზარული ხმით წულუკიძეს მიმართა:

— უთხარი რამე, ბეჟან, ახლა ხომ არ ავდგებით და ყველა არ ვიტირებთ. როცა მამა მოშია, არ ვარგა ტირილი. ეს რამდენჯერ უნდა ვაგახსენო!

თამარი ცრემლებს მალი-მალ იწმენდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუჟუნებდა:

— ბიჭები ყველა აგრე ხართ... თქვენს გულს არაფერი ეკარება... თუნდ მთელი ქვეყანა ამოწყვეტილა!..

ძმამ ისევ შეუტია:

— გაჩუმდი, თამარ, გაჩუმდი, ლეთის გულისათვის, თუ არა არ ვიცი, რას ვიზამ!

— მმ... მამატიე... ვიცი, ეს შენ არ გეკუთვნის... შენ სხვანაირი ხარ, სხვებს არ გავხარ!..

— ჰო, არ ვგავარ, არა, — სიტყვა ჩამოართვა ალექსანდრემ. — შენც კარგს იზამ, თუ მეტს აღარ იტირებ და ჩუმად იქნები. სულ ერთია, ტირილი ვერაფერს გვიშველის!

— გელათში ავიდეთ, სანთლები ავანთოთ და ლეთისმშობელს შევევედროთ!

— როდის-ღა, თამარ, დაო, არის გელათში ასვლის და სანთლების ანთების დრო?

— თუ აგრეა, აბა, მსახურებს რატომ გაეჭეცი?

— გავეჭეცი! ახლა ხომ აღარ მივრბივარ?!

— როდის შევიტყობთ, ბეჟან, დედას ამბავს, ვინ შეგვატყობინებს?

— ყოველდღე, ბატონიშვილო, — ახალგაზრდა თავადი სულ მოელოდა, ან ახლა გაიხსენებენ ჩემს აქ ყოფნას, ან ახლაო და ეს თითქმის გახარებულმა უპასუხა. — ჭუთაისიდან ამბებს ყოველდღე მოგვაწვდიან!

— დაებრუნდეთ, ალექსანდრე! — თამარი ისევ ძმას მოუტრიალდა. — მოვიხმოთ თავადი პაპუნა და ვუბრძანოთ, ურმები უკან, ჭუთაისისაკენ მოაბრუნოს. პაპუნას არა აქვს უფლება, ჩვენი ბრძანების შესრულებაზე უარი თქვას, მე და შენ ხომ ბატონიშვილები ვართ!

ალექსანდრემ ტუჩები მოკუმბა და თავი გააქნია.

— არა! არაფერი გამოვა, დაო თამარ. გინდა, ორივე გავკოჭონ? ბოდიშსაც კი არავე მოგვიხდის. ვერ, ვაიგე, თავადმა ბეჟანმა რა ბრძანა? ჩვენ, მეფის შვილები, ლეთისა და ქვეყნის წი-

ნაშე მოვალე ვართ, უშიშარ აღვიღოს შევეფაროთ და გადავრჩეთ! *მეტი* ეს ასე ძნელი გასაგებია? *მეტი*

— თქვენ ორის გადარჩენა ქვეყნის გადარჩენას მოასწავებს, ბატონიშვილო, — ჩაერთო და-ძმის კამათში ბეჟან წულუკიძე. — თქვენ თუ არ იქნებით, ქვეყანას ეშმაკი დაეპატრონება და ყველა დავილუპებით!

— მაგრამ ჩვენი დედა რომ იქ დარჩა? — თამარს ისევ მოუბრბილდა სახე და ცრემლები ისევ მოეძალა.

— დედოფლის ნებას წინ მეფე ვერ აღუდგება. დედოფალმა თავად ისურვა დარჩენა, ლეთის საამებლად და ერის გასამხნეველად ქსენონს არ მოშორდა და ჩვენ, დიდებულები, ვალდებული ვიყავით, მისი სიტყვა კანონად გავგეხადა!

თამარი ჩაჩუმდა და ცრემლებისაგან მთლად სველი სახე ხელებში ჩარგო. ერთხანს ხმა აღარავის ამოუღია. ურემი ნელი რწევითა და კანტიკენტი ჯაყაყით იმოკლებდა გზას.

— რა ჭკვიანია, სიტყვაც როგორ უქრის და მიმოხვრაც რა დარბაისლური აქვს! — ფიქრობდა ბატონიშვილი ალექსანდრე და ჭაბუკ წულუკიძეს თავის თავს აღარებდა. — მე რომ მეფე ვიქნები, ბერის ყველა სახელოს ჩამოვართმევ და ამას ვუბოძებ, კარის გამგედაც ბეჟანს გავხდი! — მას ცოცხლად წარმოუდგა ბერის გაშმაგებული სახე, როდესაც გაჩუტებულ ბატონიშვილს ურემის ჰალზე ბაწრით ამბევიწებდა და მეფის რჩეულ წულუკიძისადმი კვლავ სულის შემზუთველი გულისწყრომით განიძსკვალა. — ბატონმა მამამ მეტისმეტად გაათამამა. ამიტომაც უქმაყოფილოების რიცხვმაც იმატა და ეგ ვაებატონი თვალითაც აღარავის დაენახებდა. რად განადიდა ასე მამამ ბერი? მის მეტს ქვეყანაზე ველარავის ხედავს? რა ვუყოთ, თუ სიყრმის მეგობარია, ხოტვეის სასახლეში ბერისთან ერთად იზრდებოდა! ბარემ ნიკოლოზა ნაფიჩვაძეც გაათავადოს და წერეთელს და ლორთქიფანიძეს წინ დაუყენოს! მეგო-



ბრები იმიტომ კი არა გყავს, რომ ყველა მათ ვანაცვალოთ და სხვათა ღირსება აღარ დაეინახოთ!”

ეს იყო პირველი ეჭვი და გაუმხელელი უკმაყოფილება, ყმაწვილ ბატონიშვილს თავისი დამამუკრალი გვირგვინოსანი მამის წინააღმდეგ რომ გაუჩნდა და უნებლიეთ შეკრთა, თვალები ფართოდ დააჭყიტა, ხმაილადა ხომ არაფერი წამომდენიაო. ალექსანდრემ იცოდა, რა შეუბრალებელი, შეიძლება ითქვას, დაუნდობელიც კი იყო მამა იმათ მიმართ, ვისაც თავისი ზრახვების მოწინააღმდეგედ, სამეფოში დადგენილი კანონმდებლობის ხელმყოფად მიიჩნევდა, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრია, რა გუნებაზე დადგებოდა, უკეთუ ერთი ალილეია მასაც შეეშლებოდა და მოწინააღმდეგეთა რიცხვში სოლომონის სათაყვანებელ პირშოს, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესაც დაინახავდა.

„ეს რა უკუღმართი აზრები მეზადება? ღმერთო, დამიფარე, განვედ ეშმაკისაგან!“ — გაიფიქრა სიმწრის ოფლში გაწურულმა ყმაწვილმა ბატონიშვილმა და თითქოსდა იმ ეშმაკის დასაფრთხობად, მკრებელურ აზრებს რომ კარნახობდა, თამარისა და წულუკიძისაგან შეუშინებლად პირჯვარი გადაიწერა.

— ბატონიშვილო, — სიჩუმე ბეჯან წულუკიძემ დაარღვია და საკუთარი ფიქრებისაგან შებრუნებულ ალექსანდრეს მიმართა. — მზე გადაიხარა. იქნება სადმე შევჩერებულყავით და პური გავკეტებ? ა, რას გვიბრძანებ? — მან შემდეგ თამარსაც გადახედა.

— შორია, სადაც მივიღივართ? — იკითხა ქალმა, რომელიც ამასობაში უკვე შერიგებოდა თავის მდგომარეობას.

— ჯერ შორია, ბატონიშვილო, ნაქერალას მთა წინ გვიდევს, ორი დღე და ღამე კიდევ უნდა ვიაროთ.

— იქ კარვებში ვიცხოვრებთ?
— რატომ კარვებში! ერთი თვეც არ ვასულა, რაც ხურობებმა სხარტალში საზაფხულო სასახლე დაამთავრეს.

თამარი გახალისდა, ფეხები ყიზილბაშურ წესზე შეიკეცა, სახეზე შუქი მო-

ეფინა, თითქოს ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა.

— პირველად მესმის! ეგ რაღა სასახლეა?

— აკი მოგახსენე, საზაფხულო სასახლე გახლავს, მეფის ბრძანებით აშენდა!

— მერე რაღა აგრე შორს, სადმე ახლოს აეშენებინათ!

— აღრე, დიდი შიშინობის დროს, როცა შინაურებმა და ერისთავმა როსტომმა ულაატეს და ტახტიდან პირველად გადააგდეს, ბატონი მეფე სხარტალში იმალებოდა და თანამოაზრეებს იქ აგროვებდა. ბიძაჩემ გიორგისაგან გამოიგონია. ღმერთმა აცხოვოს, ღვთისნიერი კაცი იყო, მეფეც ერთობ აფასებდა. სხარტალი სანაქებო ადგილია. მთის პიერი, წყლები საუკეთესო, მტრისაგან მწელად მისადგომი, სანადირო ადგილები ზედ აკრავს. ტყე ერთთავად წიწვნარია — ნაძვი და სოჭი. ხეებს თვალს ვერ შეაწუდენ. ასე იტყვი, რა მიწამ დაბადაო. აი, მივალთ და დაინახავ, როგორ მოგეწონება!

— ალბათ მართლა ძალიან კარგია, რაკი ასე აქვბ. ხოტევის გირჩენია?

ბეჯან წულუკიძეს გაეღიმა, თამარს გახედა და მისი ალტაცებული მზერა დაიჭირა, რამაც სახეზე აღმური მოუკიდა და თვალები მსწრაფლ დაახრეცინა.

— დასაწუნი არც ხოტეგია, ბატონიშვილო. ამას გარდა, ხოტევი ჩემია, ჩემს მამა-პაპას იქ უცხოვრია. მეც იქ დავიბადე და გავიზარდე და შეჩვეული ვარ. მე რომ მკითხოს კაცმა, ხოტეგზე უკეთესი არც არაფერი მოიძებნება ქვეყნიერებაზე!

— ბატონმა მამამ, ალბათ, ამიტომაც მოისურვა, იქაური ციხე მამაშენს ჩამოართვას და სახასოდ გაიხადოს! — იმდენად ძლიერი იყო სურვილი, ბერი წულუკიძის მიმართ რაიმე მწარე ეთქვა, თავისთვისაც მოულოდნელად წამოსცდა ფიქრებში გართულ ბატონიშვილ ალექსანდრეს.

— რას ბრძანებ, ეგ როგორ შეიძლე-

ბა! — ახალგაზრდა თავადს ყვრიმალე-
ბი წამოენთო, თავისივე ნათქვამით შე-
ცბუნებულ ალექსანდრეს თვალი გაუს-
წორა. — ბატონ მეფეს, რამდენადაც მე
ვიცი, გადაწყვეტილი აქვს, თუ გადაუ-
ლახავი წინააღმდეგობა არ შეხვდება,
ყველა ციხე პირწმინდად დაანგრის
და აგარიანებსა და განდგომილებს სა-
ბუდარი მოუშალოს. ციხიან თავადებსა
და აზნაურებს ბატონის აზრი მიუღებ-
ლად მიაჩნიათ. არა მგონია, მაშაჩემიც
მოხარული იყოს, მაგრამ მეფის ნება-
სურვილს ვერ გადავა. თუ საქმემ მოი-
თხოვა, მზად არის, სხვების ასაყოლი-
ებლად თავის ციხეს პირველმა დაუდოს
ნაღმი და დააქციოს!

— გეყოფათ! — გაწყრა თამარი. —
აკი პური უნდა გაგვეტეხა? სად არიან
ჩვენი მოახლეები, ან მზარეული სად
არის, აქამდე რატომ არ მოგვაკითხეს,
იქნებ შიმშილით კუჭი გვიხმება!

— მაპატიე, ბატონიშვილო, ყველა-
ფერი ახლავე იქნება! — ალექსანდრეს
გულუბრყვილო აღსარებით შეფიქრია-
ნებულმა ბეჟან წულუკიძემ წამოიწია,
ურმის ბოლოსაკენ გაჩოჩდა და სახლ-
თუხუცესის მოსაძებნად იირს ჩახტა.

ნაჭერალას ქელი მესამე დღეს გადავ-
ლეს და იმავე დღეს ხარითვალის წიფ-
ლარში შეაღწიეს. სწორედ აქ მოხდა
ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ
და რისგანაც თავის დასაღწევად ეს
ამოდენა გზა მუხლის ჩაუხრელად გამო-
იარეს.

მცველ რაზმში, რომელიც მრავალი
ხარ-ურმისაგან შემდგარ ქარავანს ოქ-
როს ჩარდახიდანვე მოსდევდა, ორ მო-
ლაშქრეს ზუსტად ის ნიშნები აღმოაჩი-
ნდა, ეამით დაავადებულებს რომ უჩნ-
დებათ ხოლმე. თავზარდაცემული
სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი იძუ-
ლებული გახდა, ორივე უპატრონოდ
დაეტოვებინა და გზა უფრო სწრაფად
განეგრძო.

ეს ამბავი ბატონიშვილებისათვის არ
გაუმხელიათ, სანამ სენმა მეურმეებს
შორისაც არ იჩინა თავი და თვით ასკია
აბესაძეს, გზაში ასე რომ შეეჩვივნენ

და უკვე შინაურ კაცად თვლიდნენ, პუ-
რისა და წყლის ამარა ტყეში დარჩენა
არ მოუხდა. ასკიასეულ ხარებს სხვა
მოეკიდა, მწუხარებისაგან გულშემოყ-
რილი ბატონიშვილები კი ურემს ქვეი-
თად მისდევდნენ.

ნაშუაღლევს ქარავანი ტყიდან მინდო-
რში გავიდა, ნახევარი საათის სავალზე
მწვანეში ჩაფლულ სოფელსაც დალან-
დეს თვალი, მაგრამ პაპუნა წერეთელმა
სოფელთან მიახლოებას წინდახედულად
თავი აარიდა და ქარავანი ისევ უკაცურ
ტყეში შეიყვანა. ვიწრო გზა, რითაც,
ალბათ, სამასაღედ მოჭრილი ხეები ან
შეშა გამოაქონდათ, უღმერთოდ ატა-
ლახებულ იყო, პირზე დუქომოდგარ,
საცოდავად აქოშინებულ ხარებს მძიმე
ურმების გაწევა გაუჭირდათ. მცველი
რაზმი ცხენებიდან ჩამოხდა. ურემებს
უკანიდან აწვებოდნენ, ტყეს გამაძხნე-
ვებელი ყვირილით აესებდნენ და გასავა-
თებულ ხარებს, როგორც შევსლოთ,
ტვირთს უმსუბუქებდნენ. აღამიანებს
ერთიმეორის შიში გასჩენოდათ. არა-
კინ უწყოდა, ვის ვამში იყო ჩაბუდე-
ბული წყეული სენი და ვინ ვის უნდა
მორიდებოდა.

გზა თავდაღმა დაეშვა. ზოგს, ვისაც
აქ ფეხი პირველად ედგა, ეჭვი დაება-
და, ვითუ მხარი გვექცა, წინ წასვლის
მაგიერ უკან ვბრუნდებითო და გზის და-
სახვერადად მზირების გაგზავნა მოით-
ხოვა. მზირები თითქმის ნაჯიხურევა-
დღე მივიდნენ და უკან გამთენიის ხანს
მობრუნდნენ. ნაჯიხურევეზე არგვეთიდან
მომავალი ლტოლვილები ენახათ. ამბა-
ვი მოიტანეს, არგვეთი დედაბუდიანა
აყრილა და ეამისაგან თავის გადასარჩე-
ნად მთებისათვის მოუშურებიაო.

ბეჟან წულუკიძემ ძილგატეხილი
ალექსანდრე კოცონთან ნახა და საყვე-
დური ჰკადრა:

— რატომ არ გძინავს, ბატონიშვი-
ლო?

— არ დამეძინა, ბეჟან, თვალიწინ
სულ ის საცოდავი ასკია მიტრიალებს.
სადა ხართ, კაცო, ამდენ ხანს, რა ამბა-
ვი მოგვიტანეთ?

ლაშენათვე წულუკიძეს თვალები ეშ-
მაკურად უციმციმებდა. ბატონიშვილს
კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ ვასცა.

— აბა, თუ მიხვდები, იქ ვინ ვნახე?

— სად „იქ“? — გაუკვირდა ალექ-
სანდრეს.

— ნაჯიხურევზე!

— ვინ ნახე?

— ნინო! — თითქოს ვისმე უმაღავ-
და გასამხელად არ ემეტებო, ბეჯანმა
ეს სახელი ჩურჩულით წარმოთქვა.

— ვინ ნინო? — ბატონიშვილი გა-
წითლდა. როგორც კი სახელი გაიმეო-
რა, ის მაშინვე მიხვდა, რომელ ნინო-
საც შეხვედროდა ნაჯიხურევზე ახალ-
გაზრდა თავადი წულუკიძე.

— აბაშიძის ასული, — კვლავ ჩურ-
ჩულით უპასუხა ბეჯანმა. — ნუთუ
ალარ ვახსოვს?

— ვახსოვს, როგორ არა! — გულის-
ძგერით აღმოხდა ბატონიშვილს. — აქ
რა უნდა? შენ როგორ ნახე?

— გამოიხიზნულან. წერეთლის სახლე-
ულს ახლავს. ქუთაისს მიდიოდნენ. გზა-
ში შეუტყვიათ, ქუთაისში რაც ამბავია
და...

— ასე პირისპირ ელაპარაკე? —
ალექსანდრეს ყვრიმალეებში უროს სცე-
მდნენ, გული კიდევ უფრო გამალეებით
უფგერდა და მთელ მის არსებას მოუთ-
მენლობა ეუფლებოდა. როგორი იყო
ახლა ნინო? უკვე გაიზარდა, დაქალდა,
თუ ჯერ ისევ პაწაწინა გოგოს მოკლე
კაბას აცმევენ? როგორ შეხვდებოდნენ,
რას ეტყოდნენ ერთმანეთს? იგონებდა
თუ არა ისიც ალყაშემორტყმული მო-
დინახის დაუვიწყარ დღეებს? — უთხა-
რი, რომ ჩვენ აქ ვართ? თუ ვახსოვარ
კიდევ?

— იქ საამბოდ არავის სცალია, ბა-
ტონიშვილო, ურმები იმ საცოდავებ-
საც ტალახში ჩაფლობიათ და ველარც
წინ წასულან და ველარც უკან!

— ჩვენ რას ვშვრებთ ახლა? რა გა-
დაწვევით?

— უკან უნდა გავიდეო როგორმე,
თუ ხარებმა ვასწიეს. აქეთ გზა სულ
უარესი და უარესია. ბოლო ხარ-ურე-

მი უკვე მიაბრუნეს. მალე ჩვენც ვაბ-
სენებთ ლმერთს და დავიძვრებით. როგორ
აბაშიძის ასულის საშველად წასვლა
ხომ არ გინდა?

ალექსანდრეს ბალღურად აბზუებუ-
ლი ტუჩები აუთრთოლდა, შუბლსა და
ლაწვებზე ოფლის წერილმა წინწყლებმა
გამოეოხრა.

— გეხვეწები, ბეჯან, თუ ჩემი ძმობა
გწამს, ახლავე წავიდეო!

— სად, რას ბრძანებ, ბატონიშვილო,
წვეარამში გზა ძლივს გამოვიგენით,
მადლობა ლმერთს, თავზე დაგვათენდა,
ახლა სულ დავიკარგოთ?

— არ დავიკარგებით, შენ მხოლოდ
მოინდომე!

— თამარი? თამარი დავგიწყედა? ხომ
შიშით გადაირევა და ქვეყანას შესძ-
რავს!

— არ შესძრავს! აგიაშვილის ქალ-
რბალი ეტყვის, რომ ჩვენ აგერ ახლოს
ვართ და მალე მოვბრუნდებით!

— გლახა დღეში მაყენებ, ბატონიშ-
ვილო, შენ ნუ მომიკვდები. ნეტავი ენა
გამხმობოდა და ეს არ მეთქვა. სახლ-
უხუცესი ტყავს გაგვაძრობს, მღევარს
გამოგვიყენებს და კინწისკვრით უკან
მოგვაბრუნებს!

— ჩქარა, ცხენი! — ალექსანდრემ
თვალები დააბრიალა და ხმას აუწია. —
გიბრძანებ! შენ ვალდებული ხარ, ჩემს
ნებას სიტყვაშეუბრუნებლად დაემორ-
ჩილო!

ბეჯანმა კიდევ დააპირა, უგუნური
სურვილი, თავნება ყმაწვილს სწორედ
მისი დაუყვირებლობის გამო რომ
აღეძრა. როგორმე სიამტკილობით გა-
დაეთქმევიანებინა, მაგრამ უკვე დაგვი-
ანებული იყო. ყრმობის პირველი სიყ-
ვარულის მორევში ბატონიშვილს უკვე
ისე ღრმად შეეტოპა, ისე დიდი და უძ-
ლვეელი იყო ძალა, აბაშიძის ნამლევა
გოგოსაკენ რომ ეზიდებოდა, შემდგომი
უარი კიდევ უფრო გააღიზიანებდა და
გულში ამოჭრილ წადილს მეტად განუ-
მტყიცებდა.

— სად მიხვალ, ბეჯან?! — შესძახა

ალექსანდრემ, როცა ახალგაზრდა წულუკიძე თავის ცქვიტ ცხენს ხელახლა მოახტა, სადავე მიუშვა და ნაბიჯით ატალახებულ გზისაკენ წაიყვანა.

— ბიჭებს გადავებებ დუბეში. რალი არ იშლი, მარტო მე და შენ ხომ ვერ წავალთ. ცხენსაც ამ წუთში მოვავანინებ!..

თავი ორმოცდამეერთე

იმერთა მეფე სოლომონის წიგნითურთ ისნის სასახლეში მალემსარბოლის მოსვლა და შუშის სახანოდან მობრუნებული მეფე ერეკლეს სალაშქროდ აღძვრა ერთი აღმოჩნდა. ქართლ-კახეთში სარდლებმა, მოხარკე შუშის სახან იში თავიანთ მეფეს მარბიელ ლეკთა რაზმების ასალაგმავად და იჭაური მშვიდობიანი მოსახლეობის დასამოშმინებლად რომ ახლდნენ, გზადაგზა დათხოვნილი ჯარი შიდა ქართლში შეავსეს და ქართლის საბაშოისაკენ, სადაც, თანახმად მეფე სოლომონის მიერ მოწოდებული ცნობისა, ლეკ მარბიელთა ახალ ლაშქართან შეხვედრა ელოდათ, სამი ათასი ცხენოსნითა და ქვეითთ გაემართნენ. ერეკლე შეუძლოდ ზრანდებოდა, გულის ჩხვეტას უჩიოდა, აქიმები თავს დასტრიალებდნენ, ლოგინიდან წამოწევის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ ყური არავის ათხოვა, ადგა, ჯარს ავკლამდე დაეწია, ყოველივე დაწვრილებით გამოიკითხა და თითოეულ მოლაშქრეს, თავადს, გლეხს თუ აზნაურს, თავისი აქ ყოფნით ახალი იმედი და მხნეობა ჩაუნერგა.

სურამის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე გზაწვრილებით ამოსული სოლომონი ამასობაში ორჯერ ზედიზედ ეკვეთა მტერს, რომელსაც საიმედოდ გამაგრებულმა ჩხერის ციხემ იმერთისაკენ მიმავალი გზა იმთავითვე გადაუღობა, ორივეჯერ საგრძნობლად დააზარალა და უკან, ქართლის საბაშოისაკენ დაახევინა.

მთიელი მარბიელები, ვის მემორტულ შემართებასა, უშიშრობასა და სიხარბეზეც შურისძიების წყურვილით აღგზ-

ნებული ნაბერალი მეთოდე დიდ იმედს ამყარებდა, როგორც უხალისოდ, წინასწარ განწირულებივით იბრძოდნენ. მეთოდეს მისწრაფება მათთვის უცხო იყო. ქართველთა ქვეყნებში მუდამ საბარცვავად და ტყვეების საშოვნად დადიოდნენ. სხვა საქმე აქ არც ჰქონდათ და არც სურდათ ჰქონოდათ.

პირველ შეტაკებისას, როდესაც ქაიხოსრო აგიაშვილმა და როსაფ მაჭავაძე ირანმა მტრის ორსავე ფრთაზე იერიში თითქმის ერთდროულად მიიტანეს და თავიანთი უადგილო ადგილას გამოჩენით განცხრომაში მყოფ მარბიელთა თავხარი დასცეს, ლეკებმა ბრძოლის ველზე სამასზე მეტი მოკლული და სულთმობრძავი დასტოვეს, ისე რომ იმერთ კანიც არ გაკაწვრიათ. მომხედურთა ზარალი მეორე დღეს კიდევ მეტი იყო, მაგრამ ამჯერად ნაბერალმა მეთოდემ და ლეკმა ბელადებმა ომში არაერთჯერ ნაცად ეშმაკობას მიმართეს, მღვეარი ყრუტეში შეიტყუეს, თავისიანებს მოსწყვიტეს, ალყა შემოარტყეს და ისე უწყალოდ ამოყუტეს, უკან ამბას მთხრობელიც აღარავინ გამოსულა.

დაღუპულები, უკლებლივ ყველა, არგვეთის სადროშოდან იყვნენ, წინ ზემოიმერელი აზნაური, ფიცხელ ომებში მრავალჯერ სახელმწიფევილი აბდუშელიშვილი უძლავთ. როცა მიიხედ-მოიხედა და შეატყო, მეცა და ჩემს მცირერიცხოვან რაზმსაც ჩუღიანმა ერისთვიშვილმა გზა ოთხივე კუთხივ მოგვიჭრა და საშველი აღარსაით ჩანსო, აბდუშელაშვილმა თოფი გადააგდო, ხმალი იმიშველა და ოციოდე მისებრ თავ-

ზეხელაღებული გლეხაკის თანხლებით სანგლებიდან უცაბედად ამომხტარ ლეკებს ფოცხვერით შეება.

უთანაწორო ომი, აბღულშელაშვილის მამაცი რაზმის სრული მარცხით რომ დამთავრდა, როსაჲ მაჭავარიანსა და მის თანამებრძოლთ ზემოდან დაენახათ, მაგრამ სიშორისა და სრული უგზობის გამო დროით მიშველება ველარ მოეხერხებინათ. მათ ნუგეშად ისლა დაჩაით, ბრძოლის შემდეგ ქვემოთ, ღელეში ჩასულიყვნენ, საკაცები გაემართათ და პირშავ მტერთან შეტაკების დროს გმირულად დაღუპული თვისტომნი გასაპატიოსნებლად და მხედრული პატივის მისაგებად ზემოთ ამოესვენებინათ.

სოლომონმა, დახოცილებს მღვდელმა რომ წესი აუგო და სახელდახელოდ ვათხრილ სამომ სამარეს მიწა მიაყარეს, უპატრონოდ მიტოვებული მტრის გვამების აკრეფა და დამარხვაც ბრძანა, იმისთვის კი, ვინც შობელი ქვეყნისა და სარწმუნოების მოლაღატე ნაბერალ მეთოდეს შეიპყრობდა და ცოცხალს ან მკვდარს მოკვებრიდა, ჭილოდ ასი ყურუში ნაღდი ფული დააწესა.

ღამით, ომით მოქანცული მეფის ბანაკი ძილს რომ მიეცა, მალემსრბოლებმა ბატონიშვილ არჩილის წინსვლისა და ოზურგეთის ციხის უომრად აღების ამბავი მოიტანეს, გურიელისშვილ გიორგია გადამწყვეტ წუთებში ჭარი შემოფანტვდა. დამარცხებულ მთავარს მასავით გათათრებული რამდენიმე ერთგული აზნაურის ხელისშეწყობით თავი აქარისათვის შეეფარებინა. ბატონიშვილი არჩილი მტერს იქაც გადაჰყოლოდა და იმედოვნებდა, შფოთისთავ გიორგის ცოცხლივ შევიპყრობო.

— ყოჩაღ, ამაო არჩილ. — ბრძანა ნასიამოვნებმა სოლომონმა. — ეგ ერთი და სხვა მრავალი! მარჯვენა დაგელოცოს! ვინ იფიქრებდა, თუ პატარა გულჩვილი ბიჭი ამისთანა უებრო სარდალი დადგებოდა!..

დილა კიდევ უფრო სასიამოვნო ამბავი ელოდათ. ახალი ნანათლები იყო,

მზირები რომ აყვირდნენ, არიქა, წუნაკალი ლეკები წაგვივიდნენ. მათქნი დაბლა არეთ, არ გაუშვათ არც ერთი ცოცხალი. და მინავლულ კოცონებთან ჩაძინებული მეფის ლაშქარი მსწრაფლ წამოშალეს.

უნაგირზე თავმიდებულმა სოლომონმა თვალი გაახილა, ხმებს ყური მიუგდო და წამოჩდა. ფეხებთან ძიძიშვილ ნიკოლოზა ნაფიჩვამეს გაეშალა ნაბადი და არხეინად ზერინავდა. სოლომონმა ფეხისწვერი წაქარა.

— შეგარცხინა ღმერთმა, ასე გუდასავით რამ დაგაიბინა. ბიჭო, ნიკოლოზა, ადგი, ავიაშვილს დამიძახე, გავიგოთ, რა ამბავია!

ციხისთავ და ქეშიკთუხუცეს ქაიხოსრო ავიაშვილს ვისინე დაძახება და ბატონთან მოხმობა არ დასჭირვებია. ის თვით მოადგა მეფის კარავს. სადაც ნიკოლოზა ნაფიჩვამემ, ის იყო, კელპატარი აანთო, შუბოსან ქეშიკებს შორის გაიარა და შიგნით შესვლის ნებართვა ითხოვა.

— რას გვეტყვი ახალს და სასიხარულოს? — უკვე სალაშქროდ გამოწყობილი სოლომონი საყუარელ სარდალს კართანვე მოეგება.

— ერეკლე სურამში შემოვიდა, მეფეო. — მოახსენა თავადმა ქაიხოსრომ მისალმების შემდეგ და ორივე ხელი ხმლის ვადაზე დაიდო. — გვატყობინებს, ურჯულო მთიდან გამომირეკეთ და მე აქ დავხვდებიო.

სოლომონს სახე გაებადრა, თვლებში მზის შუქი ჩაუდგა.

— დაილოცოს მისი დიდებული სახელი, ღმერთმა ისე გაახაროს. როგორც ჩვენ გაგვახარა! მართალი მოგახსენო, ჭერ არ ველოდი. შორია, ტფილისიდან აქ მოსულას ეხუმრები შენ?

— ლეკებმა უფრო ადრე შეიტყვეს ერეკლეს მოახლოება და გუდა-ნაბადი აიკრეს, სასწრაფოდ ქვიშხეთისკენ იხევენ!

— ხელს ნუ შეეუშლით, ქაიხოსრო, ოღონდ ზურგში კი უნდა გავუჩინოთ ცეცხლი, გაჩენის დღე უნდა ვაწყველი-

ნოთ! ცხენოსანი ჯარი ორად გაყავი და მეტი წილი მტერს დაადევნე. დანარჩენი მარჯაფად გვეყოლება. თუ ვინიცობაა, ნაბერალი ისევ თვალთმაქცობს და ანკესზე წამოგებას ვვიპირებს, სამაგიერო დარტყმის მისაყენებლად ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ!

— მესმის, ბატონო მეფე, მეც სწორედ აგრე ვიფიქრე და შენის ნებართვით თადარიგიც გავწიე!

— მაშ, გავიდეთ, ღვთით, აქ რაღას ვუცადოთ, ჯარი ჩვენი მასურებელია, — სოლომონმა განუყრელ ძიძიშვილს ოდესღაც გოლა-ფაშასაგან ნაბობები მოკლე ხმალი ჩამოართვა და წელზე შეიბა. — გაგვიძეხი, სარდალო, ღმერთსა ვთხოვ და ღვთისმშობელ დედას, დღეს მტერზე საბოლოო გამარჯვება მოგვანიჭოს!

— ამინ, მეფეო!..

აგიაშვილი კართან შეუყვნდა. სოლომონმა გამომცდელად შეხედა.

— გატყობ, შენ კიდევ რაღაცა გაქვს სათქმელი!

სარდალმა თავი ჩაღუნა, მიწას ჩააცქერდა.

— მაქვს. მაქვს და აღარ ვიცი, რა სიტყვები გამოვარჩიო.

— თქვი! — სოლომონმა მხრებში ხელები ჩასჭიდა, თავისკენ შემოაბრუნა და შეეცადა. სარდლისათვის თვალებში შეეხედა. — თქვი ბარემ, ენა ხომ არ წაგერთვა!

— ენაც წამერთვა და... — აგიაშვილი კვლავ მიწას ჩასცქეროდა, მერე თავი ერთბაშად ასწია და მეფეს სახეში შეხედა. — ქუთაისში ეამი გაჩენილა! ეპურებს დაველუპივართ, ახალციხიდან შემოუტანიათ!..

— ქუთაისში ეამი გაჩენილა? — სოლომონმა ხელი შეუშვა. — ღმერთო, დიდებულო! ვინ თქვა, ვინ მოიტანა ეგ ამბავი, ჭორია თუ სიმართლე?

აგიაშვილმა თავი ჩაიქნია.

— სიმართლეა, მეფეო, სიმართლე, შენის სიცოცხლით ნეტავი კი ჭორი ყოფილიყო! ბერი წულუკიძემ შემომიბოძალა ოქროს ჩარდახიდან. მისი კაცი

წუხელის ნავახშმევს მთვედ და წულუკიძის დანაბარები სიტყვიერად გადმოშვა. დავექვდი, ეს საცოდავიც ავად არ იყოს-თქვა. ჯარს გავართდე და ცალკე კარავში მოვათავსებინე, შორიახლო მზირები დავეყენე...

მეფე აზრით უკვე ქუთაისში იყო, მისი მშფოთვარე ფიქრი სასახლეს დასტრიალებდა, სადაც თანამეცხედრე და შვილები ჰყავდა დატოვებული.

— სხვას რას იტყობინება ჩვენი კარის გამგე? დაძახებინე, აქ მოვიდეს მისი წარმოგზავნილი კაცი! გატყობ, შენ რაღაცას მიმაღავ, ქაიხოსრო. მინდა, ჩემი უბედურება ჩემი ყურით გავიგონო!

ზარდალმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ბრძანების შესრულებაზე მოკრძალებული, მაგრამ მტყიცე უარი ჰყადრა.

— წულუკიძის კაცის აქ მოყვანას ნუ ინებებ, ბატონო მეფე, არ გამოგვივა ეგ გონიერული საქმე. მე მოგახსენებ, რაც იმ კაცმა იცის. მამა-პაპის სული წამიწყდეს, თუ რამე დაგიმალო!

სოლომონს თვალები რისხვით აეცსო.

— მიფრთხილდი, ბოლმას ნუ გადმომანთხევიანებ, თავადო ქაიხოსრო. რაც გიბრძანე, სიტყვის შემოუბრუნებლად გააკეთე: ამ წუთში აქ გაჩნდეს ბერი წულუკიძის გამოგზავნილი კაცი!

აგიაშვილმა მტანჯველ ყოყმანს სძლია და რაკი სხვა გზა აღარ იყო, გადაწყვიტა უკანასკნელი ღონე ეხმარა:

— ამ დილას მკვდარი ნახეს თავის კარავში! სამი კაცი გავგზავნე და მეც მივედი. კარავს თივა შევუკეთეთ და დავეწვით. მიცვალებული რომ არავის დაენახა, სულდარამი გავახვიეთ და უზიარებლად მიწაში ჩავფალით!

მეფეს აღმაცერმა ღიმილმა მოუქცია სახე.

— ტყუი, ქაიხოსრო, მოხერხებულად და დალაგებულად ტყუი. ნუთუ გგონია, რომ საფლავს არ გავათხრევიანებ და შენი სიტყვების სიმართლეს არ შევამოწმებ? მაგ ტყუილით გინდა თვალი ამიხვიო და ეითომ მანუგეშო. მე ხომ ვიცი, გული მეუბნება, ჩემს თავზე კარ-

გი ამბავი არ არის. მითხარი ბარემ, რა-
ლას მაგახორებ, კაცი არა ხარ?

პირხმელი, ლაწვებამოყრილი, მზისა-
გან დაშაშრული აგიაშვილი მთლად გა-
შრა, თითქოს თვალდათვალადაც კი
დაპატარავდა.

— ჩვენი სათაყვანებელი დედოფალი
მარიამი გახლავს უკანასკნელ დღეში,
— თქვა მან მოგუდული ხმით. — ქსე-
ნოწმი ცნობა წართმევია და სასახლე-
ში გადაუყვანიათ. არ იციან, რა წუთში
გათავდებიან..

მეფეს ტუჩები უშწყოდ აუთრთოლ-
და, თვალები ცრემლით დაებერა.

— წუხელსავე გეთქვა, შე მოუნთ-
ლავო, ჩემი მოტყუებით რას გამოჩჩი!
წავშვებდებიდი, იქნება ცოცხლისათვის
მიმესწრო!

— სწორედ მაგიტომ დაგიმალე და
არ გაგიხილე, ბატონო მეფე. მზადა
ვარ, შენი რისხვა მივიღო!

— ჭერი თავზე დამტყევი და მე აქ
რალას ვავუჩერდე?!

— თუ ეგ გადაწყვეტილება საბო-
ლოა, შენ არ მომიკვდე. აქედან მარ-
ტო არ გაიშვია! მეც შენს გვერდით მი-
გულე!..

— მერე ჭარს ვის უტოვებ? მიბრძა-
ნებია, აქ დარჩე და ჩემი სახელით
ჭარს უწინამძღვრო! მე და ნიკოლოზა
ახლავე მივიღივართ. თუმცა შენ დარჩი,
ნიკოლოზა, იქ რა უნდა გამიკეთო! ამ
ომის შემდეგ შენ გამიშვიხარ. მიხედე,
თუ რამე დარჩა კიდევ მამაშენის ნაფუ-
ძარზე, დათუნას ბიჭები გაუზარდე, მა-
დლია! იქნებ შენც გელირსოს ბედი,
უშვილსიროდ არ გადახვიდე. მე ათ-
თხუთმეტ კაცს ვიახლებ, თავადო.
ხალს ყველაფერი უთხარით, რაც ჩვენს
თავზეა, ნურავის ნურაფერს დაუმა-
ლავთ. ვინც წამოვა, წამოვა, ძალას
არავის ვატან. ერეკლეს ბევრი სიმწარე
აქვს გამოცდილი და ვგონებ არ შემო-
მწყრეს, თუ შესაფერისი პატივით ვერ
შევხვიდი და ჭირში შეწვევისათვის
წრფელი მადლობა ვერ მოვახსენე. შენ
ქენი ეს, ქაიხოსრო, ჩემს მაგივრად და
გასწი ახლა, ვეწიოთ ჩვენს საქმეს!

— მაშ, არ იშლი, მეფეო, მიბრძა-
ნებში? — სარდალი უკვე განიკანაღლე!
ბული იყო, კარგად ხედავდა რაიმე სისამ-
ლომონი უქვეელი დალუპვის გზას ად-
გა და ამ საბედისწერო გზიდან თვით
მამა-ღმერთიც ვერ გადაიყვანდა. —
ჩვენ რალზე დავრჩეთ აქ, უშენოდ ვინ
რისი მაქნისი ვართ!

— გულს ზედმეტად ნუ აირყეებ, ბა-
ტონო ქაიხოსრო. მე არ ვიყავი, მაგრამ
ქვეყანა არსებობდა. არც უჩემოდ დაი-
ლუპება, იცოდე. ღმერთი მოწყალეა,
უნუგეშოდ არ მიატოვებს, პატრონი და
უღლის გამწევი აწიცი გამოუჩნდება!..

— რა ექნა, რა შემიძლია ხეწუნა-
მუდარის მეტი, — აგიაშვილი აშკარად
იტანჯებოდა, თავის თავში ეძებდა ძა-
ლას, რითაც მეფის შეკავებას შესძლებ-
და, მაგრამ გრძნობდა, რომ ბატონის
დაყოლიება მის ღონეს აღემატებოდა
და თანდათანობით უფრო დამთმობი
ხდებოდა. — ეტყობა, ესეც ბედისწე-
რა ყოფილა, ასე გვერებიცა და ასე მო-
ხდა!

— გამოვეშვიდობოთ ერთმანეთს,
თავადო, ვაითუ სააქაოში ღმერთმა
ალარც კი ინებოს ჩვენი შეხვედრა. მა-
დლობელი ვარ შენი, გულით გმადლობ,
რომ მართალ საქმეს, ტახტსა და ჭრის-
ტეს მცნებას აქამდე უღალატოდ და
პირნათლად ემსახურე! ჩემი უბედური
თავის არ იყოს, შენც ბევრი ვაება გა-
დაგზადა, შენი და შენი სახლეულის სი-
ცოცხლე ბევრჯერ ბეწვზე ეკოდა, ათუ
გარეული და ათუ შინაური მტრის ხე-
ლით ბევრჯერ დაგწვეს და მიწასთან
გაგასწორეს. ჩვენ მიინც ღვთის განგე-
ბის მადლიერი ვიყავით და თავიდან ვი-
წყებდით ცხოვრებას! აღარ დამცალდა,
ერთი თავისუფლად ვერ ამოვიტყუებთ,
რომ სამუდამოდ შენს ვალში არ დავრ-
ჩენილიყავი. ვალი სხვებისაც ბევრი
მრჩება. ყველას მადლობელი ვარ, ყვე-
ლასი, ვინც ჭირსა თუ ლხინში გვერდ-
ში ამომიღდა, ჩემი უსიხარულო ხვედრი
გაიზიარა და გუტანელ წუთისოფელში
მარტო არ დამტოვა!..

თვალბაწყლიანებულ სოლომონი ამ

სიტყვებით უჩვეულოდ ფრთხილად მოეხიზნა და ჩაიხოსრო აგიაშვილს გადაეხვია და მხარზე სათუთად ეამბორა. სარდალს ცრემლები წამოუვიდა, ენა დაემა, პირში ნერწყვი გაუშრა, თავის მხრივ ეწადა რალაცის თქმა და ველარ მოახერხა.

სოლომონი ნაფიჩვაძეს მოუტრიალდა.

— მოდი აქ, ბიჭო, ნიკოლოზა, რა შორს დამდგარხარ! — და გახუმრება სცადა: — წინათ არ იცოდი ამისთანა დამორცხვება?!

ჭალარაშერეული თმა-წვერით თავპირგაბანჯგულულმა ძიძიშვილმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ ყვავის ბუდისოდენა ნაბდის ქული მოიშვლია, დაიხოქა და თანწეზრდილ გვირგვინოსან ბატონს ფეხებში ჩაუვარდა.

— რა გინდა, ბიჭო? — დაყვავებით ჰკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა სოლომონმა.

— ნუ მიზამ მაგ საქმეს, მეფეო, ნუ შეიკადრებ გლეხობით ჩემ დაჩაგვრას, ალექსანდრე გამატეხინებ. მეც კაცი ვარ, პირველად მეც ვიწერ. წაეწყდები, ბრავალხლის წმინდა ვიორჯის მადლმა, ჭოჯოხეთის ეპური არ ამცდება!

— აღარ იტყვი, რას მეხვეწები?

— თან მიახლე, სადაც წაბრძანდე. სადაც შენ, იქ მე! უშენოდ ერთი წუთიც ნუ მიცოცხლია!

— უჩიათი კაცი ხარ, ნიკოლოზა. მიკვირს, ან ამდენ ხანს რანაირად გიგუე და გაგიძლი. შენს ჰკუთხე უნდა ვიპოვოთ ყველამ?

— რაც გინდა, ის დამიძახე და შემწამე, მეფეო, ოღონდ ნუ მიზამ მაგ საქმეს, ალექსანდრე გამატეხინებ. ჭოჯოხეთის ეპური არ ამცდება!..

— ადე! ახლა ეხედავ, მართლა გყვარებივარ და ამიტომაც თავს მოვალედ ვრაცხ. შინ გაგიშვა, უეშველ სიკვდილს აგაცილო, ცხონებული ჩემი ძიძის დანაბარები ავასრულო! რა გინდა ამის მეტი?

— სულ ერთია, მაინც წამოვალ, სოლომონ. ხომ მეფე ხარ, ხომ ღეთის სი-

ტყვა არი შენი სიტყვა. მარტო წამოვალ და ჩრდილივით აგდებენ მისივე სიტყვა.

— ადე, აისხი იარალი, მიმყავხარ!

შულამე კარგა ხნის გადასული იყო, დაღუპულ რიონის ჰალას ცისკრის ვარსკვლავი დასციმციმებდა, როდესაც საფიჩხის წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიასთან, საიდანაც წყალწითელას ბოგირზე გადმოსული საქარავნო გზა დაბლა, სატახტო ქალაქ ქუთაისში ეშვებოდა, რამდენიმე მოყარაულის ნამძინარევი ხმა მოისმა:

— ეი, ვინ მოდის აქეთ? სად ოხრობაში ეტენებით, თქვე პატრონძალღებო!

ცხენოსანთა არცთუ მცირე რაზმმა, რომელმაც ამოღმართი ჰენებით ამოვლო და აქ შეუყოვნება ფიქრადაც არ გაუვლია, ძალაუნებურად ნაბიჯი შეანელა, მაგრამ ყიამყალი მოყარაულების ყურის გდებას და შეჩერებას ერთი მხედარიც არ აპირებდა.

— სად მიხვალთ, ხალხო, სად? არ გესმით კაციშვილის სიტყვა? — აყვირდნენ დამხედურები, მხედრებს წინ თოფებით გადაუდგნენ, საღვეებზე ხელი უტაცეს და გააჩერეს. — იქით გზა არ არის! ხომ გითხრეს ერთხელ, იქით გზა არ არისო, არ გესმის ჩვენი ქართული?

— ენა დემოკლე, უბედურო, ვერ ხედავ, თავად მეფე მობრძანდა?

— მეფეო? სად არის მეფე? შენი ტოლები მოატყუე! მეფეს აქ რა უნდა, ონოფრე, ქართლში ლეკებს ეომება!

— ჩამოდექი, დროს ნულარ გვაკარგვინებ!

— გითხრეს ერთხელ, აქეთ გზა არ არის, უკან გატრიალდი, თუ არ გინდა, მწიფე მსხალივით ძირს ჩამოვარდე! ქალაქში ეამია!.. ნაბრძანები გვაქვს, არც იქით და არც აქეთ არავინ გავატაროთ!

— ვინ გყავთ აქ უფროსი? — მბრძანებლური ხმით იკითხა ერთ-ერთმა მხედარმა, რომელიც მომსვლელთა და დამხედურთა მიწვევ-მოწვევაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, და წინ წამოვალდა.

— ყველა უფროსი არა ვართ? — მო-
ყარაულუმ სიტყვა ბანზე აუგლო. — აქ
უმცროსი, მე არ მოვეკდე, არავინ გვე-
გულუბა!

— თავს ნუ ივადებ, — მხედარმა მა-
თრახი აღმართა და მაშინვე ძირს დაუ-
შვა. — უფროსი წარმოგვიდგეს!

საქმე დიდი აყალმყალის გარეშე არ
გათავდებოდა, სწორედ ამ დროს საყა-
რაულოს ქალაქის მხრიდან სულ რამ-
დენიმე მხედრისაგან შემდგარი რაზმი
რომ არ მოსდგამოდა. არავინ ჩამოქვე-
ითებულა. ახალმოსულ რაზმს ერთი
მხედარი გამოეყო და გულდაგულ მო-
ყარაულეების მიერ შეჩერებულ მხედ-
რებში გაერია.

— ბერი! — გაისმა წამიერად ჩამო-
ვარდნილ სიჩუმეში, რომელსაც ცხენე-
ბის კანტიკენტი ხეივანი და ფილაქა-
ნზე ასხლელი ფლოქეების ქახანი-ლა
არღვევდა. — რა ამბავი დამახვედრე?
დედოფალი ცოცხალია?

ბერი წულუკიძემ უმაღლე იცნო უბ-
რალ მოლაშქრედ გადაცმული, ყაბა-
ლახით თავფარული მეფის ხმა, სადავე
მოზიდა, მსწრაფლ ცხენიდან ჩამოხდო-
მა დააპირა, მაგრამ სოლომონმა დაას-
წრო, მაჯაში ხელი სტაცა და ამის საშუ-
ალეა არ მისცა.

— გვითხარი ჩქარა, დედოფალი ცო-
ცხალია?

— ცოცხალია, მეფეო, — მიუგო ჯა-
ერისაგან კრიჭაშვიტულმა კარის გამ-
გემ. — შენს მობრძანებას უტყდის!..

— ალექსანდრე? თამარი?

— ადრევე გავხიზნე... სხარტალში...

— იციან ეს?

— არა!

— ჩქარა! გავვიძეხი!..

— ნუ ინებებ ამდენი ხალხის ხლე-
ბას, მეფეო. მცველი რაზმი, თუ არ გა-
მირისხდები, აქ დაეტოვოთ!..

— იყოს, როგორც შენ იტყვი, ბერი,
მარტო ნიკოლოზა ნაფიჩვაძე გავიყო-
ლოთ!

— კეთილი!

ისინი ცხენებზე შესდნენ და სადავე
მაშინვე მღუმეუსკა თენდებოდა. სალო-

რის ტყის თავზე ცას პირი გაეხსნა და
შინიდან მტრედისფერ შუქს ასხებებდა
და. ქალაქის გარეუბანში მამლები ყიო-
დნენ. პირდაპირ, რიონის მარჯვენა ნა-
პირას, უქიმიერიონის მთაზე, პირქუშად
აღმართულიყო ციტადელის აქა-იქ ჩა-
მონგრეული და გამსკდარი კედლები,
რომლის ზედა მარჯვენა გოდოლის გა-
რეთ თეთრად ანათებდა ბაგრატის ტაძ-
რის ნანგრევი.

ჯერ აღრიანი დილა იყო, დღე ღამეს
ეყრებოდა. სოლომონი მაინც გააოცა
და შესზარა სტახტო ქალაქის ქუჩების
უცაქრობამ. სად გაქრნენ მენახშირეე-
ბი და მეთულუხჩეები, რომელთა ხმა-
ჩახლეჩილი ყვირილი მამლების ყვილ-
თან ერთად რომ მოედებოდა ხოლმე
აქაურობას? გამვლელი თითქმის არავინ
დაუნახავთ. მხოლოდ ჭაქვის ხიდთან,
სამკედლოების რიგში შენიშნეს ერ-
თადერთი მეფეოვე, ხეივარი, რომელიც
გრძელტარიანი ცოცხით ქუჩას ჭკვიდა,
ამტვერებდა და ხის ფეხის კაკუნით და
ცოცხის ქნევით ნაგავს უკან მისდევდა.

ოქროს ჩარდახის კარიბჭესთან სასა-
ხლის მცველი ქეშიკები მოეგებნენ.
შუბოსანმა მოყარაულეებმა ციენეს გა-
დაცმული მეფე-ბატონი, ერთმანეთზე
გადაჯვარადინებული შუბები ასწიეს.
გვერდზე გადადგნენ და მოსულთ გზა
მისცეს. გავლისას ბერი წულუკიძემ
ქეშიკებს რაღაც ჰკითხა თუ უბრძანა.
მაგრამ კერძოდ რა, სოლომონს არ გა-
უგონია. ცხენიდან პირველი ჩამოქვე-
ითდა და სწრაფი ნაბიჯით სასახლის გა-
ლავეანში შევიდა. აქ მეტი აღარავინ
გამოგებებია. პალატები ჩაბნელებული
იყო, სასახლე მკედრულ ძილს მისცე-
მოდა.

— საით, ბერი? თავის ოთახშია? —
ჰკითხა თანამგზავრს სოლომონმა ისე,
რომ ნაბიჯი არ შეუწელებია.

— დიახ, ბატონო მეფე, აქეთ მობრ-
ძანდი! — წულუკიძემ წინ გადაუწყო.
მერე ნესტიან კედელს ზურგით აეკრა
და დედოფლის მოსასვენებელი ოთახე-
ბისაკენ უმოკლესი გზა უჩვენა.

კართან თალხებში გახვეული ახალ-

გაზრდა მონაზონი იდგა, ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, ჩაბნელებულ ტალანს აკვირდებოდა და ცდილობდა რაიმე დაენახა.

— აქ! — ჩურჩულით თქვა ბერი წულუკიძემ და კარი შეაღო.

ოთახში შესვლისთანავე სოლომონს მოგუდული ცხელი პაერი და წამლების მკვეთრი სუნი ეცა, ზუსტად ისეთი, დედის ოთახში შესვლისას რომ ეცემოდა ხოლმე. წამით თვალები აუჭრებოდა და თავბრუსხვევა იგრძნო. არავინ შეუშინებია, თუმცა დედოფალ მარიამის გაქათვითებულ სარეცელთან კიდევ სამი მონაზონი და ერთიც კაპუჩინელი პატრი დონ იერონიმო ნორჩელი, დედოფლის სულიერი მოძღვარი, იდგა და ბროლის ჭიქაში წვეთ-წვეთად რაღაც წამალს ასხამდა შუშიდან.

მარიამი თვალებგახელილი იწვა მაღალ სასთუმალზე. უაზრო მზერა რომელიღაც წერტილისათვის მიეპყრო.

— ვაი შენს თავს!.. — აღმოხდა ამ დღეში მყოფი თანამეცხედრის დანახვაზე სოლომონს, თვალები დახუჭა და სახეზე ხელები აიფარა.

— არაფერი უკეთესობა ეტყობა? — მეფის მაგიერ ჩურჩულით იკითხა ბერი წულუკიძემ.

პასუხი მღვიმევის დედათა მონასტრის ილუმენმა, სატახტო ქალაქში გაჭირვებულ მოყვასთა სულის საოხად საგანგებოდ ჩამოსულმა, ჭოხივით აწოწილმა დედაბერმა გასცა:

— ნახევარი საათი არ იქნება, ცნობა დაუბრუნდა. ბატონი მეფე მოიკითხა. ჯერ ხომ არ მობრძანებულაო, რად აგვიანებსო. რომ მოვახსენეთ, ჯერ არ ჩანს, მაგრამ მალე გეახლება-თქვა, ისევე გაუჩრდა. ხმა ვეღარ ამოვადებინეთ.

— გვანცა!.. — ერთიმეორეზე მიწებებული სიცხიანი ტუჩები მომაკვდავმა ილივს გახსნა და თავის ახალგაზრდა მოახლეს უხმო, რომელიც სხვა ახალგაზრდა და სიცოცხლით საესე მოახლებებთან ერთად შვილებს სახიზარში

გაატანა, მაგრამ ისევ აქ, სასახლეში ეგულებოდა.

— ბრძანე, რა გნებავს, დედოფალო! — მოახლის მაგიერ უპასუხა შეუვალ ძალაუფლებასა და სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას ჩვეულმა ილუმენმა და სასთუმალზე უშიშრად დაიხარა, რათა სულთმობრძავეს ხმა უკეთ გაეგონა.

— ხმაური იყო... ვგონებ, ვილაც მოვიდა...

— მეფე მობრძანდა, დედოფალო...

— უკვე? — ამის გაგონებისთანავე მარიამი მთელი სხეულით შეერთა, თვალებშიც რაღაც აზრი ჩაესახა, თითქოს კიდევაც წამოიწია, მაგრამ ისევე უძრავად დარჩა, როგორც აქამდე იყო. — სად არის? შემოვიდეს!..

— თავზე გადგას, შვილო, ნუთუ ვერ ხედავ?

— აქა ვარ, მარიამ, აქ. — გაბზარული, თავისთვისაც სრულიად უცხო ხმით მიაშველა ქრისტეს მხევალ დედაბერს სოლომონმა და სარეცელთან ორივე მუხლზე დაიჩოქა. — ეგ არის შენი დაპირება, თავს მოუვულო, ჩვენგანით საფიქრალი არაფერი გექნებო?

— ღვთის ნება ყოფილა... სოლომონ... რა ქენი? როგორ წაგვიცა საქმე?

— გაგვიმარჯვა ღმერთმა, მარიამ, მტერს ვძლიეთ! ზოგი გაველიტეთ, ზოგი ტყვედ ჩავვივარდა, ზოგი გადავდენეთ. მეფე ერეკლემ დიდი შემწეობა გაგვიწია!..

— მარჯვენა უკურთხოს... მამაზეც იერმა!.. აქეთ?

— ბატონიშვილ არჩილს, შენს სახელოვან მახლს, ერთობ ვუმაღლი. მისი შემწეობით თათრის რჯულზე შემდგარმა გურიელყოფილმა გიორგიმ ზურგი გვიჩვენა და ოზურგეთში ისევე ბიძაჩვენი მამია ზის გურიელად!

— ჩემი უპირთული ძმა, კაცია?

— კაციასი არაფერი ისმის!

— შეატყობინე... მიტიროს, თუ ინებებს. მის უნახავად ნუ ჩამდებთ სამარეში!..

— შორს შენგან სიკვდილი, დედოფალო! ყველაფერს ვიღონებთ, მტლედ დაგედებით, გველის ხერხელში გავძვრებთ!..

— მე ხომ ვიცი... რამდენმა დახუჭა თვალი!.. ჩემი წუთები დათვლილია... ხელებს დავიკრებ და... ღმერთს ვმადლობ: ცოტა მაინც მაცალა... შენ გელოდი... სათქმელი მაქვს...

განუზომელი მწუხარებისაგან სასოწარკვეთილი სოლომონი თავმდგმურ მონაზვნებს, კაპუჩინელ პატრს და შუა ოთახში გახევებულ ბერი წულუკიძეს მიუბრუნდა:

— დაგვტოვეთ მარტო! თუ საჭირო გახდა, მოგიხმობთ!

ყველა უხმოდა, ფეხაკრეფით გაემართა კარისაკენ, უკმაყოფილო და თითქმის შეურაცხყოფილი მარტო იღუმენი დარჩა. მას, ეტყობოდა, აქამდე არაფრით არ ეგონა, თუ რაიმე მიზეზის გამო სხვებთან ერთად დედოფლის ოთახიდან უბრალო მოახლე გოგოსავით დაითხოვდნენ.

— სოლომონ!..

— აქ ვარ, დედოფალო...

— შენი ხმა კიდევ მესმის... მარიამი დამიძახე. მე რაღა დედოფალი... ყველაფერი წავიდა... მართლა... სიზმარი ყოფილა... ხელს ნუ მახლებ... გემუდარები! რა იცი ბავშვების?

— ბავშვებს რა უქირთ, მარიამ, ღმერთმა ნურათფერი გაუქირვოთ, ღვთით, უშიშარ ადგილას გვევანან გახიზნული... სხარტალში!

— სხარტალში!.. — გაიმეორა მომაცვდამა და ჩაჩუმდა. ერთხანს ხმა აღარ ამოუღია. მისი სული სადღაც შორს წავიდა. ბოლოს ისევ ლაპარაკი დაიწყო: — მე არ დაგიშალე... სხარტალში სასახლის აშენება. ვიციოდი... გიყვარდა სხარტალი...

— დიახ, მიყვარდა! — დაეთანხმა სოლომონი.

— ისიც ვიციოდი... რატომ გიყვარდა!..

— მე მუდამ შენი ერთგული ვიყავი

და აწიც, თუ ღმერთმა დღე მომცა შენი ერთგული ვიქნები, მარტო... — ვიცი... ის მაინც გიყვარდა...

სოლომონმა თავი ჩაჰკიდა. მარიამი თითქმის უკვე წასული იყო სააქაო ქვეყნიდან. სააქაო ქვეყანას, სადაც ყველაზე უფრო სათაყვანებელი არსებები — სამი შვილი, ბადიში, თანამეცხედრე და ძმა დასტოვა, უღონო ფრთებით დაჰვარდატებდა.

— იყო კიდევაც... სიყვარულის ღირსი! — განაგრძო დედოფალმა და ორივე თვალის უბეზე მსხვილი კურცხალი დაეკიდა. — ბედნიერი!.. ისე კი გაჭრა, ხატიც აღარავის დარჩენია მისი... ჩემს შვილებს ნუ მოკითხავ, მაღალო ღმერთო, მე და მამაჩემ ოტიას სულს მოკითხე!..

სოლომონი დაიძაბა, ოდნავ უკან დაიწია, მომაცვდავი მეუღლის ჩალურჯებულ ტუჩებს, აქამდე გულში ღრმად ჩამარხულ რაღაც საშინელ საიდუმლოს რომ უმხელდნენ, თვალებით დააკვდა:

— რას ამბობ, მარიამ? კარგად გამაგებინე!..

— ვერ ვქენი... საფლავში ვერ ჩავყოლე... მთელი სიცოცხლე—ამან მომიშხამა. მამას ეგონა... იმ სულგანათლებულს... რომ ველარსად დაიგულეხს... უფრო დაწყნარდებო...

— ჩემზე ზრუნავდა?

— ჰო... ჩემზე და შენზე... ჩვენს მომავალზე...

— მერე ამას სხვისი სიცოცხლე ანაცვალა?

— ანაცვალა... სოლომონ! შენი კირიმი... მამას კაცები... გადაცმული... ხინოწმინდის მონასტერს დაეკენე... აიკლეს... დაწვეს...

— მერე? რა უყვეს თინათის? რა უყვეს თინათის და მის ბავშუს. ჩემი შვილს?

— შემინდე, სოლომონ... შეუენდე მამაჩემსაც!.. — ქალი ტიროდა. ცრემლები ღვარად წამოსვლოდა და ჩაჰმუქნულ სასაფლაოს უსველებდა.

სოლომონი ზეზე წამოვარდა. ისე იყო შეძრული, და გააცეცხლებული,

აღარ უწყობდა, რას იქმნოდა. მომავლადეს ორივე მკლავში ჩასჭიდა რკინასავით მაგარი ხელები, გამეტებულად შეაჩქარია, სანახევროდ წამოაყენა და ყვირილით ჰკითხა, თან თვლებში ჩაჰყურებდა:

— მითხარი, შე მტარვალო, იუდა, სად არის თინათი? რა უყვეს თინათის და მის შვილს?

— მოაშთვეს... ორივე...

— ააა... წყეულიმც იყავით! — ყელგამოჭრილი ხარცივით დაიღრიალა სოლომონმა და ქალს ხელი გაუშვა. მარიაში სასთუმალს დაენარცხა, ერთი ღრმად ამოიკვნესა და, თითქოს ამას-

ლა ელოდაო, იმ წამსვე სული განუტევა.

გარეთ ხმაური გაგონეს და გულგახეთქილი თავმდგმურები ოთახში შემოცვივდნენ. მათ თვალს საზარელი სანახაობა გადაეშალა. სამუდამოდ დაწყნარებულ დედოფალ მარიამს სახეზე განცვიფრება და შეუცნობელის წინაშე გაღვიძებული შიში აღბეჭდვოდა. მარცხენა ხელი ძირს გადმოვარდნოდა და უსიცოცხლოდ ეკიდა ჰაერში. გრძობამიხილი სოლომონი იქვე იატაკზე ეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამტკიცებდა.

თავი ორმოცდამეორე

მარიამ დედოფალი მესამე დღეს დაკრძალეს გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის მარჯვენა სვეტის ძირში, სწორედ იმ ადგილას, სადაც გვირგვინოსანი თანამეცხედრისა და შვილების გვერდით მრავალჯერ მდგარა ხოლმე და კონჭში სოფიის კენჭით ამოქარგული ღვთაებრივი სეხნიის წინაშე მხურვალე ლოცვა აღუვლენია. მეორე დღე ოთხშაბათი იყო. ქრისტიანული წესისამებრ ამ დღეს დაკრძალვა არ ეგებოდა. მდაბიო ხალხი მამა-პაპის ნაანდერძევ ძველისძველ წესსაც აღარ დაგიდევდა. გვამებს გაცივებასაც აღარ აცლიდნენ, ყოველდღე მარხავდნენ და სამუდამო ვალის მოხდის შემდეგ უკან გულდამშვიდებული ბრუნდებოდნენ, რათა შინ, ოთხკედელშუა გამოკეტილი ყველა თავის რიგს დალოდებოდა.

უამმა, ქვეყანას პირწმინდად რომ მუსრავდა, სიკვდილი გააუბრალოვა. დიდების კვარცხლბეკიდან ჩამოიყვანა და ყოველგვარ იდუმალბას მოკლებულ ჩვეულებრივ მოვლენად აქცია. ის ყველგან ჩამოდგა, არაეის გვერდს არ უვლიდა, დიდსა და მცირეს არ არჩევდა და იქ, სადაც გუშინ სიცოცხლე და

სიხარული სუფევდა, სისხლის გამყინავი სიმშვიდით მკვიდრდებოდა...

დედოფლის ბალდახინს, რომელშიაც ყვეარი ხარ-კამეჩი შეაბეს, სასახლიდან ერთადერთი დიდებული — კარის გამგე ბერი წულუკიძე, რამდენიმე მსახური, ქსენონის ორი მონაზონი და სულ სამად სამი ბერისაგან შემდგარი კათოლიკური მისიონი მისდევდა. საშინელმა სენმა არც დაავადებულთა მომხმარე და ნუგეშისმცემელი წმინდა მამები დაინდო. ბევრი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა და სამუდამო განსასვენებლად უცხო მიწის წიაღი მიუჩინა.

თვით სოლომონი დილითვე გადაიყვანეს გეგუთის სასახლეში, სნეულების ბუდე სატახტო ქალაქს გააჩრდეს. მეფე კვლავ უგონოდ იყო. თავმდგმურთაგან ეჭვიც აღარაეის ეპარებოდა, რომ წყეულმა სენმა ხელი მასაც დაჩია და ლოგინიდან წამოდგომა უკვე აღარ ეწერა.

ბატონის მოვლა ძიძიშვილმა ნიკოლოზმა ნაფიჩვამემ იკისრა. ის ისე იყო გამეცადინებული, გარდა მონაზვნებისა, საიდუმლო ვითარებაში გარდაცვლილი დედოფლის გაპატროსნების შემდეგ გეგუთის სასახლეში რომ გადმოინაც-

ვლეს, ახლოს არაეის იყარებდა და ბერი წულუკიძემაც მიზანშეწონილად სცნო, ყველა იმედი ნაფიჩვიძის უანგარო ერთგულებაზე დაემყარებინა.

მოზარე ჭირისუფალი მიცვალებულს არც გელათში დახვედრია. ყველას თავისი გასაჭირი ადგა და სხვისი ვაების გასაზიარებლად, თუმცა ის „სხვა“ ამჯერად თვით კურთხეული მეფე იყო, უკვე აღარაეის ეცალა. ამას გარდა, კარის გამგე ბერი წულუკიძის ბრძანების თანახმად, გზები შეკრული იყო, გზაჩქარდინებზე შეიარაღებული მოლაშქრეები იდგნენ. ყოველგვარი მიმოსვლა უკლებლივ ყველას ეკრძალებოდა. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი მალეშსროლები, რომელთაც სამეფო კარის ზეპირი ან წერილობითი განკარგულებები მიჰქონდათ და, ამგვარად, სახელმწიფო დავალებას ასრულებდნენ.

დედოფლის უკანასკნელი თხოვნა, რითაც მეფეს სიკვდილის წინ მიმართა, აუსრულებელი დარჩა. კაცია დადიანი-სათვის კვირგვინოსანი დის უდროოდ გარდაცვალება არაეის შეუტყობინებია და ოდიშიც დუმდა, მეგრული მოთქმაგოდება არ ისმოდა, ძვირფასი მიცვალებულის დასატირებლად არავინ მოდიოდა.

თავზარდამცემმა ამბავმა, ქუთაისის სამეფო კარს რომ დაატყდა, ქვეყნის შორეულ კუთხეებსა და სახიზრებს, დანარჩენ ქვეყანასთან კავშირის დამყარებას მაინც როგორღაც რომ ახერხებდნენ, მხოლოდ ათი-თორმეტი დღის და უფრო შემდეგ მიიღწია. როგორც პირიდან პირზე გადასული ყველა სხვა ცნობა, ეს ცნობაც დამახინჯებულად გაურცელდა. ერთნი დედოფალ მარიამს სასახლეში მომხდარი შეთქმულების მსხვერპლად თვლიდნენ, მეორენი კი დაბეჭითებით ამტკიცებდნენ, თითქოს იგი თვით მეფის ნება-სურვილით და მეფისვე ბრძანებით მოეკვდინებინათ. მესამენი თავად სოლომონსაც მკვდრად თვლიდნენ და უპატრონოდ დარჩენილ

ერს შემზარავ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ბატონიშვილების გარდა, სხარტალშიაც უკვე ყველამ იცოდა ღვთისწიერ დედოფალ მარიამის გარდაცვალებისა და ავი სენით შეპყრობილი სოლომონის ლოგინად ჩავარდნის ამბავი. როდემდე უნდა დაემალათ? რა აზრი ჰქონდა ამ კუქუშმალობიას? საბრალო ბავშვებს ოდესმე ხომ მაინც უნდა შეეტყუათ თავიანთი უბედურება, ის, რომ მათი ჭკვიანი, კდემამოსილი, სამშობლოსა და სარწმუნოების უყოყმანოდ ერთგული, ურთიერთობაში მკაცრი, მომთხოვნი, ნამდვილად კი სათნოების განსახიერება დედა უკვე აღარ იყო და ბედი კვლავ ახალ განსაცდელს — გვირგვინოსანი მამის დაკარგვასაც უმზადებდათ?

საზაფხულო სასახლე ხალხით იყო სავსე. კაცი კაცს გვერდს ველარ აფელიდა. ჭორებსა და მითქმა-მოთქმას თავი და ბოლო არ უჩანდა. უკანასკნელ კვირაში სასახლეს სოლომონ მეფის იველი მტერ-მოყვარე თამაზა მესხი, დავით აბაშიძე, ოთხმოც წელა მიღწეული ბერისის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი და სავრისთავოს გაუქმებით უამაყოფილო რაჭველი აზნაურები შემოეკედლნენ. სხარტალის სამეფო სასახლე ქარაევან-სარაის დაემსგავსა. სადაც ყველას შეეწილო მოაუღიყო. ღამე გაეთია და შემდეგ ისევ თავის გზას გასდგომოდა.

ბატონიშვილი ალექსანდრე მალე შეეჩვია თავის ახალ მდგომარეობას, ტოლებთან და აბაშიძის ასულ ნინოსთან ერთად ტყე-ღრეში ხეტიალში გაიტაცა და შინ მხოლოდ დასაძინებლად თუ შემოიხედავდა. ტახტის მემკვიდრეს ყველა შეჭხაროდა. ყველა ცდილობდა, თავი რითმე დაემახსოვრებინებინა და ათა რასმე იგონებდა, რომ ბატონიშვილი, ქვეყნის ზვალინდელი განმგებელი, უკეთ გაერთო, დაფიქრებინა და კვლავ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის საშუალება არ მიეცა.

სასახლეში უკანასკნელი დაბდურიც

კი ამჩნევდა, რომ ალექსანდრე აბაშიძის ასულთ ზომიერ მეტად აღტაცებული იყო და მის სიახლოვეს ნეტარების თავბრუ ესხმოდა. პაპუნა წერეთელი და მისი სიახლობა, რომელთაც თვალტანადობით, გაზრდილობითა და ყოფაქცევით მართლაც მიმზიდველი ნინო აზლო ნათესავად ერგებოდათ, ფართულად ხელს უწყობდნენ ქალ-ვაჟის შემდგომ დაახლოებას, თუმცა სხვათა დასანახად თავი ისე ეტყირათ, რომ ნინოსა და ალექსანდრეს ერთმანეთისაგან ლტოლვით შეშფოთებული იყვნენ და იმასაც კი ფიქრობდნენ, მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ნინო ზემო რაჭაში, ნათელმირონებთან გაეგზავნათ.

სახლთუხუცესის ბრძნულმა გადაწყვეტილებამ, როგორც თავიდანვე იანგარიშეს, თავდავიწყებით შეყვარებული ბატონიშვილის ყურამდე ადვილად მიადგოდა. ალექსანდრემ სანდო მსახურის პირით ნინო გამოიხმო, უფროსების ვერაგული განზრახვა გულის კანკალით გაანდო, მერე კი მუხლი მოიყარა, გოგონას ხელეზი ჩაიხუტა და მხურვალედ უჩურჩულა:

— რას იტყვი? ხომ არ ვახსენოთ ღმერთი და გავიპაროთ?

— სად, ალექსანდრე? — ნინო, როგორც ქალის წესია, უფრო მეტ გონიერებასა და წინდახედულებას იჩენდა, სიყვარული, მასაც განახლებული ძალით რომ წაეკიდა, თავგზას არ აკარგვინებდა და მოვლენათა სალი შეფასების უნარს ინარჩუნებდა. — აქედან სად უნდა გაიქცე? გაერშემო სულ უღრანი ტყუები! გინდა, სადმე ნადირს ან მეკობრეებს გადავეყაროთ?

— მე ვერ ვხედავ სხვა გზას, ნინო, — ცხარედ უპასუხა ალექსანდრემ. — თუ არა და, ერთმანეთს სამუდამოდ დაგვაშორებენ!

გოგონამაც დაიჩოქა, ვაჟის მხურვალე ყვრიმალს ყვრიმალთ შეეხო.

— სადაც არ უნდა წამიყვანონ, ალექსანდრე, დედას ვიფიცავ, დედაზე უფრო საყვარელი ვინ მყავს, მე სულ შენ-

ზე ვიფიქრებ, შენს გარდა ქმრად არავის ვინდომებ!

ვაჟს გააქრეოლა, გული აუჩუყდა, სიხარულის ცრემლი მოეძალა.

— ძალას იხმარენ, ნინო, ცხრაკლიტულში გამოგაეტავენ. შენ მაგათი ამბავი არ იცი!

— რას გვერჩიან, ვისთვის რა დაგვიშავებია?!

— დანაშაულად ისიც კმარა, რომ ერთმანეთი გვიყვარს! ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. მე და ბეჟან წულუკიძემ ყველაფერი დაწვრილებით გავითვალისწინეთ. ბეჟანი მღვდელს მოელაპარაკება. ჩემად ჭვარს გადავიწერთ და როდესაც სჯულიერი ცოლ-ქმარი ვიქნებით, ჩვენს დაცილებას ღმერთის გარდა ველარავინ შესძლებს!

— არა, ალექსანდრე, მე მეშინია...

— რის, ნინო? ჩემთან რის გეშინია? პატარები ხომ აღარა ვართ!

— მღვდელი ჭვარს არ დაგვეწერს. გვეტყვის, ჭერ პირზე რძე არ შეგშრობიათო. რა დროს თქვენი ჭვარის დაწერა არისო. გამოპარული იქნებით, რატომ უფროსი არავინ ვახლავთო?

— მაგის ნუ გედარდება, ნინო, მაგას ჩვენი ბეჟანი მოავგარებს. ზემო კრიხში მეგობარი მღვდელი ყავს. რასაც ბეჟანი ეტყვის, მღვდელიც ყველაფერ იმას გააკეთებს და ერთი ორი კვირით თავშესაფარსაც მოგვეცემს. ბეჟანის და მღვდლის გარდა ჩვენი იქ ყოფნა კაციშვილს არ ეცოდინება. შენ მარტო ერთი პირობა მითხარი: თანახმა ხარ? სასახლიდან ამალამვე უნდა წავიდეთ. ხვალ დილას შეიძლება უკვე დაგვიანებული იქნეს!

— ვაიმე, მეშინია! ნახე, გული ამოვარდნაზე მაქვს. — ქალი ვაჟის ათროლებულ ხელს დასწვდა, აილო და გულზე მიიდო. ნინოს გული მართლაც აჩქარებულად, ძლიერად უბგერდა, თითქოს ბუდიდან ამოფრენას აპირებსო. ალექსანდრეს ცეცხლი მოეკიდა, ხმა ძლიერ-ლა დასძრა:

— მაშ, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, ალექსანდრე, მიბრძანე და წამოგყვები, სადაც მოისურვებ!

ქალ-ვაჟის ეს საიდუმლო განმარტოება და შეთანხმება საიდუმლოდ არ დარჩენილა. წერეთლის შინაყმებმა, ნინოსა და ალექსანდრეს სიყვარულის ფიცს საიმედო სამალავიდან რომ უსმენდნენ, ყოველივე სახლთუხუცეს პაპუნას და მის სახლობას მიუტანეს და ახალი დავალების მისაღებად გაინახნენ. პაპუნას კმაყოფილებით გაელიმა, ჭალარა უღვაშებზე ხელი გადაისვა და სიხარულისაგან სახეგაცისკროვნებულ თანამეცხედრეს გადახედა. ჩიტი მახეში გაება, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი აწი ვეღარსად წაუვიდოდათ, მაგრამ ქალ-ვაჟის ცოლ-ქმრული ნასკვით შეერთება ჭერ მიანიც ნაადრევი იყო, სანამ თანამზრახველთ არ მოელაპარაკებოდნენ და შემდგომი მოქმედების გეგმა არ დაისახებოდა.

ციხიანი თავიღმვილები, ვისაც სულ ახლო მომავალში ციხეების ჩამორთმევა და, მათივე სიტყვით, გზა-შარაზე დარჩენა ელოდათ, ლოგინად ჩავარდნილ მეფე-ბატონს უკვე მკვდრად თვლიდნენ და ტახტზე მკირეწლოვანი ალექსანდრეს ასაყვანად ემზადებოდნენ. ალექსანდრე, მათი ღრმა რწმენით, ვერ შესილებდა მამის განზრახულობათა ბოლომდე მიყვანას, რადგან საამისოდ ჭერ არც გონი შესწევდა და არც ღონე, ხოლო როდესაც დაფრთიანდებოდა და ბალობაშივე აკვიატებული გიორგი ბრწყინვალის ზნეს შეიძენდა, თავადები ამასობაში თავისას იზამდნენ, კუთვნილს არავის დაანებებდნენ და ნებით თავს ჭირკზე არ დასდებდნენ.

მაგრამ რა მოხდებოდა, თუ ალექსანდრე მამის სიცოცხლეშივე ავიდოდა სამეფო ტახტზე? სოლომონი ისე იყო გატეხილი, ღვთის შეწევნით კიდევაც რომ მოეხედა, ქვეყნის გამძლოლად და პატრონად უკვე აღარ გამოდგებოდა. ყველაფერზე უმჯობესი ის იქნებოდა, თუ ტახტზე უარს ნებაყოფლობით იტ-

ყოდა და მეფობის გვირგვინს ალექსანდრეს თავისი ხელით დაადგმოდნენ.

მაგრამ ვინ გაბედავდა სოლომონთან ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდებას? ან ვინ შესძლებდა, ალექსანდრეს გასტყუდომოდა და მამის წინააღმდეგ მისი ამხედრება ეცადა? სარეცელზე მიჯაჭვული სოლომონი ჭერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ძალასა და გავლენას, რასაც მხარში მდგომი დიდებულების, „იმ მატრაკვეცა“ ბერი წულუკიძის, ბერი ლორთქიფანიძის, ქაიხოსრო აგიაშვილის და ეკლესიის მეშვეობით ახორციელებდა. მეფეს კვლავ თავგამოდებით უჭერდნენ მხარს წერილი აზნაურები და ვლებობა, რომელსაც აკრიალული ტყვისმსყიდველობის ხელახლა შემოღება აშინებდა და უმაღლესი მიემხრობოდა, ვიდრე ტყვისმსყიდველობის დაუძინებელი მტრის, სოლომონის, წინააღმდეგ გადაბრუნებულ სიტყვას მოითმენდა.

სოლომონის განზრახულობათა ფართული მოწინააღმდეგენი, ჭერ მზის სინათლეზე გამოსვლა რომ ვერ გაებედნენ, იმედს მეფისა და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს მამაშვილური ურთიერთობის თავისებურებასა და იმ ხმების გონიერულად გამოყენებაზე ამყარებდნენ. დედოფალ მარიამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სარეცელზე დაწამდვილებით და სარწმუნოდ არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ რადგანაც ხალხი ყბამოუღლეოდ ლაპარაკობდა, იქ წამდვილად რაღაც იყო, კვამლი უცეცხლოდ ჭერ არავის უნახავს!

მას შემდეგ, რაც კაცია დადიანთან ომის დროს სოლომონი იძულებული გახდა, თანამეცხედრე შინაურ პატრონობაში ეყოლებინა, მეფესა და დედოფალს შორის შავმა კატამ გაიბრინა და ძველი კეთილი ცოლ-ქმრული ურთიერთობის აღდგენა, ალბათ, უკვე აღარც მოეხერხდა. სოლომონის კრიკაში მდგომთა ვარაუდით, მეფე უკვე დედოფლის სიცოცხლეშივე ცდილობდა მის თავიდან მოშორებას, რათა საკუ-

თარ ჰერქვეშ მოქიშვე დადიანის ეთილისყოფელთა ბუნაგი მოეშალა. ბატონიშვილი ალექსანდრე დაკვირვებულნი, გონებანათელი, მაგრამ ჭერაც უწერთნელი ყმაწვილი, მამა-ბიძის რთულ ურთიერთობებში საჭირო სიღრმით ვერ ერკვეოდა და მშობელი დედის კალთაზე მიბმულს გვირგოინოსანი მამის ყოველი გამოხდომა მარიამის მიმართ ძალაუნებურად მამისავე წინააღმდეგ ამხედრებდა.

აი, რის გამოყენება მართებდათ სოლომონის ფარულ მოწინააღმდეგეთ, რა გზით შეიძლებოდა ბატონიშვილის გულში შეღწევა და იქ ექვისა და უნდობლობის დათესვა!

მწუხრის წირვის წინ თავი კარის ეკლესიაში მოიყარეს. პაპუნა წერეთელმა კაცი გაგზავნა, ბატონიშვილების მოყვანა ბრძანა. ალექსანდრე და თამარი რომ შემოვიდნენ, ყველა უკვე აქ იყო და მათს გამორჩენას უცდიდა.

— შეილო ალექსანდრე... თამარ, შეილო... — დაიწყო უაღრესად დამწუხრებულმა სახლთუხუცესმა, კაბის განიერი ჯიბიდან შავი ცხვირსახოცი ამოიღო, თვალებთან მიიტანა და მხრების ბებრული ძვივით ხმაშალდა, მოთქმით ატირდა. — რატომ ენა არ მომტყდება... რატომ თვალში სინათლე არ გამოძლევა, სანამდი ჩემი ენა-პირი ამას იტყოდეს... აღარა ჯყავთ თქვენი დიდებული, აეთილშობილი დედა, ჩვენი სათნო დედოფალი მარიამი! მისი სული ღმერთმა მიიბარა. წასულ სამშაბათს ხელიდან გამოგვეცალა!..

და-ამას თვალებიდან ნაპერწკლები წამოსციკვდა. მათ აქამდე, რასაკვირველია, არაფერი იცოდნენ, მაგრამ იმას კი ორივე ხედებოდა, რომ ეს ხაზგასმული უამბობა და გაუგებარი ჩურჩული მათს გარშემო კარგს არაფერს მოასწავებდა და დღეს თუ ხვალ რაღაც გულშემაზრავს შეიტყობდნენ...

— იმით-ღა ვნუგეშობთ. შეილო ალექსანდრე, შეილო თამარ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძობდა გულდათუთქული პაპუნა წერეთელი. — რომ დე-

დოფალი ჩვენი მოწყალე მეფის სოლომონის, მკლავზე გათავადმსხი დიდებულების უკანასკნელი ჭავრი და ნატურა თქვენ — შეილები იყავით... მამაზეციერმა შეგმატოთ, რაც დედოფალს, მოყვასისათვის თავდადებულ მფარველ ანგელოზს, სანაქებო დედას, თანამეცხედრეს და გვირგვინოსანს დღე დააკლდა. აწი გამართებთ გამაგრება და ქირთა თმენა. ბატონიშვილი დარეჯანი უკვე ქმარ-შვილიანი ქალია, საკუთარი ოჯახის საზრუნავი აქვს და ამ ელდას უფრო ადვილად გადაიტანს. თქვენ, დედის კალთას მოწყვეტილი უმცროსები გვებრალებით!..

წინასწარ სანთლებით გაჩირაღდებულ საყდარში ყველა ჭკითინებდა, ტიროდა თვით სახლთუხუცესი პაპუნაც, აპრილებულ დაწვებს აუჩქარებლივ იმშრალებდა და გულშიჩამწვდომი სამძიმრის სიტყვებით იქ მყოფთ ცეცხლს უკიდებდა.

სალამოს, დედოფალ მარიამის მოსაგონარი წირვის შემდეგ, მეფის წიგნი გამოაჩინეს. წიგნი კარის რომელიღაც მდივნის ხელით იყო შედგენილი, ბოლოში მეფის ბეჭედი ესვა, მაგრამ სოლომონის ნაცნობი ხელრთვა კი არსად ჩანდა. მეფე ბატონიშვილი ალექსანდრეს გეგუთის სასახლეში იბარებდა, თამარს კი უთვლიდა, ერთხანს ისევ მანდ, სხარტალში, დარჩი, მამა, ხელს მოვიწყობ და წამოსაყვანად მე თავად ამოგაიოთხავო.

წიგნი თამარისათვის არ უჩვენებიათ, ის მხოლოდ ალექსანდრემ წიკითხა.

— მე არ გირჩევდი წაბრძანებას, ბატონიშვილო, — ყოველგვარი წინასწარი შემზადების გარეშე განუცხადა ალექსანდრეს თამაზა მესხმა, რომელმაც თავს იღო ტახტის მემკვიდრესთან საჭირობოროტო მოლაპარაკების მთელი სიმძიმე. — უმჯობესია, თამარი გავგზავნოთ, შენ კი აქ დარჩე, სანამ ბატონი მეფის გადაწყვეტილებას საბოლოოდ შევიტყობდეთ!

— რომელ საბოლოო გადაწყვეტილებაზე ბრძანებ, ბატონო თამაზ?! —



სრულწლოვანი კაცის სიღარბისლით შეესიტყვა ალექსანდრე. — მამა მე მიბარებს და არა ჩემს დას! ეს აქ გარკვევით წერია. რა უფლება მაქვს, ახლავი არ ვეახლოვ?

— ჯერ ერთი, უამი ისევ მძვინვარებს, ბატონიშვილო. ვინც ფეხზეა, ჭვარი აქაურობას, მიცვალბულებს დამარხვას ველარ აღდის. გზებზე უპატრონო მკვდრები ყრია და სიცხეში იხრწნება. დამარხავი აღარავინ არის!..

— სულ ერთია, მე მაინც უნდა წავიდე!

— აკი ამალამ ქალის მოტაცებას აპირებდი?

ბატონიშვილი შეკრთა, სახეზე ალი შემოენთო.

თამაზამ ცუდლუტურად გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

— გგონია, რამეს გამომპაარებ თუ? გამოტყდი: ხომ ასეა?

— ვგონებ, ახლა არ უნდა იყოს ამაზე ლაპარაკის დრო, ბატონო თამაზ!..

— რატომაც არა, სწორედ კარგი დროა. ძველები მივდივართ, ქვეყანა თქვენ გრჩებათ. შენ ოღონდ ის მითხარი, მართლა გულით გწადია, ნინოზე ჭვარი დაიწერო, თუ... — მესხმა ისევ ცუდლუტურად, ორაზროვნად გაიღიმა და სირცხვილის ოფლში გაწურულ ყმაწვილს ამით აგრძნობინა, რის სიტყვიერად გამოთქმისგანაც თავი წინდახედულად შეიკავა.

ბატონიშვილმა კოპები შეიკრა.

— რას ბრძანებ, ბატონო თამაზ, ტყუილი რა საკადრისია!

— ყოჩაღ! — მოუწონა მესხმა. — აგრეც ველოდი. არჩევანსაც ვიწონებ. ნინო სანაქებო ასულია. ვერც გვარსა და ჩამომავლობას დაუწუნებ. სანთლით რომ ეძებო, სანთლით, მაგისთანა ღირსეულ სასძლოს ახლა ძნელად თუ იპოვნე!

ალექსანდრეს თვალები გაუბრწყინდა. ამ კაცისადმი, გულში რომ ყოველთვის გაურკვეველ გრძნობებს უღვიძებდა, არაჩვეულებრივი სინაზითა და ნდობით განიშქვალა.

— მართლა?

— გილოცავ, ბატონიშვილო! შენ ნაბიჯი საბედნიერო ყოფილხარ. დამარხვითმა ერთმანეთს შეგაბეროთ!

— ბატონო თამაზ, რანაირად გაძახარე! ნინოსაც რანაირად გეხარადება, როცა შეიტყობს! რაღა დავმალო. ორივეს ასე გვეგონა, უფროსები ყველა ჩვენი წინააღმდეგი იყავით და გაპარვაც ამიტომ გადავწყვიტეთ!

— ეშინობ, რომ მაინც აჯობებს. ცოლ-ქმრობის გვირგვინი საიდუმლოდ დაიდგათ. ბატონი მეფე, ენდე ჩემს სიტყვას, თქვენი შეერთების წინააღმდეგი წავა და თუ წინასწარ გაიგო, ყველა დონის გამოყენებას იწყებს. რომ ეგ ქორწინება ჩაშალოს!

— გული რატომღაც მეც მაგას მეუბნება, ბატონო თამაზ, აბაშიძეებთან ხელმეორედ დამოყვრებას არ იზამს მაშაქმი!

— სწორედ ამიტომ ჯობს, საიდუმლოდ დადგეთ გვირგვინის ქვეშ და მეფეს ამბავი მაშინ-ღა შევატყობინოთ, როცა ხელ-ფეხი უკვე შეარული უქნება!

— არ მეგონა, თუ ასე გიყვარდი, ბატონო თამაზ, თუ ასე ერთგული იყავი ჩემი. ღმერთს ვფიცავ, მეც სამაგიერო წყალობით გადაგიხადო!

მესხმა თვალი მოჭუტა და ალექსანდრეს გვერდულად გახედა. თავის კმაყოფილებას აღარც ის მალავდა.

— ახლა რას იტყვი, გავგზავნოთ თუ არა თამარი გეგუთს? ხომ აჯობებს, შენ აქ დარჩე, ამალამვე, როგორც განზრახული გქონდა, ნინოსთან ჭვარი დაიწერო, თამარი კი მამასთან გავგზავნოთ? ალექსანდრე მობილურბლა.

— არა! ჭვარის დაწერა უნდა გადაიდოს. ნინოს მე თავად მოველაპარაკები და ვეტყვი, გადაწყვეტილება რატომაც შეეცვალე. მამას ვერ გავაწბილებ. ისედაც ნუგეშისცემა ქირდება!..

— შენს ნუგეშს არავინ საჭიროებს, ბატონიშვილო! — ყველა უკან დასახევი ხიდი თამაზა მესხმა ერთი დარტყმით ჩაანგრია და ალექსანდრეს შუბი-

ვით აძგერა. — ეს იცოდე და კარგად დაიმახსოვრე! მეფე სოლომონი დიდხანს ნატრობდა ამ დღეს, რომ დედათქვენი საგან თავი როგორმე დაეხსნა და წულუკიბის დაზე, ქაჯაიას ნაცოლარ გულქანზე ექორწინა. ხელი რომ არ შეეშალა, გვანიში ადრევე ჩამოიშორა. ახლა ეს ყველამ იცის, მაგრამ შიშობენ, მეფის ღალატი არავინ შეგვეწამოსო და შენ პირში ვერავინ გეუბნება. რა ვქნა, მე მანაც სიმართლე უნდა გითხრა და თვალი აგინილო!

ალექსანდრეს მეხი დაეცა, თვალთ დაუბნელდა. თამაზა მესხს ისე უსასოოდ მიაჩერდა, თითქოს მისი ერთადერთი მხსნელი ის ყოფილიყო. ადრე რალაც ამის მსგავსი ჰქონდა გავონილი. არა სჯეროდა. რალაც ამის მსგავსი ბიძამ, კაცია დადიანმაც ვააგონა... რამდენიმე წუთს არც ოსტატსა და არც შეგირდს ხმა აღარ ამოუღია. მესხმა გამოცდილი კარისკაცის უტყუარი ალღოთი იგრძნო, რომ მისმა სიტყვებმა სასურველი გავლენა მოახდინა, ყმაწვილი ბატონიშვილი შიგ გულში დაიჭრა და ნათქვამს შთამბეჭდავად დასძინა:

— დანარჩენს შენ თვითონ მიხვდი. თუ ქაჯაიას ნაცოლარის სიყვარულს მეფე ამდენი ხანია გულით ატარებს, რასაც სამეფო კარზე წულუკიბების შეუღლდღველი პარპაშიც მოწმობს, რალა თქმა უნდა, ტახტიც გულქანის შობილ ბატონიშვილს დარჩება და შენ, სამარეში ნაადრევად ჩასული მარიამის შვილი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, სამეფო საქმეებს ჩამოშორებული აღმოჩნდები!

— არასოდეს!.. — ალექსანდრემ ზიზღითა და შეჩვენებით აღვისილი თვალები სივრცეს გაუშტერა და მრისხანების ეამს საკვირველი სიცხადით დაემსგავსა თავის გვირგვინოსან მამას, სოლომონს. — არასოდეს!.. ეგ არასოდეს არ მოხდება!

თამაზა მესხმა მეტი გაბედულება გამოიჩინა და ყმაწვილის გულში აბრიალებულ კოკონს კიდევ ერთი ხმელი კეწეწი შეუმატა:

— მაგ საქმეში თავს მარტო ნუ იგულებ, ბატონიშვილო. შენც... ერგე მწიფე ხალხი ხატზე შემოგფიცავთ. შენს თავს არავის დაეაჩაგვრინებთ. ჩვენ მხოლოდ ერთადერთ მეფეს ვიგულებთ და ეს მეფე შენ ხარ, სხვა არავინ!..

ეს რომ თქვა, თამაზა მესხმა მუხლი მოიყარა, თავი მდაბლად დახარა და ბატონიშვილის ქულაჯის კალთას ეამბორა.

— აბრძანდი, თამაზ, ღმერთი იყოს შენი მფარველი! — წრფელი მადლიერებით თქვა ალექსანდრემ და თვალებზე ტბად მოწოლილი ცრემლები მოიწურა. — ამას იქით შენი რჩევის გარეშე ნაბიჯსაც არ გადავდგამ. შენი სიტყვა ჩემთვის კანონი იქნება. მიფრთხილდი, მამაჩემო!.. ავკაცობა ქვეყნად არავის შერჩენია და, ღმერთთა თავდები, არც შენ შეგარჩება!..

თამაზა მესხი წამოდგა და უაღრესად კმაყოფილმა, რომ ყველაფერი გაცილებით უკეთ მოეწყო, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა, ბატონიშვილს მოწინებით ჰკითხა:

— ახლა როგორ მოვიქცეთ?

— სახლთუხუცესმა პაპუნამ წიგნი წარგზავნოს გეგუთს, რომ მე შეუძლოდ ვარ და წასვლას ვერ ვახერხებ!

— აგრე! ეგ ყველაფერს აჯობებს, ბატონიშვილო. თუ თამარმა წაბრძანება მოიწადინა, როგორი იქნება შენი განკარგულება?

— ეგ თვად თამარმა გადაწყვიტოს!

— კეთილი!.. კიდევ ერთი პირობა... თუ საწყენად არ დაგრჩება, რასაკვირველია... ბეჯან წულუკიბე... — თამაზა შეყოყმანდა, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, თქვას ბოლომდე თუ არაო. — ბეჯანი აქ უბრალოდ არ არის, ბატონიშვილო. მამამისმა, ბერიმ, მეფის ნებასურვილის თანახმად სატახტო ქალაქსა და სასახლეს რომ დაეპატრონა, აქ განზრახ გამოგაყოლა. ყოველ ნაბიჯზე თვალყურს გადევნებენ, ერთ წუთსაც არ გტოვებენ ყურადღების გარეშე!..

ბატონიშვილი ჩაფიქრდა. ამ დღეების განმავლობაში ბეჯანს ისე დაუახ-

ლოვდა, ადვილი როდი იქნებოდა გულიდან მისი ამოგლეჯა, მაგრამ თამაზას სიტყვებში ცოცხლად გაახსენა გაცეცხლებული ბერი, როცა კარის გამგე ბატონიშვილს სასახლის ეზოში დასაქვრად გამოუდგა, მაჯებსა და მკლავებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ბაწრის წაქვრით გამოწვეული მწვავე ტკივილი და ზიზღით წარმოთქვა:

— გარეწარი!..

ვინ იყო ეს „გარეწარი“? ბერი თუ მისი ლეკვი ბეჟანი? თუ ორივე ერთად? თამაზა მესხს ამის განსჯა-განხილვით თავი არ შეუწყუბებია. მან შესძლო მთავარზე უმთავრესი: შესძლო, ბეჟანსა და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს შორის რკინის პალო ჩაესო და ბეჟანის სახით, რომლის უკანაც სოლომონის მიერ უსაზღვროდ განდიდებული ბერი იდგა, ყველაზე საშიში ხელისშემშლელი გზიდან ჩამოეცილებინა.

— ახლა შენ ყველაფერი იცი, ბატო-

ნიშვილო. გზაჯვარედინზე დგახარ და საითაც მოისურვილებ წასვლას უნდა შეგე გექნება, ოღონდ ჩემი რჩევას უნდა დაეყრდნობი. მეტი რაღა მოგახსენო! ჩემი დალუპება, თუ მომიტოლებ და გამიმეტებ, ახლა სულ ადვილია!..

— შენს დალუპებას მარტო ჩემი მტერი მოინდომებს და, ზენაარს ვფიცავ, ძვირიც დაუჯდება! — მხურვალედ უპასუხა ალექსანდრემ. — სალამოს, წირვა რომ გამოვა, ისევე აქ შევიყაროთ და საბოლოოდ მოვილაპარაკოთ!

— ჩემი თავი შენ შემოგვევლოს, ბატონიშვილო!

თამაზა მესხმა მიდამოს თვალი მიატარა-მოატარა, საექვეო ზომ არაფერი იყო, ერთიმეორეში ჩახლართული ბუნდოვანი ფიქრებითა და მოგონებებით შეპყრობილ ალექსანდრეს თავი დაუყრა და იქაურობას კატის უხმაურო ნაბიჯით გაეცალა.

თავი ორმოცდამეხუთე

სოლომონი ავადმყოფობამ ისე დაასუსტა და დააუძლურა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. ეამბა, საბედნიეროდ, გვერდი აუარა, მაგრამ რომელიღაც სხვა სენმა ჯანმრთელობა მთლიანად შეურყია და შუა ხანს მიტანებული, ჯერ კიდევ ჯან-ღონით სანესე კაცი სამოცდაათი წლის მოხუცებულს დაამსგავსა. კვირაში ერთხელ, ხანდახან ორჯერაც გულყრა ემართებოდა და გონებას ჰკარგავდა. ავი ზნის აშკარა ნიშნები იყო. ავადმყოფი მეფე გრძნობდა, რომ დღე ჩაადრევედ უმოკლდებოდა და ყველა ღონეს ძაბავდა, სულის ამოსვლამდე რაც შეიძლება მეტი საქმის გაკეთება მოესწრო. ერთი წამოდგომა-ვითომ კიდევაც წამოდგა და მთელი საღამო ბუნხართან გაატარა. ზამთარი ახლოვდებოდა. ცეცხლი გატება. აედრები დაიწყო. რიონი აღიდგა და ნაპირები მთლი-

ანად დატბორა. გარეთ ცხვირს ვეღარ გამოჰყოფდი. ბევრგან ჰირნახული მიუყარებელი იყო. ჰაანწყვეტით მოწეული წლის სარჩო უპატრონობით ოხრდებოდა.

აგრილებას და შემოდგომის კოკისპირულ წვიმებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ეამის კერები ზედიზედ ჩაქრა და სანახევროდ დაცარიელებულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებს მთებში გახიზნული მშვიერ-მწყურვალე ხალხი უბრუნდებოდა. განზრახული იყო, უახლოეს მომავალში მოსახლეობის აღწერა მოეხდინათ, რათა დანამდვილებით გაეგოთ, რამდენი სიცოცხლე შეიწირა წყეულმა სენმა და რამდენი მოლაშქრის გამოყვანას შესძლებდნენ სადროშოები, რომ, გამოზაფხულდებოდა და აღიდებულები მდინარეები კალაპოტში ჩაეარდებოდნენ თუ არა, პირი გურიი-

საენ ექნათ და ქუჩუკ-ყაინარჯის სა-
ზავო ხელშეკრულების თანახმად ოსმა-
ლეთისათვის გადაცემული ქობულეთის
მხარე იარაღის ძალით დაებრუნებინათ.

სოლომონის გეგმები უფრო შორსაც
წვდებოდა. ქობულეთის მხარის ხელახ-
ლა შემოერთებისთანავე ის ორთავ
აქარისა და ქალაქ-წავსადგურ ბათუმის
გათავისუფლებას ფიქრობდა. იმერეთის
მეფე ავარიანთან ომში ამჯერად მარ-
ტოდმარტო უნდა ყოფილიყო, ვინაიდან
ქუჩუკ-ყაინარჯის ზავი რუსეთს ერთ-
ხანს იძულებულს გახდიდა, აქაურ საქმე-
ებში აღარ ჩარეულიყო და იმერეთი
ეკლავაც ოსმალთა ხელდებულ ქვეყანად
ეცნო.

ბატონიშვილ ალექსანდრეს მაგიერ
გეგუთის სასახლეში ოსმალეთის ელ-
ჩები მოვიდნენ. მათ რუსეთსა და ლიხთ-
იმერეთს შორის კავშირ-ურთიერთობის
სრული გაწყვეტა უნდა მოეთხოვათ.
სოლომონმა ელჩების მიღება ვერ შეს-
ძლო, რადგან გულყრა სწორედ იმ დი-
ლას მოუვიდა და ღონეგამოცლილი
ლოჯინში იწვა. ოსმალებს ბოდიში მო-
უხადეს, მეფე უქეიფოდ გყავსო და
სასახლეში ღამის გასათევად შესაფერი
ხადგომი მიუჩინეს.

სოლომონმა ვერც მომდევნო დღეს
მოახერხა მათთან შეხვედრა. სასახლეში
დიდი ფუსფუსი და მისკლა-მოსკლა
იყო. ყველას რაღაც უცნაური დაბნე-
ულობა ემჩნეოდა. ოსმალმა ელჩებმა
სუნი იკრეს, ავარიანთა შეურიგებელი
მტერი სოლომონი ერთობ უღონოდ
ბრძანდებო და მხნეობა მოემატათ.
კონსტანტინოპოლში ხმები იყო დარბე-
ული, რომ სულთანს მუსტაფა ხალათსა
და ფაშობას პირდებოდა იმას, ვინც
აჩიკ-ბაშების ქვეყნიდან გაიურ სოლო-
მონის სიკვდილის ამბავს მოიტანდა.
ეს ბედნიერი წუთი ახლა უკვე ახლო
იყო და ელჩები თავს იკატუნებდნენ,
ცნობებს ერთმანეთისაგან მალულად
კრებდნენ, რათა სატახტო ქალაქისათ-
ვის პირველს მიეღწიათ და დაპირებუ-
ლი ხალათი და ფაშობა სხვისთვის არ
დაეთმოთ.

ბეგებად ქვეულ ტაოელ აზნაურებ-
თან, თავი ოსმალებად რუმ-დოქორდათ
და მშობლიურ ქართულ ენაზე სიტყ-
ვასაც არ ირავდნენ, მესამე დღეს კარის
გამგე ბერი წულუკიძე გამოვიდა და
თარჯიმნის პირით სოლომონის შემონა-
თვალი გადასცა: სულთნის ელჩებს
დღე-ღამის განმავლობაში უნდა დაე-
ტოვებინათ იმერეთის საზღვრები, ვინა-
იდან იმერთა მეფე თავისი თანამდგო-
მი რუსეთის ელჩებს ელოდა და მისი
მხრივ მეტად ულაშაზო გამოვიდოდა,
თუ ისინი აქ ერთმანეთს შეხვდებოდ-
ნენ.

ეს უკვე აშკარა გამოწვევას უდრი-
და. საფლავის პირას მისული სოლომო-
ნი ნახევარი ქვეყნიერების მფლობელ
ოსმალეთს გაიური რუსეთით აშინებდა
და ხელმწიფე-იმპერატორთან დანაშა-
ულბრივ კავშირს არც კი მალავდა.

ელჩები ჩვეულებისამებრ არ აჩქა-
რებულან, არც მუქარა დაუწყიათ, არც
რაიმე შეურაცხყოფელი უთქვამთ.
ახლა, როგორც არასოდეს, საჭირო იყო
მოთმინება და ლოდინი. წერას ატანილ
სოლომონს, ბევრი-ბევრი, კიდევ სამი-
ოთხი დღე ეცოცხლა..

წავსმობებეს მართლაც დიდი ალიაქო-
თი შეიქნა. მეფეს სულ ახალ-ახალი
აქიმიები ადგნენ თავზე. იადიგარ-დაუ-
დი, ზაზა ფანასკერტელის „საქიმო
წიგნი“ და ძველი კარაბადინები გა-
დააქოთეს. საშველი არსაიდან გამო-
ჩნდა. სოლომონი დროდადრო გონს
ჰკარგავდა, შემდეგ ცნობა ისევ უბრუნ-
დებოდა.

— ბერი!.. — დიძობა მან, როდესაც
ბურანიდან გამოვიდა და ყველაფერი
დაწერილებით გაიხსენა. მომაკვდავი
მეფის ხმა ისე ძლიერი იყო, რომ მთე-
ლი სასახლე შესძრა. იგი ოსმალთა ელ-
ჩების ოთახშიაც კი გაიგონეს.

— აქ გახლავარ, ბატონო! — თავზე
წამოადგა ეამის წარღვნაში უვნებლად
გამოვილილი, თითქოს სულეთის ქვეყ-
ნიდან მობრუნებული კარის გამგე.

— მოდი!.. ყველა შემოვიდეს!..

— შემოვიდესო, ხალხო!.. — გაისმა

კლავტრებით გაჩირადნებულ ტალან-
ში.

— შემოდით!.. — ბერი წულუკიძე
წულში გაიმართა და კარისაკენ შემობ-
რუნდა. — ბატონი მეფე ბრძანებს,
ყველა შემოვიდესო!..

ოთახი უმალ სხვადასხვა წოდების
ხალხით აივსო. გარეთ ვგონებ აღარც
არაივნი დარჩენილა.

— ახლა ილიებში შემომიდექით,
წამომაყენეთ!..

აქეთ სარდალი ქაიხოსრო აგიაშვილი
და იქით ბატონიშვილი არჩილი, სახ-
ლეთლითურთ სამიძობრის სათქმელად
რომ ჩამოვიდა, საწოლს მიუახლოვდ-
ნენ, მეფეს მხრებში შეუდგნენ და სანა-
ხევროდ ზეზე წამოაყენეს.

ხალხში ეკნესა და ვიწვიში გაისმა.
დიდი ხნის გაუპარსავე, გამხდარი და
სანთელივით გაყვითლებული სოლომონ-
ი სამარადან ამოღებულს ჰგავდა. მისი
შემხედვარე ასე იფიქრებდი, სული
როგორღა უდგასო. თავს უკვე აღარა-
ვიც იკავებდა, აღარც ავადმყოფს ერი-
დებოდა, ირგვლივ ხმამალა ქვიითინე-
ბდნენ, ქალები ლაწეებს იხოკდნენ, მა-
მაკაცები კი შუბლში ხელს იცემდნენ
და ჩუმად დვრინით მოთქვამდნენ.

— მღვდელი!.. — დაიძახა ვიღაცამ.
— მღვდელი მოგვყაროთ!.. აზიაროს!..

— ვერა... ვერ შევიძლებ!.. — აღმოხ-
და სოლომონს და მთელი სხეულით
მოსხლტა. ქაიხოსრომ და არჩილმა ის
ფრთხილად დააწვიანეს და დამუნჯებულ-
ნი უკუდგნენ. — მინდოდა, ყველა დამე-
ლოკეთ... გამოგმშვიდობებოდით... ღონე
არ მეყო!.. ახლა წავთვლემ. არჩილ,
მაო, ალექსანდრე რომ მოვა... გამაღ-
ვიძე!

რიყრატზე ბეჟან წულუკიძე მოიჭრა
ოფლში გახვითქული ცხენით და გალა-
ვისის კარიბჭეში მდგომ შუბოსან ქეში-
კებს, რომლებმაც დანახვისთანავე იც-
ნეს მეფის ტოლი ბერი წულუკიძის
შვილი და ცხენდაცხენ შიგნით შემო-
უშვეს, მამის ადგილსამყოფელი ჰკითხა.
ფარდაზე გაუხდელად მიწოლილ,
სწორედ იმ წუთს წაძინებულ ბერის

ვაეის ხმა თილშივე ჩაესმა. თვალი გა-
მოახილა, ხომ არ მომეყურაო? შემოვი-
და და ბეჟანის შეშლილი სახე
ინახა, თავადაც ფერი ეცვალა.

— გლახა ამბავი ხომ არაფერი მოგ-
ვიტანე, შვილო?

— მეფე როგორ ბრძანდება? — სა-
ნამ პასუხს გასცემდა, ბეჟანმა სიღარ-
ბისღე გამოიჩინა და პირველად ეს
იკითხა.

— შენი მტერი იყოს ისე. წუხელ.
ნაშუალამევს, ვახიარეთ. შენ რატომ
მოხვედი მარტო, სხვები სად არიან?
ბატონიშვილი ალექსანდრე ხომ მომჭო-
ბინდა? ჩქარა თქვი, მამაშვილობას, რა-
ღას მამარჩიელებ!

— რა ვთქვა, მამა, გლახა მხარობე-
ლი ვარ!

ბერი მთლად გაშფვანდა. ფართოდ გა-
ხელილი უძილარი თვალები ტიქსავით
გაუხდა.

— ალექსანდრეს უჭირს რამე?

— არა!

— აბა?

— თავი მოგვჭრა ალექსანდრემ... მამას
ულალატა!

— მამას ულალატა? — ბერი შეც-
ბუნდა, უანგარიშოდ მიიხედ-მოიხედა,
გულში რატომღაც შიში გაედვიძა,
ყურს არაივნი გვიგდებდესო. — რო-
გორ თუ ულალატა, რას ამბობ, ბიჭო,
ალექსანდრე და ლალატი?!

— ეს არის, იქიდან მოვდივარ!..

— საიდან?

— სხარტალიდან. ფეხად გამოვას-
წარი..

— ჩვენ პაპუნას წიგნი მოგვივიდა,
რომ ალექსანდრე მწოლიარე ავადმყო-
ფია. ბატონ მეფეს არც ვუხებდით.
თვალი კარისკენ გვექონდა, ან ახლა გაჩ-
ნდება, ან ახლა-თქვა...

— ფრჩხილიც არ წამოსტყენია. დამ-
ქაშებმა არ დაანებეს მეფესთან წამოს-
ვლა. დაარწმუნეს, დედამენი იმისი
ნებით გამოესალმა წუთისოფელს, თა-
ვად გულქანის დედოფლად დასმა
უდევს გულში, შენ კი, თუ წასვლა არ
დავიშლია, თვალებს დაგთხრის, რაეარც

ერისთავსა და ერისთავიშვილებს დათხარა, ან ჭურღმულში ჩაგადგდეს, რომ ტახტი გულქანის ნაშობ ბატონიშვილს შეუნახოსო.

— რომელი გულქანის, შვილო, ხეიროიანად გამაგებინე!

— მამიდაჩემის, სხვა რომელი გულქანია, ბატონო! ისინი იქ „ქაჯაიას ნაცოლარს“ უძახიან! რა დასამალია, შენს დაწინაურებასაც მამიდაჩემს შიამყარენ. მისი და თავზე დედოფლად უნდა წამოგვესვას და ბერიც სწორედ იმიტომ აღაზრევა კარის გამაგელო!

— ღმერთო დიდებულო, რას არ მოქმახავს ბოროტი კაცის ენა! საბრალო მარიამმა, ღმერთმა იმ ქვეყანაში სასუფეველი დაუშვიდროს, სული ჩემს თვალწინ დალია. ნეტამც არ მენახა! არ შეისმინა ჩვენი ხვეწნა-ვედრება, ქსენონს და სასიკვდილოდ გაწირულ ავაღმყოფებს ვერ მოვაშორეთ. მეფე შერაცყო. თანამეცხედრის ამბავი მე შევატყობინე. ან ჩემი და რა შუაშია? რამდენი დღე და საათია, იმას ხოტევიდან ფეხი არ გამოუდგამს! ვინ დაყარა ნეტავ ეგ ჭორები და ჩვენს ხელში გაზრდილი ბატონიშვილი ალექსანდრე ვინ აგვიმხედრა?

— სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა და თამაზა მესხმა, მამა. კათალიკოსის ძმა დავით აბაშიძე და ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალიც კარგა ხანია იქ ბრძანდებიან!

— ვაი მაგათ დედას! თამაზასაგან ყველა სიამე მოსალოდნელია. ეგ დიდი ხნის წინათ იყო ძელზე გასმის ღირსი! წვერკამეტა ბერძნის ღვარძლი და გაბოროტება მესმის, მაგრამ ეს მიხრწნილი პაპუნა წერეთელი რამ გადაიყვანა ჭკუაზე?

— შენმა წამოწვეამ, ბატონო. ვერ შერიგებია მეფის შემდეგ შენს პირველ კაცობას. ეგ პატივი წერეთლობით თავისთვის ეგულებოდა და როდი ეგონა, თუ ვინმეს შეუზიარებდნენ. ალექსანდრე გველის ენით დაარწმუნეს, რომ მე შენს მიერ მიჩენილი მსტოვარი ვიყავი და მის ყოველ ნაბიჯს ეუთვალთვალე-

დი. ეს ალექსანდრემ პერში მომხალა და სახალხოდ თვალეში შემომამთურთხა!

ბერი შეერთა, თითქოს უცაბედად ხელი გავარვარებულ რკინაზე მოაკიდებინესო, მკაცრად მოკუმული ტუჩები შეუთრთოლდა, თვალეში რისხვა ჩაუსახლდა.

— რა მექნა, მამა, ბატონიშვილს მოსაკლავად ხომ ვერ გავიმეტებდი! — განაგრძობ ბეჯანმა: — მაშინათვე ვიპარე, მოწყობილი საქმე იყო, ჩვენი მტრები მარჯვე საბაბს ეძებდნენ, რომ იქვე ავეკუწე. არ გაგიგონია, რა დღე დამართეს საწყალ მეფე გიორგის თხმელისციხეში? მე ვინ დამინდობდა! ბოლოს იტყოდნენ, სხვა გზა აღარა გვექონდა, ბატონიშვილზე მოსაკლავად მიიწიო. დამნაშავედ ისევე მკვდარს გამომიყვანდნენ!

ვაქის განიერულმა მსჯელობამ ბერი ოდნავ დაამშვიდა.

— სწორად მოქცეულხარ, შვილო, — თითქოს საკუთარ ფიქრებს უპასუხა მან. — ამ აფთრებში დიდი თავდაპერა გმართებს და, ღვთის მადლით, კიდევაც გამოგიჩენია. წამოსვლა როგორ-ღა მოახერხე?

— ვიცოდი, აუცილებლად დამეცემოდნენ და იარაღს ამყრიდნენ. ის ღამე სასახლეში აღარ გამითევია. ბოქები ვიპარე და გზის ასარევად წკადისის თავქვეზე დავეშვი. თუ მღევარი გამომიდგებოდა, უსიკვდილოდ თლულისა და ნიკორწმინდის გზით დამედევნებოდნენ, რომ აქეთ არ გამოვეშვი და შეთქმულების ამბავი მეფის ყურამდე არ მომეტანა. შინ, ხოტევი ჩავედი, ხალხი მოვიმატე, ერთი დღე დავალამე და მესამე ღამეს ნიკორწმინდაში გავჩნდი. სოფლის ბოლოს სროლა ამიტეხეს. ეტყობოდა, მელოდნენ. ჩვენც ვესროლეთ. თან უკან, ხარითვალისაკენ ვიხევედით...

— იქნება ვინმე მეკობრეები იყვნენ?

— არა, მამა, ორის სახე კიდევაც შევიციანი. იმათაც მიცვენეს და ტყვია დამახალეს!..

— ბატონიშვილი ალექსანდრე სად უნდა ყოფილიყო ამ დროს?

— იქნება, ჩააფრებულ ხალხშიაც კვე ერია, ვინ იცის!.. გასულ კვირას ველევის ეკლესიაში ჩაეიდნენ, ბატონიშვილს გიორგიტა აბაშიძის ასულ ნინოზე ჯვარი დასწერეს, თავზე გვირგვინი დაადგეს და იმერეთის მეფედ გამოაცხადეს! ნაშუადღევს გლეხობის დაფიცება დაიწყო. ვინც ნებით არ მოვიდა, სულ მათრახის ტრიალით მორეკეს აბლომახლო სოფლებიდან. ახალი მეფის ერთგულებაზე ერს თავად ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი აფიცებდა და ჯვარსაც თავისი ხელით უმარჯვებდა საამბორებლად!..

ბერი წულუკიძემ, თითქოს წინ გულით საყვარელი ძვირფასი მიცვალებული უსვენიაო, შუბლში ხელი შემოიკრა.

— ახლა კი დაგველუბა უკუღმართ ვარსკვლავზე გაჩენილი ჩვენი მეფე სოლომონი, ახლა კი დაესხა ცეცხლზე წყალი და ჩვენც ახლა გვეღება ბოლო, ბეჯან, შვილო. რის იმედი აქვს იმ ლაწირაკს, სხვისი წაქეზებით ამისთანა უღუნურობა რომ გაბედა? გონია, აქ პირზე კაცინთ შეეგებებით და ერისა და სარწმუნოებისათვის ჯვარცმულ მამას ბორკილებგაყრის დავახვედრებთ? — ბერიმ პასუხს აღარ მოუცადა, მაშინვე საქმეზე გადავიდა. — ჯარი თუ აოხრია რამე?

— ბერი არაფერი, — უყოყმანოდ უპასუხა ბეჯანმა. — სამასი-ოთხასი კაცი თუ ეყოლება, მაგრამ, ვიმედოვნებ, ნახევარი გზაში დაებნევა, სანამ იქიდან აქ მოაწვევდეს!

— აბა, ვისი შემწეობით აპირებს მამის ტახტის დაპყრობას?

— ოღიშში კაცები გააგზავნიან და კაცია დაღიანი მოაწვევინეს. ვაებატონმა ალექსანდრემ ბიძას პირობა შეუთვალა, თუ ახლა მხარში ამომიდგები და ტახტზე ამიყვან, ლეჩუმში სამუდამოდ შენთვის მიბოძებია, არც მე და არც ჩემი ჩამომავალი ამ საგანზე დავას აღარ დაგიწყებთ-ყო.

— შენი ნათქვამიდან მე ის დღესვე გამომაქვს, რომ დღეს-ხვალ მადეფინებას ლეხი აქ მოვლენ და, თუ ყისმთბა გაუტრათ, მეფესთან ერთად ყველას დაგვატუსალებენ!

— არა მგონია, მამა, სანამ კაციასაგან გადაჭრილ პასუხს მიიღებდეს, ალექსანდრემ რაქიდან გამოსვლა გაბედოს. ასეა თუ ისე, სასწრაფო თადარიგის გაწევა მაინც გვმართებს, რომ მტრმა მოუშზადებელს არ მოგვესწროს და სირცხვილი არ ვქამოთ!

— შენ აქ დაიცადე, თუ ვინმე შემოვიდეს და მიკითხოს, ნურავის ნურაფერს ეტყვი, მე ახლავ მოვალ! — საგონებელში ჩავარდნილმა კარის გამგემ ბოლოს რალაც გადაწყვიტა, წამოდგა, ქამარ-ხანჯალი შეისწორა და ნახევრადბნელ ტალანში გავიდა.

ლოდინმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა. მოთმინებადაკარგული ბეჯანი წინ და უკან დადიოდა სქელყედლებიან მოგრძო ოთახში, რომელსაც ორი ცალფა კარი და ეკლესიის მხარეს გამავალი ამდენივე ვიწრო სარკმელი ჰქონდა და ლამის სიჩუმეს ყურს უგდებდა. მთვარიანი ღამე იყო. ცაზე უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა და სარკმელებში მოლურჯო შუქით გააკაშვებულნი კარის ეკლესიის წიწიბოიანი სამრეკლო და გალავნის დაკბილული კედელი მოჩანდა. უცებ განწირული ადამიანის ცხოველურმა შეყვირებამ შესძრა იქაურობა. ბეჯანმა სატევარზე იტაცა ხელი და გარეთ, ტალანში გამოვარდა. აქ სრული სიჩუმე იყო. ხმამალალი გმინვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყვირილი მხოლოდ დროგამოშვებით ისმოდა. ურთხმელის მალალ კართან, კელაპტრებით განათებული ტალანის იქითა ბოლოში, სულთმობრძავ მეფისათვის ლამის გასათევად სასახლეში მოსულ დიდებულებს მოეყარათ თავი და რალაცის გამო ბჭობდნენ. ბეჯანმა შორიდანვე იცნო სარდლები: ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი ლორთქიფანიძე და ზურაბ მიქელაძე. მერე თალხებით შემოსილი რამდენიმე ბერი, მალალ სამღვდელმთავრო

კვერთხზე დაყრდნობილი უწმიდესი კათალიკოსი მაქსიმე და მეფის ძმა ბატონიშვილი არჩილიც გაარჩია. აქვე ირეოდნენ სასახლის მსახურები, ქალები და კაცები, რომლებსაც გულშემზარავი ყვირილი სხევებზე ადრე გაეგონათ და დაფეთებულები ტალანში გამოკვენილიყვნენ.

კარი გაიღო. ოთახიდან, სადაც მომაკვდავი მეფე იწვა და სიკვდილს ებრძოდა, ცვილისფრად გაფთვრებული ბერი წულუკიძე გამოვიდა. თითქოსდა შორეული ქვეყნიდან მოსულ ბერას დიდებულები უმაღლ გარს შემოეხვივნენ.

— ჯარის შეყრა ბრძანა, — ბერიმ კრიჭა ძლივს გახსნა. — აქიმებს გარეთ ყრის, თვალით აღარავენ დაგინახოთო. ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს ტანისამოსი და იარაღი მოატანინა...

დიდებულებს ნერწყვი გაუშრათ. მათ თვალეშში განცვიფრება და აუხსნელი შიში იხატებოდა.

— რას აპირებს? — იკითხა ერთმა.

— ჯარის გაძლოლას... ღმერთი მომეხმარება, ისე არ წამახდენს; ჩემი ურჩი, მამისმკვლეელი შვილი თავად არ შევიპყრო და ვინც ის გამიბრძოვს და სიმართლის გზიდან გადამიგდო, სიცოცხლე არ ვანანო.

— კი მარა... — სარდლებმა ერთმანეთს შეხედეს. ყველას სათქმელი ქაიხოსრო აგიაშვილმა დააბოლავა. — გუშინ არ იყო, ქვეშაგებში წამომქდარიც რომ ვერ გაჩერდა ეგ კურთხეული? რაზე გვიბოჭავს ხელ-ფეხს, სადავიდარაბოდ და სათუოდ რისთვის გვიხდის საქმეს? თამაზა მესხისა და დანიელ დასკალის მოწყობილი შეთქმულება რას მიქვია, ღმერთო კი მომკალი! ჭერ კი არ დაეძაბუნებულვართ. მე მარტვა წავალ და სამ დღეში მხარგაკრულს მოვრეკავ ყველას! უღვაშგაპარსული კაცი დამიძახეთ, თუ არ მოვრეკო!

— მართალს ბრძანებს, ღმერთი ნუ გამიწყრება, — ოკრიბის ბატონს მე-

ნაპირე თავადმა ზურაბ მიქელაძემაც აუბა მხარი. — ნეტავი, შენსაქმეში ბატონიშვილი ალექსანდრე კარგარეულიყო და... ნუ განვწყით მკაცრად. ყველა შვილების პატრონები ვართ. ვინ არ შემცდარა! ბატონიშვილი ალექსანდრე ჭერ ბოვშია. შეურნდნენ და აურიეს გონება. აგერ ნახეთ, თუ არ დაუჩოქოს და ცხარე ცრემლით არ შესთხოვოს მამას პატიება!..

— მეფის ადგილიდან დაძვრა არ ივარგებს. კიდევაც რომ შეიძლოს... — ისე თქვა ბერი წულუკიძემ, თითქოს აგიაშვილისა და მიქელაძის თათბირი არც გაეგონოს. — აქიმები ასე ამბობენ, მაგის ფეხზე წამოდგომა და სიკვდილი ერთი იქნებაო.

— მაშ, რა გზას დავადგეთ? — მოუბრუნდა ქაიხოსრო, რომელიც შეთქმულებაში გარეულ პაპუნა წერეთელზე ნაკლებ როდი იყო ამრეზილი სამეფო კარზე წულუკიძის უზომო გაბატონების გამო.

დიდებულებს შორის ყველაზე ხანდაზმულმა ქვემოხრის სარდალმა და ქუთაისის მოურავმა ბერი ლორთქიფანიძემ კარის გამგის პასუხს აღარ დაუცადა და კათალიკოსს მიმართა:

— თუ რამეს იღონებ, ისევე შენ უნდა იღონო, უწმინდესო. შებრძანდით შენ და ბატონიშვილი არჩილი. ორივეს რომ დაგინახავთ, არ შეიძლება ხათრი არ მოიღოს. იქნება რამენაირად დაიყოლიოთ!..

სოლომონის კარზე ესოდენ მიღებულნი, პატივითა და დიდებით გარემოსილი კათალიკოსი მაქსიმე და მეფის უსაყვარლესი ძმა ბატონიშვილი არჩილი მომაკვდავის ოთახიდან სულ მალე გაწვილებული გამობრუნდნენ. მეფე მათაც პირგამეხებელი დაუხვდა. არც ერთს და არც მეორეს ზედაც არ შეხვდა. წამომქდარიყო, შიშველი ფეხები საწოლიდან გადმოეყარა და ელდისაგან ხელებაკანკალებული მსახურები ტანზე აცმევდნენ...



თავი ორმოცდაათე

ოდიშის ბატონი კაცია თავბატონის იდებდა, დისწულს პასუხს უგვიანებდა. შეთქმულთა ბანაკში, რომელიც ჯერ ისევ სხარტალში იდგა და დღე-ღამეზე ქუთაისზე გააღაშქრებლად ემზადებოდა, თანდათან ეკვმა იჩინათვი, ვაითუ დადიანი სულ არ აპირებდეს მამა-შვილის დაბუდულ საქმეში გარევისო და იგი ეკვი მალე ყველას გულს დაეუფლა. მოთავეები გრძობდნენ, რომ აჩქარდნენ, სულსწრაფობა გამოიჩინეს, ბატონიშვილის გადმოსაბირებლად მარჯვე შემთხვევას დაეხარბნენ და შემდეგ-ღა მიხვდნენ, ალექსანდრეს გვერდში ამოყენება რომ მხოლოდ ნახევარი იყო საქმისა და საწადელს ისე ვერ მიალწვედნენ, თუ გარეშე მალა. ამჯერად კაცია დადიანი, სოლომონის წინააღმდეგ მათ მხარდამხარ არ გამოვიდოდა. სხვებზე უმეტეს აწრიადნენ თავადი პაპუნა და მისი სახელეული. დადიანის საეკვო ღუმელი მოდინახის მფლობელთ კარგს არას უწინასწარმეტყველებდა. თუ მაღალი ღმერთი სოლომონს არც ახლა გასწირავდა და ხელის გამოღებას შეაძლებინებდა, რაღა თქმა უნდა, თვით მარტო დარჩენილი წერეთლების გაძლიერებულ სახლსაც იგრძე ან უარესი დღე ელოდა, რაც ერთ დროს არგვეთის უპირველეს ბატონებს — კაცხელ აბაშიძეებს გაუთენდა. პაპუნა უკვე ნანობდა, რომ სიბერეში საეგებოთ გადაწყვეტილება მიიღო, წლობით გულში ნალოლიავებ ღვარძლს გზა მისცა და თამაზა მესხსა და მისთანებს გაუამხანავდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო, გასროლილ ტყვიას უკან ვეღარ დააბრუნებდი.

ახალჯვარდაწერილი ალექსანდრე და ნინო თავდავიწყებას მისცემოდნენ. დღე იყო თუ ღამე ერთმანეთს თვალბში შესციციებდნენ, არავის ჯავრი არა ჰქონდათ, თითქოს ეს ქვეყანა და მისი სიამენი ღმერთს მარტო მათთვის გაუჩენიაო და ერთმანეთის გარდა არავის

დანახვა არ უნდოდათ. ტკბილი ბურუსიდან ალექსანდრე მაშინ-ღა გამოერკვა, როდესაც შეთქმულთა შესაპრობად წამოსული მხედრობისა და იმ მხედრობის სათავეში რაღაც სააწაულით ჩამდგარი სოლომონ მეფის ამბავი შეიტყო. შეთქმულების მიერ მეფედ გამოცხადებულ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს აქამდე არავის შინი არა ჰქონდა. დარწმუნებული იყო, რაკი ნინოს სიყვარულში გვიმარჯვე, აწი თვით ეშმაკს გაუშვალავდებო, მაგრამ მამის სახელის გაგონებამ, მამისა, რომელიც საომრად აღტურვილი მის შესაპრობად მოდიოდა, თავჯარი დასცა და გადაარჩენის ყველა იმედი წარუტყვეთა.

— ამაზე აღრევე უნდა გეფიქრა, — პირქუშად, სრულიად სხვა კილოზე უპასუხა თავადაც შავ დღეში მყოფმა სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა, როცა გულგახეთქილი ალექსანდრე ფეხებში ჩაუვარდა და შემწეობა სთხოვა. — ახლა ვიღა რაღას მოგეხმარება, ვის ტყევა თავი, გავეშებული სოლომონის ნებას წინ აღუდგეს!

— მამა თვალებს დამთხრის, ბატონო პაპუნა, ამას არ მაპატიებს, შემაჩვენებს, საჭაროდ მაწამებს!

— ვიცი, რომ დაგთხრის და გაწამებს, კიდევაც შეგაჩვენებს და ტახტის მემკვიდრეობის ჩამორთმევის საბაბიც მიეცემა, მაგრამ მე რა შემოძლია, შენლო ალექსანდრე? სად ბრძანდება შენი კეთილშობილი ბიძა, ოდიშის ბატონი კაცია? აკი ტახტზე უნდა აეყვანე? როდემდი ვუცადოთ? სანამ საფლავიდან წამომდგარი ჩვენი ბატონი ყოველი მხრიდან არ შემოგვერტყმის და ცეცხლს არ შემოგვიკეთებს?

გვირგვინოსანი მამის უდიერად მოხსენიება ალექსანდრეს გულზე ლახვრად მოხვდა, ერთი დაპირება მეფის გამოსარჩლება და სახლთუხუცესის დატყმსაც დააპირა, მაგრამ ამბოხებული გულის ამ წადილის სრულ უაზრობას მა-

ლევე მიხვდა და თავადს თავშეუკაცე-
ბელი ყვედრებით მიმართა:

— მე არაფერი არ ვიცი, პაპუნა.
თქვენ მოგენდეთ. ყველაფერი დაგიჭე-
რეთ, რასაც მეუბნებოდით, აჯყვე-და-
ყვეით. მეგონა, ჩემთვისაც და სამეფოს-
თვისაც მართლა სიკეთე გინდოდათ და
ახლა მაგას მეუბნებით, ღვთის ანაბარა
მტოვებთ?

— სხვებს ნურაფერს გადააბრალებ,
ბატონიშვილო, ნურც ტახტის ორგუ-
ლობას შეგვწამებ, — თავადს ყელში
ბრაზი მოაწვა, ის-ლა მაკლია, ამან ეს
გამიბედოსო და მეფედ გამოცხადებუ-
ლი ალექსანდრე კვლავ ბატონიშვილო-
ბით მოიხსენია. — ჩვენ ის მოვიმოქმე-
დით, ჩაც შენ გულით გეწადა და გამ-
ხელკი ვერ გაგებედა. გვინდოდა, ღე-
დიშენის მოძულე მამისაგან დაგვეფა-
რე, თავზე გადაგფოფრებოდით და ტახ-
ტი შენთვის მოგვეცა!..

— გვედრები, ბატონო პაპუნა, —
ალექსანდრეს ხმა აუკანკალდა, მიხვდა,
ამას მე სიტყვას ვერ მოვუგებ, რადგან
ყოველ კითხვაზე პასუხი უკვე მზადა
აქვსო და თვალები ცრემლით აევსო. —
ნინოს მაგივრადაც გემუდარები. გვიშ-
ველე რამე, მოდინახეში მაინც შეგვიფა-
რე, მამაჩემს ნუ ჩაუტდებ ჩვენს თავს
და სულის ამოხდამდე შენი მონა-მორ-
ჩილი ვიქნებით!..

— მოდინახე აწი მეც აღარ მარგია,
ბატონიშვილო. მეფემ მისი ყველა კუთ-
ხე-კუნძული იცის. აღმასხან თოდაძე
ხელთა ჰყავს. წინ გამოიძლოლებს და
ცხენში საიდუმლო გზით შემოვა. ასე
რომ, წინააღმდეგობის გაწევას ვერ შე-
ვიძლებთ. ჯარი ერთობ ცოტა გყავს.
სანდოც რომ აღარავინ დარჩა? წუთი-
წუთზე უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენ-
კე ქვეშევრდომები გვიღალატებენ და
ჩვენს თავს მეფეს მიჰგვრიან!

— ვაიმე, დედა, ღმერთო!.. — ალექ-
სანდრე თითებს იმტერვდა და ერთ
ადგილზე ველარ კავდებოდა. — მაშ,
როგორ მოვიქცეთ, ბატონო პაპუნა?
მოკვლა ნინო ჩემი ხელით და მეც ტყვია
ვიკრა გულში? ნებით დამორჩილებას

და მამაჩემის წინაშე წარდგომას ისევე
ეს მირჩევნია! ნინოც ასე უნდა მოვ-
შენთან ერთად მოვკვდებო...!

— სიკვდილი ყოველთვის მოესწრე-
ბა. ჯობს, მივდგეთ-მოვდგეთ და რამე
სხვა საშველი გავაჩინოთ. — პაპუნა
წერეთელი დაფიქრდა, მცირე ხანა
იყუჩა, თითქოს მხსნელი აზრის ზეგარ-
დმო ჩაგონებას ელისო და მერე ხმა-
დაბლა იკითხა: — ქართლ-კახეთის მე-
ფე ერეკლეს რომ უკომართოთ? ერეკ-
ლეს მეტე სოლომონი ყურს არავის
ათხოვებს. მარტო ერეკლეს თუ შეუძ-
ლია გვიშუამდგომლოს და შენც და
ჩვენც სასჯელი შეგვიმსუბუქოს!..

იმედგადაწურულ ალექსანდრეს თვა-
ლში სინათლე მოემატა, სიხარულისაგან
ტუჩები აუცახცახდა.

— შენი ჭირიმე, თავადო პაპუნა!.. ეგ
რა კარგი რამე მოიფიქრე! — თქვა და
მოუთმენლად შექანდა. — გავიქცევი,
ნინოს დაეაშვილებ. მთელი ღამე გულ-
ამოძვარა ტირის. მეხვეწება, მარტო
არ დამტოვო და შენთან ერთად, თუ
მიბრძანებ, ჯოჯოხეთის წყვარამში ჩაუ-
ლო!..

— მაგასაც მოასწრებ, აღარავინ წა-
გართმევს მგე შენს ნინოს. ათ-თორმეტ
სანდო კაცს და მარქაფა ცხენს გაგა-
ტან. დაღამებამდე წახვალთ და მთელ
ღამეს გაუჩერებლად ივლით. ნინომ თუ
შეიძლო...!

— მაგის ნუ გეშინია, ბატონო პაპუ-
ნა!..

— კაცმა-სულეირმა ვერ უნდა გი-
ნოთ. გლეხურ ჩიხა-ახალუხს ჩაგა-
მევთ. ნინოსაც გლეხური ჩით-მერდინით
მოვრთავთ. ვითომ მეჭორწილე ხარო,
რაქიდან ქალი მიგყავთ. გამყოლები მა-
ყრებია!..

— შენი ჭირიმე, ბატონო პაპუნა! —
ისევ შესძახა თვალბეჭით ცრემლჩამდგა-
რმა ალექსანდრემ. — ახლა ხომ მაინც
მომცემ ნებას, რომ გავიქცე და ნინოს
შევატყობინო?

მოხუცებული თავადი შეყვარებული
ბატონიშვილის ამ მხურვალე სურვილ-

საც სრული გულგრილობით შეხედა და ჩაძიებით ჰკითხა:

— მაგრამ რა პასუხს მისცემ მეფე ერეკლეს, როცა შეგვეკითხება, ასე მცირე ამალით, ასე უცნაურად ჩაცმულ-დახურული ტფილისში რამ მოგიყვანაო?

ალექსანდრე ისე იყო აღტაცებული, არც დაფიქრებულა:

— მამაჩემი მომდევნ მოსაკლავად და შენი კალთა გადამაფარე-თქვა!

— რად მოგდევსო, რომ გკითხოს?

— რამეს მოგიფიქრებ!

— ნურაფერს ნუ მოიფიქრებ. ერეკლეს შენი მოსატყუარი კბილები მოცვლილი აქვს. ყველაფერი გულახდილად უთხარი და შეეხვეწე, მამასთან შეამაგლად დაგიდგეს!..

ალექსანდრეს ფართოდ გახეილ თვალებში ისეე ჩასახლდა შავი ღამე.

— მე რამ დამიჭიროს და ბატონ მამას მიმცეს?

— ღმერთს უნდა შევთხოვოთ, რომ ეგ რ მოხდეს, მაშინ ხომ ყველა დავილუბებით!..

— იესო მაცხოვარო!.. — ალექსანდრე ორივე მუხლზე დაეცა, ხელები აღაპყრო და ცას შეჰლაღადა. — შეგვინდე ეს ერთი შეცოდება!.. მოუღებ გული ჩემს უბედურ მამას!.. მშვიდობით გაგვიყვანე მე და ნინო იმერეთიდან!.. გვაკმარე, რაც თავზე უბედურება დაგვატყდა და შავი ღლე გამოვიარეთ!..

მზე კარგა ხნის გადახრილი იყო, შეთქმულებმა რომ სხარტალის საზაფხულო სასახლე დასტოვეს და რამდენიმე ჯგუფად დანაწევრებულნი ტყეში გაიფანტნენ, რათა თითოეულს საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ეზრუნა. ერთი მოზრდილი ჯგუფი ნაჭიხურევის გზას დაადგა. ჯერ სამიოდე უტყვანიც არ გაეცლოთ, რომ ქვედა ქარმა, რომელიც ზურგში სცემდათ, დამწვარი ჰვარტილსა და ტრუსის სუნი მოიტანა.

— ეს რა სუნია? — ცხენი სადავით შეაყენა და იკითხა ბაქუა სოფრომძაქმ

ტყის ბილიჯზე წალი-წალი მიმავალი მხედრობის თავში.

— სასახლე იწვის, გონია, ვინცა მარჯვენაშესახმობმა ცეცხლი მოუქიდა!

— დეექა ოჯახი, სხვა საქმე ველარაფერი გამონახა? აფსუს, რა ოქროს ხელით ნაშენები!..

— დავბრუნდეთ ერწამა, იქნება ქე ჩავაქროთ!

— რალას მიუსწრებ! სანამდი ჩვენ იქ მივიდოდეთ, სამჯერ დეიწვება! კვარივით მოვიდებოდა! ვაი, რავა წვავენ და ბუგავენ ქვეყანას, რავა ვერ გაძლა კაცი კაცის სისხლით! ლეკი გიზამს ამას, ლეკი, რასაც შენიანი გიშვრება?

— თავი ხომ არ მოგტულებია, ბაქუა? იარე, აღრე კი აღარ არის! ბინდდება უკვე და მაშინ ნახე სეირი, თუ სადმე შენი მწყალობელი მეფის ჯარს გადაეყვარეთ!..

— ნეტავი ენა გიყვილებდეს და ჩემი ღლე თუ გინდა ორად გაყო!

— შენ, გეტყობა, მართლა მოგძულდა თავი. რა გალაპარაკებს!

— მამძულდა, აბა არ მამძულდა? ჩემი ღლე და მოსწრება გზაზე ვარ გაკრული! ხან ლეკი დამდევს მოსაკლავად, ხან თათარი და ხან ქრისტიანი! რომელ ერთს გოვუძლო?

— გაგიძლია და ეგ არი, რალაი აქამდი მოსულხარ!

— ისე გაძლო შენმა მტერმა, რავარც მე გავიძლი! გაძლება ქვია ამას?

— რაიო მეფემ, წყალობას რომ გპირდებოდა, გაგიმზოთვა ქალიშვილი?

— ეჰ, ჩემო კეთილო, ნეტავი კი შემრჩენოდა და მეფის ნაბოძვარ მზითვებს ჩიოდა კაცი?

— რავა, პირი გიქცია თუ?

— აგერ მეთერთმეტე წელიწადი მოდის, რაც გოგო აღარა მყავს. სამწყემსურიდან მამტაცა ვინცა უღმერთომ და გამიყიდა!

— რას ამბობ, კაცო, მართლა მეუბნები მაგას?

— რავარი მოსაგონებელია!

— მე არაფერი ვიცოდი, არ გავწყ-

დე ცოლ-შვილით, თუ არა არ გაგახსენებდი!

— რა ვუყოთ, შენ კარგად იყავი!

— არაფერი ეცადე, არსად მიაკითხ-მოაკითხე?

— ეცადე და მიაკითხ-მოაკითხე შენ, რას გააწურობ! სად არ ვიყავი, რამდენი არ ვითავცემე. ცხონებულ მარიამ დედოფალს, ღმერთო შენ გაანათლე იმისი სული, იბრაჰიმი-ფაშას რომ ახალციხეში ეახლა, მეც ქე ვახლდი, შეხვეწილიც ვიყავი, იქნება რამე მისაშველოთქვა, მარა რაი მერე, კვალსაც ვერსად მივაგენით, უკან ხელცარიელი დავბრუნდი. სამი წლის თავზე ოჯახობამაც ჰირი მოგჭამა. ი გოგოს ჭავრს გადაყვა. ისე დეილია, თვალდათვალ გაქრა ქალი. ღმერთო, იმასაც დოუმკვიდრე სასუფეველი! მას მერე ბიჭები დავაოჯახე და ცალ-ცალკე დავასახლე. შვილიშვილები მყავს, ხუთი. მზე და მთვარე იმათზე ამომდის. ყველა გაქირვება დამავიწყეს, ენაცვალთ ბაბუაი!..

— ღმერთმა გაგიზარდოს, ბაბუა! რა ექნათ, ასე უსწორმასწორო ყოფილა ეს დალოცვილი წუთისოფელი. ხან ცაში ავიყვანს და ხან მიწაში ჩაგმარხავს ცოცხლად. ჰკვიან კაცს არც ერთი არ უნდა გაგიკვირდეს!

უზარმაზარი წიფლებით დაჩრდილული ღელის პირას შეჩერდნენ, ცხენებს წყალი დაალევივნეს და ციკაბო დაღმართზე გზა განაგრძეს. მთაში ერთბაშად ჩამობნელდა. მოწმენდილ ლურჯ ცაზე წვრილ-წვრილი ვარსკვლავები აციმციმდნენ. ღამე უმთვარო იყო. დანარჩენი გზა, ვიდრე არ ინათებდა, უკუნ სიბნელეში უნდა ევლოთ. წინ მიმავლებმა კვარს მოუტიდეს და გზა იმით გაინათეს.

— ნინო, — წასჩურჩულა ნაბადში გახვეულ ყმაწვილ თანამეცხედრეს ბატონიშვილმა ალექსანდრემ და ცხენი ისე ახლოს მიაგდო მის ცხენთან, სახეზე გულსიტოლის მხურვალე სუნთქვაც კი იგრძნო. — ძილი ხომ არ მოგერია? ქალმა ჩუმიად ჩაიციხა:

— ამისთანა გზაზე ძილი ვის მოერევა, ალექსანდრე!

— სადავე მარჯვედ გვეჯავს, ცხენს თავის ნებაზე ნუ მიუშვებ!

— იცი, რა თვინიერი ცხენია? ამისთანა თვინიერი ცხენი ჯერ არ მინახავს!

— შენთვის საგანგებოდ შევარჩიეთ!

— კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ?

— მთვარის ამოავლამდე ჩავივავებთ. მერე სულ ვაეე იქნება და, თუ მამაჩემის დაგებულ ხაფანგს არსად გადავწყდით, უფრო ჩქარა ვივლით. აბა, ფრთხილად, აქ ვგონებ ისევე ლელეში გავდივართ. ეი, მოგვიჩინეთ! დიდი ლოდებია. გესმის წყლის შხული?

— მესმის, ალექსანდრე!..

პირველი ხანგრძლივი შეჩერება ალის ციხის მიდამოებში მოუხდათ, როცა ყველა მოსალოდნელი საშიშროება უკვე უკან იყო მოტოვებული. გზაში ცხენები დაუვარდათ და მარჯაფა ცხენებზე გადასხდნენ. ხალხსაც ქანცი გამოელა. უძილოდ და მუდმივ შიშში გატარებულ ღამეს უკლებლივ ყველა გაელახა. საბაგოზე მგზავრების ვინაობა გამოიკითხეს, პირზე რძეშეუშრალ ნეფე-დედოფალს ცულლუტურად აშხედდაშხედეს და პეპია ხაჩიძის შემცვლელი ახალი ციხის მოურავის მოსაყვანად კაცი აფრინეს, რათა მას ქართლის მიწა-წყალზე მაყრიონის შემომშვების ნებართვა გაეცა.

მისდა სანუგეშოდ, ბატონიშვილმა ალექსანდრემ ალის საბაგოზევე შეიტყო, რომ ტფილისამდე მგზავრობა აღარ დასჭირდებოდათ. გამუდმებული ლეკიანობისაგან მოუტლელი მეფე ერეკლე საამილახვროში ბრძანდებოდა გორას ციხის შესაკეთებელი სამუშაოებისათვის თვალყურის სადევნებლად და კვირის სწორს აქედან ჩხერის ციხისაკენ აპირებდა წასვლას, სადაც ოსმალთაგან მიტაცებულ სამცხე-ჯავახეთში ახალი ძღვეამოსილი ლაშქრობის მოწყობის თაობაზე თანამდგომ ლიხთიმერის მეფე სოლომონს უნდა შეხვედროდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულებისა და მის ჩასაქრობად რაქას წა-

სული სოლომონის გარეშემო ქართლში
 ჭერ არაფერი იცოდნენ. ასე რომ,
 ქართლ-იმერეთის საზღვარზე მექორ-
 წილეების გამოჩენას მენაპირეთა არა-
 ვითარი დაეჭვება არ გამოუწვევია.

მოუხედავად ამისა, ალში მანც აღ-
 მოჩნდა კაცი, ვინც ახალწვერულვაშწა-
 მოშლილ ნეფეში ბატონიშვილი ალექ-
 სანდრე შეიციო, იგი მეფე სოლომონს
 მიახსვავსა და ყოველივე ციხის მოუ-
 რავს მოახსენა.

გულშინანი სწორედ ის ებრაელი
 იყო, ერეკლეს შესაწევნად მოსულ სო-
 ლომონსა და ლეკ ნაიბებს შორის თარ-
 ჭმნობისას დიდი შიში რომ გადაიტანა
 და იმერთა გვირგვინოსან ბატონს, რაც
 უნდა სცმოდა და რა კილოზედაც არ
 უნდა ელაპარაკა, თუნდ ათას კაცში გა-
 მოარჩევდა.

ციხის მოურავს ენიშნა, რაც ებრა-
 ელისაგან შეიტყო, მაგრამ გადაცმული
 იმერელი დიდაკების შეჩერება საჭი-
 როდ არ მიიჩნია, მხოლოდ მალეშრ-
 ბოლი გაგზავნა გორს და მეფეს ახალ-
 გაზრდა იმერელი ბატონიშვილის უცნა-
 ური სტუმრობის ამბავი შეატყობინა.

— ვერ არის ეგ კარგი ნიშანი, —
 ბრძანა ერეკლემ, როცა ალის ციხის
 მოურავის მიერ გამოგზავნილ მალე-
 შსრობოლს პირადად მოუსმინა. — ბატო-
 ნიშვილი, ეტყობა, შავბნელ საქმეში
 ჩაითრიეს მეფის ფარულმა მტრებმა და
 მამას დაუპირისპირეს!

ამავე აზრს ადგნენ გორის მოურავი
 თავადი ოთარ ამილახვარი და ქართლ-
 კახეთის სხვა დიდებულებიც, რომლე-
 ბიც ერეკლეს გარს ეხვივნენ და დღეის
 სწორს ჩხერის ციხეში შეფეების მოლა-
 პარაკებას უნდა დასწრებოდნენ.

შის ჩასვლისას მექორწილე გორის
 კარიბჭეს მოადგა. რჩეული მხედრები-
 საგან შემდგარი რაზმი, მათ აქ აღრიან
 დილიდანვე რომ ელოდა, დაუპატიყე-
 ბელ სტუმრებს რკლად შემოებრტყა,
 იარაღის დაყრა მოსთხოვა და მისი
 უდიდებულესობა მეფის სახელით ყვე-
 ლა დაპატიმრებულად გამოაცხადა.

ეს გაუგონარი დამცირება კი ველარ

აიტანა ამყმა და თავმომწონე ბატონი-
 შვილმა ალექსანდრემ, მითუკუფრულად
 ახალწვარდაწერილი თანამეცხედრობის
 თანდასწრებით, გაცეცხლდა და კარიბ-
 ჭის მცველ მოყარულეთ შეუტია:

— უკან დაიხიეთ, თუ თავი გებრა-
 ლებათ! როგორ გვიბედაეთ! ჭერ იკით-
 ხეთ, ვის ელაპარაკებით!..

— ვისაც არ უნდა ველაპარაკებოდეთ,
 ყმაწვილო! მეფის ბრძანებაა! ჩვენ ვალ-
 დებული ვართ შევესარულეთ!.. — მშვი-
 ლად უპასუხეს მას და სადავეში მოუ-
 რიდებლად ხელი უტაცეს. სხვა მოყა-
 რულეები ნინოს მისეოდნენ და მოუ-
 ლოდნელი დახვედრით დამფრთხალი
 და ენაჩავარდნილი ქალი ძირს ჩამოპ-
 ყავდათ. ალექსანდრემ სატევარზე გა-
 ისეა ხელი. მზად იყო, მოძალადეებს
 ზედ შეეკდომოდა, მაგრამ ვიდრე რაი-
 მეს მოასწრებდა, ხელჩართულ ომში
 გამოცდილმა მხედრებმა საკვირველი
 სიმარჯვით განაიარაღეს და კინწისკე-
 რით საყარაულო ჭიხურში შეეადგეს. ბა-
 ტონიშვილი ამოდ იბრძოდა, ამოდ იქ-
 ნევდა ხელ-ფეხს, ამოდ მიიწევდა ერთ-
 ერთი სულთამხუთავისაკენ, რომ მა-
 ჯაზე ეკბინა და როგორმე გასხლტომო-
 და, მაგრამ ვერას გახდა.

ნახევარი საათის შემდეგ ყიზილბა-
 შური ჩალმით თავშეკრულმა, თმაწვერ-
 გათეთრებულმა, სანდომიანი შესახედა-
 ობის ტანმორჩილმა დიდებულმა მოა-
 კითხა. ალექსანდრეს ის არასოდეს ენა-
 ხა და არც შეეძლო წარმოედგინა, ამ
 აშშორებული საყარაულო ჭიხურის
 ოთხკედელშუა თუ ბედმა ვისთან შეახ-
 ვედრა. უდიერი და უხეში მოლაშქრე-
 ებისაგან განსხვავებით, ცხარე ცრემ-
 ლით სახეგანბანილ ყმაწვილს დიდებუ-
 ლი კრძალვით მიესალმა და ბოდიშიც
 კი მოუხადა იმის გამო, რომ კარიბჭის
 მცველებმა თავიანთ უფლებას გაღაა-
 ტარებეს და მოსულთ ისე მოექცინენ,
 როგორც მოქცევის ნებაც მათ არ ჰქონ-
 დათ.

ალექსანდრემ უნდობლად შეხედა,
 მეტადრე ყიზილბაშურ ჩალმას დაადგა
 მზერა, დიდებულს თავზე რომ ეხურა

და ზედ ძვირფასი თვალი უბრწყინავდა, და ჩახლუჩილი ხმით მიახალა:

— სად არის ნინო? ახლავე აქ მომგვარეთ! ნინოს არაფერი დაუშავდეს! გესმით? თუ არა აქაურობას ცეცხლს მივცემ, ცოცხალს ერთსაც აღარავის დაგტოვებთ!

დიდებულს გაელიმა.

— ვინ არის ნინო, ყმაწვილო, რომელი ნინოს მოგვრას გვიბრძანებ?

— კარგად იცით, ვინც არის! ჩემი თანამეცხედრეა! ჩვენ ჭვარი დაგვწერა მღვდელმა. ამიერიდან არავის არა აქვს ნება, ერთმანეთს დაგვაშოროს!

დიდებული არ ჩქარობდა, ასაკისა და მდგომარეობის შესაფერ სიმშვიდესა და თავდაჭერილობას იჩენდა.

— ჭერ გაგვიზილივ, თავად ვინ ბრძანდები? ვისთან გვაქვს საუბრის პატივი? თუ ჩაცმულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ცოტა მეტი მორიდება უნდა გმართებდეთ.

— თავს ნუ იკატუნებთ და ნუ დამცინით! — ხმა აიმაღლა ალექსანდრემ. — თქვენი მსტორეები აღიდანვე კვალდაკვალ მოგვდევნენ. ნეტა რას ეძებენ?! რომელი მმარცველები ჩვენ გვნახეს! კარგად მოგხსენებათ, ვინცა ვარ! მე აქ დიდ მეფე ერეკლესთან მოვედი შემწერების სათხოვნად და თავის შესავედრებლად, სხვებთან არაფერი შესაქმება. გესმით თუ არა?!

— გვესმის, ბატონიშვილო ალექსანდრე. ჩვენც სწორედ მეფე ერეკლეს ბრძანების თანახმად გეახელით. თუ საწყენად არ მიიღებ, გესურს შევიტყოთ, ქართლში რა მიზნით მობრძანებულხარ?

ალექსანდრეს გული ყელში მოაწვა და ხმას ისევ აუწია:

— ბატონიშვილს აგრე არ ელაპარაკებია და მით უმეტეს აგრე არ ზედებიანი!

— არც თქვენ გმართებთ ჩვენს საბატონო ქვეყანაში ქურდულად შემოსვლა, მენაპირეების მოტყუება და თვალეზში ნაცრის შემოყრა! ასეთ სტუმარს სწორედ ასეთი დახვედრა ეკადრება!

ნუ ჭავრობ, ყმაწვილო, ჩვენ უკვე ყველაფერი გამოვიძიეთ, თქვენი მხლებლები ადვილად გატყდნენ და ყველაფერი წვრილად ჩამოგვიფქვეს. საჭიროა, გავიმეორო? თქვენ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ბრძანდებით და უთუოდ მოგხსენებათ, რომ ჩვენს მეფეს, ერეკლეს, და მამათქვენს, იმერეთის მეფე სოლომონს, საღვთო პირობა აქეთ შეკრული, რომ ერთმა მეორის მტერი არ შეიფაროს და თუ რომელიმე შეიფარებს, მართო იმისათვის, რომ დათქმულ ადგილზე თანამდგომს გადასცეს!..

— არა!.. — დაიღრიალა გამძინვარებული მამის ზელში ჩავარდნის წარმოდგენით შეძრწუნებულმა ალექსანდრემ. — არა, არა და არა!.. თქვენ მაგას არ იზამთ, ღმერთს არ გაარისხებთ!.. — და უმაღლეს მუდარაზე გადავიდა. — ღვთის გულისათვის!.. მე და ნინო არაფერში არა ვართ დამნაშავე! ვფიცავ ღმერთს, ბრავალზლის წმინდა გიორგის! მამაჩემის ღალატი გულში ერთხელაც არ გამივილია! არ მინდა ტახტი! უარს ვამბობ ტახტის მემკვიდრეობაზე! მე და ნინოს ერთმანეთი ბალობიდან გვიყვარს და ამ სიყვარულით ისარგებლეს მამაჩემის ავის მდომებმა, ღალატის გზაზე დაგვაცენეს!..

— აგრეც ვიცოდი. მანდ ავაზაკების ხელი ურევია. ვაი რომ შორს წასულხარ, შენთვის თავდადებული მამისათვის გულში მოწამლული ღახვარი ჩავიცია!

— ნუ ამბობთ მაგას!.. — ტყვიანაკრავით შეჰყვირა ალექსანდრემ და კალმით ნახატი სახე ჯოჯოხეთურმა ტკივილმა დაუმახინჯა. — ნუ ამბობთ მაგას, ნუ!.. ხომ ვთქვი, არა ვარ დამნაშავე! ბოროტმა კაცებმა შეგვაცდინეს, აქეთ გადმოვარდნაც იმათ გვირჩიეს. გვედრებით, გემუდარებით, ისე ნუ გადაგვცემთ მამას, მიმიყვანეთ მეფე ერეკლესთან!..

— მე ვარ, შეილო, მეფე ერეკლე. ნუთუ აქამდე ვერ მიცანი?

ალექსანდრეს სლოკინი აუვარდა, ენა

დაება, სახეზე ხელები აიფარა და ლეთი-
ური მადლით სახეგანათებული მოხუ-
ცის წინაშე, რომელთან შეხვედრაც წი-
ნათ სულ სხვა ფერებში ესახებოდა,
მუხლებზე დაემხო და თავი მის კალ-
თაში დამალა. ერეკლემ აცალა, ჯერ
არაფერი უთხრა, მერე თავი უკან გადა-
უწია და თვალებში ჩაბედა.

— გული მტკივა, შვილო ალექსანდ-
რე, რომ მამის მტრებს აპყვევი და სულ-
მოკლეობამ ასე დიდი დანაშაული ჩაგა-
დენინა. რა გაეწყობა, მომხდარს უკან
ვეღარ დავაბრუნებთ. რაკი გრძნობ ჩა-
დენილ დანაშაულს და მწარედ ნანობ,
კაცთმოყვარეობა გვიკარნახებს, ჩვენც
ღმობიერება გამოვიჩინოთ და დამსა-
ხურებელი სასჯელი შეგვიმსუბუქოთ.
გამოვიყენებთ მთელს ჩვენს გავლენას
სოლომონზე. არა გვგონია, გაგვაწმი-
ლოს, ოღონდ ახლავე უნდა დასდო პი-
რობა, რომ ეშმაკს ფიცით აღარ შეეკ-
ერი და მამის ნება-სურვილის მონა-მო-
რჩილი იქნები!

— ოღონდ მამასთან შეგვარიგე, დი-
დებულო მეფეო, ოღონდ გვაპატიოს...

— ახლა როგორა გეყავს სოლომო-
ნის თავი? აქ ამბავი მოგვიტანეს, მწო-
ლიარე ავადმყოფია და გარეთ ვეღარ
გამოდისო. შესძლებს კი ჩხერის ციხე-
ში ამობრძანებას ჩვენთან შესახვედ-
რად?

— ამდგარა, დიდებულო მეფეო, ჯარს
გამოდოლია და ჩვენს შესაპრობად
რაქაში წამოსულა. ჩვენ, მე და ჩემი
და თამარი, იქ ვაბიზნული ვიყავით. სა-
ცოდავმა დედაჩვენმა ეამიანობას მოგ-
ვარიდა. ბატონი მამა უეჭველად ჩაგ-

ვიგდებდა ხელში, რომ არ გამოვცქეუ-
ლიყავით. საკმაო ჯარი არა მყავდა. კი-
დევაც რომ მყოლოდა, მამასთან ოს
როგორ გავებდავდი!.. — ალექსანდრეს
გული ამოუჭდა, ისევ სლოკინი დააწ-
ყებინა და ეს ძლივს ამოთქვა.

ერეკლემ დაუხვავა:
— დაწყნარდი, რაც იყო, იყო, ტი-
რილით რალს მოეწევი. ოდიშის ბატო-
ნი კაცია რას იტყობინება? დახმარება
გითხოვია!

— არაფერს! ყურიც არ შეიბერტყა,
მეფეო. ერთხელ კიდევ დამატყია, რომ
მამაჩემზე ნაკლებ არც მე ვბოლავარ!

— ღმერთს მადლი უნდა შესწირო,
რომ არ შეიბერტყა. ის რომ შენი მო-
ციქულების ენას აპოლოდა და იმე-
რეთში ჯარით შემოსულიყო, აბა, ეგ
რას ივარგებდა!

— ალბათ, არ ივარგებდა, დიდებულო
მეფეო!..

— კაციას სწორედ სიბრძნე გამოუ-
ჩენია, ადგილიდან რომ არ დაბრუნლა.
ამისათვის მხოლოდ მადლობა ეკუთვ-
ნის. მაშ, ასე, შვილო ალექსანდრე. ნუ
აეჩქარდებით. ჯერჯერობით ვაცალოთ
მამას, თავად მიხედოს თავის საქმეს.
ჩვენ ამაღამვე გავგზავნით კაცს და
შენს აქ ყოფნას შევატყობინებთ. ხვალ
კვირა თენდება და პარაკლისს გადავიხ-
დით. მამის ერთგულებაზე დაიფიცებ!

— როგორც შენ გვიბრძანებ, დიდე-
ბულო მეფეო!..

— ახლა კი ერთად გავსწიოთ ამი-
ლახვრიანთა. შენს ნინოსაც იქ მოიყვა-
ნენ. სუფრა გაშლილია, ვახშმად გვე-
ლოდებიან!..

თავი ოროცდამეხუთი

ერეკლემ სიტყვა აღასრულა: ბატო-
ნიშვილი ალექსანდრე ლეთისმშობლის
ხატის წინაშე დააოქქეს, ხელში ანთე-
ბული საანთელი მისცეს და მამის, იმე-
რეთის მეფე სოლომონის, ერთგულე-

ბაზე დააფიცეს. ფიცის მიღებას უამ-
რავი ხალხი დაესწრო კველა წოდები-
სა. არ იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც
შეთქმულ ბატონიშვილს და მის სჯუ-
ლიერ თანამეცხედრეს იმერეთიდან

ქართლს მოჰყვა და ლტოლილები გორის ქარბჭემდე მოაცილა. ალექსანდრესა და ნინოს უკლებლივ ყველა მხლებელი მეფის მალემსრობებს აახლეს და იმავე ღამეს იმერეთში გაისტუმრეს, ბატონიშვილსა და მის თანამეცხედრეს კი სხვა მხლებლები მიუჩინეს.

სოლომონისაგან კარგა ხანს არაფერი ისმოდა.

მალემსრობები კვირის თავზე დაბრუნდნენ და ჯერ ისევ გორში მდგომ მეფე ერეკლეს იმერეთის ამბები მოუტანეს.

სოლომონს მთელი რაჟა და არგვეთი დაეღაშქრა, ბევრი სახლ-კარი დაეწვა და ნაცარტუტად ექცია, ერთგულ თანამოაზრეთა შემწეობით თითქმის ყველა შეთქმული შეეპყრო, სხვათა სანაცვლოდ მიძევლები წამოეყვანა და სატახტო ქალაქ ქუთაისში დაბრუნებულიყო. დარბაზის ერი შეთქმულთა საქმეს იძიებდა და, როგორც სარწმუნოდ ამბობდნენ, შეთქმულების მოთავეებს დაბორბლვა ან მარწუხზე წამოგება არ ასცდებოდათ. საქმის დაბოლოებას მართო ის აბრკოლებდა, რომ ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე — ბატონიშვილი ალექსანდრე, ვინც მისივე დასტურისა და სურვილისამებრ შეთქმულებმა მეფედ გამოაცხადეს, ერეკლეს კარზე იყო თავშეფარებული და სოლომონის ბოქაულებსა და ჩაფარ-იასაულებს იქამდე ხელი არ მიუწვდებოდათ.

იმერეთიდან გადმოსული მალემსრობები მარტო როდი იყვნენ. მათთან ერთად გორში სოლომონის ელჩები: თავადი ბერი ლორთქიფანიძე და აზნაური სულთამ ავალიანი მოვიდნენ და თავიანთი მეფე-ბატონის სახელით ტახტის მოლაღატე ბატონიშვილის გაცემა მოითხოვეს. ელჩებს არც შეფეებს შორის დადებული ხელშეკრულების სათანადო მუხლის მოხსენიება დავიწყებითა.

ერეკლე ორწყალშუა მოექცა. არც ის უნდოდა, საზეიმოდ დადებული პირობა დაერღვია და ჰირისა და ლხინის მოზიარე იმერთა მეფე სამუდამოდ მო-

ემღურებინა და არც ის სწაღდა, სხვათა ჩაგონებით გზას აცდენილი ახალგაზრდა ბატონიშვილი, ჯერ ისევ თავშევი, მამისათვის დაეთმო და ყმაწვილის დალუბვის უნებლიე თანამონაწილე გამხდარიყო.

— ნუ შემრისხავ, დიდებულო მეფეო, — გაუტყდა ერეკლეს ბერი ლორთქიფანიძე, როცა მარტო დაიგულა და საამისო დრო მოიხელა. — ჩემგნით ეს არ უნდა თქმულიყო, ვინაიდან სულ სხვა მიზნით გაახლეს ჩვენი თავი, მაგრამ ცოდვას მოვიკიდებ, გულახდილად რომ არ გამოეტყდე. ერთობ განრისხებული გახლავს ჩვენი კურთხეული ბატონი. ახლოს ველარავინ ვეკარებით. პირიდან ცოფს ყრის, ბოლმისაგან თვალი უბნელდება. შვილი თუ ხელში ჩაეუვდეთ, ვაითუ ცხელ გულზე სასიკვდილოდაც არ დაინდოს. ჩვენ ღმერთმა გვაშოროს და, ტახტი უმემკვიდრედ დარჩება. ძლივს ფეხზე წამოყენებულ ქვეყანას ახალი ცილობა და შინაური მიხტომ-მოხტომა საფლავს გაუთხრის!..

— ჩვენც აგრე მიგვაჩნია, თავადო ბერი, — დაეთანხმა ფიქრში წასული ერეკლე. — სოლომონი მართლაც მეტისმეტად გაფიცებულია, საბუთიცა აქვს ამისი, და შეიძლება იმგვარი რამე ჩაიდინოს, მერე სანანებელი გაუხდეს. მაგრამ რით შევძლოთ მისი სიფიცის დაცხრომა და ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება?

ბერი ლორთქიფანიძე საწყალობლად დაიღრჩვა, მზით დამწვარი სახე მთლად ნაოჭებმა დაუფარა.

— უნდა დაგვდო პატივი, მოწყალე მეფეო, ალექსანდრე პირადად გადასცე მამას იმ პირობით, რომ არაფერს ფუნებს. არა გვგონია, შეიკადროს და თქვენი დიდებულების სიტყვას გადავიდეს!

ერეკლე შეჰკოჭმანდა და მცირედი ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— ვაითუ მის საქმეში ჩარევად ჩავითვალოს ჩვენი მოწადინება. გამოცდილი კაცი ბრძანდები, შენ უკეთ მო-

სხსენება მეფე სოლომონის ხასიათი...
ერეკლეს სიტყვები ბერიმ თანხმობად მიიღო.

— დღესდღეობით არჩევანი არა გვაქვს, დიდებულო მეფეო. საქმე ტახტის კანონიერი და ერთადერთი მემკვიდრის სიკვილი-სიცოცხლეს შეეხება!

— ჩვენ გვინდოდა, ალექსანდრე ტფილის წაგვეყვანა და იქ გვეყოლიებინა. ამასობაში ჩვენს კარზედაც გაშინაურდებოდა და დროც საკმაო გავიდოდა. დრო, მოგვსენება, ყოველგვარი ტკივილის წამალია. შემდეგ მოლაპარაკებას გაემართავდით და მამაშვილს ავად ან კარგად შევარიგებდით. ახლა ისე გამოდის, საქმე გადადებას აღარ ითმენს, ალექსანდრე მამას უნდა დაეუბრუნოთ!

— უსიკვდილოდ, თქვენო უდიდებულესობავ. ბატონი მეფე უკვე ჩხერის ციხეში ბრძანდება და ელის, აქედან რა პასუხს მივუტანთ!

— მაშ, ვახსენოთ ღმერთი და ჩვენც ავიკრათ გულა-ნაბადი. შეხვედრა მაინც დათქმული გვექონდა. საგაზაფხულოდ, დიდმარხვაში, სამცხის ლაშქრობა არ აგვედება. მარბიელ ლეკებს იქ ბუდე გაუჩინეს და ძალიან გვაწუხებენ. აღარ არის სწორედ მოსვენება. ლეკების ამბავი რომ ვიცი, უკეთეს დღეში არც თქვენ ეყოლებით!

— სწორს ბრძანებ, მეფეო, გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს!

— ხელი ხელს და პირი პირს, ხუთშაბათს, ასე სამხრობისას, ჩვენი ამალითა და ალექსანდრეთი ჩხერის ციხეში ვიქნებით!

ოთარ ამილახვრის სასახლიდან, სადაც მეფე ერეკლე გორში ყოფნის მთელ მანძილზე იდგა და ციხის გამაგრებას მეთვალყურეობას უწევდა, ელჩები გამორჩეული პატივითა და გულუხვად დასაჩუქრებული გაისტუმრეს, ხუთშაბათამდე სამი დღე კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ ჩხერის ციხემდე მისვლას, თუ მიანიცდამიანიც არ იჩქარებდნენ, ორი დღე დასჭირდებოდა და

გამგზავრების თადარიგსაც ახლავე უნდა შესდგომოდნენ.

— ნინო, რა გახარო, ზეგანერეთში მივდივართ! — გამოუცხადა ბატონიშვილმა ალექსანდრემ, თანამეცხედრეს, რომელიც უამინდობის გამო შალში შეფუთვული ფანჯარასთან იჭდა და ფოთლებშეყვითლებულ ხეებს გაჰყურებდა. — ბატონი მეფე ერეკლე თავდებად გვიდგება მამასთან. ეს არის, თავადმა ოთარ ამილახვარმა შემატყობინა!

ქალმა დიდრონი ცისფერი თვალები ასწია და ვაქს მიაპყრო.

— რა იყო, ხომ არ გეშინია? — გაუცინა ალექსანდრემ, გვერდით დაუჭდა და აყირმიზებულ ლაწვზე ხელი სათუთად შეახო.

— გინდა, მართალი გითხრა? — უპასუხა ქალმა.

— მითხარი!

— ცოტა მეშინია.

— რის, ნინო?

— ბატონ მამას აგრე ადვილად ვერ დაიყოლიებენ. მე და შენ დიდი დანაშაული მიგვიძღვის! ჭერ უკითხავად ჭვარი დავიწვრეთ და მერე...

— გინდა, მეც მართალი გითხრა?

— აბა, რა!

— მე მეტი ლოდინი აღარ შემიძლია. ან ასე უნდა გათავდეს ეს საქმე და ან ისე! როდემდე დავიმალოთ? ამასობაში რომ მამას რაიმე მოუვიდეს, ხომ მე ვიქნები მისი მკვლელი!

— იქნები, ალექსანდრე!..

— მერე მაგას ასე ადვილად ამბობ? ნეტავი აქამდეც გავეზავნე მეფე ერეკლეს. ვეახლები საწყალ მამარქმს, ყველა ცოდვას გულწრფელად მოვიანნიებ და პატიებას ვთხოვ. თუ შემინდო, შეშინდო, თუ არა და ღვთის განაჩენს სად გავიქცევი, ისე მომექცეს მეც, რავარც სხვა შეთქმულებს მოექცევა. იმას მაინც აღარავინ წამოაყვედრებს, ალექსანდრე შეილობით დაინდოო.

ნალვლიან თვალებში ნინოს სიამაყის ცრემლი ჩაუდგა. მან ორივე ხელი

ყვრიმალებზე მოხვია ბატონიშვილს და გულზე მიიხუტა.

— დიდი ხანია, მეც ეგ მინდოდა შენთვის მეთქვა და ვერ გიბედავდი, არ ეწყინოს-თქვა.

ალექსანდრემ მაჯებში ჩაავლო ქალს ხელები და თავი გაითავისუფლა.

— ცოტა მეშინიაო, რომ თქვი?

— შენ გამოგცადე. მინდოდა შემეტყო, რას ფიქრობდი. არაფრისაც არ მეშინია! ოღონდ შენ გბედავდი!..

— მაგრამ ერთმანეთს რომ დაგვაშორონ?

— როგორ, ალექსანდრე?! მე ხომ ვიცი, სადაც არ უნდა დამიგულო, შენ მაინც ჩემთან მოხვალ. ვერაფერს დაგაკავებს. თუ არა და მე მოვალ შენთან! ჩვენ ხომ თვით ღმერთმა შეგვავერთა, ადამიანი, თუნდ მეფე, როგორ გაგვეყრის!..

საშშაბათ დილას მეფიონი გზას გაუდგა და იმავე საღამოს ქართლის სააბაშიოს მიადგინა. ღამე აქ, მეფის მოყვრებში, ვახუშტი აბაშიძის სასახლეში უნდა გაეთითა, ხოლო დილაადრიან უღელტეხილის ციცაბო აღმართზე დაკლავნილ საქარავნო გზას შესდგომოდნენ.

სურამის ქედზე თოვლი იდო. აწი არც ეგვიანებოდა. ზამთარს დაბლობშიაც ჩამოედგინა, ახალი აოშილი ყანები დაეთქორა, აქა-იქ გადაეთეთრებინა და სიყვითლემორეული ტყე ჩუმი შრიალითა და ტაკუნით შიშვლდებოდა.

მიუხედავად მეფის მოულოდნელი სტუმრობით გაბედნიერებულ მასპინძლების დაყინებულ პატიყის და ხვეწნა-მუდარისა, ნინო და ალექსანდრე ვახუშტად არ გამოსულან, ტანზეც არ გაუხსნიათ, მათთვის დათმობილ სანთიობოში ღამე თეთრად გაათენეს. მზე შუბისტარზე იდგა, როდესაც წვრილი ფიფქებით დათოვლილი თავჩალმინი ქალბატონი მეფე დედაბუდიანა ეზოში გამოეფინა მასპინძლებს გამორეშვიდობა, ალუთქვა, თუ ასე გაგახარათ ჩვენმა ნახვამ, იქიდანაც ჩამოგივლითო და მამა-

პაპული კაკლის ქვეშ მოკრძედილ ფეხებს ემაწვილური სინაჟქმით უნაგორზე მოექცა. გვირგვინოსნის მოყვრებმა და მათმა შინაყმებმა მხედრებს კიდევ დიდხანს მისდიეს, ვიდრე ვაკეზე მიმავალი მოკირწყლული გზა ფერდობს არ შეუყვავა და მეფეცა და მისი მცველი რაზმიც სანახევროდ ფოთლებგაცვენილ წიფლიანში არ მიიმალა.

ჩხერის ციხეში ლოდინით გულგადაღებული, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სასწაულებრივად მოლონიერებული, წვერმოშვებული სოლომონი, რომელსაც იმ სიცოცხლით სავსე სოლომონისა, ერეკლეს რამდენიმე წლის წინათ რომ ენახა, უკვე აღარაფერი ჰქონდა, ქართლ-კახეთის დიდებულ მეფეს ციხიდან მთელი საათის სავალზე მოეგება და როგორც კი ამოღმართში ამომავალ მხედრებს თვალი ჰკიდა, უმაღვე ცხენიდან ჩამოხდა და ერეკლეს შესახვედრად ქვეითად გაემართა. ასევე მოიქცა ერეკლეც. მხლებლებმა ორივე მხრივ ცხენები შეაყენეს, კარგა მოშორებით ჩამოქვეითდნენ, მეფეები კი ძმურად გადაეხვივნენ და ძველი ქართული აღათისამებრ ერთმანეთს მხარზე ეამბორნენ. ერეკლემ სამძიმარი უთხრა ერისა და სარწმუნოებისათვის დიდად გარჯილ დედოფალ მარიამის უდროო გარდაცვალების გამო, ქვეყნის მომსვრელი ყამიც გაიხსენა, ანუგეშა და იმერთა მეფის თანხლებდ დიდებულებს მოწიწებით განზე რომ იდგნენ და მისახლოებლად თავიანთ რიგს უცდიდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდა.

სოლომონი ადგილიდან არ იძვროდა. მეფე ერეკლეს მრავალრიცხოვან მხლებლებში, რომელთა შორის ცოტა როდი იყო ომებში სახელმწიფოებელი და ყმამაჟლის სიმრავლით განთქმული თვალი და აზნაური, თვალებით მის შემბრცხვენილ შვილს, ალექსანდრეს, და აბაშიძის ასულ ნინოს ეძებდა. ალექსანდრე და ნინო არ ჩანდნენ. ერეკლეს განზრახული ჰქონდა, შვილი და რძალი მასპინძელი მეფისათვის მოყვრულ სუფრასზე წარედგინა და თავისი უმორჩი-

ლესი თხოვნითაც ამერ-იმერი ქართველობის თანდასწრებით მიემართა. ქართლ-კახეთის მეფის მიერ გონიერულად მოფიქრებული ეს გეგმა, სამწუხაროდ, აქვე ჩაიშალა, რადგან სოლომონმა, შვილი და რძალი რომ ვერ დაინახა, გაიფიქრა, ერეკლე ჩემს თავის შესახებვად მობრძანებულაო და შუბლშეკრულმა უთხრა:

— მე აქ შეილს ველოდი, ალექსანდრეს, წინასწარი პირობაც ასეთი გვექონდა. კეთილი ინებეთ და მიბრძანეთ, მეფეო, სად არის ბატონიშვილი ალექსანდრე?

ერეკლე მიხვდა, შვილზე დღედაღამ ფიქრით გულადულებულ მამას სიტყვის ბანზე აგდებითა და მოჭარგული ენით ვერ დააშოშმინებდა და ამიტომ შეუფარავად უპასუხა:

— აქ გახლავს, ხელმწიფე! შენი უმაღლესობის მოწყალე ნებას უცდის, რომ მოვიდეს და ფეხებში ჩაგივარდეს! ოღონდ სანამ ეს მოხდებოდეს, დასდევ პატივი ჩვენს ქალარას და რაკი ასე გზა-შარბზე გვიხდება ესოდენ მნიშვნელოვან საგანზე საუბარი, ჩვენი ძმური შუამდგომლობა მოისმინე და შეიწყნარე!

— ბრძანე, დიდებულო მეფეო, — თქვა სოლომონმა და გულხელი დაიჭიდო. — მაგრამ ჩვენ წინდაწინ ვიცით, რაც უნდა გვთხოვო. როდის აქეთაა, რომ ჩვენს შვილს, ჩვენი უბიდან ამოფრენილს და ამ ხელებით გაზრდილს, მამასთან სხვისი შუამდგომლობა, თუნდაც ისეთი პატივსაცემი პიროვნების შუამდგომლობა სჭირდება, როგორც თქვენი ხელმწიფური უდიდებულესობა ბრძანდება? ჩემი შვილი დამნაშავეა მამისა და ტახტის წინაშე და პასუხიც სამეფოში ჩვენს მიერ შემოღებული კანონმდებლობის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს! კანონის წინაშე ყველა ერთი ვართ, ერიც და ბერიც, ყმაცა და ბატონიც. ეს თვით თქვენი უმაღლესობისაგან გვისწავლია. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება ავტრ გუშინ არ იყო?

გზა თითქოს მოჭრილი ჰქონდა, მაგრამ ერეკლე მაინც არ დაიბნა.

— ტახტის მამძიებელი პაატა ბატონიშვილი ბიძაშვილი გახლდა ჩვენი, დიდო მეფეო, — აულელებლად, ჩვეული ღირსებით განმარტა მან. — ალექსანდრე კი შენი უმაღლესობის ღვიძლი შვილია, ლიხთიმერეთის ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა. დიდი დევს აქ ზღვარი! ყურად იღე მისი უწლოვანება, ისიც, რომ შენი უმაღლესობის მიერ განაწყენებულმა პირებმა, არ დავასახელებ, ტყუილ-მართლის ბადეში გაახვიეს და ჩვენს შუამდგომლობასაც საფუძველმოკლებულად აღარ ჩათვლი!

სოლომონს აფართხალებული გული ყელში მოეჭინა. თავებრუ დაესხა. ქვეყანამ ქანაობა დაიწყო. ქვედა ყბის კანკალს ძლივს იოკებდა. ბოლოს თვალებში დახარა და დაღუშდა.

— მოიყვანეთ ბატონიშვილი ალექსანდრე და მისი თანამეცხედრე ნინო! — ბრძანა ერეკლემ.

მჭიდრო ჩგუფად შეკრულმა ქართლ-კახელმა მხედრებმა მიიწ-მოიწიეს და სულ უკან მდგომი ხელიხელჩაკიდებული ბატონიშვილი ალექსანდრე და ნინო მარტოდმარტო დასტოვეს.

— მამა!.. — დაიძახა ალექსანდრემ და, როგორც ადრე, პატარა ბიჭობაში, ომიდან დაბრუნებულ პირმოძლიმარე მშობელს რომ დაინახავდა, სოლომონისაკენ გამოიქცა.

— შვილო! — ძლივს გასაგონად აღმოხდა სოლომონსაც, უზომოდ მონატრებულ ალექსანდრეს ხელები შეაგება, მისი თავი გულზე მიიკრა და რამდენიმე წამს ასე გარინდებული დარჩა. ალექსანდრე ყრუდ, გულამომჭდარი ქვითინებდა, მამას კაბას ცრემლით უსველებდა და ლამობდა მუხლებზე დამხობილიყო, რათა სათაყვანებელი ადამიანისათვის, მუდამ უებრო ვაეკაცობის, რაინდული პირდაპირობის, სამართლიანობისა და კაცთმოყვარული შემწყნარებლობის მაგალითად რომ ეჩვენებოდა, კალთები დაეკოცნა და პატიება

ეთხოვა. სოლომონს ღონიერი ხელე-
ბით ეკავა შვილი, ამის საშუალებას არ
აძლევდა, ცოტა ხნის შემდეგ კი გაბზა-
რული ხმით ჰკითხა:

— ეს ასული ვინ-ღა მოგიყვანია?

ალექსანდრემ შუბლი მოაშორა მამის
მკერდს, ცრემლით დასველებული სახე
მოიწურა, უკუდგა და შეცივრულ ნიბ-
ლია ჩიტივით აბუზული თავისი ნინო
ახლა-ღა მოაგონდა.

— ეს... გიორგიტა აბაშიძის ასულია,
ბატონო მამა, ნინო, ჩემი სჯულიერი
თანამეცხედრე!..

— აბა, შენი სჯულიერი თანამეცხე-
დრე... — გაიმეორა სოლომონმა, მაგ-
რამ მისი გამოთქმის კილო გაურკვევე-
ლი იყო. ამ კილოში უწყინარი დაცინ-
ვაც ისმოდა და განუმეორებელი შშო-
ბლიური სინაზეც. — მოდი, შვილო,
ნინო, შენც მოდი. ახლა მაგონდები.
რა დიდი ქალი გაზრდილხარ!..

ნინო მიეახლა, გვირგვინოსანი მამამ-
თილის წინაშე თავი მორჩილად დახა-
რა და სიცივისაგან გაცრეცილ ტუჩებს
თავი ძლივს მოუყარა:

— თქვენი გულმოწყალების იმედიო
მოკბედეთ, ბატონო მამა. ალექსანდრეს
და მე კარგად გვესმის, რა ბრალიც მი-
გვიძღვის და ორივე შხად ვართ, ყველა
სასჯელი უდრტყინველად მივიღოთ!..

— მაგას რალა ჯობს, თუკი ვესმით,
— კვლავ გაურკვეველ კილოზე წარმო-
თქვა სოლომონმა. — თავადო ბერი!
— დაიძახა შემდეგ მკაცრად და რო-
გორც კი ბოქაულთუხუცესი და კარის
გამე ბერი წულუკიძე იმერელ დიდე-
ბულთა ჯგუფს გამოეყო, შეიღსა და
რძალზე მიუთითა. — დააბატირე და
წაიყვანე ესენი! დარბაზის ერი მიუდ-
გომლად გადაწყვეტს სასჯელის ზომას,
ჩენი კეთილისმყოფელი დიდებული
სტუმრის მამაშვილური შუამდგომლო-
ბაც, სხვა რა ღონეა, მხედველობაში
იქნება მიღებული, ახლა კი გაგვიძეხი
და შენებურად გვიმასპინძლე. ძვირფას
თანამომხეთ ნუ ვფიქრებინებთ, იმერ-
ლები მთლად დამშეულან, კბილით გა-
საკვნეტი აღარაფერი აბადიათო!

მეფეების საქმიანმა სჯაბაასმა და
მოლაპარაკებამ ორ დღეს გასტყნა სო-
ლომონს გულით ეწადა, გვირგვინოსანი
სტუმარი და ქვეყნის ბურჯი მეფე
ერეკლე სატახტო ქალაქ ქუთაისში მი-
ეწვია და იქ მისი შესაფერი დარბაზო-
ბა გადაეხადა, მაგრამ მალე იძულებუ-
ლი გახდა თავის სტუმართმოყვარულ
განზრახვაზე უარი ეთქვა, ვინაიდან,
იმერთა მეფის კარზე ერეკლეს სტუმ-
რობა უეჭველად არასასურველ მითქ-
მა-მოთქმას გამოიწვევდა, რაც კონს-
ტანტინოპოლს შეეძლო ხელზე დაეხვია
და ახალი ანგარიშსწორებისათვის მიე-
მართა.

სამცხეში ლაშქრობის მოწყობა და
ურჯულო ოსმალთაგან იარაღის ძალით
მიტაცებული ქართული მიწების სამ-
შობლოსათვის შემოერთება ორივე მე-
ფემ გადაუდებელ საქმედ მიიჩნია. სამ-
ცხეში დაუყოვნებლივ უნდა შეჭრილი-
ყვნენ, როგორც კი საამისოდ ხელს მო-
იწყობდნენ და რუსეთიდან სათანადო
დასტური მოუვიდოდათ. ამ მიზნით გა-
დაწყდა, ელჩები გაეგზავნათ კრემენ-
ჩუგში, სადაც იმპერიის კანცლერი, ხე-
ლმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს უპირ-
ველესი მრჩეველი თავადი პოტიომკინი
იღვა და თავიანთი საბოლოო გადაწყ-
ვეტილება შეეტყობინებინათ. ქუჩუკ-
ყაინარჯის საზავო ხელშეკრულების
დღების დღიდან უკვე წლები იყო გასუ-
ლი. ხელმწიფის კარი ახალ საბაბს ეძე-
ბდა პორტატან ომის დასაწყებად, რა-
თა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი
სანაპირო ხელთ ევდო და ყირიმიდან
თათრები ერთხელ და სამუდამოდ განე-
დევნა. ქართველი მეფეები უკეთესს
რას იზამდნენ, თუ თურქული ნახევარ-
მთვარის წინააღმდეგ იარაღს პირველნი
აღმართავდნენ და თავიანთი მამა-პაპის
საცხოვრისის შემოსაერთებლად საღვ-
თო ომს გამოაცხადებდნენ! ერთმორწ-
მუნე რუსეთი, დიდი ჩრდილოელი მე-
ზობელი, კვლავაც აღიარებულ იქნა
ერთადერთ მისანდო ქვეყნად, ვისთანაც
სამეგობრო კავშირ-ურთიერთობის გა-
ც-

ხოველებას ორთავე საქართველოს კეთილდღეობა მოითხოვდა.

კათალიკოსმა მაქსიმემ, რუსეთში არა ერთჯერ ელჩად წამყოფმა და რუსეთის ასავალ-დასავალის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ მიჩნეულმა პირმა, რომელიც მოლაპარაკებას ესწრებოდა და მეფეებს საქირო ცნობებსაც აწვდიდა, საკუთარი თვალსაზრისის დაუფარავად გამოთქმა დღეს უადგილოდ ჩათვალა და მუხლობრივ ჩამოყალიბებულ შეთანხმებას, მას შემდეგ რაც მეფეებმა ხელი მოაწერეს, საკათალიკოსო ბეჭედი და ხელრთვა უყოყმანოდ დაუსვა.

სოლომონი ამას არ მოელოდა. ეგონა, კათალიკოსის მხრივ ჭიჭურ წინააღმდეგობას წაეაწყდებოდა, რასაც, შესაძლოა, გამოძახილი ერეკლეს თანმხლებ ქართლ-კახელ დიდებულთა შორისაც ეპოვნა, მაგრამ როდესაც ეს არ მოხდა, მაქსიმესადმი უაღრესი მადლიერებით განიძსჯალა და მის გამონათქვამებს წამდაუწყებ იმორწმებდა.

კვირა დილას მეფეებმა ერთტრთს კიდევ ერთხელ აღუთქვეს, რომ ჩხერის ციხეში დადებული ყველა პირობა შედმიწვევითი სიზუსტით შესრულდებოდა და კვლავ მალე შეხვედრის იმედით გაიყარნენ. ერეკლემ თავისი ამალითა და მცველი რაზმით გეზი ქართლის სააბაშიოსაკენ აიღო, ხოლო იმით გულდამშვიდებულმა სოლომონმა, რომ გარდუვალობის წინაშე მარტო დარჩენილს ძნელად შემოსავლელი ამბების გადაწყვეტა მართებდა, ჩხერის ციხეში ახალი მეციხოვნეები ჩააყენა და უკლებლივ ყველასთან დაუბრებული თავქვე დაეშვა.

სამხრობა მოტანებული იყო, ძირულის ხეობაში რომ გადავიდნენ, სერზე შეფენილი, საკვამურ მილებამდე თოვლში ჩაფლული მთის პატარა სოფელი რომ ჩაათავეს, წყალში ცხენდაცხენ გათქიფინდნენ და უბისის ტაძრის მაღალ გალავანს მიადგნენ.

მეფემ აქ შეჩერება და წირვის გადახდა ინება. ტაძრის ზარების სადღესასწაულო გუგუნში მან პირჯვარი გადაი-

წერა და რკინის სქელი ფურცლებით შეჭედილი ფართო კარიბჭის წინ, ცხენნიდან ჩამოხდა. საღიაკნოდ წვერმოშვებულმა ახალგაზრდა გლეხის ბიჭებმა წინ ჭრელ-ჭრელი ფარდაები გაუშალეს. აქედან ყურთამდე გაღებული საყდრის კარი და ანთებული სანთლებით გაჩახახებულო, ოქროსფრად მოელვარე საკურთხეველის ხატები მოჩანდა.

— თავადო ბერი, ალექსანდრე მომგვარეთ! — ბრძანა უცნაურად გულაჩქროლებულმა მეფემ, როგორც კი გალავნის კარიბჭეს გასცდა და ეკლესიის ზარებმა საზეიმო გუგუნს მოუმატეს.

— აქ გახლავარ, ბატონო მამა! — ბერი წულუკიძის მაგიერ უპასუხა თვით ბატონიშვილმა ალექსანდრემ და თვალის დახამხამებაში მეფის გვერდით გაჩნდა.

— სად არის შენი ნინო, მამის ლოცვა-კურთხევის მიუღებლად თანამეცხედრედ რომ გამოაცხადე?

ბატონიშვილს ავად ენიშნა მამის სიტყვები და მის მკაცრად მოკუმულ ტუჩებზე ათამაშებული მწარე ღიმილი და ქრუსანტელმა თავში რომ დაჰკრა, ფეხის წვერამდე გაუარა.

— ნინო!.. — ძლივს დასძრა ხმა მან და ერთი ნაბიჯის მოშორებით მომავალ ყმაწვილ თანამეცხედრეს ხელი წააშველა. — ბატონ მამას შენი ნახვა ნებაეს!..

ახალშეუღლებულთ სოლომონი შუაში ჩაუდგა და სანთლებით გაჩირაღდნებულ, საკმევლის მჭრქალი კვამლით დაბურულ ტაძარში ერთად შეაბიჯეს. აქ კიდევ ერთხელ გადაიწერეს პირჯვარი, მუხლებში ჩაიხარნენ, მოკლე ლოცვა წაიბუტბუტეს და თავები მდებლად დახარეს. კედლიდან ჩამოსული ანგელოზივით თვალბეციმიცმა ბიჭუნამ სანთლები მოურბენინათ. მეფე ბავშვს შუბლზე ეამბორა, სანთლები ჩამოართვა, თითო შვილსა და რძალს მისცა, ერთი კი თავისთვის დაიტოვა. სამღვდელოება და გუნდი ხმამაღალი ვალობით ეგებებოდა ქვეყნის მბრძანებელ მეფესა და მის მემკვიდრეს.

— ვინ უნდა იყოს აქ საყდრის დე-

კანოზი? — გადაულაპარაკა სოლომონ-მა ბერი წულევიძეს, ბატონიშვილ არჩილთან და თავად ქაიხოსრო აგიაშვილთან ერთად მეფეს კვალდაკვალ რომ მოსდევდა, და მოკიდებულ თაფლის სანთელი სხვა ანთებულ სანთლებს შორის ოქროცურვილი შანდლის კიდეზე დაამაგრა.

გარეშემო, ვინც ეს შეკითხვა გაიგონა, ყურები სცქვიტეს.

— გნებავს, დავაძახებინო? — უჩუროხულა ბატონს ბერიმ, რომელმაც მისი განზრახვისა არაფერი იცოდა და არც შეეძლო ცოდნოდა.

გამორკვეა, რომ ოთხმოცდაათ წელს მიტანებული დეკანოზი ლაზარე შვალბლიშვილი ლოგინად იყო ჩაჯარდნილი და მის მოვალეობას დროებით მღვდელი ბიქტორ შველიძე ასრულებდა. სანამ ყველაფერ ამას მეფეს მოახსენებდნენ, სადღესასწაულოდ შემოსილი მამა ბიქტორი ხელმწიფეს წარმოუდგა და მდაბალი თავის დაკვრით თავყვანი სცა.

— დაგვლოცე, მამაო! — წყნარად მიმართა მას სოლომონმა.

შემკრთალმა მღვდელმა, ნეტავი რა საქმის გამო მომიხმოო, მოკლე ლოცვა ჩააბულბულა და ჭერ მეფესა და შემდეგ ბატონიშვილ ალექსანდრეს, ბოლოს კი ნინოს ჭვარი გადასახა.

სოლომონი აქეთ-იქით იუყრებოდა.

— სად არის აქ ემბაზი? ბაღლებს სად ნათლავთ?

მღვდელი ცოტა არ იყოს დაიბნა. ეგონა, მომეყურაო, რადგან ამასობაში უწმიდესმა კათალიკოსმა მაქსიმემ წირვა დაიწყო, აქ მოსანათლავს კი ვერავის ხედავდა.

— ჩვენ კვითხეთ, ემბაზი სად გიდგათ-მეთქი, ბაღლებს სად ნათლავთ? — ცოტა უფრო მკვახედ გაუმეორა კითხვა სოლომონმა.

— აქეთ, დიღო მეფეო, პატარა სენაკია... — მიუგო კიდეც უფრო გაკვირვებულმა მღვდელმა, რაკი შეატყო, ხელმწიფე ემბაზს კითხულობსო.

— გაგვიძეხი, ჩვენ სამს გვირდა ის სენაკი ვნახოთ!

საწყალი მღვდლის თავში ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი და ეჭვი გაჩნდა. რა ედო გულში მწყალობელ მეფეს? რისთვის დასჭირდა ზამთარ-ზაფხულ ქონის სანთლით განათებული დახუთული სენაკი, სადაც ახალდაბადებულ ყრმებს ნათლავდნენ? ფიჭრის დრო უკვე აღარ იყო. დაბნეული მღვდელი ბატონს წინ გაუძღვა. გზადაგზა მლოცველთ ხელეშით ანიშნებდა, გვერდზე მიდევითო და ისინიც, დამფრთხალნი, კედლებს აწყდებოდნენ.

— გესურს რძალი მოენათლოთ, — ემბაზის წინ ბრძანა მეფემ და მღვდელს თვალი გაუწვორა. — ახლაც გაამზადე, მამაო, ყველაფერი, რაც საჭიროა. ჩვენ უკვე მზად ვართ!

გაოგნებული მღვდელი დაფაცურდა. ტაძრის სველ კედლებში დატანებული ნიშებიდან ბაეშვის მოსანათლავად საჭირო საგნები: ოქროს პაწაწინა ჭვრები, თეთრი ნარმა, თაფლის სანთლები, ბარძიმი და მირთნი გადმოიღო, კედელთან მიდგმულ ქვის მაგიდაზე სათითაოდ დააწყო და სტიქარი გადაიცვა.

გაფითრებულმა ახალგაზრდებმა ერთმანეთს შეხედეს. ნინო ერთხელ უკვე იყო მონათლული ქრისტიანული წესით. მაშ, რად სჭირდებოდა მეორედ მონათვლა, ისიც ასე უცნაურ ვითარებაში?

— წყალს მოიტანენ, დიღო მეფეო, — მიმჭარალი ხმით თქვა ხუცესმა და სახელოების გადაკაპიწებას შეუდგა. ეტყობოდა, ნათლობის დროს არ იმოსებოდა და ოქრომკერდით ამოქარგული მოუხეშავი სადღესასწაულო სამოსელი თავისუფალ მიმოზრასა და უთვალავჭერ გამეორებულ, დაზებირებულ მოძრაობებს უშლიდა. — გვიბრძანე, ნათლიები ვინ იქნებიან?

— აგერ... — სოლომონმა მზერა შეიღს დაადგა. — ბატონიშვილი ალექსანდრე სცხებს მირონს. სხვა ჩვენ არავინ მოგვიპატივია!

ოქროს პაწაწინა ჭვრებისაკენ წაღებული ხელი მღვდელმა პირზე იტაცა

და თვალები რამდენჯერმე დაახამხამა, ეს რა მესმისო.

— მამა!... — საწყალობელი ხმით დაიბლაღლა ალექსანდრემ, მუხლებზე დაეცა და მეფეს ფეხებზე მოეხვია. — ნუ დაგვლუპავ, შენი ჭირიმე, ნუ გაგვიმეტებ, ნუ დაგვაშორებ ერთმანეთს!.. ამას ხომ თვალების დათხრა ჯობს. უბრალოდ, თვალები დამთხარონ, ან სულ მომკლან!..

ნინოც მოეგო გონს და მიხედა, რაც ხდებოდა. ნათლობის შემდეგ ის და ალექსანდრე უახლოეს ნათესაებდად ჩათვლებოდნენ და მათი ცოლ-ქმრული კავშირიც დაუყოვნებლივ დაირღვეოდა, მაგრამ ყოველივე ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად ხდებოდა, რომ თავზარდაცემულ ქალს ველარც ხმა ამოელო, ველარც რისამე მომოქმედებას ახერხებდა. სამუდამო განშორებისათვის განწირული ახალგაზრდა ცოლ-ქმრის წრესგადასული მღელვარება მოხუცებულ მღვდელსაც გადაედო. მას ხელები უკანკალებდა და საქმეს აჭიანურებდა, იქნებ კურთხეულ მეფეს რისხვამ გაუაროს და ამ თავისი არაადამიანური განაჩენის აღსრულებაზე უარი თქვასო.

— მამა!.. ბატონო მამა!.. შენი ჭირიმე, მამა!.. — ბატონიშვილი ალექსანდრე უკვე ამოდ ლამობდა როგორმე მოენადირებინა მშობლის გული. — შე-

იბრაღე ჩვენი სიყმაწვილე!.. შენც ხომ იყავი ახალგაზრდა, შენც ხომ დაგვარეს!.. ნუ გაგვიმეტებ, ნუ ჩადგები ჩვენს საცოდაობაში!..

— არა! — ზიზღით მოსტრა სოლომონმა და შვილი, მის წინაშე თავს რომ ასე უსაზღვროდ იმცირებდა და პიროვნულ ბედნიერებას კბილებით ეჭიდებოდა, ხელის კვრით მოიცილა. — ვთქვი და გავათავე! ადგი მირონი სცხე შენს ნინოს! დღეის ამას იქით ნათლია და ნათლული იქნებით!..

— წაფწყდებით, მეფეო, — აღმოხდა მღვდელს. — ამ სისასტიკეს ღმერთი არ გვაპატივებს!..

სოლომონმა კოპები შეიკრა და თვალები დააბრიალა. კიდევ ერთი სიტყვა და მისი რისხვა ამ საწყალ ხუცესსაც თავს დაატყდებოდა.

— ხმა! ჭქმენ, რაც გვეალება!..

ალექსანდრე ლასლასით წამოდგა, ძალღონეგამოღულულმა ძლივს მიიღწია იმ ადგილას, სადაც მიწისფრად გადაქცეული და დამუნჯებული ნინო იდგა. უნდოდა, უკანასკნელად მოხვეოდა; გულში ჩაეკრა და გამოთხოვებოდა, მაგრამ ქალის მომღურავ თვალებს და ლაწვებზე ღვარად წამოსული ცრემლის შეხედვას ველარ გაუძლო, მირონში საჩვენებელა თითის წვერი ამოურია და უსასაო ჭკითინით გულამოქდარმა სახეზე შეახო.

ავილოვი

სამცხეში ორჯერ ილაშქრეს. მეორე ლაშქრობასას აწყურის ციხე ხელთ იგდეს, ახალციხეს ალყა შემოარტყეს, ერთი მესამედი ჯარი იქ დასტოვეს, ორი ნუსამედი კი თან იახლეს და მტკვრის ზეობას აღმა აუყვნენ. ბევრი სოფელი პურმარლით ხვდებოდა თავიანთ გამაჯავსუფლებელთ. თავგამოდებული წინააღმდეგობა მაინცდამაინც არსად შეხვედრათ. ზედიზედ დანებდნენ ასპინ-

ძის, ხერთვისისა და თმოგვის ციხეები. ერეკლემ გოგაშენის ვაჟებს ააღწია და ჯარი აქედან ნაკლებად დაცულ ახალქალაქზე წაიყვანა. სოლომონი თავისი ათი ათასი კაცით ახალქალაქისაკენ ჯავახეთის მტკვრის ხეობით მიიწვედა, მრავალი ზარბაზნით გამაგრებულ ახალქალაქის ციხადელს მდინარის იწროვბიდან უნდა მისდგომოდა, კედლების ქვეშ ნაღმები ჩადო და თითქმის ორი

ათასი კაცისაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარისათვის უკან დასახვეი გზა მოეპარა.

მეციხოვნეები თავს გააფთრებით იცავდნენ. მოალყე ამერ-იმერთ მიახლოებისთანავე ზარბაზნები და ზამბულაკები დაუშინეს და ზარალიც საგრძნობი მიაყენეს. მტრისაგან აროდეს აღებული ციტადელის ბედი მაინც ბეწვზე ეყიდა. ახალციხის რაბათში გამოკეტილი კაპულან-ფაშა იბრაჰიმი ახალქალაქელებს ვერაფრით ეხმარებოდა. ეს კი არა, თვადაც ძალზე უჭირდა. მოალყეები არც დღე ასვენებდნენ და არც ღამე. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ციხეში მათი შემოჭრა და ხელჩართული ომის გაჩაღება. სამადგიროდ, მთელ სამცხეში ერთბაშად გავრცელდა ცნობა, რომ საფაშოდან გიარული გურჯებისა და აჩიკ-ბაშების გასადევნად თვით არზრუმის სერასკირი მოისწრაფვის ორმოცი ათასი კაცისა და არტილერიის თანხლებით. ახალქალაქი და მისი ციტადელი ჯერ ისევ ავარიანთა ხელთ იყო. მეფეები უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ, ახალციხის ალყაც კი დაასუსტეს, რომ ციხის კედლებზე გადამწყვეტი იერიში მიეტანათ და არზრუმიდან წამოსულ სერასკირს ახალ ზღუდეზე გამაგრებული დახვედროდნენ.

ნაშუალამევს სოლომონმა თავი შეუძლოდ იგრძნო. ჯაქრისაგან, ახლა არ დამცესო, თვალზე რული აღარ მიეკარა. სიციხით გათაკარებული სენს არ შეეპუა, არც არაფერი გაამხილა და ინათლა თუ არა, მოხალისეებისაგან შეგროვილი ხუთასკაციანი რაზმი, როგორც დათქმული იყო, იერიშზე თავად წაიყვანა. სათოფურებიდან ტყვიასა და ფინდისის წვიმა დააყარეს. უკან დახვევა და მუხთალი მტრისათვის ზურგის ჩვენება არაღეს უფიქრია. იმერთა მეფის დროშა უკვე ციხის ბურჯებთან ფრიალებდა, სიდაც წინასწარ გამზადებული კაბეები მოქონდათ და გლუვ კედლებზე ადგამდნენ. გაფიცებულ ომში სოლომონი ცხენიდან გადმოვარ-

და და გრძნობა დაჰკარგა. ახლო მყოფთ ეგონათ, რომ იგი მტრის ტყვიის მსხვერპლი შეიქნა. ჯარში მეხივით ვავარდა ხმა, მეფე სოლომონი მოგვიკლესო. ამ ხმამ მოიერიშეებზე საბედისწერო გავლენა მოახდინა. მოიშალა მათი მარცხენა ფრთა, რომელსაც სოლომონი სარდლობდა და ზედ ციხეზე მისული ერეკლეც იძულებული გახდა სასწრაფო უკანდახვევისა და სახუნდარებში დაბრუნების ბრძანება გაეცა.

სულთმობრძავი სოლომონი ოფლში ცურავდა. დასტაქრებმა გულდასმით გასინჯეს და არა თუ ნატყვიარი, განაყაწრიც ვერსად აღმოუჩინეს. ეტყობოდა, გვამში ჩაბუდებულმა წყეულმა სენმა თავი ისევ იჩინა და უკანასკნელ წუთს, როდესაც სამკედრო-სასიცოცხლო ომი ქართველ მეფეთა სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო, მუხლი მოჰკეთა.

მეფეს გონი მხოლოდ მეოთხე დღეს, ოძრხის ციხესთან დაუბრუნდა, როცა საკაცე ძირს დადგეს და წარუმატებელაშქრობაში საგრძნობლად შეთხლებული, დაღლილ-დაქანცული და მშიერი ჯარი მდინარის პირას ხემსის გასატებად შეჩერდა. შემოეხვივნენ სარდლები და სხვა დაახლოებული პირნი. ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ავი სენისაგან ღონეგამოცლილმა მეფემ თვალი ისევ სასწაულმტრისად გამოაჩილა და ერის საიმედოდ სული ჯერ კიდევ ედგა.

შინ არანაკლებ თავზარდამცემი ამბავი ელოდა. ბატონიშვილ ალექსანდრეს პირიდან სისხლი წასკდომოდა და ძლივს მოგბრუნებინათ. ეს ოძრხეში უკვე იცოდნენ და მოლაშქრეები ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ. ზოგი სოლომონს ამტყუნებდა, ნამეტანი ანჩხლი კაცია, შვილი ხელისძალათი დაღუპაო, სხვები ბრალს ბატონიშვილს სდებდნენ, სულმა წინ წაუსწრო და მამის ტახტის ხელში ჩადგება ნადრევედ მოინდომაო.

ნინოსთან განშორების შემდეგ უცნურად შეეკლიო, გულწიათბობილი და

მამის ყურმოჭრილ მონად გადაქცეული ალექსანდრე, სათაყვანო არსებასთან გაყრის დღიდან რომ აღარც ამ ქვეყნისა იყო და აღარც იმ ქვეყნისა, შინაურისა და გარეულის თვალწინ სანთელივით ილეოდა და ყოველი თავისი გამოჩენით უბედურ მამას სატანჯველს სატანჯველზე უმატებდა. აქიშებს ხელი ჩაქნეული ჰქონდათ, მეფეს კი არაფერს აგებინებდნენ. სოლომონი მშობლის უტყუარი ალლოთი გრძნობდა, რა განსაცდელიც ელოდა, მაგრამ მაინც ჭიუტად იმედოვნებდა, იქნება ღმერთმა მთლად არ გამოწიროს, ტახტის შემკვიდრე შვილი შემარჩინოსო და რაც კი რამ ძვირფასი და თვალმისაჯალი ებადა, ეკლესია-მონასტრებს შესწირა. ქვეშევრდომებისაგან ნამალევად ღამეებს ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი ლოცვაში ათენებდა და მერე ფეხაკრეფით თავს წაადგებოდა მძინარე ალექსანდრეს, სულგანაბული მიაყურებდა, ხომ სუნთქავსო. ბატონის გულმხურვალე ლოცვა-ვედრებისა და მოუხევენარი წრიალის შემსწრე და ერთადერთი მოწმე ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიჩეაძე იყო, რომელიც თან-შეზრდილმა მეფემ სასახლიდან რამდენჯერმე დაითხოვა და შინ, უპატრონოდ მიტოვებული კერის ფეხზე წამოსაყენებლად გაგზავნა, მაგრამ ნიკოლოზა ამდენჯერვე უკან მობრუნდა და კვლავინდებურად გვერდიდან აღარ შორდებოდა.

ყოვლის მხილველი ღმერთი უფრო რომ არ გაერისხებინა და შვილს ტანჯვა ოდნავ მაინც განელებოდა, სოლომონმა დანარჩენ შეთქმულთ სასჯელი შეუმსუბუქა. სიკვდილი არაეის მოსწევია. სისხლი არც სხვა მხრივ დაღვრილა. პაპუნა წერეთელს სახლთუხუცესის სახელის ჩამორთმევა აკმარა, მაგრამ ეს სახელო მის მოსწრებულ ძმისწულს, კაცია დადიანის ღალატით დაღუპული ქაიხოსროს ძეს, ზურაბს უბოძა. დავით აბაშიძესა და თამაზა მესხს ყმა-მამული და დარბაზის წევრობა წაპკვარეს და ოჯახებითურთ იმერე-

თიდან გააძევეს. იმერეთიდან გაძევება მიესაჯა აგრეთვე ერისთავყოფილ კოცხტომის შვილებს — გიორგისა და ნაბერალ მეთოდეს, რომლებიც დიდი ხანია უკვე ოსმალეთში ცხოვრობდნენ და სულთან მუსტაფას მხარდაჭერის მოსაპოვებლად თავს იმერთა მეფის დაუძინებელ მტრებად აცხადებდნენ. მღვდელმთავრობიდან გადააყენეს და ეკლესიისაგან განკვეთეს შეთქმულების ერთ-ერთი შთამაგონებელი და სულსჩამდგმელი ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი. ღრმად მოხუცებულმა, ძველებურად პატივმოყვარე და ფიცხმა დანიელმა ამ დამცირებას ველარ გაუძლო, საეკლესიო კრებას კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქთან დაბეზლებით დაემუქრა, ერთხელ კიდევ დასწყევლა სოლომონი და მისი ეშმაკეული მოდგმა, ხელში მათხოვრის ჯოხი დაიკავა და ქუთაისიდან უგზოუკვლოდ გადაიკარგა. წვრილ-წვრილი სასჯელები ჩამოურიგეს ფეხს აყოლილ ციხიან და უციხო აზნაურებს, შეთქმულთ ნებით თუ ენებლიეთ რომ თანაუგრძნობდნენ და ტახტის საწინააღმდეგო ქმედებაში თავიანთი წილი ეღოთ.

ცხენზე შექდომა სოლომონს, რალა თქმა უნდა, აღარ შეეძლო. მისი ცხენი ნიკოლოზას მოჰყავდა საკაცის უკან და მკლავზე წამოკმულ სადავეს მხოლოდ მაშინ თმობდა, როცა ვისმე შეენაცვლებოდა და მხარს საკაცეს შეაშველებდა. ბანაკი უკანასკნელად კაქასხიდზე დასცეს. ქაიხოსრო ავიაშვილისა და ბატონიშვილ არჩილის დახმარებით სოლომონი ფეხზე წამოდგა, წყლის პირზე ჩავიდა, ლოდზე ჩამოჯდა და ღრმად დაფიქრებული მთის ბროლივით გამჟვირვალე მორევს ჩააცქვრდა. მაშინ გაბედა სწორედ ბატონიშვილმა არჩილმა და მოიარებით ალექსანდრეს ამბავი გაუმხილა.

სოლომონს ზაფრანის ფერი დაედო სახეზე.

— სიმაართლე მითხარი, არჩილ, ცოცხალია თუ უკვე მიმუხთლა ბედმა?

— ცოცხალია, სოლომონ, ცოცხალი.

ნუ გეშინია!.. — აჩქარდა არჩილი, ცრემლი ნამალევად მოიწმინდა და ძმას ხელი წაატანა, წამოდგომაში მოეხმარა.

— იოსებები თავზე ადგასო...

— ვინ იოსებები?

— იესე, ჩვენი ძმა...

— აჰ, იესე!.. უბრძანე, ცხენი მომგვარონ!

— არა, სოლომონ, ვერ შეიძლება!

— შევიძლება! ძალის სული მიდგია. ჩქარა ვივლი. იქნება ღმერთმა გადმოძხედოს და ცოცხალს მივუსწრო!

თენდებოდა, ოქროს ჩარდახს რომ მიიღწიეს. მეფე ცხენიდან ისევ ბატონიშვილმა არჩილმა და ქაიხოსრო ავიაშვილმა ჩამოსვეს და ციმციმ პარმალში შეიყვანეს.

— გამიშვით, მე თვითონ!.. — გაიწია სოლომონმა, მაგრამ ცხენზე ხანგრძლივად ჭდომას ისერიგად დაეჭანცა, სხვათა დაუხმარებლად მუხლი ველარ გამართა.

ბატონიშვილ ალექსანდრეს ეძინა. სიცხიანს მთელი ღამე შფოთვაში გაეტარებინა და მამლებმა რომ მესამედ იყვილეს, მაშინ-ღა ჩასიძნებოდა. მონსინიორ ლონე და კარის მკურნალი პაპუჩა აბულაძე, რომელიც მიუხედავად ხანდაზმულობისა მეფეს სამცხის ლაშქრობაში ახლდა, აქ კი სხვებზე ადრე მოსულიყო, ავადმყოფის ოთახში ბოლოს სცემდნენ და მომღვლელ მონოზნებს, დედოფალ მარიამის სახსრებითა და გარჯით დაარსებული ქსენონიდან რომ მოეყვანათ, დროდადრო საჭირო მითითებებს აძლევდნენ. ოთახის შორეულ ბნელ კუთხეში ბუდიდან ამოღებული მაცხოვრის ხატი დაესვენებინათ. ხატის წინ წყვილი სანთელი ენთო და მუხლებზე დამხობილი შავოსანი ბერი პირჯერის წერთა და ხშირი მეტანიებით ლოცულობდა.

მეფე რომ შვილის ოთახში შეიყვანეს, ბერი ადგა, აუჩქარებელი ნაბიჯით აქეთ წამოვიდა და სოლომონს გაუელვა, რომ მას ერთობ ნაცნობი სახე ჰქონდა, მგონი სადღაც ჰყავდა ნანახი.

— კეთილი იყოს შენი ფეხი, სოლო-

მონ!.. — საოცრად ნაცნობი ხმით უთხრა ბერმა, ჯერ თავი მდაბლად დახარა, მერე ცალი მუხლი მოიდრიკა და ხელზე ემთხვია.

— იესე, ძმაო... — დაიხავლა სოლომონმა, თვალთავან ცრემლები წამოსცივდა, ბერი ფეხზე წამოაყენა და გულში ჩაიკრა. — არა გრცხვენია? ასე როგორ მიმატოვე? ბოლოს მაინც მოხვედი, მაინც ვერ გაგიძლო გულმა!.. ვიცოდი, მოხვიდოდი, სულ ვერ მიმატოვებდი!.. დაბერებულხარ ჩემსავით, თმა-წვერი სულ გაგთეთრებია! შენთვის ადრეა ჯერ...

— ორივე დაბერდით, ძმაო, გაგეტება ქვეყნის ჭირმა!..

— რას მეტყვი, არის რაიმე იმედი? — მეფემ შვილისაკენ გაიხედა და ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა, ხარბი მხერა ალექსანდრეს სახეზე დაადგა.

— ვერ მოგატყუებ, სოლომონ, ჭირს უნდა გაუმაგრდე, ძმაო! — ჩვეული პირდაპირობით უპასუხა ბატონიშვილმა იოსებმა, რომელსაც ტანთ უბრალო ბერის ვახუნებული ანაფორა ემოსა, ხოლო ფეხთ ქუსლებმოცვეთილი უხეში წაღები ეცვა, და ცრემლი რომ არავისთვის დაენახებინა, პირი გვერდზე მიიბრუნა.

— მართლა, მამა? — ჩასძახა მძინარე შვილს სოლომონმა, ჩაიჩოქა და ალექსანდრეს ცხელი ხელი გულზე მიიხუტა. — მართალს ამბობს ბიძაშენი? სად მომეწია იმ საცოდავი ქალის წყევლა! გაიღვიძე, თვალი გაახილე, შემოგვხედე! მართლა არ დავგულპო, შვილო, არ გამიმწარო ისედაც გამწარებული სიცოცხლე, აქამდე ჭირითა და ვაებით მოყვანილი ქვეყანა უპატრონოდ არ დამიტოვო! ავრე უნდა? არა, მამა, არა, მე უნდა მოვეკდე, შენ კი არა, შენთან სიკვდილს რა უნდა! ხომ ხედავ, იესე ბიძაეც მოსულა თავისი უდაბნოდან. შეუწუხებია ჩვენს დარდს. შენი ამბავი ანგელოზს მიუტანია!..

— ნუ იზამ, სოლომონ, შენც ცოდო ხარ და ეგვეც. — ოდნავ დაბობებული ხმით მიმართა მეფეს იოსებმა. — ადე-

ჭი, ცოტა ხანს დაისვენე. რა სამხიარულ-ლო გასეირნებიდან შენ მოდიხარ! ამა-სობაში ბავშვიც გამოიღვიძებს და ლა-პარაკს კიდევ მოვესწრებით!..

— მე სულ არ ამოვიღებ ხმას, იესე, სამუდამოდ დავმუნჯდები, ოღონდ ეს მეყოლოს კარგად!..

იოსების რჩევას სხვებმაც უყოყმა-ნოდ მხარი დაუჭირეს, მთლად მომჩე-არული სოლომონი რის ვაივაგლახით წამოაყენეს და მოსასვენებლად მეზო-ბელ ოთახში გაიყვანეს.

ბატონიშვილმა ალექსანდრემ კიდევ ხუთ დღეს იცოცხლა. მეხუთე დღეს თითქოს მოიკეთა, ვინ და რა არ მოი-გონა, თავმდგმურების გასამხნეველად გახუმრებაც კი სცადა. ისე ჰგავდა, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღო და აწი მომჭობინების გზას უნდა დასდგო-მოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნე-ლად, მზის ჩასვლის ექვს, სისხლი ხელ-ახლა წასკდა და მისუსტებულმა რომ თავი ბალიშზე მიასვენა, ზეწარივით გათეთრებულ სახეზე უკვე მკვდრის ფერი ედო. სოლომონი თმაწვერს იგ-ლეჯდა, კედლიდან კედელს აწყდებო-და, ყრუდ გმინავდა და შვილის სანა-ხავად მიიწევდა. ძმები დარაჯად უდგ-ნენ, არ უშვებდნენ. მომაკვდავთან მისი შესვლა ახლა არასგზით არ შეიძლე-ბოდა. კარის მწირველმა მღვდელმა ლა-მის ათ საათზე ბატონიშვილი აზიარა. ზიარების შემდეგ ავადმყოფმა ისევ შვევა იგრძნო და სოლომონი მოიკითხა.

— რას შერები, მამა? — მიაშურა საიმპევეზნოდ გადადებულ შვილს მე-ფემ, რომელმაც კარის მწირველი მღვდლის აქ ყოფნისა და ზიარებისა არაფერი იცოდა. — როგორა გვეყავს შენი თავი?

— გლახად, მამაჩემო, — მიმჭრალი ღმილით უპასუხა ალექსანდრემ. — სიცოცხლე აღარ მიწერია. დარეჯანი და თამარი რატომ არ ჩანან, არ შეატ-ყოზინეს ჩემი ამბავი?

— როგორ არა, შვილო, მამა გენაც-ვალოს, ორივე აქ არის. ყველა აქ არის,

ვისაც შენ უყვარხარ და ვინც შენ გიყ-ვარს!

— ყველა, მამაჩემო? ნინოც, ჩემი მონათლული?

— ნინოც მოვა. გუშინ კაცი გავუტ-ზანეთ და ამაღამ თუ არა, ხვალ უსა-თუოდ გაჩნდება!

— ხვალ გვიან იქნება. ვაითუ ცოც-ხალს ველარ მომისწროს. მაინც მად-ლობელი ვარ, მოსვლის და ჩემი ნახვის ნება რომ დართე.

— აბა როგორ, შვილო, ალექსანდ-რე, შენ ოღონდ ყოჩაღად იყავი. კიდევ გავგზანეთ ხალხს, რომ ააჩქარონ!..

— აგრე... მადლობელი ვარ!.. მამა, ჩემზე გული კიდევ გწყდება?

— არა, შვილო, ვინ გათხრა, გული წყდებაო? მე უკვე ყველაფერი დავი-ვიწყე. შენი თავი ნუ მომიკვდება!..

— არც მე მწყდება გული. ვიცი, შენ სხვანაირად არ შეგეძლო!..

— არ შემეძლო, შვილო, ალექსანდ-რე, მაგას მარტო შენ გამოიგებ!

— ახლა ყველაფერს ვხვდები... რა მარტივი ყოფილა! მაშინ იქ, სხარტალ-ში, სულ სხვანაირად მეჩვენებოდა.

— აგრეა, შვილო, დრო რომ გადის, გონების თვალთ კვერცხთ წარსულს და ბევრი რამე ისე აღარ გვეჩვენება, როგორც ჩვენ გვინდოდა რომ ყოფი-ლიყო.

— შენც დაგმართნია ასე?

— როგორ არა, ბევრჯერ! ადამიანის გონება განუწყვეტლივ ეძიებს და სჯის. როცა ძიება და განსჯა წყდება, მტრისა და ავისას, წყდება ადამიანის სულიერი ცხოვრებაც!

— ცხოვრება, საერთოდ, არსებობს სულიერი ცხოვრების გარეშე?

— უნდა ვივარაუდოთ, რომ არა. სუ-ლიერი ცხოვრება ღმერთთან კავშირია. ადამიანი მანამ ცხოვრობს, სანამ სული უდგას. შემდეგ უკვდავი სული მოკე-დავ ხორცს გაეყრება და ვარსკვლავებს უბრუნდება!

— ვარსკვლავებს... — ოცნებით გაი-მეორა ალექსანდრემ, პირზე ნეტარი ღმილი დაეფინა, თითქოს რაღაც იღუ-

მალი ხილვა ეწვიაო, და თვალი მილულა.

ნაშუალამევეს ისევ გააჩიღეს მამა შეილის საწოლს, გაჩიღა კი სასახლეში საეჭვო ფუსფუსი, დაურიდებელი მისვლა-მოსვლა და ბრაგაბრუგბი ატყდა. ლოგინზე გაუხდელად მიწოლილმა სოლომონმა წამოიწია და ისევ ალექსანდრესთან გასვლა მოინდომა. უმცროსმა მამა, ბატონიშვილმა არჩილმა, არ დაანება, წინ გადაეღობა, მამის სული დააფიცა, აქედან ფეხს ნუ მოიცივლიო, ახლავე იესე გეაზღვება და ამბავს მოგვითხროსო.

— რას შემართლები, კაცო, მაჩვენე ჩემი შვილი, იქნება რა უნდა მითხრას! იოსები მართლაც შემოვიდა, შემოვიდა მთლად უხმაუროდ, როგორც ჩრდილი, და დამეხილი კართანვე შეჩერდა. ბედს შერიგებული სოლომონი საწოლზე იჯდა, თავი ჩაქეჩინდა და მწარე საფიქრალს მისცემოდა. შუათანა მმას არჩილმა მხოლოდ სახის გამომეტყველებით ჰკითხა, რა ამბავი მოგვითხროსო.

— აღესრულა საწყალი! — ამოილაპარაკა ბერმა, სამგზის პირჯვარი გადაისახა და მეტს ველარ გაუძლო, ქვითინი აუვარდა.

სოლომონმა არჩილის უნებლიე წამოყვირება თუ რაღაც სხვა ხმა გაიგონა და თვალეები ფართოდ გაახილა.

— ჰა? რა მოხდა?

— გამაგრდი, სოლომონ, ძმაო, — თვალცრემლიანი იოსები მიუახლოვდა, მუხლი მოიყარა და ორივე ხელში ხელეები ჩასკიდა. — ახლა გმართებს გამაგრება. უკანასკნელი ღონე უნდა მოიკრიბო და ჰიროს ღირსეულად დაუხვდერი შენ შემოგყურებს! ვილოცოთ ჩვენი საამაყო ალექსანდრეს უმანკო სულისათვის..

სოლომონი ერთბაშად მოსწყდა, თითქოს შიგ გულში ცხელმა ტყვიამ გაუარაო და უეჭველად ძირს დაეცემოდა, ძმები რომ დროზე არ მიშველებოდნენ და აკარებულ საწოლზე ფრთხილად არ დაეწვინათ. მეფეს აღარ გაუგია, რო-

გორ მოაწყდნენ კარს დედაბუღიანა სასახლეში ჩამოსახლებული დიდებულეები და მათი ოჯახები. ყველას უნდოდა სხვებისათვის დაესწრო, ოთახში პირველი შემოსულიყო და დამწუხრებული ბატონი ენახა. კიდევაც შემოვიდნენ და გულზელდაქლობილი, როგორც მგლოვიარეთა წესია, პატარ-პატარა ჭვუფებად ოთახის სხვადასხვა კუთხეში დადგნენ. ჩურჩულით ბაასობდნენ, ნამდვილ ფიქრსა და ზრახვას ერთმანეთს უმაღლვდნენ, თან თვალი იქით ეკირათ, სადაც გულშემოყრილი მეფე იწვა და აქიმები და ქსენონის მონაზვნები, რომელთა თავგამოდებული ზრუნვა ბატონიშვილ ალექსანდრეს უკვე აღარ ესაპირობებოდა, თავიანთ გადაუღებელ საქმეს აკეთებდნენ.

დილაადრიან სასახლის გუმბათზე შევარშიაშემოვლებული სამეფო აღამი დახარეს. ამ ქვეყნიდან წასული ალექსანდრესადმი პატივის მიგების ნიშნად მთელს სამეფოში ათი დღის გლოვა გამოცხადდა. ნაშუადღევს სატახტო ქალაქს ქვეყნის ყველა კუთხიდან ელდით დაზაფრული ზღვა ხალხი მოაწყდა. ოქროს ჩარდახის კარიბჭეში შუბოსანი ქეშვიები იდგნენ და შიგნით ჯერ არავის უშვებდნენ. გაატარეს მხოლოდ სამღვდელეობა და ბერ-მონაზვნები, რომლებიც გელათიდან და სხვა ეკლესიამონასტრებიდან უწმიდეს კათალიკოს მაქსიმეს წინამძღოლობით მოსულიყვნენ და თან საეკლესიო ბაირაღები და ძელიცხოვლის ხატი მოესვენებინათ.

მესამე დღეს მოაწია მოტირალმა მიცვალებულის დედულიდან. ქუჩებსა და ხიდისყურებში გამოფენილი ხალხი უყურებდა და ვერ დაეჭვებინა, რაც მის თვალწინ ხდებოდა. ცხენებიანად თალხებში გახვეულ მეგრულ დიდებულებს, ქალსა და კაცს, წინ თვით ოდიშის ბატონი კაცია დადიანი მოუძღვოდა.

— დადიანი, ხალხო, დადიანი..

— უყურე, თავად კაცია არ მოსულა?

— არ იქნება ეგ კაცია, სხვა არი,

აღბათ, მეფის შიშით აქ მოსვლას რავა გაბედავდა! — გაისმოდა ყოველ ნაბიჯზე.

მაგრამ ეს მაინც კაცია დადიანი იყო. ამჭერად ჭარი არ ახლდა, მრავალრიცხოვანი მცველი რაზმის ხლებაც სათაკილოდ მიეჩნია და საყვარელი დისწულის დასატირებლად თითქმის ცარიელტარიელი მობრძანებულებით.

სოლომონი შვილის კუბოსთან დაუხუდა მტრად მოკიდებულ ცოლისძმას, ვისთან ომისთვისაც ვინ მოსთვლის რამდენი ძალ-ღონე, სახსარი და ერთგული ქვეშევრდომის სიცოცხლე შეეწირა, და მის მიმართ უსახლგრო მადლიერებით განმსკვალული ცრემლებს თავისთვის ჩუმად ყლაპავდა.

— მადლობელი ვარ, ძვირფასო კაცია, — ჩახლეჩილი ხმით უთხრა თავის მტერ-მოყვარეს, როდესაც ის კრძალვით მოეახლა, თვალი გაუსწორა და სამძიმარი ჰკადრა. — ლხინში გადამეხადოს! აწი აღარავის შეაწუხებს შენი დისწული ალექსანდრე, აღარც გიორგი ბრწყინვალის გახსენებით შეაკრთობს ვისმეს, აღარც თავად შეწუხდება. ნაადრევად დალია წუთისოფლის შხამი და სამსალა, წაეიდა, მოსვენა!

ყველას ეგონა, საერთო მწუხარება და კაეშანი, ბატონიშვილ ალექსანდრეს სიკვდილმა თავს რომ დაატებათ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ოდიშის ზეიადი ბატონი დისწულის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად იმერთა სატახტო ქალაქ ქუთაისში მოვიდა, დანასისხლად გადაკიდებულ სიძე-ცოლისძმას შეარიგებდა და ამიერიდან ჩათ შორის ზავი და თანხმობა ჩამოვარდებოდა. კარისკაცები დაფაცურდნენ, რათა ოდიშელებისათვის ყურადღება და პატივისცემა არ მოეკლოთ, მაგრამ ეს დაფაცურება ზედმეტი შეიქნა, ვინაიდან კაცია დადიანმა და მისმა მხლებელმა მიცვალებულის დაკრძალვის დღეს აღარ მოუცადეს, ჭირისუფალ მეფეს გამოეშვიდობნენ და მაშინვე ტან გაბრუნდნენ.

ერში კაცია დადიანის საქმბარი სიტ-

ყვა დაირხა. უწონებდნენ ყოვლის დამტრუნავ სიყვარულს თავისი სისხლისა და ხორცისადმი და ხოტბას ასხამდნენ მის უებრო ვაჟკაცობას, რამაც მტრობის ზღუდე გადააღაზინა და ზუგდიდიდან აქ მოიყვანა. კეთილი სიტყვა არც სოლომონის მიმართ დაუშურებლით. მეფესაც შეეძლო, დადიანის თანაგრძნობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და კარის გამგისათვის კაცი-ასა და მისი მხლებლების ამოხოცვა ან შეპყრობა ებრძანებინა. სულმდალობა არც ერთმა მხარემ არ იკადრა და გუშინდელი მოსისხლე მტრები მშვიდობიანი მომღურაობით დაშორდნენ ერთმანეთს.

სოლომონმა ველარ შესძლო გულიდან მოგლეჯილი შვილის ცხედარი სამდამო განსასვენებლადღე მიეცილებინა და მის სამარეში, რომელიც გელათის მონასტრის ნათლისმცემლის ეკლესიაში დედის, მარიამ დედოფლის, საფლავის გვერდით გაუთხარეს, ერთი პეშვი მიწა ჩაეზნია. აჟმა სენმა დილიდანვე წააქცია და სიკვდილს დანატრებული სარეცელს მიაკრა. გელათიდან მობრუნებული ბატონიშვილი იოსები სიკვდილის პირას მისულ გვირგვინოსან ძმას სამი დღე არ მოშორებია. სამი დღის თავზე სოლომონი იმდენად მომჯობინდა, იოსების დახმარებით წამოჯდა და, თუმცა თვალებბრჭყვიალა ისევ ესზმოდა და ერთი ათად ეჩვენებოდა, ტანზე ჩაცმა მოითხოვა, უნდა ავდგეო.

— გადაირია ჩვენი მტერი, სოლომონ? — შეიცბადა იოსებმა. — მეთორმეტე დღეა, შე კურთხეულო, შენ პირში ხემსი არ ჩასულა. ცოტა კრიჭათუ არ გახსენი და არ მომბარდი, იკაგებს ისე? ფეხზე რანაირად უნდა დადგე! ან რა გაქვს ასე საჩქარო?

მეფე ძმას დამორჩილდა, სასთუმალზე შიძიმედ დაეშვა და მაშინვე ეს იკითხა:

— სერასკირი ხომ არ გამოჩენილა? მიქელაძე რას იტყობინება?

— სიწყნარება ჭერ, — მოუგო იოსე-

ბმა და საბანი გაუსწორა. — იქნება გვიპატივოს ღმერთმა!..

— კრემენჩუგიდან არაფერი ისმის?

— არაფერი. მე ასე მგონია, პოტიომკინი მარტო ვერ წყვეტს საქმეს და ჩვენი ელჩები პეტერბლუსს გაგზავნა.

— გვიანდება, ძალიან გვიანდება. როდის ელჩები პეტერბლუსს ჩავლენ, როდის ხელმწიფე-იმპერატორი იმათ მიღებას იწყებებს, როდის იქიდან პასუხს გვადირსებენ... თუ ახლა რუსი არ შეგვეწვია და ჭარი და ზარბაზნები არ მოგვაშველა, ურჯულო სამცხეში იმ უიღბლო შეჭრას არ შეგვარჩენს მე და ერეკლეს, ცხვირიდან ძმარს გვადენს!

იოსებმა გვერდზე გაიხედა, ქარვის კრიალოსანი ბოლომდე ჩამომარცხლა და, თითქოს არ უნდა ვისმე გააგონოსო, ყრუდ თქვა:

— კეთილი ინებონ და ახლა სხვებმა იპტვიონ თავი!

სოლომონმა მოღლილი თვალები ასწია, ძმის ხმის კილო და ამაზე უფრო მის ნათქვამში გატარებული აზრი ეუცხოვა.

— ვინ სხვებმა, იესე?

— ვინც შენს შემდეგ უნდა გაუძღვებო ქვეყანას!

მეფის ფიქრი ისევე შეიღს მისწვდა.

— ნეტავი კი დასცლოდა! ის ცივ მიწაში უნდა იწვეს და მე სულწაწყვედილი აგერ ვკოტრიალობდე ლოგინზე?!

— დაწყნარდი, გულს ხელახლა ნუ გაიხეთქავ. არ მომხდარაიყო, მაგას რაღა აჯობებდა, მაგრამ რაღა მოხდა, ღმერთმა ასე განსაჯა და ჩვენ, კაცო, გვმართებს სასოებით მივიღოთ ღვთის განაჩენი! სიკვდილით ვერავის გავაკვირებთ. ჩვენი წილი არავის აგვედება, მანამდე კი სულზე ზრუნვა გვმართებს. კაცი ცოდილია, სოლომონ, მით უფრო მეფე. ყოველმა ჭეშმარიტმა მოწოდებულმა, ღვთის მოშიშმა, ცოდვები უნდა მოინანიოს და განიწმინდოს, თუ არა სურს თავი სამუდამოდ ჭოჯობეთში ჩაიგდოს. უკვე მოაწია დრომ, შენც დაეხსნა ამქვეყნიურ ამოებებს და დარ-

ჩენილი სიცოცხლის ღვთის მთლიანად ღვთის სამსახურს შესწირეს!

სოლომონმა ისევე წამოიწია. მის თვალებში ძველი ცეცხლის სუსტი ნაპერწკალი-ლა ღვიოდა.

— ბერად შევდგე? მახილი დავდო და ჭვარი ავიღო?

იოსებმა მკაცრი და შეუდრეკელი იყო.

— უნდა შედგე, სოლომონ, ასეთია ღვთის ნება. ლოცვითა და მარხულობით უნდა დაიხსნა შენი ცოდვილი სული. ღმერთი მოწყალეა, შეისმენს შენს წრფელ ვედრებას და რისხვას წყალობით შეგიცვლის. მე საგანგებოდ მოვედი აქ, სასახლეში, ჩემს მიერვე დადებული ალთქმა დავარდვიე, რომ ეს ერთადერთი გონივრული აზრი შენთვის ჩამეგონებინა. სიზმრებმა აღარ მომასვენა, ძმაო, მოვედი და... ღმერთმა კიდევ ერთი სასჯელი მოგვივლინა! დაფიქრდი. ნუ ყოყმანობ. ხომ არ გინდა, ცოდვით ავისილი ქვეყანა შენს სიჭოტეს ანაცვალო და ზურგზე კიდევ მეტი ცოდვა მოიკიდოს! მე ხვალ დილას გავუდგები მონასტრის გზას და გადაწყვეტილი მაქვს, შენც თან წაგიყვანო. ნუ გაიყვირებ. მასაკვირი აქ არაფერია. მონასტრის ძმობა მიგელოს. შენს მისაღებად სენაკი მომზადებულია...

— ასე პირდაპირ, მოუფიქრებლად, აუწონ-დაუწონადად?

— ყველაფერი მოფიქრებული და აწონილ-დაწონილია, სოლომონ, მხოლოდ შენი თანხმობა გვკირდება!

მეფემ ღრმად ამოიოხრა და თვალები ჭერს გაუშტერა.

— კეთილი, იესე, — თქვა და ისევე ბერს შეხედა. — ღვთის მოვლენილ მოციქულს უარს ვერ შეგაძრებ, ოლონდ, რაკი აგრეა, თუ ჩვენი ძმობა გწამს. ცოტა ხანს კიდევ უნდა მადროვოს!

იოსებმა წარბები შეჰყარა.

— რამდენია ეგ „ცოტა ხანი“?

— სანამ რუსხელმწიფისაგან პასუხი მომივიდოდეს. ქვეყნის ბედი ან ასე უნდა გადაწყდეს და ან ისე! არ დაგიმალავ, მონასტერში წასვლას და ჩემი დღის იქ დაღვევას თავადაც ვფიქრობ-

დი. აქამდე იმან გამოჩერა, რომ მარტო-ოდენ მარხულობითა და წირვა-ლოც-ვით, შენ ნუ მიწყენ, ერსა და ქვეყანას შვებას ვერ მოვევრით, გარემოშო შემო-სეული ურიცხვი მტრისაგან ვერ დავი-ფარავთ. თუ ცა გაგვეხსნება, რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი მფარველ კალ-თას გადაგვაფარებს და ჩვენს ტანჯულ ქვეყანას საიმედო თანამდგომის გვერ-დში დავიგულებ, მე ყველა სააქაო საქ-მე ღვთით მოთავებული მექნება და მზა-დაც ვიქნები, მეფის გვირგვინი ბერის კუნკულით შევეცვალო!

სოლომონის გადაწყვეტილება გულ-წრფელი იყო. რაკი ის პირიდან ამო-უშვა, სხვა ფიქრს ახლოსაც არ გაიკა-რებდა, გარემოებას რომ ხელი შეეწყო სული დათქმულ წუთამდე მიეტანა.

1777 წელს ხელმწიფე-იმპერატორი ეკატერინე და სულთანი მუსტაფა კი-დევი ვერ მორიდდნენ, ერთმანეთს ქუ-ჩუკ-ყაიანარჯის ზავით ნაკისრ ვალდებუ-ლებათა შეუსრულებლობა შესწამეს და რუსთა და თურქეთს შორის ომი ხელ-ახლა ატყდა. რუსეთის არმიებმა, რომ-ლებიც მალოროსიაში იდგნენ და პირ-ველი თოფის გასროლას აქ ელოდებო-დნენ, ძღვევამოსილი შეტევა ერთის მხრივ ღუნაის მიმართულებით განახო-რციელეს და ვალახიაში შეიჭრნენ, ხო-ლო მეორეს მხრივ ყირიმის საზანოს მოუბრუნდნენ და როგორც ხმელეთი-დან, ასევე ზღვიდანაც მას ცეცხლის რკალი შემოარტყეს. კავკასიის ხაზზე ჯერჯერობით სიწყნარე იყო. რუსეთის უმაღლესი სარდლობა, ეტყობოდა, მი-ზანშეწონილად არ თვლიდა ერთად თავმოყრილი ძალების დაქსაქსვას, მით უფრო იმიტომ, რომ კავკასიის ძნელად სავალ, რუსებისადმი მტრულად განწყობილი ტომებით დასახლებულ მთებ-ში საჭირო გზების უქონლობა ჯარების სერსათითა და იარაღ-საჭურვლით ღროულად მომარაგებას ერთობ შეაფე-რხებდა.

მოკმედი არმიაში მყოფი უგანათლე-ბულესი თავადი პოტიომკინი ქართველ ელჩებს, კრემენჩუგშივე რომ მიუსწ-

რეს და თავიანთი მეფეების „სავედრე-ბელი პუნქტები“ გადასცემს. მანამდე აიძულებდა და გვერდიდან არ იშორებ-და. საქართველოს ორივე სამეფოში დროდადრო გამამხნევებელი ხმები და საგანგებოდ მოწოდებული ცნობები მოდიოდა. რუსები წარმატებას წარმა-ტებაზე აღწევდნენ, ყირიმში უცხოე-თის ბაზრებზე გასაგზავნი უამრავი ტყვე გაათავისუფლეს. ტყვეებს შორის ორი ათას სულზე-მეტი ქართველიც ერიო. სამშობლოდან ქურდულად გატა-ცებული ან სხვადასხვა დროს გაყიდუ-ლი უბედური ტყვეები, რომელთაც სი-შიშვლის დასაფარავად რუსმა სამხედ-რო ხელისუფლებმა ჩასაცმელ-დასახუ-რავი მისცეს და საგზაო ხარჯითაც უზ-რუნველყვეს, შინ დაბრუნდნენ და საქ-რისტიანოს მხსნელად მოვლინებული რუსთა მხედრობის საარაკო გმირობის ამბები მოიტანეს.

ოსმალო ძრწოდა. ცათა სწორმა სუ-ლთანმა ჯარები ეგვიპტიდან და სირი-იდანაც კი გამოიყვანა და გულდაგულ კონსტანტინოპოლისაკენ წამოსული რუ-სების შესაჩერებლად გაგზავნა. დღეს-დღეობით არც გურჯი და აჩიკაზში მე-ფეების გალიზიანება და ამხედრება ივარგებდა. ერეკლესა და სოლომონის დასასჯელად ახალციხეში დაბანაკებუ-ლი არზრუმის სერასკირი ჯარითურთ უკან გაიწვიეს და ამასაც პირი რუმე-ლიისაკენ უქნეს, სადაც რუსეთის ავან-გარდის გამოჩენა აღრე თუ გვიან სავა-რაუდებელი იყო.

კავკასიის ხაზზე რუს-ქართველთა შე-ერთებული ძალების სამოქმედოდ ხე-ლისშემწყობი პირობები იქმნებოდა.

ქართლ-კახეთის მეფის კარზე დაიბა-და აზრი, რომ რუსეთიდან მხედრობის მოსვლას არ დალოდებოდნენ და კიდ-რე დრო წყალს ქართველების წისქვი-ლზე ასხამდა, სამცხეში კვლავ თავისი ძალებით შეჭრილიყვნენ. ამავე აზრს ადგნენ იმერეთშიც, ოღონდ საქმის წა-მოწყობას ის აბრკოლებდა, რომ სო-ლომონი კვლავ ჯანმრთელობას უჩიო-და და ომში ჯარის გაძლოლა არ შეეძ-

ლო. დარბაზის ერმა კარგა ხანს იმსჯელა, ყველა ჰო და არა აწონ-დაწონა. ბოლოს გადაწყვიტა: ურჯულოსთან სამომრად შემზადებული ერეკლე მაინც არ დაეღალატებინათ და მის შესაწყევხად ათი-თხუთმეტი ათასი კაცი ბატონიშვილ არჩილის წინამძღოლობით გაეგზავნათ. ქრცხინვალში მდგომი ერეკლე ქუთაისიდან მოტანილ ცნობას სიზარულთი შეხვდა და მეორე დღესავე ქეიშხეთისაკენ გაემართა, სადაც ბორჯომის ხეობაში შეკრებილი მხედრობა ელოდებოდა.

აწყურის ციხე, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ახალციხისაკენ მიმავალ გზას რომ კეტავდა, დადად არ გაძალიანებულა. სამი დღის ალყა და ზარბაზნების ორმხრივი სროლა საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ ციხისთავს დანებები: მათწყებელი თეთრი ბაირალი გამოეკიდა და შუაკაცების პირით შინ უვნებლად გაშვების პირობა ეთხოვა.

ერეკლე რომ ახალციხის კედლებს მიაღდა, ზეკარის უღელტეხილით სამცხეში გადასული ბატონიშვილი არჩილი, სხვა იმერელ სარდლებთან და ჯართან ერთად, უკვე იქ იდგა და გვირგვინოსანი სიმაგრის მობრძანებას უცდიდა.

ახალციხე, პირველად ამ სამი ასეული წლის მანძილზე, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკვე ამერ-იმერი ქართველების ხელთ იყო და გამარჯვებით გულშოცემული სიძე-სიძემარი ასპინძა და ახალქალაქზე აპირებდნენ წასვლას, როდესაც თავად პოტიომკინისაგან უელდიეგერი მოვიდა და მეფე ერეკლეს კანცლერის საიდუმლო წიგნი მოუტანა.

იქ, შორს, დუნაის გადაღმა, ომი უკვე დამთავრებულიყო, რუსი და ოსმალო დიპლომატები მოლაპარაკების მაგიდას უსხდნენ ბუქარესტში და ერეკლე-სოლომონსაც, როგორც უავუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის ფიციერკლანაშამ თანამდგომებს, წინადადება ეძლეოდათ, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება და თავიან-

თი ჯარებით „პირვანდელ პოტყეებზე“ დაეხიათ.

— შესრულებული იქნება! — ბრძანა ამ ყოვლად უსიამოვნო განკარგულების მიღებით გუნებაგაფუძვებულმა მეფე ერეკლემ და კარის მდივანი ოსე ბარათაშვილი მოაყვანინა, რათა კანცლერ პოტიომკინისათვის გასაგზავნი საპასუხო წიგნი ეკარნახებინა.

ბუქარესტის მოლაპარაკებაში, რომელშიც ზღვარი დაუდო კიდევ ერთ სისხლისმღვრელ ომს მართლმადიდებელ რუსეთსა და მამადიან ოტომანთა იმპერიას შორის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და იტალიის წარმომადგენლებიც ჩაერვივნენ და, თითქოს წინდაწინ შეთანხმებულან და პირი შეუქრავთო, ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ სულთანს კავკასიაში არაფერი დაეთმო. იმერეთი ანუ აჩიკ-ბაში კვლავინდებურად ოსმალთა ხელდებულ ქვეყნად დარჩა, ხოლო ძველი სამცხე-საათაბაგო, რომლის შესაერთებლად ქართველმა მეფეებმა ზღვა სისხლი დაღვარეს და მისი უმეტესი ნაწილი კიდევაც დაიკავეს, წინააღმდეგ ამასიის 1555 წლის საზავო შეთანხმებისა, თურქეთსა და ირანს შორის რომ დაიდო, კვლავ ოტომანთა იმპერიის კუთვნილ მიწა-წყლად აღიარეს. რუსეთს მხოლოდ იმის უფლება მიეცა, რომ პორტასა და ქართველი მეფეების ურთიერთობაში თავისი წარმომადგენლების საშუალებით ჩარეულიყო და, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ერთმორწმუნე მპყრობელთ სიტყვიერად გამოსარჩლებოდა.

— კიდევ ერთხელ გვიმუხთლა ბედნი! — თქვა დაღვრემილმა სოლომონმა, როცა ბუქარესტის ზავის მუხლებს გაეცნო და მათი ქართული თარგმანი კარის გამგე ბერი წულუკიძეს დაუბრუნა შესანახავად. — რუსებს მაინც უმარჯვიათ, თუმცა თავადი პოტიომკინი მეტს გეპირდებოდა. ის, რასაც მიაღწიეს, ჩვენთვის ბევრის მომასწავებელია. გულს ნუ გაკიტხვთ, ხვალ კიდევ უკეთესის იმედი ექონიოთ!

1783 წლის ნოემბრის თექვსმეტს გე-

ლათის მონასტრის ნათლისმცემლის ეკლესიაში, ქართველ მეფეთა საძვალეში, ერს წაუციოთხეს მეფე სოლომონის ხელით შედგენილი და მისივე ბეჭდით დამოწმებული სიგელი, რომლის ძალითაც არჩილ ბატონიშვილის მცირეწლოვანი ძე, დავითი, იმერეთის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა. ამით წინასწარ მოიკვეთა უმემკვიდრეოდ დარჩენილი ტახტის მამიებელთა შესაძლო ცილობა, რასაც შეეძლო მტერი გაემრავლებინა და ქვეყანა ახალ გამოუვალ ჩიხში შეეყვანა. სამი დღით ადრე ელჩები გაეგზავნა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და ეთხოვა, ამ მისთვის სასიხარულო ამბის სანაცვლოდ, — დავითი ხომ ერეკლეს ღვიძლი შვილიშვილი იყო! — კაცია დადიანთან უშუალო კავშირ-ურთიერთობა გაეწყვიტა და ოდიშის სამთავრო იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ეცნო. ერეკლეს არაორაზროვანი წერილობითი თანხმობა მალე მოუვიდათ. გარდა ამ მეთად საჭირო თანხმობის გამოცხადებისა, ერეკლე სოლომონსა და კაციას შორის შუამდგომლობასაც კისრულობდა და სააღდგომოდ, თუ ღმერთი სხვაგვარად არ განსჯიდა და მასპინძლებსაც საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, ქუთაისში ჩამოსვლას აპირებდა.

სოლომონმა გულთთ გაიხარა. პირველად შვილის სიკვდილის შემდეგ პირზე ღიმილი მოეფინა.

„თუ ეს საქმე წარმატებით დავეიროვინდა და ერეკლემ საშვილიშვილო ვალი დავედო, ახალ მმთამეღებოთ ომს აგვაცილა, — ფიქრობდა იგი. — ვგონებ ავასრულო იესესათვის მიცემული პირობა და სიბერის ემს თავი მონასტერს შევაფარო!“

ქუთაისის სამეფო კარი ერეკლესა და მისი ბრწყინვალე ამალის მისაღებ სამზადისში იყო გართული, როცა გურიიდან შემამფოთებელი ცნობა მოიტანეს. ზემო აქარის განმგებელი, აბდულ შეგ ხიმშიაშვილი, თათრის რჩეულზე შემდგარი ქართველი თავადი, სო-

ფელ აკეთში თავს დასხმოდა ქობულეთის მხარის ყოფილ ბატონს, მეფის ბრძანს — მამუჯა თავდგირიძეს და სახელუღიოთურთ ტყვედ წაეყვანა. ჭერ კიდევ ქუჩუკ-ყაინარჯის ზავის თანახმად, ქობულეთის მხარე რომ იმერეთის სამეფოს ჩამოერთვა და ბრწყინვალე პორტას გადაეცა, თავდგირიძე იძულებული გახდა აყრილიყო, სახლ-კარი და ყმა-მამული მიეტოვებინა და თავშესაფარი ნათესავებში ეძია, თან მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა ტახტზე საკმაოდ მომძლავრებულ სოლომონს და ურჩულოთა კლანჭებიდან მისი სამკვიდრო ქობულეთის გამოხსნას თხოვდა.

აკეთზე თვისტომის ვერაგულმა თავდასხმამ და თავდგირიძისა და მისი სახელუღის დატყვევებამ მეფე ისე ააღელვა და განარისხა, მიუხედავად ავადმყოფობისა, თავად იკისრა ჯარს აჭარაში გასძლიოდა და გაზულუქებული ხიმშიაშვილისათვის პასუხი ეგებინებინა.

მალე გამოირკვა, რომ გურიიდან მიღებული ცნობა მთლად ზუსტი არ იყო. აბდულ-შეგ ხიმშიაშვილს მხოლოდ სახელუღი წაეყვანა თავდგირიძისა და ახლაც ტყვედ ჰყავდა, თვით მამუჯა და მისი ორი ვაჟი კი აკეთშივე მტერს შეკვდომოდნენ.

მამულისათვის ბევრჯერ გარჯილი მოხუცებული თავადის და მისი შვილების ასე უღმერთოდ დალუპვამ ყველა დაამწყობრა და შურისძიებით აღანთო. სოლომონი პირიდან ცეცხლს ჰყრიდა. ქუთაისიდან გამოსვლის მეხუთე დღეს მეფის ლაშქარმა ქობულეთი დაიკავა, ერში შხამის გამავრცელებელი მუეძინები და მოლები შეიპყრო, შუბით მეჩეთის კარზე მიალურსმა, ქალაქის ზღუდე დაანგრია, ჩამოსახლებული ოსმალოები და ქურთები გაელიტა და მათი სახლ-კარი ცეცხლს მისცა. მეფის ნება-სურვილისამებრ, ნასახლარები პირწმინდად გადახნეს და ხნულში მარილი ჩათესეს, რათა იქ სიცოცხლის ნიშანწყალი სამუდამოდ წაშლილიყო.

გამძვინვარებელი სოლომონი ამასაც არ დასჯერდა; უკანდახეულ მტერს

კვალდაკვალ დაედევნა. დასაბამი ედებოდა გულში წლობით ნალოლიავეები გეგმის განხორციელებას: ზღვისპირეთის ბუნებრივი აქარის გამოხსნას თურქული ნახევარმთავრის ბატონობისაგან, ქობულეთისა და ბათუმის ციხეებში იმერთა მეფის მეციხოვნე ქარის ჩაყენებას, ციხისძირში ვაჭარ-ხელსახონთა ახალი ქალაქის დაფუძნებას, თავდგირიძეთა სათავადოსა და ხინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას...

ბათუმისაკენ დაძრულ სოლომონს ჩაქვი გამაგრებული დაუხვდა. ასე რომ, წინ გასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ხიმშიაშვილს ქარის შეკრება მოესწრო, ბათუმიდან ზარბაზნები ამოეტანა და გორაკებზე განელაგებინა. დამხედურთა სიჭარბეს ზედ აღრიანი გაზაფხულის კოკისპირული წვიმები დაერთო. გზები ატალახდა, მიწისპირს სქელი ნისლი გაეკრა. დღისითაც და ღამითაც ერთნაირად ბნელოდა. სოლომონს სუნთქვა უჭირდა, ღამ-ღამობით სიციხე უწყევდა, ხველება ახრჩობდა და თვალზე რული არ ეკარებოდა. აქარის გამოსახსნელად, როგორც ჩანდა, გაცილებით მეტი მხედრობა იყო საჭირო, ვიდრე ამჟამად მას ჰყავდა, მაგრამ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, წლის უფრო შესაფერ დროს აქ ხელმეორედ უნდა მოსულიყო და გამოწყობული საქმე ბოლომდე მიეყვანა.

სარდლებს გულზე მოეშვათ, მეფემ რომ უკანდახევის ბრძანება გასცა. მარტის ცივი წვიმით გალუმბულ, ძველრბილში გამჭდარი სიცივისაგან აძაგძაგებულ ჭარსაც შინ მშვიდობით დაბრუნების იმედი გაეღვიძა. მომავკდინებელი საფრთხე თურმე სულ ახლოს, ნაჭიშკრების ტყეში ელოდათ. ტყე უღრანი იყო, ხშირი, მთის კალთას შეფენილი იგი ზღვის პირზე ჩამოდიოდა და აღმოსავლეთიდან ეკვროდა ხავსმოდებულ ფრილო კლდეს, რომლის წვერზედაც კედლებდამზარული მამაპაპური ციხე იდგა. მეწინავე რაზმი, რომელსაც სულთამ ავალიანი სარდლობდა, ტყეში ჩასაფრებულ მტრის მეთოფეებს

წააწყდა. ტყვია ყოველის მხრიდან წამოვიდა და პირველმადე ბათქმა ორმოცდაათზე მეტი მხედარი ცხენიდან გადმოაგდო. სხვები მსწრაფლ ჩამოქვეითდნენ, ცხენები იფარეს და უფრო მონებრბებული ზღუდის შესარჩევად უკან დახევა სცადეს, მაგრამ აქ თავისიანებს მიაწყდნენ და საშინელი არეგ-დარევა გამოიწვიეს. აღგილის სივიწროვე გაშლისა და ჩასაფრებულებისათვის საპასუხო დარტყმის მიყენების საშუალებას არ იძლეოდა. ბრძოლამ თითქმის სამ საათს გასტანა. მზე რომ გადაიხარა, ჩასაფრებულები ბრძოლის ველს გაეცალნენ და თავიანთი დაჭრილ-დახოცილებითურთ ტყეში გაუჩინარდნენ. სასტიკად დაზარალებულმა მეფის ლაშქარმა ექვსასი მარტო მკვდარი და ერთი ამდენიც დაჭრილი აკრთვა. ორასი კაცი იმ მეორეთმოსვლაში უგზოუგვლოდ დაკარგულიყო. დახოცილებს შორის იპოვეს სამი ძმა აგიაშვილი, ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილის მკვიდრი ბიძაშვილები, სამი ძმა წერეთელი, მრავალი ომის გადამხდელი სულთამ ავალიანი, მეფის ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიჩავძე, რომელიც თანშეზრდილ ბატონისათვის ნასროლ ტყვიას მკერდით აეფარა, და ბევრი სხვა სახელოვანი მხედარი თავადაზნურთაგან და გლეხთაგან. ჭრილობებიდან სისხლი სდიოდათ სარდლებს: არჩილ ბატონიშვილს, ქაიხოსრო აგიაშვილს და ბერი წულუქიძეს...

სოლომონმა ვერ აღასრულა ძმისთვის მიცემული დაპირება, ბერად აღკვეცას ვერ ეღირსა, ვერც აქარაში ხელახალი ლაშქრობა მოასწრო, აღარც ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს ელჩები უნახავს. ეკატერინეს ელჩებმა იმერთა სატახტო ქალაქ ქუთაისის მხოლოდ 1785 წლის მაისის თერთმეტს მოაღწიეს, მაგრამ მათ სოლომონი ცოცხალი აღარ დახვედრიათ. მეფე ამ დროს უკვე წლისა და ერთი თვის მკვდარი იყო და მისი საფლავის ქვაზე, თვალის სინათლე შვილის, ბატონიშვილ აღექსანდრეს, საფლავის ქვის გვერდით რომ დასდეს,

გამვლელსა და გამოვლელს შეეძლო ამოეკითხა სიტყვები:

„სახელოვანი, ქუეყანასა ჩუენთა უმჯულთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქრისტესთვის მრავალგზის სისხლდათხუელი, იმერთა მეორე

აღმშენებელი მეფე დიდი სოლომონ“.

ცოტა ქვემოთ კი, ქვაზე ამტკეული გვირგვინის ქვეშ:

„ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არავის ვაყიღვინეო, მწყემსი ვასუქეა ვადიდე, ჩეროში დავაძინეო“.

თბილისი-ბოლოა

1971-1980

ახორისაჲს

აქ ესმის წერტილი „მძიმე ჯვარს“, რომელმაც ჩემი სამწერლო მოღვაწეობის შუადღე მთლიანად მოიცვა. უპირველესი ამოცანა, წერად დაჯდომის წინ რომ დავისახე, ჩემდა სამწუხაროდ, განუხორციელებელი დამრჩა. მინდოდა, მასალა და სათქმელი, მრავალი წლის განმავლობაში, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ვაგროვებდი და გამოსამზერებლად ვფერავდი, მოკლედ მეთქვა, თუ ერთ წიგნში არა, ორ წიგნში მაინც ჩამეტია. მკითხველი ხედავს, რაოდენ დაცვილი თავდაპირველ განზრახვას, როგორ წამართვა გაქვებულმა ცხენმა თავი და ორი წიგნი ოთხ წიგნად გადამეტკა!

რალა დავმალო, გული კიდევ მეთანაღრება. მეოთხე წიგნი, მისი ბოლო მესამედი მაინც, ალბათ, სხვაგვარად დაიწერებოდა, წინ რომ ტრაგიკული ფინალის შემამზადებელი საში წიგნი არ დებულიყო.

მაგრამ მოვეშვათ წუწუნსა და ნაგვიანვე მობოდიშებას. რაც დღესდღეობით შევძელი, მკითხველის წინაშეა და, რასაკვირველია, ის, მიუღლომელი კაცი, „მეორე მე“, ნაწარმოების ავ-კარგს უკეთ განსჯის, ვიდრე თავისი ქმნილებით მუდამ უქმაყოფილო ავტორი.

ამ ჩემს ბოლოთქმაში მე არ შევეცდები რომანს რაიმე დავუმატო, რაიმე ავხსნა, მკითხველი, ასე ვთქვათ, ჩემს შემოქმედებით ლაბორატორიაში შევიყვანო. კმარა! ისედაც ბევრი ვიქადაგე და ჩემი მკითხველი ნამდვილად მომხდარი ისტორიული ფაქტებისა და მხატვრული გამოწავლის ოღრიოლორო გზებზე ისედაც ბევრი ვატარე.

რაკი სიტყვამ მოიტანა, სანამ სხვები გაიჩქებოდნენ, გამადიდებელ შუშებს მოიმარჯვებდნენ და ისტორიული სიმართლის თვალსაზრისით ზოგიერთ გადახვევაზე მიგვითითებდნენ, აქვე დავსქენ: რომანის კომპოზიციამ ისტორიოგრაფიის მიერ უკვე საბოლოოდ დადგენილ-დაკანონებული რამდენიმე თარიღის ერთ-ორი წლით უკან გადაწევა მოითხოვა. შეგნებულად გამოვტოვე რამდენიმე ისტორიული მოვლენა და პირი, რომელთა წარმოჩენა რომანის ჩანაფიქრს არას შესძენდა. ვინაიდან მე არსად ვცდილვარ მეცნიერული ტრაქტატი დამეწერა, ბელეტრისტის მიზანი უმთავრესად ეპოქის კოლორიტისა და სულისკვეთების მხატვრული წარმოსახვა იყო, ამის უფლება თავს მივეცი.

მაგრამ არც ამის ასალიარებლად და მკითხველის ყურამდე მისატანად ღირდა ბოლოთქმის დაწერა.

ვრცელი ეპიკური ტილოს შესაქმნელად, მკიდზელიც უძველად დამე-აოწმება, მარტო სურვილი და მოწადინება არ კმაროდა. რომანის აღმართზე შე-

დგომას წინ უძღვოდა დიდი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ერის მიერ „სოლომონ დიდად“ შერაცხული მეფე სოლომონის გარშემო არსებული ლიტერატურის ძირფესვიან გაცნობაში გამოიხატა. რომანის დასაწყისად არც მარტო ამ ლიტერატურის ზედმიწევნით შესწავლა იყო საკმაო. იმდროინდელი იმერეთის სამეფო და მთლიანად საქართველო დამე უკაცრიელ კუნძულზე როდი იყო განმარტობელი. იგი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოს ნაწილი იყო და მის ბედ-იბნაშას არა ვინმე კერძო პირის ნება-სურვილი, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგადი კანონზომიერებანი განაგებდა. რაღა თქმა უნდა, რომანის ავტორი, თუ სურდა ისტორიის სული გადმოეცა და რთული ურთიერთმიმართებები წარმოედგინა, ყოველივე ამას განზე ვერ გაუდგებოდა.

მნელია, ამომწურავი პასუხი ყველა წამოჭრილ კითხვაზე წერილობით წყაროებსა და მეცნიერულ გამოკვლევებში ვეძიოთ. რომანზე მუშაობის პროცესში მე ხშირად მიხდებოდა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს გავცილებოდი და მოვლენების ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა ამ უკანასკნელთა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე დამედგინა.

ბევრ რამეს, რაც მკითხველმა „მძიმე ჯვრის“ ოთხივე წიგნის ფურცლებზე ამოიკითხა, შეიძლება მზა სახით ვერაღ წააწყდეს ამა თუ იმ ისტორიულ ნაშრომში, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ მოასწავებს იმას, თითქოს აქ ნაგულისხმევი ადგილები, ხშირად მთელი კონცეფციებიც კი, მარტოდენ ავტორის მხატვრული წარმოსახვის ნაყოფს წარმოადგენდეს.

ინტერესმოკლებული, ვფიქრობ, არ იქნება, თუ მკითხველს მოკლედ გავაცნობ, რა სახის ისტორიული, ეკონომიკური, იურიდიული თუ სხვა მასალების შესწავლა დასჭირდა ავტორს, ვიდრე ყოველივე ამას მხატვრულად განაზოგადებდა, ერთ მთლიან ცოცხალ ორგანიზმად წარმოიდგენდა და ქაღალდზე მის გადმოტანას შეუდგებოდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელო შ. ბურჯანაძე და მისი უაღრესად მნიშვნელოვანი შრომები: „სოლომონ პირველის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768)“ და „იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში“, აგრეთვე ამავე ავტორის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც სოლომონ დიდის მეფობის დახასიათებას მიეძღვნა.

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, განსვენებული მეცნიერის არც ერთი ეს წიგნი დღემდე გამოქვეყნებული არ არის და შათი გაცნობის მსურველმა ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მესვეურთა გულისხმიერი დახმარებით უნდა ისარგებლოს. მე ეს დახმარება თავის დროზე მივიღე და აქვე მინდა, მუზეუმის მუშაკებს, შათი დირექტორის, მ. ნიკოლეიშვილის მეთაურობით, გულწრფელი მადლობა ვუძღვნა.

უაღრესად საყურადღებო ცნობები მომაწოდა ო. სოსელიას ნაშრომმა „სათავადოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში“, ვ. მაჭარაძის პუბლიკაციამ და გამოკვლევამ „მასალები მე-18 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“, ტ. მე-2, ს. კაკაბაძის „ახალი საუკუნეების ეპოქამ“ და მის მიერვე ორ ტომად გამოცემულმა „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში“, ივ. სურგულაძის „ქართლის საბელმწიფოებრივმა წყობილებამ გვიან ფეოდალურ ხანაში“, მ. ღუმბაძის წიგნმა „დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, შ. ლომსაძის მონოგრაფიებმა „სამცხე-ჯავახეთმა“ და „ახალციხურმა ქრონიკებმა“, ი. ცინცაძის „1783 წლის მფარველობითმა ტრაქტატმა“ და „ვასილ გაგარასა და არსენ

სუხანოვის ცნობებმა საქართველოს შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ 1959 წელს გამოცემულ საქართველოში „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770)“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-4 ტომში, მ. ნიკოლეიშვილის „მასალებმა“, მ. კეკელიას წიგნმა „იმერეთის სამეფოში არსებული ფიცის კაცთა ინსტიტუტის შესახებ“, მ. სევანიძის ნაშრომმა „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-16-მე-17 საუკუნეებში“, რ. აბესაძის სადისერტაციო შრომამ „იმერეთის სამეფო დომენი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, ვ. ჯაოშვილის „ქუთაისმა“, დ. ჯანელიძის მონოგრაფიამ „ქართველი მამლუქები უგვიბტეში“ და ამავე ავტორის საყურანლო წიგნმა „ერეკლე და აღმოსავლეთი (ევროპული წყაროების მიხედვით)“, ვ. ქორიძის ნაშრომმა „ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ისტორიიდან“, ა. გაბიჩვაის გამოკვლევამ და პუბლიკაციამ „გორის ციხე ერეკლე მეორის დროს“, თ. ნატროშვილის წიგნმა „მასწავლებელი მალრიბამდე“.

ვისარგებლე ქ. ჩხატარაშვილის გამოუქვეყნებელი და ჩემთვის უღარესად შთამაგონებელი ჩანაწერებით და დღემდე დაუბეჭდავი ისტორიული დოკუმენტებით, რომლებიც აკადემიკოსმა ი. დოლიძემ მომწაწოდა.

ძველი დროის ისტორიკოსთაგან (ამ ტერმინს აქ შედარებით ვხმარობ), რომელთა ნაშრომები ხელთ მქონდა და რომელთა მიერ ნაკარნახევი ცნობებს უხვად ვიყენებდი, უნდა დავასახელო მე-18 საუკუნის დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი, აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი და მეოთხე ტომად გამოცემული მისი უზარმაზარი თხზულებით „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, და ნ. დალიანის „ცხოვრება ქართველთა“.

ოსმალეთის სამეფო კარის, დივანის სხდომების, მმართველობის სტრუქტურის წარმოსახვისას მთლიანად ვეყრდნობოდი ფრანგი მოგზაურის ეან ბატისტ ტავერნიეს „დიდი სენიორის სამეფო კარის ახალ აღწერილობას“, რომელიც ქართულად ვ. გურულს უთარგმნია და წინასიტყვაობაც მასვე წარუშლევარებია.

მარიამ დედოფლის ელჩობას ახალციხის ბეგლარბეგის კარზე საფუძველად უდევს მონსინიორ ლეონეს რელაციონი რომის წმიდა კონგრეგაციის პრაპაგანდა ფიდეს მდივნისადმი (ქართულად თარგმნა ბ. გიორგაძემ, ხელნაწერი ინახება მთარგმნელის არქივში).

ამ განმაცვიფრებელ პოლიგლოტს, ბეიან გიორგაძეს, ეკუთვნის აგრეთვე თარგმანი მეორე საყურადღებო ნაშრომისა, რომლის მოწოდებულ უტყუარ ცნობებს კვალდაკვალ მივყევბოდი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სარდალ, წარმომხობით პრუსიელ გრაფ ტოტლენბენის სახის დახატვისას. ეს გახლავთ თვით გრაფ ტოტლენბენის ადიუტანტ კაპიტან დე გრაი დე ფუას 1769-1771 წლების რელაციონი რუსეთის სამეფო კარისა და საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი. რელაციონი მიაკვლია და 1951 წელს ლონდონში გამოსცა ქართველი ხალხის მეგობარმა, ინგლისელმა ქართველოლოგმა დავით ლანგმა. ქართული თარგმანი, რომლის გაცნობის საშუალება ბ. გიორგაძემ მომცა, ჭერაც არ გამოკვიცია, ოცდაათი წელიწადი სრულდება, რაც იგი მთარგმნელის არქივში ინახება.

კაპიტანმა დე გრაი დე ფუამ საკუთარი თვლით იხილა და აღწერა, რა და როგორ მოხდა 1769-1771 წლებში. მკითხველი უთუოდ დამემოწმება.

რომ ორასი და მეტი წლის შემდეგ ამაზე უფრო სანდო მოწმეს მე ვერასდ
აღმოვაჩენდი.

დაუფასებელი სამსახური გამიწია დონ ქრისტოფორო კასტელის ამას
წინათ ბ. გიორგაძის მიერ გამოცემულმა ალბომმა და მისიონერი პატარების —
დონ პიეტრო ავიტაბილესა და ჯუზეპე ჯულიჩე მილანელის წიგნებმა საქარ-
თველოზე. აქვე უნდა მოვიხსენიო ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ და
ჩვენი ღვაწლმოსილი თანამემამულის, გულშეუვალი მამულიშვილების ხელით
შორეული იტალიიდან საქართველოში ჩამოსვენებულ მიხეილ თამარაშვილის
„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (მე-13-მე-20 საუკუნეები)“.

ჩემგნით ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სიკო კანდელაკის მიერ თავის
დროზე ჩაწერილი და აკაკის კრებულში დასტამბული გადმოცემა: „სოლომონ
მეფე და რაჰის ერისთავი“. ეს გადმოცემა თუ თქმულება 1936 წელს ცალკე
წიგნად გამოსცა გ. ქიქოძემ და მას თავისი მშვენიერი წერილიც დაურთო.
მე სწორედ ამ უკანასკნელ ტექსტს ვაგეცანი.

გამოყენებულია აგრეთვე: გულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველო-
ში“, ტ. I, იოანე ბატონიშვილი — „კალმასობა“, „ქართული სამართლის ძე-
გლები“, ტ. მე-2, დავით ბაგრატიონი — „საქართველოს ისტორია“, იოანე
ბაგრატიონი — „სჭულდება“, თედო ჟორდანიას — „ქრონიკები“, ტ. მე-3,
ალექსი იველევის 1650-1652 წ.წ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო
აღწერილობა, კრებული „ქართული დროშები“, ფსალმუნი, საეკლესიო კალენ-
დრები, კურთხევეანი, ახალი აღთქმა.

ეკლესიის საკითხების ირგვლივ წერილობით ახსნა-განმარტებებს მაძლევ-
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ამჟამად სრულიად საქართველოს კათა-
ლიკოს-პატრიარქი ილია, რისთვისაც მოკრძალებულ მადლობას მოვახსენებ.

რად ვწერ ყოველივე ამას? ნუთუ იმისთვის, რომ მკითხველის წინაშე
თავი მოვიწონო, დახეთ, რამდენი მიწრომია, რამდენი ათასი ფურცელი გადა-
ნიბულბულებია, ვიდრე საკუთარი წიგნის წერას შევუდგებოდე-მეთქი? არა,
რასაკვირველია. უწრომლად და თავის აუტყეებლად ჯერ სოფელი არ აშენე-
ბულა და არც მომავალში აშენდება. მე, რომანის ავტორი, მორალურად ვალ-
დებული ვიყავი, მკითხველი საზოგადოებისათვის გულმართლად შემცნო, ვისი
მეცნიერული ნაშრომ-ნაღვაწი წამიძღვა წინ, როდესაც ვაკვადნიერდი, ამ უაღ-
რესად ძნელ საქმეს შევეჭიდე და ზურგზე მიმიზეხ უმიმივის ტვირთი წამო-
ვიკიდო.

ბოლთა, 3 ნოემბერი, 1980 წ.



უსათაურონი

• • •

აი ეს მიწა,
მოთმინების მიწა აყალო,
ქალის სამარის მიწა გახლავს
ღმერთო, მაღალო,
შენ არც კი უწყვი
სად მიირთმევს
აღამი ვაშლებს!
მე... სარეცხს ვრეცხავ,
სალამომდე ხომ უნდა გაშრეს...

...და როცა ყელში მეჩხირება
ცრემლის გორგალი,
როცა ვგრძნობ,
როგორ დამსაჯე და
როგორ მომკალი,
როცა ჩაეცქერი
მოთმინების მიწას ამაყი,
მიყვარს ის კაცი,
ვინც ამ მიწას
გულზე დამაყრის.

• • •

სტრიქონებს აბამ
და სწყველი გამჩენს,
ნაწამებს დიდხანს
არ გეძინება...

ეგ არის შენგან
რაც უნდა დარჩეს,
მეტი — არავის ეცოდინება...

• • •

მოვედი შენთვის
მტერი შენ გყავს დასამზობელი,
სული თუ მიღვას
შენით მიღვას
და აღარც ვშიშობ,
შენც ეფერები

ჩემს სიცოცხლეს
როგორც შობელი,
რომელსაც უყვარს
განწირული,
ბედკრული პირშმო.

მთელი ეს კვირა
 იყო უმზეო.
 ამლამითაც ცა არის მღვრიე.

აწვიმს და აწვიმს
 ფიჭრი უმწეო
 ბალიშისპირზე ამოსულ იებს...

საოცარია ღედაჩემი,
 ყველა შვილში გამომარჩია
 და საქართველოს კარზედ მიმაგდო,
 თავში იცეს და როგორც უნდა,
 გზარდოსო ისე...

საოცარია ჩემი და-ძმა,
 ძუძუს თავთან არ გვიჩხუბია,
 ისინი სწოვდნენ,
 მე ვუცდიდი იმათ გაძლომას.

საოცარია მამაჩემი,
 როცა შემხვდებოდა,
 ისე მიბღვევს,
 დაჭიდება უნდოდეს თითქოს!
 სულ შტანჯავს ფიჭრი
 ვაი თუ მართლა დამეჭიდოს
 და საფეთქელი
 სისხლმდინარე ჩემს გულს ჩამოჰკრას...

საოცარია შვილი ჩემი,
 გამომიცხადა
 დამთავრდაო შენი ცხოვრება.

საოცარია მეგობარი
 უმადური სწორედ იმიტომ,
 რომ უხინჯო გულით მიყვარდა...

საოცრება ვარ მე თავადაც
 ჩემო კეთილო,
 აბა სული რად უნდა მედგას?!

იმედი,
 მერე მოლოდინი,
 იმედი ისევ,
 მუდამ,
 ყოველთვის,
 უსაშველოდ,
 გაცლამდე ქანცის...
 აჰა, გასრულდა,
 ამოთავდა ცხოვრების ჭისა,
 მოიმედე და მომლოდინე

დამიწდა კაცი...
 ვის ვუთხრა
 წრფელი სამომარო,
 ვინ არის ღირსი?
 სად არის სიტყვა
 ამოავსოს სამარის ხახა?
 გადამეღვრება გულზე
 შავი, მდუღარე ფისი...
 უხდება ვარდი
 იმედების საფლავებს ახალს.

ტირილი მინდა ხმაბლალი
 ამ საღამოთი,
 ტირილი მინდა თავისუფლად,
 გარეშე მოწმის,
 როცა ზეციდან

უწმინდესი თოვლი ჩამოდის
 და მივიწყებულ ბაგეს ჩემსას
 თამამად ჰკოცნის...
 ერთობა ჩვენი
 მინდა დარჩეს გაუქილავი,

მინდა ამ ფიფქებს
 ვერ უღიროსოს
 ტალახი ქუჩის...
 ბედნიერი ვარ,
 რომ კვლავ თვალში

ცრემლნი ბრწყინავენ,
 ცრემლნი, რომელთაც
 გამოჩენა ამ ხალხში
 უჭირთ!

* * *

არ შეიძლება
 მე რომ შენ აგყვე.
 დასეტყვავ სიმწრით
 ნახარებ ნამყენს,
 არ შეიძლება
 მე რომ შენ აგყვე...
 არა და დიდი,
 ქუფრი ღრუბელი,
 წკიპზე შემდგარი,
 გადამბუგველი
 თავს დასტრიალებს
 მოვლილ სავარდეს,
 ხომ შეიძლება
 მეხიც გავარდეს,


მე რომ სულ ოღნავ
 ცერად აგხედო
 ან ყმაწვილივით
 წავითავეხედო
 და ჭირვეულად
 გთხოვო აღერსი...
 როგორ იქნება,
 მთლად უარესი...

 ალბათ,
 ძალიან გიყვარვარ, ღმერთო,
 რომ მტანჯავ, მტანჯავ
 და მაინც ვერ მთმობ...

* * *

თქვენ მართალი ხართ!
 მე რომ ვინატრე,
 იმ თავგანწირვას
 ზღაპრებში თხზავენ.
 დრო მრუდე ფეხებს
 ისე მიათრევს
 და ისეთ მადას
 იკვებენის სვავი,

რომ უადგილოდ
 და სასაცილოდ
 ეღერს ჩემი სუნთქვაც,
 არამც თუ ნატვრა!
 ეს გზა ჩემია,
 არ გამაცილოთ!
 სიკვდილი? იყო...
 ...და სადღაც გატყვრა.



შინა ჩხებინა

306 პარ და რა პარ

მამულო ჩემო,
ვინ აღარ გაქებს,
სიყვარულს ვინლა არ გეფიცება,
ხარ ყველას ფიჭრი,
ზრუნვა და საქმე,
სიხარული და
თავდავიწყება...
თუმცა ჩემი გზაც შენგან იწყება,
თუმცა ჩემი გზაც შენთან თავდება,
მე გამაწამეს მწარე იტყებმა:
ჰაი, ჰაი, რომ
კი გეკადრება
ჩემზე მაღალი,
ჩემზე ნათელი,
შვილი —
ათასგზის ჩემზე კეთილი...
ლურჯ ღამეებს რომ თეთრად ვათევდი,
შენ დამნათოდი თავზე ღმერთივით!

ვიყავ კი
თუნდაც ერთი სანთელი?
ვის გავეუნათე,
ვინ გაეახარე...
გრიალებს ეკვის კორიანტელი,
სულში ურწმუნო თომა ხარხარებს.
და რიგრიგობით,
ჩუმად მიმზერენ:
ხვაშაქ, შუშანიკ,
ქეთევან, თამარ...
ქართველ ქალობას როგორ ვიფერებ,
რისთვის ვარსებობ,
ვინ ვარ და რა ვარ...
რა მაქვს სათქმელი!
უხმოდ ვიწეები,
და თავდახრილი უმწეოდ ვდგავარ...
თუმცა ჩემი გზაც შენგან იწყება
და შენსკენ მოდის —
ვიდრე არ ჩავა.

• • •

მურვან ყრუთა და
ჯალალედინთა
ურდოებს ჰგავდნენ
ღრუბლები მჭინე,
შენ წუთით შესდექ გზაჯვარედინთან
და სიკვდილის გზა ირჩიე ისევ.
ქაჯთა,

ავსულთა,
ათას ავდეეთა
მკერდით უნგრეე ციხე და ბურჯი,
თუ გველუშაბი ქარცეცხლს აფრქვევდა,
თუ ცად გაფრენდა ფასკუნჯი ლურჯი.
შურისძიების გრძნობა გახრჩობდა,
სძლიე ყოველი,



არ გყავდა ტოლი,
ვერვინ გაგტეხა,
ვერ დაგაჩოქა,
ვერცა წაგგვარა ლამაზი ცოლი.
წყალი და მიწა,
ცეცხლი და შუქი,
ასე წაართვი ღმერთსა თუ მაცილს,

დევემირი იყავ და მზეჭაბუკი,
სახელი შეგჩნა ვაჟკაცურ კადისს
რას გადაურჩი,
რა განიცადე,
რა ღირსეულად ხედებოდი სიკვდილს,
ამაყად დახვალ
დღეს ჩვენს მიწაზე
მისი ღვიძლი და ალალი მკვიდრი.

• • •

დღე გაილია ფიქრში,
ტყვილში,
ჩავიდა მზეც და
გულიც წაიღო.
ხვალ რას მოიტან, მზეო,
ვინ იცის,
ან ეს დღე რითი დავათარილო!
რას მივაბარჯე გულის ნაწილი,

ვის მზერას შეერჩი,
როგორც იმედი,
ვის გავუნათე ფიქრი დაღლილი,
ვის ვუწილადე სიბზო მცირედი!
დამენანება ფუტად ჩავლილი
დღე —
სიყვარულის ერთი გამხელა
და დედის ლოცვით ამოყვანილი
მზე — ოქროს ჩიტი ფრთაქაბუხელა!

მოქმინდაჯე

დედის ცრემლები —
ერის ჩვენის წმინდა ცრემლები,
რა ლურჯ იებად ამოფეთქილან!
აქ, სადღაც, ალბათ,
ნატერის ხეც ჰყვავის...
მოდის საღამო იღუმალი,
ფეხაკრეფილი
და ნათელზილვის მადლით მოსავეს
ფოთოლს თუ ყვავილს.
აქ ზვიადია ყოველივე —
თეთრიც და შავიც!
მზეც-მოწიწებით ეთხოვება აქ
უფლისსწორებს,
დიდი პოეტის —
გენიოსის დაღლილი თავი
ისევ ჩვეული შთაგონებით
გასცქერის შორეთს.
რა მაღლა იწევს
მეამბოხე სული ლტოლვილი,
ვითა მერანი
ფრთაგამლილი, ფაფარაშლილი...
წმინდა ტაძარი —

შესაფარი...
იგივე მპყრობელი
უფალი ჩემი —
მზეჭაბუკი ბარათაშვილი!
რა გრიგალ-ჭარებს სძინავს, ღმერთო,
ამ წმინდა მთაზე,
რა ჰქეპა-ქუხილს,
გულკანს ფარავს ეს იდილია.
რა სიამაყე,
რა სიმაღლე,
რა ცრემლი წმინდა —
ჩვენი აკაი,
ჩვენი ვაჟა,
ჩვენი ილია...
დროშად ქეცულან
დაფრფილი ეგე სანთლები —
ქართველი ერის საკურთხეველს
დანაღვენთები.
მე ყველა სანთელს გამოვიტან
ამ ღვთის ტაძრიდან
და მათ ავუნთებ:
აი, ჩემი ხალხის ღმერთები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

• • •

ისევ ისეთი კდემით ბიბინებს,
რაც შერჩა ხსოვნას,
რაც ვერ წამართვი.
ზღვა იმედით რომ ჩამოვირბინე
მტერიან შარაზე ვიწრო დაღმართი.
რა თბილი მზერით,
რა მკაცრი მზერით
მომაცილებდნენ, მახსოვს, თვალები,
გახუნებული თავსაფრის ფერით
ცრემლს მიმალავდნენ, მახსოვს,
თვალები!
ჩუმი ღიმილით
და პირჭვრის წერით
გზას მილოცავდნენ, მახსოვს, თვალები!
მოგონებათა შრიალებს ტვერი...
დღეს?
ვერ ვიგუე ჰყვებულა ფერი,
იმ სიმართლით და იმ მოკრძალებით
აქ არ შეგხვდება, ძვირფასო, ბევრი!
რა ჩაკვდა ჩემში?
მე ვეძებ პასუხს...
ზრიალებს ცივი სიცარიელე
და ვუბრუნდები ბავშვობას,
წარსულს,

აბრიალებულ ყვითელ იელებს.
თქვენ გადამარჩენთ,
თუ გადამარჩენთ,
ყმაწვილქალობის ოჭროს ჩიტებს,
მე თქვენგან ველი მართალ განაჩენს,
არ გთხოვთ,
დამზოგოთ და მომიტყევოთ.
მე შენგან ველი მართალ განაჩენს —
ჩემი ბავშვობის მზეო, კეთილო,
ნუ მიმატოვებ,
ნულარ დამავდებ,
რომ გული შეტად აღარ მეტყინოს.
ყოველ განსაცდელს,
ყინვას თუ ხანძარს
მიღმა დარჩენილს
შენ გელტვი — ნაკრძალს —
ჩემი ბავშვობის ქვეყანას ცისფერს —
მზით,
ოცნებებით,
ფრთებით,
მითებით
და ბედნიერი სიმშვიდით ვისმენ,
როგორ გალობენ ჰრელი ჩიტები.

მშობლიურ სოფელში

ამოდის მზე და მიიწევს მალა,
გიახლოვდება,
გულზე გაბიჯებს,
შეიფრთხილებს გულივით დალღაც,
უფრო მეტ მადლს და შუქს მოგანიჭებს.
კვლავ მოგინდება,
გზაზე ირბინო
მოკლე კაბით და ჰრელი წინდებით,
წინ აგიფრინდეს, როგორც მიმინო
ბიჭი და...
წუთით გაირინდები.
ელვარებს მზეში გზა უნაპირო —
გადახუნძლული ჩიტის გუნდებით,
ჯონქა ირემი სწორფერს გაჰყვირის,
შენ კი ძველი გზით
სახლში ბრუნდები.

ბალბის სურნელით,
ქინძის სურნელით
დაბრუებულან ვიწრო შუკები,
მიჭირიზინებენ ძველი ურმები
მზის ცოდვა-მადლით განაშუქები.
როგორც ტყვილი,
დარდი,
ზმანება
მიაქვთ ფიჭვი და
ჩუმი იმედი,
ერთხმად ჩამოჰკრეს ხსოვნის ზარებმა
იმ დღეთა შუქით მოციმციმეთი.
გულზე მოგეშვა სევდა ფარული:
— კიდევ კარგი, რომ ისევ იქა ვარ
და ზანზალაკის ჩუმი წქარუნით
ისევ მამხნევებს ჩემი წიქარა.

ე ტ ლ ე ბ ი

გადაიარა ეტლმა დავითის
გადაისრბოლა ეტლმა თამარის,
ვამაყობთ ახლა ზოგის მშვენებით,
ზოგის სახელით,
ზოგის სამართით.

ათასი ეტლი, გზები მტვრიანი...
ვინ საით მიდის, რომელი ცისკრით?!
ეტლი ათასი...
ეტლი ათასი...
და ყველა ეტლი ერთი გზით მიჭრის.

ერთი გზით მიჭრის ათასი ეტლი
და ყველა ეტლი სინათლეს ელტვის,
მათი გრიალით სავსე მაქვს მკერდი,
ზოგი წყვილია და ზოგიც კენტი.

ათასი ეტლი და მათ კვალდაკვალ
შეხედუე გზები ყალყზე დგებიან
და შენიც მალე დაიძვრის ეტლი
გზები და ქარი მოსწყურებია.

შორით მოისმის და ძილს გიშფოთებს
წინ მიმჭროლავი ეტლის წაარუნი
და მის კვალდაკვალ ათასი ეტლი
ათასი გზების მტვრით დაფარული.

და მაინც ყველა ერთი გზით მიდის,
რადგან ყველა გზა უცებ გათავდა,
წინ მიმჭროლავმა გადავლო ხიდი
და ახლა მოჩანს ზიდის გადაღმა.

გ ა დ ა ს ა ს კ ლ ე ლ ი

ღრუბელი გიხმობს,
ღრუბელი გიხმობს,
ღრუბელი გიხმობს უსაზღვრო ხმობით,
პირიქით დარჩა სოფელი დიკლო,
თოვლის და ქარის იმედით მყოფი.

პირიქით დარჩნენ თუშეთის წყლები,
პირაქეთ მოჰქუხს ნაცნობი ხევი,

ვატყობ სულ სხვა და სხვაგვარი ვხედები,
როგორც აქამდე გამზდარან სხვები.

კაი ყმის მითხარ თორმეტი მცენება,
მითხარ მამულის ათასი ჭირი,
ბორბალოს თავზე ყომრალი წვეება,
ქისტეთის მთები შესვრილან კირით.

ახლა დაღმართად ბილიცი ჩადის,
გვეყო ამდენი აღმართით დაღლა,
გალმა ტყე ჩანდა თამარის ხატის,
მაგრამ ყველა ხე უეცრად გახმა.

კაი ყმის მითხარ,
მითხარ ქადილით,
ხელს კიდევ როდის გავიკრავთ ხმაღზე,
მაღე დაჩნდება ახლა შატილი,
ზღაპრით, სისხლით და ქარებით საგსე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ კ ღ რ მ ბ ი

თოვლი არ მოვა... ძველი ქადრები
ბჭობენ ჩიტების ქალაქში მდგარი,
მეც იმათ გვერდით მივალ, დაუდგები,
და მეც ცისაკენ მიჭირავს თვალი.

თოვლი კი არ ჩანს, მარტოდენ ღრუბლის
ცაზე ჰკიდია ცრიატი ფლასი

და დაჭირბლული ქედების შუბლი
ავსილა კმუნვის ათასი ხაზით.

თოვლი კი არ ჩანს, სულ არ ჩანს
თოვლი,
ბჭობენ ქადრები: მოვა... არ მოვა...
ველს მეთოვლიის აყრია ჭორფლი,
არის ლოდინი და საღამოა.

თოვლის სიყვარულით თოვლი

მოვიდა თოვლი, თოვლის ქარაგმას
ხსნიან ქარები სულის მთიშველი
და შეჰყურებენ მთებს მოლოდინით
ტყეები ხმელი და ტანშიშველი.

ჭრიან ქარები, ქარის ხმაურში
მეც ვეძალები მწუხრის მუსიკას
და ზამთრის თეთრი დღესასწაულის
თეთრად გაპენტილ სუფრას ვუზივარ.

ყველა წავიდა — თოვლი ჩამოდის,
და საკვამური დილით იღვიძებს,

იწვის დამზრალი ყინვით ნაფოტი
და კვამლი ფრთხება ქარის ხვივილზე.

მე ვერ მოგძებნი შორი მინდვრების
ტანზე და უცხო ქარის თვალთაწინ,
რამეთუ დღეს თოვლს ასე ვჭირდები,
რამეთუ ვზივარ თოვლის კალთაში.

რამეთუ ვიწვი ყინვის კოცონზე,
ყინვის კოცონი ვინმეს გიგრძენიათ?!
და ცას შევძახი — კიდევ მოთოვე,
უთოვლოდ ყოფნა არ შემიძლია!

ხ ი ლ ვ კ

თეთრი ქალაქი! შორი მთის მწვერვალს
ამშვენებს ღრუბლის თეთრი ქალაქი,
მე ისევ მწვანე ბალახთან ვწევარ,
მეალერსება მწვანე ბალახი.

და შენზე ვფიქრობ, ვივსები შენზე
ფიქრით და კიდევ მწველი ალერსით,
ძლივს დღეს პირველად გარჩევა
შეგძელ:
— შენი ზარიც ხმობს სხვათა ზარებში.

წვრილებს თეთრი ქალაქის კართან,
წვრილებს ეინით, წვრილებს ვნებით,
ან სხვა რა შეგვჩა ქალაქის გარდა,
შორი მთის მწვერვალს რომელიც
შვენის.

ღრუბლის ქალაქი, ქალაქი-გემი,
მწველი ქარების კვალზე მტკრავი,
მიჭრის მიწიერ უფსკრულებს ზევით
და შეენის თეთრი თავსაბურავი.

კიდევ ათასჯერ...

კიდევ ათასჯერ შევტყორცნი ისარს,
კიდევ ათასჯერ ჩამოვყრი ქორებს,
კიდევ ათასჯერ გადავალ გზიდან,
გავტურავ ცივს და საშინელ მორევს,
კიდევ ათასჯერ გაკოცებ, მოვალ,
არ ვიყო თუნდაც ნახმოზი შენგან,

დაიწყო მთებში თოვლებმა ღლობა,
დაეტყო ქრუნი ქალას და ზეგანს,
და კიდევ ბევრჯერ ჩამოვყრი ქორებს
და კიდევ ბევრჯერ შევტყორცნი ისარს,
შენი ღიმილი მაკლია თორემ,
ღიმილს და კოცნას რას ვაქნევ სხვისას.

• • •

გზაზე ეული ვაგდივარ მოყმე,
შმაგმა ყივჩაღმა ცოლი წამგვარა,
ხმალი გამიტყდა და ქვიშა ელოკე,
გამიცვდა ცხენის ლაგამ-ავშარა.

მაინც რა არის დიაცი იგი,
მაგ დიაცისთვის ათასჯერ მომკლეს,
ისევ იზრდება მკვლელების რიგი,
მე კი სულ მარტო დავდივარ მოყმე.

• • •

დედაო ჩემო,
მოსულა თოვლი,
და ძლიერ დიდბანს ვიცი ითოვებს,
აღარ მოდიან ლურჯა ცხენები,
საფლავზე ბალახს აღარ გიძოვენ.



პურამ პეპეშიძე

ხმა მღალღებლისა

რომანი

ნაწილი პირველი

პეტერბურგელი ქართველი სტუდენ-
ტების ერთადერთი საზრუნავი საშობ-
ლო იყო. ისინი ხშირად იკრიბებოდ-
ნენ, საშობლოს ბედ-იღბალზე და მო-
მავალზე მსჯელობდნენ. სწავლას იმი-
ტომ ეწაფებოდნენ, რომ საშობლოს
გამოსდგომოდნენ. ყველას საშობლო
ეკერა პირზე. იმ დღეზე ოცნებობდ-
ნენ, საშობლოში დაბრუნებულნი მის
საკეთილდღეოდ რომ გაირჩებოდნენ.
ბევრს ლაპარაკობდნენ გლეხკაცობის
მდგომარეობაზე, ქვეყნის განთავისუფ-
ლებაზე. ასეთი საუბრები ბეგლარსაც
ხშირად ესმოდა, როცა ნესტორთან
თავს იყრიდნენ ამხანაგები, მაგრამ უც-
ნაური რამ ხდებოდა, საშობლოსკენ
გული არ მიუწევდა ბეგლარს, არ ეჩქა-
რებოდა უკან დაბრუნება. რა ჰქონდა
იქ, რა დასტოვა? თავადიშვილებს მა-
მულეები და ფართო სამოქმედო ასპარე-
ზი ელოდათ, სტუდენტთა უმრავლესო-
ბა წარჩინებული ოჯახის შვილები იყ-
ვნენ. ბეგლარს კი უნდოდა კიდევ რა-
ღაც ენახა, რაღაც ესწავლა, რაღაც გა-
ეგო. პეტერბურგის ქუჩებში სეირნო-

ბისას, იმ ადგილას უყვარდა გასვლა,
სადაც ფართო და მღორე მდინარე
ნევა ფინეთის ყურეს ერთვის. აქაური
ზღვა უფერო იყო და შორს გასული ხო-
მალღები პაერში გაფანტულ საგნებს
ჰგავდნენ. ბეგლარი იდგა ხოლმე ზღვის
პირას და გასცქეროდა შორეთს. მან
უკვე იცოდა გეოგრაფია და ძალზე
სწყუროდა ზღვის მიღმა მდებარე, ბუ-
რუსით მოსილი ქვეყნების ნახვა. ნეს-
ტორმა რომ ქართული ენის გალანძლ-
ვისათვის ეანდარმთა ოფიცერი მოჰკ-
ლა, ბეგლარი თან გაჰყვა მას გადასახ-
ლებაში, თუმცა შეეძლო საშობლოში
დაბრუნებულიყო. სანამ ნესტორი
ირკუტსკის ციხეში იჯდა ორი თვე,
ბეგლარი ინტერესით აკვირდებოდა აქა-
ურ ხალხს. მერე ნესტორი ირკუტსკის
მახლობლად, ერთ პატარა სოფელში
გადასახლეს. ორი დღეც არ გაჩერე-
ბულან იქ, უმაღლე გამობრუნდნენ,
ოდესისკენ მიმავალ მატარებელზე მე-
ორე კლასის ბილეთი იყიდეს და კუ-
პეში ეანდარმთა ოფიცერს წააწყდნენ,
რომელიც ცოლთან ერთად მოსკოვს
მიემგზავრებოდა. ნესტორმა თავი კო-

მერსანტად გაასალა, ოფიცრის მეულ-
 ლე ფრანგულის მკოდნე აღმოჩნდა და
 მთელი გზა როსტოვამდე გულითად სა-
 უბარში გაატარეს. ამ ცოლ-ქმარს ისე
 მოეწონა ნესტორი, რომ დიდის ამბით
 ეპატიებოდნენ ოჯახში სტუმრად. მა-
 გრამ სასტუმროდ არ ჰქონდათ საქმე,
 ოდესაში გამოქცეულნი კარგა ხანს იმა-
 ლებოდნენ, ვიდრე მეგობრებმა და კე-
 თილისმყოფელებმა ნესტორს საზღვარ-
 გარეთის პასპორტი არ უშოვნეს. ბეგ-
 ლარი თან გაყვა ნესტორს უცხოეთ-
 შიც. ახალი სანახაობანი და ფათერა-
 კები იტაცებდა მას, ახალი ქვეყნების,
 ქალაქების, ზღვებისა და ხალხის ნახ-
 ვის სურვილი ავიწყებდა თავის სო-
 ფელს, თავის ყანას და თოხს. როდეს-
 საც გემით გაემგზავრნენ საფრანგეთში,
 კვლავ საოცრებანი გადაეშალა ბეგ-
 ლარს თვალწინ: სტამბოლი, ბოსფორი,
 ხარებშ მართლაც რომ არ გაუჭირდებ-
 ბოდათ აქ გადასვლა, მარმარილო, დარ-
 დანელი, ეგეოსი, ზღვაში გაფანტული
 ბერძნული კუნძულები, უძველესი
 ხმელთაშუა ზღვა და უძველესი ქვეყ-
 ნები. და როცა გემმა მარსელის ნავსა-
 დგურში ჩაუშვა ლუზა, სადაც ყოველ
 ნაბიჯზე საროსკიპოები, სამორინოები,
 სამიციტნოები და სასტუმროები იყო,
 ბეგლარს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვე-
 ტილი რომელიმე გემზე მზღვლაურად
 მოწყობილიყო და კვლავ ეხეტიანა
 ქვეყნიერების გასაცნობად. ეს სურვი-
 ლი მარსელშივე განუცხადა ნესტორს.
 ნესტორს გაეღიმა, გაამხნევა, „ღმერთ-
 მა ხელი მოგიმართოს, თავის დროზე
 ჩვენ ქვეყანას ზღვაოსნებიც დასჭირ-
 დებოა“, და თვითონ წაიყვანა პორტ-
 ში, სადაც ხანგრძლივი ძიებისა და მო-
 თათბირების შემდეგ, ერთ-ერთი ფრან-
 გული გემის ღვთისნიერ კაპიტანს ჩაა-
 ბარა. კაპიტანი ხანშიშესული კაცი იყო,
 იცოდა არგონაუტების მითი, გაგებუ-
 ლი ჰქონდა კოლხიდა, კაკასია. მან
 ნესტორს აღუთქვა, ამ კოლხიდედ ანუ
 კაკასიელ ყმაწვილს, რაც საჭიროა,
 ყველაფერს ვასწავლიო. გემი ორი კვი-
 რის შემდეგ უნდა გასულიყო მარსე-

ლიდან. ნესტორმა მცირეოდენი ფული
 დაუტოვა ბეგლარს და პარეზს გაემგზა-
 ზაერა, ხოლო ბეგლარმა იმავე ღამეს
 მოიარა საროსკიპოები, სამიციტნოები,
 სამორინოები და ჭიბეცარიელი ავიდა
 გემზე, რომელსაც „ლუარა“ ერქვა.

10.

ზღვამ მკლავები შემოხვია გემს, აატი-
 ვტივა და აიტაცა. როცა ზვირთების
 მოუსვენარმა დინებამ შორეულ და
 უდაბურ სივრცეებს გაუყენა ქვეყნიე-
 რების ნახვის ენით შეპყრობილი ბეგ-
 ლარი, ნესტორი პარიზს ჩაეიდა და
 ერთ იაფფასიან სასტუმროში დადგა.
 ამ დიდებულ ქალაქში, ის არავის იც-
 ნობდა, მაგრამ ფრანგული ენის ცოდნა
 ეხმარებოდა უცხო ხალხთან ურთიერ-
 თობის დამყარებაში და სამშობლოდან
 გადახვეწილი კაცის პირობაზე, თავს
 არც ისე ურიგოდ და მოუსაფრად
 გრძნობდა. დასერილობდა, ათვლიერე-
 ბდა, მოსწონდა, უკვირდა.

პარიზში ნესტორს წერილი ჰქონდა
 თავად გივი ამილახვართან. ეს იყო
 მდიდარი მემამულე და გადამდგარი
 გენერალი, რომელიც ყოველ ზაფხულს
 ევროპის კურორტებზე ატარებდა და
 პარიზშიც ხშირად ჩადიოდა. იგი ნეს-
 ტორის მეგობარს ოთარ ამილახვარს,
 ბიძად მოხვდებოდა. გივი ამილახვრის
 უმცროსი ძმა ივანე, სახელგანთქმული
 მეცნიერი იყო, პეტერბურგის უნივერ-
 სიტეტის ქიმიის პროფესორი. იმამად,
 იგი პარიზში მიეწვიათ, სობრონაში
 ლექციების წასაკითხად. ივანე ამილახ-
 ვრის ლექციებს უამრავი ხალხი ესწრე-
 ბოდა და მისი წყალობით, ამ განათლე-
 ბულ ქვეყანაში, ზოგიერთებმა გაიგეს
 პატარა და მივიწყებული საქართველოს
 არსებობა.

ერთ მშვენიერ დღეს, ნესტორმაც
 გაიცნო თავისი სახელმძღვანელო თა-
 ნამემამულე. ეს მოხდა მაშინ, როდესაც
 ოდესიდან გამოტანებული ბარათით ეს-
 ტუმრა თავად გივის. ბარათი ერთმა
 ხანშიშესულმა ქართველმა მანდილოსა-

ნმა გამოატანა, რომელიც ბატონ გივის ბიძაშვილად მოხვდებოდა, ხოლო ოთარ ამილახვარს, ნესტორის უერთგულეს მეგობარს — მაშიდად. წერილის გამომტანებელი ქალბატონი ფეფო უკვე ოცდაათი წელიწადი იქნებოდა, რაც ოდესაში ცხოვრობდა. მოუხედავად ამისა, არც ქართული ენა დავიწყებოდა და არც ქართველებისა და საქართველოს სიყვარული განელებოდა. ოცი წლისა რომ გამხდარა, ეს ულამაზესი ქალი ცოლად გაუყოლებით საქართველოში ნამსახურევე რუსის გენერლისთვის. ამბობდნენ, ქალს ერთი ახალგაზრდა ქართველი თავადი უყვარდაო, მაგრამ შშობლებმა და მოყვრებმა მდიდარი რუსი გენერალი არჩიეს და ძალად გაურიგესო. შეიძლება, მართლაც ასე იყო, შეიძლება, შეთხზული იყოს ეს ამბავი. ახალდაქორწინებულ ერთხანს თბილისში უცხოვრიათ, მერე გენერალი სამსახურიდან ვადამდგარა და ცოლთან ერთად ოდესაში დაბრუნებულია. ამ ქალაქის მკვიდრი გახლდათ, აქ უამრავ ქონებას ფლობდა, უძრავსა და მოძრავს. რუსის გენერალს გერმანული გვარი ჰქონდა და გრაფის წოდება. მშვიდად ცხოვრობდა თურმე, მეუღლესთან ერთად ხშირად მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში, ვიდრე ერთ მშვენიერ, თუ სამწუხარო დღეს, დივილის მძიმე სენმა არ დაატოვებინა ცოდილი მიწა, სადაც ამდენი ქონება დარჩა. შვილი არა ჰყავდა, მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება მეუღლეს ხედა, რომლის პატივისცემა და სიყვარული არ განელებია სიკვდილის წუთამდე. სიმდიდრისა და, რა თქმა უნდა, პირადი მომხიბვლელობის წყალობით, ქალბატონი ფეფო დიდი პატივით სარგებლობდა მაღალ წრეებში. მაგრამ მას, ქართველი თავადის ასულსა და გერმანული წარმოშობის რუსი გრაფის მეუღლეს, სასტიკად სძულდა რუსეთის ხელისუფლება, ენდარმერია და პოლიცია, რომელიც იცავდა მის აუარებელ ქონებას და უფლებას ახლო ურთიერთობისა ოლქის პროკურორით დაწყებული, გუბერნატორით

რით დამთავრებული, ყველა მაღალი ჩინის მქონე პირთან, მის ოჯახში რომ დაიარებოდნენ საღამოობით, სადაც იყო თამაში პრეფერანსისა, იყო ჩაისსა, იყო ბასი. როდესაც ციმბირიდან გამოქცეულმა ნესტორმა ოთარს აცნობა ოდესაში დამხვდიო, პეტერბურგიდან საგანგებოდ ნესტორის დასახვედრად ოდესაში ჩამოსულმა ოთარ ამილახვარმა თავის ნათესავს, ქალბატონ ფეფოს მიაკითხა და თხოვა, თუ შეგიძლიათ, ცოტა ხნით, ჩემი დევნილი მეგობარი შეიფარეთო.

— დევნილი მეგობარი?

— დიახ, ციმბირიდან გამოქცეული! ნესტორის ამბავმა ქალბატონი ფეფო ალტაცებაში მოიყვანა.

— ნუთუ მართლა ერთის მოქნევით?

— დიახ, მხოლოდ ერთის მოქნევით!

— ენდარმთა პოლკოვნიკს წააძრო თავი?

— ენდარმთა პოლკოვნიკს.

— მესმის, ვაჟკაცი! დაუყოვნებლივ მომიყვანე ეგ ყმაწვილი! — და სიხარულით გაუღო ნესტორს თავისი ოჯახის კარი, შეივარდომა, შეითვისა და იმდენად შეიყვარა, რომ არც კი უნდოდა მისი გაშვება საზღვარგარეთ, მაგრამ საშიში იყო ნესტორისთვის რუსეთში დარჩენა, ადრე თუ გვიან მიაგნებდნენ მის კვალს და მაშინ, განშორებით გულდაწყვეტილმა ქალბატონმა ფეფომ გუბერნატორის წყალობით სულ ადვილად უშოვა საზღვარგარეთის პასპორტი, საფრანგეთისკენ მიმავალ გემზეც მოაწყო, ფულითაც ხელი გაუმართა და პარიზში მცხოვრებ გივი ამილახვართან ბარათი გაატანა.

ნესტორი ეახლა თავად გივის. თავადი გივი პარიზის ერთ-ერთ მდიდრულ უბანში ცხოვრობდა. ნესტორი ლამაზად ნაგები სახლის საპარადო შესასვლელთან შეჩერდა, რომლის თალი სიმძიმისაგან მოზრილ შიშველ ქვის გოლიათებს ექირათ მხრით, და ზარს ჩამოჰკრა. ლივრეიანმა ლაქიამ კარი გაუღო და მარმარილოს კიბეზე აატარა სტუმარი. მეორე სართულზე, ერთ მო-

მცრო ოთახში მოაცდევინა, სადაც მცირე ხნის შემდეგ, ტანმორჩილი, მაგრამ მედიდური იერის მქონე კაცი შემოვიდა. ეს კაცი გახლდათ ბატონი გივი. მას შავი ფრაკი ეცვა. არც ნესტორი იყო მიინცდამაინც ტანადი, მაგრამ გრძელ ფრაკში გამოწყობილი ბატონი გივი მასთან შედარებით მთლად კაფანდარა ჩანდა. ბატონი გივი შეგვერემანი კაცი იყო, ხუჭუჭთმიანი, შექალაჩავებული, სახეს სქელი ბაყენბარდები უფარავდა, კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ჭორისებური მზერა, სუსხიანი და მკაცრი, უნებურად მორიდებდას რომ ჰგერის აღამიანს. ამ პირქუში გარეგნობის კაცმა ოდესიდან გამოგზავნილი ბარათი ბოლომდე ჩაიკითხა და საქმაოდ მეკახედ უთხრა ნესტორს:

— ვერ მოიშალეთ ქართველებმა ხანჯლებსი ქნევა?

ეს სიტყვა ნესტორს არ მოეწონა, პასუხის გაცემას დღეილი ამჯობინა. როდესაც გივი ამილახვარმა მეზობელ ოთახში შეიპატიჟა, ერთბაშად, დამშვიდობება და გაბრუნება განიზრახა, მაგრამ წყენის გამომელაგნებისა მოერიდა და დაჰყვა მასპინძლის ნებას. ისინი მეორე ოთახში გავიდნენ. ოთახი დიდი და ვრცელი იყო, თამბაქოს მწვეელი ხალხით სავსე. ესენი ივანე ამილახვართან სტუმრად მოსული ფრანგი მეცნიერები გახლდნენ. საუბარი ქიმიას შეეხებოდა. გვიმ იხმო უმცროსი ძმა, რათა მისთვის ახლახან ჩამოსული ნესტორი წარედგინა. თავადი ივანე ზეზე წამოდგა, მხარბეჭიანი, ლამაზი, შავი წვერ-ულვაში და მზრებამდე ჩამოყრილი ხშირი თმა ამშვენებდა, ფართო შუბლი ჰქონდა, ჰკვიანი თვალები. აღნაგობით ივანე უფრო ჩამოჰგავდა სარდალს და მებრძოლს, ვიდრე ტანმორჩილი გივი.

— ამ ქართველ ყმაწვილს პეტერბურგში პოლკოვნიკი მოუკლავს ქართველების გალანძღვისათვის. ციმბირიდან გამოქცეულა და ახლა ევროპაში სწავლას აპირებს! — რუსულად უთხრა გვიმ ივანეს. ფეფოს გამოგზავნილი

ბარათი მას ჯერ კიდევ ხელში ეკირა.
— რა გსურთ შეისწავლოთ? — რუსულადვე ჰკითხა ივანემ ნესტორს.
— სამხედრო საქმე! — მიუგო ნესტორმა.

— თუ ქიმიას აირჩევთ, ხელს შეგიწყობთ, — მოკლედ მოუჭრა თავადმა ივანემ, ყურადღებით აათვალიერა ნესტორი, რომლის თავგადასავლით ის არც კი დაინტერესებულა, და კვლავ თავის სტუმრებს მიუბრუნდა, ფრანგ ქიმიკოსებს, რომელთაც გივის დაძახებამდე ფრანგულ ენაზე ებაასებოდა თანამედროვე ქიმიის პრობლემებზე. ივანემ გაავრბელა გაწყვეტილი სიტყვა.

ნესტორმა გაიფიქრა, ამ კაცს ეტყობა, ქიმიის გარდა არაფერი აინტერესებს თითქოს ქიმიია იყოს მისი სამშობლო, ხოლო ქიმიკოსები მისი თანამემამულენიო. ამაში იყო სიმართლის ნასახი. მაგრამ როცა ივანეს პასუხობდა სამხედრო საქმე მსურს შევისწავლოო, ბატონ გივის შეავლო თვალი, რადგან მისი დახმარების იმედი ჰქონდა. ბატონ გივის ხმა არ ამოუღია და ნესტორი მიხვდა, რომ არ უნდა ჰქონოდა მისი დახმარების იმედი. გულცივად შემხვდნენო, გაიფიქრა, ამილახვრებს დაემშვიდობა და ქუჩაში გამოსულმა თავი თავისუფლად იგრძნო, თითქოს ამ ვიზიტით აუცილებელი და მძიმე ტვირთი მოიშორა მზრიდან.

უცხო ქვეყანაში ყალბი პასპორტით მცხოვრები კაცისთვის სამხედრო განათლების მიღება, შეუძლებელი საქმე შეიქნა. ადრე ნესტორს ასეთი სურვილი არც ჰქონია, როგორც უკვე ითქვა, ის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, მაგრამ ქართველების მოქალაქე პოლკოვნიკის მოკვლის შემდეგ, უკვე მაშინ, როცა ციმბირიდან გამოქცეული ქალბატონმა ფეფომ საფრანგეთისკენ გამოისტუმრა, ჯერ კიდევ გემზე მყოფმა ნესტორმა ზოგი რამ გადაიფიქრა და მომავალში, მამულის განთავისუფლებისათვის, სამხედრო საქმის დაუფლება განიზრახა. მაგრამ მისი

ზრახვა ზრახვად დარჩა. პარიზში ერთი თვის ცხოვრების შემდეგ, როცა სამხედრო სასწავლებლისკენ მიმავალი ყველა გზა მოსინჯა და ყველა გზა მოეპრა, ის მიხვდა გენერალ გივი ამილახვრის ღუმლის მიზეზს: მას არ შეეძლო დახმარებოდა და ამიტომ ნესტორს წყენაც გაუქრა. ნესტორი ლათინურ უბანში გადასახლდა და უნივერსიტეტში სიარული დაიწყო. ჭიმიამ იგი არ გაიტაცა, თუმცა დიდმა მეცნიერმა დახმარება აღუთქვა, თუ ამ დარგს მოჰქიდებდა ხელს. ნესტორი ეკონომიკამ და სამართალმა დაინტერესა და ამ საგნებს მოჰქიდა ხელი. ზოგჯერ ისტორიის ლექციებსაც ისმენდა, მეტადრე ისტორიის ლექციებზე დასასწრებად სწავლის ჭირის გადახდა არ იყო საჭირო.

იმ ემად, ევროპაში, რუსეთიდან ჩამოსული ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა. საკმაოდ იყვნენ ისინი პარიზშიც, მაგრამ ნესტორს არავისთან არ ჰქონდა ურთიერთობა და არც სურვილი ვინმესთან დაახლოებისა. თავი განცალკევებულად ეჭირა. მისი ურთიერთობა თანაკურსელებთან თავაზიანი საღმთი იფარგლებოდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს. ერთხელ, როცა ნესტორი ლექციის შემდეგ, უნივერსიტეტის შენობიდან გამოდიოდა, ერთი სანდომიანი ახალგაზრდა მიუახლოვდა და რუსულად გამოელაპარაკა.

— მომიტევეთ, მოწყალეო ხელმწიფე, მე თავადი ალექსანდრე არბენინი ვარ. თუ არ ვცდები, თქვენ კავკასიიდან უნდა იყოთ.

— დიახ, ქართველი გახლავართ.

— ასე თუ ისე, ჩვენ თანამემამულენი ვყოფილვართ...

— დიახ, ასე თუ ისე...

— დიდი ხანია სურვილი მაქვს თქვენი გაცნობისა, რადგან ძლიერ მომწონს კავკასია და კავკასიელები.

— თქვენ ყოფილხართ იქ?

— დიახ, ამ რამდენიმე წლის წინ, საინი თვე გავატარე საქართველოში.

ნესტორს მოეწონა არბენინი. მისი

ცისფერი თვალები ზრდილობას დაკეთილშობილებას აშუქებდნენ. მჭერა თმა და წვერ-ულვაში თხელ ლაწვებს რომ უფარავდა, თითქოს მისი შინაგანი სისალექის გამომხატველი იყო. ეს იყო საშუალოზე მაღალი, ოდნავ სუსტი აგებულების კაცი. იმ დღიდან ისინი დაახლოვდნენ. არბენინი მდიდარი მემამულის შვილი გახლდათ. მამამისს გუბერნატორის პოსტი ეკავა. ხშირად დაჰყავდა შვილი საზღვარგარეთ. ალექსანდრე არბენინს ყრმობიდანვე ჰქონდა მოვლილი ევროპა, ზედმიწევნით კარგად იცოდა ფრანგული, ინგლისური, გერმანული და იტალიური ენები. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორიას, ლიტერატურას და ხელოვნებას. ეთაყვანებოდა პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიას, ტურგენევისა და ლევ ტოლსტოის პროზას, ბევრი რამ ჰქონდა გაგებული კავკასიაზე და საქართველოზე, არ თანუგრძნობდა რომანოვების იმპერიის მიერ თავისუფლებისათვის თავგანწირულად მებრძოლ კავკასიელი მთიელების განადგურებას, ევროპულ კულტურაზე აღზრდილ ბევრი რამ არ მოსწონდა თანამედროვე რუსული ყოფისა, ქართველებს რაინდული თვისებების მქონე ხალხად მიიჩნევდა და მიზეზად ამისა ასახელებდა იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავის დროზე გაიარა ეპოქა რაინდობისა და იმ ეპოქის ეთიკა და მორალი დღესაც ღრმად იჭდა ქართული ფსიქიკის საფუძვლებში. საქართველოსადმი დიდი თანაგრძნობით გამსჭვალულმა არბენინმა იმდენად მოხიბლა ნესტორი, რომ არბენინის თავისი თავგადასავალიც კი ანდო, სამშობლოს დანატრებულ ბევრ რამეს უამბობდა საქართველოზე, მის წარსულზე და აწმყოზე, და როცა საქართველოს მომავალზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ისე გულახდილად უზიარებდა სანუკვარ ოცნებას მამულის განთავისუფლებაზე, თითქოს არბენინი მისი თვისტომი ყოფილიყო.

ეს ის დრო იყო, როცა ევროპულ კულტურას ზიარებულ რუს ახალგაზრდო.

ბას არ მოსწონდა რუსული სინამდვილე, მისი ტრადიციული ჩამორჩენილობა და სიბნელე. ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და, რა თქმა უნდა, მითქმამოთქმა რუსეთის მთავრობის ყურამდეც აღწევდა. და რუსეთის მთავრობამ, შეშინებულმა იმით, რომ მითქმამოთქმას შეიძლება შემდეგში შფოთი მოჰყოლოდა, უკან იხმო საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული თავისი ქვეშევრდომნი. მაშინ ბევრი ახალგაზრდა შეიქნა იბუღბუღი სწავლისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულ იყვნენ. საფრანგეთში ყალბი პასპორტით მცხოვრები ნესტორი, საფრანგეთის ხელისუფალთ შეეძლოთ რუსეთში გაესახლებინათ, სადაც მას კატარა არ ასცდებოდა. ის იყო, ნესტორმა საფრანგეთის დატოვება და ბელგიაში გამგზავრება განიზრახა, რათა საფრთხეს არიდებოდა, რომ ზალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავები თურქებს აუჯანყდნენ, სერბიამ და ჩერნიგორიამ სულთანს ომი გამოუცხადეს.

ეს ომი სამართლიანი იყო, დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული. ამიტომ სერბებს და ჩერნიგორიელებს ბევრი თანამგრძობი გამოუჩნდა რუსეთში. რუსები ყოველნაირად ეხმარებოდნენ აჯანყებულებს. რუსი გენერალი ჩერნიაევი სერბთა სამსახურში ჩადგა, რუსი ოფიცრები და არასამხედრო პირნიც ნებაყოფლობით მიემგზავრებოდნენ თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მართალია, ზოგიერთ მათგანს სლავთა გაერთიანების იდეა ამოძრავებდა და კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდება სწყუროდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უანგაროდ თანაუგრძნობდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამბოხებულ ხალხს. ასეთთა რიცხვში იყო ალექსანდრე არბენინი, მან სერბიაში საბრძოლველად გამგზავრება განიზრახა და ერთ მშვენიერ დღეს, ნესტორს გამოსამშვიდობებლად ეწვია. „თურქები ჩემი სამშობლოს დაუძინებელი მტრები იყვნენ, თურქებთან ბრძოლა,

სადაც არ უნდა იყოს, ჩემს მოკვლევად მიმაჩნია“, — თქვა ნესტორმა, როცა არბენინს მოუსმინა. ამის შემდეგ, მან სორბონის უნივერსიტეტი მიატოვა და ნაცვლად იმისა, რომ ბელგიისკენ გაეწია სწავლის გასაგრძელებლად, სერბიას მიაშურა საომრად. ნესტორს ბევრი არაფერი ებადა, მაგრამ რაც გააჩნდა, პარიზში შექმნილი წიგნები თუ სხვა რამ, სახლის პატრონს მიიბარა, ანგარიში გაუსწორა და არბენინთან ერთად შვეიცარიისკენ მიმავალ მატარებელში ჩაქდა. მეორე საღამოს, ისინი ენევეაში ჩავიდნენ.

11.

ალექსანდრე არბენინს ენევეაში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. ნესტორი ისეთ გუნებაზე წამოვიდა პარიზიდან, როცა კაცი ისედაც ლღლად გრძნობს თავს, მზიარულად, მზნედ, ამაყად, როცა მიზანი იმდენად ღირსეულია, რომ ეჭვის ნასახსაც კი აქრობს, და არც კი იცი რა არის ეჭვი, სად არის იგი, არ არსებობს, სადაც ბნელ კუნძულში მიმალულა თავჩაქინდრული, და არსებობს მხოლოდ მიზანი, ისეთი ფერადი, ვრცელი, ისეთი ხელშესახები, ყოვლისმომცველი, აზრიანი და მთლიანი, როგორც ყველა ხილული საგანი, ამქვეყნიური, მარტივი, სადა. მომავალი ფათერაკები, რომლისკენაც მიისწრაფოდა, ნესტორს ოდნავადაც არ აფრთხობდა, ოდნავადაც ვერ წარმოიდგენდა ნგრევას, ცეცხლს, სისხლს, ურვას, წვალებას. ომის სურათი მხოლოდ გამარჯვების ბრწყინვალეობით ესახებოდა, არა იმიტომ, რომ ახალგაზრდა იყო, მიმნდობი და იმედია, არამედ იმიტომაც, რომ მის გულში ჭერ არ გაჩენილიყო წინააღმდეგობა, შესაძლებლის ფარგლებსა და საკუთარ რწმენას უსამშველოდ რომ თიშავს. რასაკვირველია, ნესტორმა იცოდა ომი ხიფათებითა და ფათერაკებით რომ არის საესე, ეს რომ არ სცილნოდა, სულელი იქნებოდა, მაგრამ არ სჭეროდა, რომ ხიფათი და ფა-

თერაკი შეემთხვეოდა. ეს განწყობა თუ თვითრწმენა გარეგნულ იერზეც ეტყობოდა. თითქოს სახეზე ეწერა ურყევი მიზანი, თავის ქვეყნის ძველისძველ მტრებთან ბრძოლის წადილი, შურისძიების ეინი, მშობლიურ მიწაზე მრავალჯერ დანთხეული სისხლის აღების სურვილი, თუნდაც სხვის მიწაზე, სადაც ბალკანეთში, და მიზანდასახული უღრეკი კაცის სითამამე არ ტოვებდა, რაჟა ენენავში ჩასვლის მეორე დღეს, არბენინთან ერთად დასეირნობდა ამ მშვენიერი ქალაქის მშვენიერ ქუჩებში, სადაც ყველა ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა. არბენინმა რამდენიმე თავისი ნაცნობ-მეგობარი გააცნო. ესენი რუსები იყვნენ, სასწავლებლად ან სამოგზაუროდ ჩამოსულნი, ხოლო ერთი ახლგაზრდა ოფიცერი, გრაფი სერგეი სობინოვი, აქ მკურნალობდა ერთი წლის წინათ, საწვრთნელი მანევრების დროს მიღებულ ჭრილობას. ის ფეხში იყო დაჭრილი და კოჭლობით დადიოდა. მაგრამ კოჭლობა არაფერს აკლებდა მის ვაჟკაცურ იერს, პირიქით, უხდებოდა კიდევ. მაღალი, მხარბეკიანი, ოდნავ ფერმკრთალი მამაკაცი იყო, რომელსაც სახეზე ეტყობოდა თავაზიანობა და მეტი სმეტი თავდაჭერილობა. ენენეის ტბის პირას, მდიდრულ სასტუმროში იდგა. სწორედ, აქ მოიყვანა არბენინმა ნესტორი და გააცნო სობინოვს. სანამ გააცნობდა, გზად ამ კაცის ამბავიც უამბო. სობინოვი პეტერბურგელი მდიდარი სენატორის ოჯახიდან ყოფილიყო და გაგიყებით უყვარდა, თურმე, არბენინის ქმარს გაყრილი ბიძაშვილი რაისა რაევსკაია, ქალი თავნება და თავისუფალი, რომელიც წლობით ცხოვრობდა ევროპაში. ამბობდნენ, სობინოვი ენენეაში სამკურნალოდ კი არ ჩამოსულა, არამედ რაევსკაიას ქალს გამოსდიაო. სობინოვი ნესტორზე და არბენინზე ცოტათი უფროსი იქნებოდა. არბენინის დანახვაზე სახე გულწრფელი ღიმილით გაებადრა. ნესტორსაც გულთბილად შეხვდა. არბენინმა აუწყა, რომ ჯერ კიდევ პარიზში ვაიგო რომელ სას-

ტუმროში იყო გაჩერებული, ენენეიდან ჩამოსული ერთი საერთო ნაცნობისგან, რომელიც სობინოვს ენენეის თეატრში შეხვედრია, რაევსკაიას ლოჯაში. და რაკი არბენინი ხვალ დილით ტოვებდა ენენეას, სურდა თავისი ბიძაშვილის ადგილსამყოფელის ვაგება, რათა ომში წასვლის წინ გამოთხოვებოდა.

— მაპატიეთ, სერგეი, რომ ასე მოულოდნელად დაგადექით თავს.

— რას ბრძანებთ, საშა, საომრად მიმავალ კაცს ყველაფერი ეპატიება, — გაიღიმა სობინოვმა და დაუმატა: — ჩვენ მას ტბის პირას ვნახავთ, იქ ხშირად სეირნობს.

ისინი სასტუმროდან გამოვიდნენ და ხეივანს შეჰყვნენ. შემოდგომის თბილი დღე იდგა. ენენეის ტბის გამქვირვალე, ცისფერ ზედაპირს სხვადასხვა მხარეს მიმავალი გემები სერავდნენ. უცნაურად სობინოვი ნესტორს მოუბრუნდა და ქართულად ჰკითხა:

— რომელი კუთხიდან ხართ, ყმაწვილო?

გაოცებული ნესტორი შედგა.

— იმერელი ვახლავართ.

— ჩემი გამზრდელი დიდება ვაჩნადის ქალი იყო, — თქვა სობინოვმა.

მან საკმაოდ კარგად იცოდა ქართული, ყოველშემთხვევაში, გაქცეულ კაცს იოლად გააჩერებდა. ქართულის ცოდნით თავი მოსწონდა. ბავშვობის წლებს თურმე, ხშირად ატარებდა საქართველოში, მაგრამ მიუხედავად, გამზრდელი დედის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემისა, გულის სიღრმეში, სობინოვს აღიზიანებდა ის გარემოება, რომ ქართველებს არ უნდოდათ გარუსება და რომანოვების იმპერიის ქვეშევრდომობაც კი ბევრს აღარ მოსწონდა.

— ჩინებულად გცოდნიათ ქართული, — უთხრა ნესტორმა.

— ჩემს ძარღვებში ქართული სისხლის ნაწილიც ჩქეფს, — გაიღიმა სობინოვმა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო სისხლი არ იყო მთავარი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენას. ბავშვობისას, რო-

ცა დედას თავის დედულეთში, საქართველოში ჩამოჰყავდა, მრავალრიცხოვან ნათესავთა გარემოცვაში უცხოვდ, ეულად, დაჩაგრულად გრძობდა თავს, რადგან ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ, მას კი არ ესმოდა მაშინ ქართული. ქართულად მოლაპარაკე დედა და დიდედა, უცხოებად, მოლაღატეებად ეჩვენებოდნენ, და დედისა და დიდედის სიყვარული საქართველოსადმი გაუგებარი იყო მისთვის. უძვირფასესი აღამიანისადმი სიუცხოვის გრძობა მხოლოდ მაშინ უჭრებოდა, როცა კიდევ რუსეთში ბრუნდებოდა, როცა კვლავ რუსული სიტყვა ესმოდა. აქ, რუსეთში, დედისა და დიდედის ქართული იმდენად აღარ აღიზიანებდა, ხოლო საქართველოდან ჩამოსული ნათესავების კილო ართობდა, ამხიარულებდა, რუსეთში მათ თანაუგრძობდა კიდევ, თუმცა მათი განსაკუთრებული სიყვარული ყოველივე ქართულისადმი, მაინც არ ესმოდა, რადგან საქართველოს რუსეთის განუყოფელ კუთხედ მიიჩნევდა. რომანოვების იმპერიისადმი ფარულ წინააღმდეგობას, თავის ქართველ ნათესავებს რომ ამჩნევდა, ჩამორჩენილობის და განუვითარებლობის ნიშნად თვლიდა. ამ დამონებული ერისაგან იგი რუსეთის იმპერიის ერთგულებას მოითხოვდა და თვითმყოფლობის შენარჩუნების სურვილი, ორგულობისა და ამ ხალხისათვის დამახასიათებელი მუხანათობის ნიშანი ეგონა. შემდეგში მან ქართული ენაც შეისწავლა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მხოლოდ გარუსებული ქართველები იყვნენ მისთვის მახლობელნი და გასაგებნი. ეს არც იყო გასაკვირი. შაჰ-აბაზსაც ხომ ქართველი ბებია ჰყავდა, მაგრამ ალბათ, დედამიწის ზურგზე არ არსებულა ქართველთა მოდგმის ისეთი მოძულე, როგორც ირანის ეს სისხლიანი ხელმწიფე იყო. მართალია, სობინოვს ქართველები არ სძულდა, მაგრამ არც მაინცა და მაინც ეხატა გულზე. მერე რა, დიდდამისი ქართველი თუ იყო, ხოლო ნახევრად ქართველი დედა ქარ-

თულის მცოდნე და ქართველთა მოყვარული, თვითონ რუსი იყო, ენათა აღიზნებით, შეგნებით, სულით, და მთელი არსებით ისწრაფვოდა იმპერიის გამაღიერებისა და განდიდებისათვის. მან მყისვე შეამჩნია, რომ ნესტორის თავის თავს ქართველად თვლიდა, და არა იმპერიის ქვეშევრდომად, და ჩვეულები-სამებრ გალიზიანდა, თუმცა ეს ფარული გალიზიანება არ გამოუმჟღავნებია ენევის პირას სეირნობისას, შემოდგომის იმ ოქროსფერ დღეს, როცა საუბარი რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომზე ჩამოვარდა. სობინოვი და არბენინი, რასაკვირველია, თანაუგრძობდნენ ბალკანეთის სლავებს, ხოლო ნესტორმა სახეში შეხედა თანამოსაუბრეებს, თითქოს მათგან დასტურს მოეღი-სო, და მტკიცედ თქვა:

— ყველა ჩაგრული თანაგრძობის ღირსია, თურქებისაგან ჩაგრული სერბები და ჩერნიგორიელები იქნებიან, თუ რუსეთისაგან ჩაგრული ქართველები და პოლონელები.

სობინოვმა ნაძალადევად გაიღიმა.

— თქვენ რუსეთი მჩაგვრელად წარმოგიდგენიათ, მაგრამ განა სხვებზე მეტად რუსეთმა არ გამოიღო თავი ახლანდელ ვითარებაში?

— რასაკვირველია. ბალკანეთში რუსეთი ჩაგრულთა მხარეზეა, ხოლო კავკასიაში თავად არის მჩაგვრელი.

— რომანოვების იმპერია რომ არ ყოფილიყო, თურქი კარგა ხანია გადაეყლაპავდათ!

— გადაყლაპულისათვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გადაყლაპავს?

სობინოვმა ცივად შეხედა ნესტორს.

— ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ გაუუგებთ.

— დიახ, მეც ასე მგონია.

უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. სობინოვმა მხრები აიჩეჩა და კოჭლობით გაუყვა ხეივანს, რომლის ქვემოთ, ლივლივა ტბის ზვირთები რბილად აწყდებოდნენ მალალ ნაპირს.

ენევის ტბა, ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესია დედამიწაზე. შეძლებული

ხალხი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდის მის სანახავად. დასერილობდნენ ტბის პირას, გემებში სხდებოდნენ და ექსკურსიებს აწყობდნენ, ტკბებოდნენ შვეიცარიის მადლიანი ბუნებით. ზოგიერთები კაფეებში და რესტორნებში იკრიბებოდნენ, ეცნობოდნენ ერთმანეთს, ერთობოდნენ, და გაჰყავდათ დრო იმ წესისა და განრიგის მიხედვით, რომელიც თავისდაუნებურად ჩამოყალიბებულიყო ჩამოსულთათვის. იმ დღეს, რაისა რაევსკაია ერთ-ერთ კაფეში მონახეს. ეს იყო საკმაოდ ლამაზი ქალი, საკმაოდ ჰქვიანი, საკმაოდ მდიდარი, საკმაოდ თამაში. მას თან ახლდა ვიღაც ავსტრიელი ხანშიშესული გრაფი. რაისა რაევსკაიას ძალიან გაუხარდა თავისი ბიძაშვილის ნახვა. არბენინმა მას ხელზე აკოცა და ნესტორი წარუდგინა. რაევსკაიას ქალმა ნესტორს ხელი გაუწოდა და ისეთნაირად შეხედა თვალბში, თითქოს სწონიდა: ვინ ხარ, რა ხარო? თითქოს ერთი შეხედვით სურდა გამოეცნო უცნობი მამაკაცის შინაგანი რაობა. ნესტორმა გაუძლო ამ მშვენიერი ბანოვნის ზღვისფერი თვალბების ჩქურ შემოხედვას და არანაკლებ მოუჩრდიბელი მზერა შეაგება. რაევსკაიას ქალმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თავის ბიძაშვილს მკლავში ხელი გაუყარა. ტანწერწეტა ქალი იყო, როგორც ტბის პირას მდგარი საროს ხეები, მდიდრულად ეცვა, ცალი ხელთათმანი წაეძრო და ხელში ათამაშებდა, ძვირფასი სამკაულები ბრწყინავდნენ მის თითებზე და მკერდზე. ტბის პირას გაისერივნეს, წაიბაასეს. გრილმა საღამომ რომ მოაწია, ერთ მდიდრულ რესტორანში შევიდნენ, სადაც ბროლის ქალები და მოოქროვილი სარკეები თვალისმომჭრელად ბრწყვიალებდნენ. ფანჯარასთან აირჩიეს მაგიდა. რაისა რაევსკაიას ხელმარჯვნივ სობინოვი მიუჯდა, ხელმარცხნივ — ავსტრიელი გრაფი. არბენინი და ნესტორი მათ მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ, და ნესტორმა შეხედა კედრებისა და ფიჭვების კენწეროებს, ფანჯარასთან რომ ირხე-

ოდნენ ერთ მთლიან მწვანე ფარდასავით მოშრიალენი, და კვლავ იგრძენო რაღაც უცნაური შინაგანი ძალა, ძალის მოზღვაება, რომელიც კმაყოფილს ხდიდა საკუთარი თავით და დღევანდელი დღით. საუბარი კვლავ ბალკანეთის ამბებს შეეხო, ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკას, რუს მოხალისეებს და რასაკვირველია, არბენინისა და ნესტორის საომრად გამგზავრებას სერბიაში. რაევსკაიას ქალი შესანიშნავად ერკვეოდა საერთაშორისო ვითარებაში, თავისუფლად ეკამათებოდა მამაკაცებს, სობინოვს, არბენინს და ავსტრიელ გრაფს, რადგან ნესტორი უმეტესად ჩუმად იჯდა. ფანჯარაში კი თანდათან ბინდებოდა, ნელ-ნელა იცვლებოდა შუშხუნა შამპანური, ყველანი ფრანგულად ბაასობდნენ და ფრანგული ენის ქღერადობა უცნაურ მუსიკასავით ბანგს ახვევდა ნესტორს, დარბაზი საესე იყო ფრანკიანი მამაკაცებით და თვალსამკაულით შემეული მანდილოსნებით, ვარდების გამაბრუებელი სურნელი იდგა, უკრავდა ორკესტრი, ნესტორი ამჩნევდა, რომ სობინოვი და ავსტრიელი გრაფი ძლიერ ცდილობდნენ რაევსკაიას ქალის მოხიბლვას, მათი მაღალფარდოვანი გამოთქმები და დახვეწილობა ამისკენ იყო მიმართული, მაგრამ რაისა რაევსკაია, თავის ორ თაყვანისმცემელთან ბაასით და შესმული შამპანურით აღგზნებული, ზოგჯერ ისეთნაირად გამოხედვდა ხოლმე ჩუმად მჯდარ ნესტორს, რომ ნესტორი გრძნობდა, სხვა მამაკაცებთან საუბრით ვართულ ქალს არ დავიწყებოდა მისი არსებობა, ახსოვდა, რომ ისიც აქ იყო, და ქალის ამ უმნიშვნელო ყურადღებით კმაყოფილი, ყოველ მის შემოხედვას ღიმილით ხედებოდა. მას მოსწონდა ეს მშვენიერი და შორეული ქალი. ამასობაში, რაისა რაევსკაიამ შამპანურით საესე ჰქვა აილო და ნესტორს მიმართა:

— თავადო, გთხოვთ, რაიმე გვითხრათ!

— ქალბატონო, თქვენ გაგიმარჯოთ! დაე, თქვენი ცხოვრება ყოფილიყო

მუდამ ისეთივე მშვენიერი, როგორც თავად ბრძანდებით! — სულმოუთქმელად დაცალა ნესტორმა ღვინო.

ეს საღვთობელო ერთხმად მოიწონეს და გაიმეორეს, მაგრამ როდესაც დანარჩენი მამაკაცები რაისას საღვთობელოს სვამდნენ, მას გაბადრული სახე ნესტორისთვის არ მოუშორებია. მერე, ნელა წამოდგა, მაგიდას შემოუარა და ნესტორს მიუახლოვდა, და როცა ნესტორიც ზეზე წამოიჭრა, ოქროს ძეწვეზე ჩამოკიდებული მედალიონი მოიხსნა და გახსნა. ცისფერი საფირონის ქვა აბრწყვიალდა, ოქროს ჩარჩო ჩასმული. რაისა რაევსკაიამ საფირონიანი მედალიონი კისერზე ჩამოკიდა ნესტორს.

— თავადო, მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ვარ დაბადებული. ჩემი მფარველი თილისმა საფირონია. მე მიხსნა, ეს თილისმა გფარავდეთ თქვენ თურქებთან ომში, — და თავლზე ცრემლი მოადგა.

ნესტორი ხელზე ეამბორა რაისას, ემთხვია თილისმას და უბეში შეინახა, ხოლო რაისამ ორივე ხელით მიიზიდა მისი თავი და ტუჩებში აკოცა. ეს მოხდა სავსე დარბაზის თვალწინ.

ამის შემდეგ, კიდევ ბევრი ილაპარაკეს, კიდევ ბევრი დალიეს ღვინო. მაგრამ რაისას ერთხელაც აღარ გამოუხედავს ნესტორისკენ. იგი ისეთი ვატაცებით ესაუბრებოდა სობინოვსა და ავსტრიელ გრაფს, რომ ნესტორმა ვაიფიჭრა, ასეთი თამამი და უცნაური ქალისთვის, ის არაჩვეულებრივი კოცნა ბევრს არაფერს ნიშნავსო. მიუხედავად ამისა, ნესტორი მაინც ძალზე კმაყოფილი იყო, დროდადრო ხელს უბეში შეაცურებდა ხოლმე მედალიონის მოსახიზვად. საკმაოდ გვიანი იყო, როცა სუფრიდან წამოიშალნენ. გასასვლელისკენ რომ მიდიოდნენ, იტალიელი მუსიკოსი სცენიდან ჩამოვიდა, რაისას მიუახლოვდა, სევდიანად აახშიანა ვიოლინო და ვიოლინოს დაკვრით გამოაცილა ნელა მომავალი მომღიმარი ქალი. სობინოვმა მევიოლინეს ჯიბეში

ფული ჩაუღო. გარეთ ბნელოდა. გაზის ფანრები ანათებდნენ ქუჩას, რესტორნის შესასვლელთან ეტლები იდგნენ. და აქ, რაისას ისევ მოაგონდა ნესტორი.

— თავადო, იმედი მაქვს, სახლამდე მიმაიცილებთ.

— რასაკვირველია.

და გაისმა ქვაფენილზე ცხენის ფლოკების თქარუნი, მიპქროდა ეტლი ცარიელ ქუჩებში და ნესტორს უყვირდა, რომ მარტო დარჩა ამ უცნაურ და მომხიბვლელ ქალთან, ამ უცნაურ და მშვენიერ ქალაქში. ერთ-ერთ ქუჩაში, რაისა რაევსკაიამ ეტლი შეაჩერებინა. „აი, ჩემი სახლი!“, მაგრამ შინ შესვლა არ მოისურვა, ნესტორს მკლავში ხელი გაუყარა და მოედნისკენ გაისეირნეს. მიუხედავად გვიანი ეამისა, მოედანზე სინათლეები ენთო, ეტლებიც დაქროდნენ და ფეხით მოსიარულეთა ხმებიც ისმოდა. რაისა აღვზნებული და აღელვებული ჩანდა, მან არბენინზე ჩამოაგდო საუბარი, თავის საყვარელ ბიძაშვილზე, ამ არაჩვეულებრივ, უკეთილშობილეს და უსპეტაკეს ადამიანზე, რომლისთვის სულს არ დაიშურებდა, თუკი საჭირო იქნებოდა, რომლის სერბიაში გამგზავრება, თურმე, ძალზე აღელვებდა და აშინებდა, რომლის მეგობრები დიდ ნდობას და პატივისცემას იწვევდნენ, განსაკუთრებით ნესტორი, რადგან ნესტორი, გარდა იმისა, რომ ძვირფასი საშას მეგობარი იყო, იყო ტომით ქართველი, ხოლო ის ადამიანი, ვისაც რაისამ თავისი პირველი და უწმინდესი სიყვარული უძღვნა, გახლდათ თავადი ორბელიანი, თანამემამულე ნესტორისა, უახლოესი მეგობარი რაისას უფროსი ძმისა, უმშვენიერესი შესახედავად და უკეთილშობილესი ბუნებით, უმამაცესი მხედარი დრაგუნთა პოლკისა, რომელმაც რაისას მხურვალე სიყვარულს უყურადღებოდ ჩაუარა, მაგრამ გავიდა მრავალი წელი, რაისა გათხოვდა და გამოთხოვდა კიდევ, მრავალ თაყვანისმცემელს დაუბნია გზა თავისი აებედითი ბუნების გამო, მაგრამ თავადი ორბელიანის მოგონებაც კი ერთნატილს

პგერიდა დღემდე, და ამგვარ საუბარში ერთიდან მეორეზე, არბენინიდან ორბელიანისკენ და ზოგჯერ, პირუტყვ, რამდენჯერმე აუარ-ჩაუარეს რაისას სახლს. ამ ქალის მოულოდნელი აღსარება ნესტორს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, დაემშვიდობებოდა და სასტუმროში დაბრუნდებოდა. მაგრამ ამჯერად, რაისა თავისი სახლის კართან შეჩერდა.

— მართალია, გვიანაა, თავადო, მაგრამ მაინც შემობრძანდით, გავაგრძელოთ ბაასი.

— სიამოვნებით.

და რაისამ ზარი ჩამოჰკრა, მოახლემ კარი გააღო. ჩუმად აიარეს კიბეები და დიდ ოთახში შევიდნენ. მოახლეც შემოყვით თან, რომელმაც სანთლები აანთო. რაისამ მოახლე დასაძინებლად გაისტუმრა. ერთ კედელთან დიდი შავი როიალი იდგა, მეორე კედელთან წიგნებით სავსე კარადა. ფანჯრებზე გრძელი ფარდები ეკიდა. რაისამ როიალის მანდლებში ჩადებული სანთლებიც ააციმციმა, ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარა, კარადიდან შამპანურის ბოთლი და ხილი გამოიტანა, „მიხედეთ ამას, მე ახლავ დავბრუნდებიო“, და ოთახიდან გავიდა. ნესტორმა შამპანურის ბოთლი გახსნა, ერთი ჭიქა დაისხა და დალია. წამოდგა, წიგნები დაათვალიერა, მერე როიალს მიუჯდა, ხუფი ახადა. დიდი ვერაფერი შვილი დამკვრელი იყო, მაგრამ მაინც სცადა, ერთი ორი აკორდი აიღო, ნელი და ნალვლიანი პიესა წამოიჩყო, სწორედ ამ დროს, ოთახში რაისა შემობრუნდა. ტანსაცმელი გამოეცვალა, ახლა ბელგიური მაქმანებით დამშვენებული თეთრი კაბა ეცვა. „ო, რა მშვენიერად უკრავთ?!“ სწრაფი ნაბიჯით გამოსწია ნესტორისკენ, მხარზე ხელი მოხვია და მუხლზე ჩამოუჯდა. „განაგრძეთ!“ მაგრამ მუსიკა შეწყდა. ათრთოლებული ხელები ნესტორმა ქალს წელზე შემოხვია და ყვრიმალზე აკოცა. რაისამ გადაიკისკისა და მსწრაფლ წამოიჭრა. „რა სულსწრაფი ყოფილხართ, თავადო ნესტორ, მშვე-

ნიერად უკრავდით..“ და მაგიდასთან მიიწვია სტუმარი. კიდევ შესვენე შამპანური. კვლავ ილაპარაკეს თავად ორბელიანზე, ილაპარაკა რაისამ, ნესტორს ორბელიანის ხსენება სულაც არ სიამოვნებდა, ორბელიანიდან სიყვარულზე გადავიდნენ...

— თქვენ არ დაგაგვიანდეთ, ნესტორ! დილით ხომ ადრე მიემგზავრებით სერბიაში?

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო!

და კვლავ გააგრძელეს ბაასი სიყვარულზე, თუმცა ბაასი არც ეთქმოდა, რადგან მხოლოდ რაისა წარმოთქვამდა მონოლოგს, და ეს ქალი, რომელიც რამდენიმე საათის წინ ფხიზლად და დაკვირვებულად მსჯელობდა ევროპის საერთაშორისო მდგომარეობაზე და მომავალი ომის შესაძლებლობაზე, ახლა წარმოუდგენლად ამსუბუქებულიყო, აღფრთოვანებულ და ამალღებულ ფრაზებს გაიბახოდა ქალის და კაცის სიყვარულის რაობაზე, არსზე და უდიდეს მნიშვნელობაზე.

— ნესტორ, თქვენ თუ გამოგიცდით თავდავიწყება?

— რაისა, მე ახლა განვიციდი მას!

— ო, მე მჯერა თქვენი. მე არ მიყვარხართ თქვენ, თუმცა თავიდანვე მომეწონეთ, როგორც კი დაგინახეთ იმწამსვე, რადგან მე ძალა ვიგრძენი თქვენში. თქვენ ძლიერი ხართ, ნესტორ?

— დიახ, რაისა!

— მაგრამ თქვენ სობინოვი ბევრად გჯობიათ, ის თქვენზე განათლებულია, თქვენზე ჰკვიანი და ნიჭიერი, თქვენზე ლამაზი, და მე მას ვაგიყვებით ვუყვარვარ, მაგრამ შენ ველური ხარ ნესტორ, ჩემი ქალური ალღო გრძნობს შენს მჩქეფარე ძალას, — უკვე ჩურჩულთ ლაპარაკობდა მიბნედილი რაისა, რომელსაც დღევანდელი სანთლის მკრთალი შუქი დასციმციმებდა ფერმკრთალ სახეზე, ხოლო ნესტორი გვერდით მისჯდომოდა, ცალი ხელი წელზე შემოეხვია, მეორე ხელში მისი ხელი ეჭირა და დროდადრო თითებზე კოცნიდა. მერე რაისამ ყურში ჩასაჩურჩულა, თავბ-

ჩუ მეხვევა, ჩემს საძინებელ ოთახში გამიყვანე. ნესტორმა მყისვე შეუსრულა თხოვნა, ხელში აიყვანა და საძინებელ ოთახში, ფართო ლოგინზე დაასვენა. ერთადერთი სანთელი ერთი შანდალში, მაგრამ ქალმა მიიწვია გაიხედა ფანჯრისკენ, ვიდრე ფართო საწოლზე მისვენებული ნებიერად გაშლიდა მკლავებს და მილულავდა თვალებს. ნესტორმა ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარა, სანთელი ჩააქრო და თავისი ხელით გახადა ქალს ტანსაცმელი. ელვის სისწრაფით გაიხადა თვითონაც, აღელვებული მოეხვია შიშველ სხეულს, შემოესმა თავდავიწყებული კრუსუნია... მაგრამ ნესტორს წართმეოდა ძალა, რომლითაც იკვებნიდა წელან, მამაკაცობა მისი თავჩაქინდრული, დარცხვნილი მოკუნტულიყო, და ჭირის ოფლმა დაასხა. ვერ იჭერებდა, რაც დამართვნოდა, მაგრამ სინამდვილეს საღ წაუვიდოდა? ერთხანს გატარებული იწვა და გრძნობდა, როგორ ელოდა ქალი. მაგრამ გადიოდა დრო და აზრად არ იცვლებოდა, გაოგნებული, თავზარდაცემული ნესტორი შიშით შეჰყურებდა მის მკლავებში მოჭყეულ, მომლოდინე, შიშველ სხეულს.

ბოლოს, რაისამ ნესტორის გაშეშებულ მკლავებში მოიშორა, წამოდგა, ხალათი მოისხა და სანთელი აანთო. შუქმა უფრო გამოააშკარავა უსაშველო სიარცხილი. იატაკზე მიმობნეული ტანსაცმელი ნესტორისა, რაისამ ფეხით მობოჭა და ლოგინისკენ მიჰყარა.

— ჩაიცვით, ყმაწვილო, და წაბრძანდით, თორემ ომში დაგაგვიანდებათ.

ამ სიტყვებით გაღმონთხეული დაცივნისა და ზიზღის ისრებით ისე იყო დარცხვნილი ნესტორი, რომ სიკვდილი მოუწდა. აღარც საშობლო, აღარც ომი, აღარც მხნეობა, ყველაფერი ერთბაშად გაქრა. ცხოვრებამ დაკარგა აზრი და მნიშვნელობა. ხმა არ ჰქონდა ამოსაღები და ხმას ვერ იღებდა. მონასავით ჩამოვიდა საწოლიდან და შეუდგა ჩაცმას, გამძვინვარებული ქალი კი თავზე ადგა აჩახჩახებული შანდლით ხელში,

როგორც დაუნდობელი მხილება, და აჩქარებდა:

— სწრაფად, სწრაფად, თავადო, ძილს ვერ ვიკავებ!

ეს იყო უსაშინელები წამი ნესტორის ცხოვრებაში. არასოდეს უგრძობნია თავი ასე დამცირებულად და არააობდა, როგორც იმ ღამეს, როცა რაისას სახლიდან გამოსული, მხრებჩამოყრილი, მობუზული მიამიჯებდა ენევის დატარებულ ქუჩებში მარტოდ მარტოდ, შერცხვნილი, უმწეო, უსუსური, უნუგეშო და რწმენაწართმეული. „ღმერთო, რატომ გამითენე ეს დღე?“ — ბუტბუტებდა თავისთვის და იარალი რომ ჰქონოდა თან, ალბათ, დაუფიქრებლად დაიხლიდა გულზე.

12.

იმავ დილით, არბენინთან ერთად დატოვა ენევა. მაგრამ ნესტორი ის კაცი აღარ იყო, ორიოდ დღის წინ, პარიზიდან რომ გამოემგზავრა. სახეზე უკვლოდ წაშლოდა ერთი აზრით შეჰყრობილი, მიზანდასახული ადამიანის იერი. სრულიად აღარ აინტერესებდა თურქებთან ომი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალით მიჰყავდათ სასაკლაოზე. თვითონაც არ იცოდა რატომ მიდიოდა სერბიაში. საკუთარ თავზე გულგატეხილს, თვალწინ ენევაში გატარებული უკანასკნელი ღამე ედგა, როგორც საშინელი, კოშმარული ზმანება, და სიციოტლე აღარ ეხალისებოდა, რაისას ნაწუქარი საფირონის თილისმა, სასტუმროში, პირსაბანზე დატოვა. ისე ჩავიდნენ სერბიაში, რომ მთელი გზა ხმა არ ამოუღია. განუწყვეტლივ სტკიოდა სული, უკმარობის, დაკნინების შეგრძნება გულს უღრღნიდა, მაგრამ თავის მოკლა აღარ მოსდიოდა აზრად, რადგან თანდათან ეჩვეოდა ახალ ყოფას, უსუსური და უბადრუკი ადამიანის ყოფას, როგორც გამუდმებულ ყრუ ტკივილს ეჩვევა სწეული. არბენინს აოცებდა ნესტორის ასეთი უეცარი გარდაქმნა, ეკვობდა,

შიში ზომ არ შეეპარა გულშიო, ნესტორზე გული უტყდებოდა, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა.

ისინი ოქტომბრის დამდეგს ჩავიდნენ ბელგრადში და მალე გენერალ ჩერნიავეის ლაშქარს შეუერთდნენ, სადაც მოხალისეები იბრძოდნენ. ამ დროისათვის, მოწინააღმდეგეთა შორის დროებითი ზავი იყო ჩამოვარდნილი. მაგრამ ორიოდღე დღის შემდეგ, თურქებმა კვლავ განაახლეს შეტევა. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა და ერთი თვის განმავლობაში პირდაპირ თვალეზში უტყერდა სიკვდილს, ხედავდა ნგრევას, ცეცხლს, სისხლს, წამებას, ლალუმების გამაყრუებელ გროხუნში, წვიმასა და თქორში, ხრიოკ ბორცვებზე და ჭურვებით განათხარ ველებზე გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს, მაგრამ ბრძოლის ეინი, რომლითაც შეპყრობილი იყო ზოგიერთი მისი თანამებრძოლი, არცერთხელ არ განუცდია, თუმცა არავისზე ნაკლებ არ იბრძოდა, არავისზე ნაკლებ არ ეწეოდა მებრძოლის მძიმე ჭაპანს. როცა დაღლილ-დაქანცული და განაწამები ომის პაუზებს შორის, საღმე, სანგარში, გულშიჩაბვეული შაშხანით დასასვენებლად მიეგდებოდა, წამოტივიტივდებოდნენ მოგონებები და იმ საშინელ ღამეს, ენევაში უკანასკნელად გატარებულ დაცინვის ღამეს, განგებამ უცნაური დამცირების ღირსი რომ გახადა, არანაკლებ შემზარავად განიცდიდა, ვიდრე ბრძოლის ველზე დახოცილი, დასახიჩრებული და გადათელილი გვამების გროვას. ენევაში განცდილი, პირადად მისთვის; არანაკლებ მძიმე კატასტროფა იყო, ვიდრე აქ, არსებობისათვის მებრძოლი ხალხის სიცოცხლისა და იმედის მსხვრევა. და ეს დაუძლეველი სირცხვილი, ერთი შეხედვით წვრილმანი ამბის გამო, ეთაიკლებოდა, აღიზიანებდა, უკარგავდა საკუთარი თავის რწმენას, ასე ჭარბად რომ გააჩნდა იმ საბუღისწერო დღემდე.

ამასობაში, თურქები განუწყვეტლივ უტევენ სერბებს. თვის ბოლოს, და-

უნდობელი ბრძოლა გაჩაღდა პატარა ქალაქ კრუევეაცთან, სადაც შუა საუკუნეებში აგებული ლამაზი, მოჩუქურთმებული ეკლესია იდგა. არაფრით იყო ეს ქალაქი ღირსშესანიშნავი, გარდა იმ თეთრი ეკლესიისა, რომელიც იდუმალ სიმშვიდეს ჰქვენდა შემოდგომის მიდამოს, სისხლის ღვრის დაწყების წინ. ნესტორს დაამახსოვრდა ის ადრინაი დღია. ქალაქის გარეთ, ტაშირ ადგილას, ერთმანეთის პირისპირ დაბანაკებული ჯარები საომარ პოზიციებს იკავებდნენ. სერბები ჩრდილოეთიდან შემოდიოდნენ ბრძოლის ველზე. მათი გზიდან მოჩანდა ძველი ეკლესია. ეკლესიის ირგვლივ, ფოთლებგაცვენილი, მოწყენილი ხეები იდგნენ, მიწაზე დაფანგული, დამჟკნარი ფოთლები ეყარა. გაუვითლებული ბაღებიდან, — თეთრად შელესილ, წითელკარამიტგადახურულ ქოხებს რომ ერთყმოდნენ გარს, — მწიფე ნაყოფის სუნი მოდიოდა. საომრად მიმავალი ჯარისკაცები ეკლესიისკენ აბრუნებდნენ თავს და პირჯვარს იწერდნენ, მაგრამ პირჯვრის წერამ ვერ უშველა იმ დღეს ქრისტიან მხედრებს, ღმერთი მუსულმანთა მხარეს იყო. რიყრაცისთანავე ატყდა ზარბაზნების ბათქი. გაისმა ყიყინა, სროლა, ჩეხვა. ცხენოსნები ერთმანეთს დაერივნენ. დენტის სუნმა მოწამლა ჰერი. დაშლილ და უწყსრიგოდ უაუქცეულ მარცხენა ფრთას თურქებმა მდევარი გამოუყენეს. დაჭრილების ოხვრაკენსა ომის აზრიალებულმა ხმაურმა შთანთქა. შუა აზიის დამპყრობელი გენერალი ჩერნიავეი ვერ გამოდგა სერბთა განმათავისუფლებლად. საღამოსთვის, მისი არმია განადგურებული იყო. მკლავში დაჭრილი ნესტორი ლასლასით მიუყვებოდა ბნელ და უნუგეშო გზას უცხო ქვეყნის სიღრმეში, სადაც მას არავინ ელოდა. ჯერ კიდევ ენევაში, მისი პირადი მარცხით დაწყებული მსვლელობა, აქ, კრუევეაცთან, საყოველთაო მარცხით დამთავრდა. აღუქსანდრე არბენინი, ლაშქრობის დროს მასთან ერთად მრავალჭირნახადი, გულ-

განგმირული დასტოვა ბრძოლის ველზე და ამიერიდან ნესტორის აღარაფერი აკავებდა აქ. ნოემბრის შუა რიცხვებში, ნესტორი პარიზს დაბრუნდა.

სახლის პატრონმა ოთახი და ქონება ხელუხლებლად დააბევედრა. როდესაც ოთახში მარტო დარჩენილმა ნესტორმა სარკეში ჩაიხედა, საკუთარი თავის ცნობა გაუჭირდა, ლაწვები ჩაეარდნოდა, ცხვირი წაწვეტებოდა, თვალები ჩაწითლებოდა. ერთი თავის განმავლობაში, თითქოს ათი წლით დაბერებულიყო. ნესტორმა ომიდან ჩამოყოლილი ტანსაცმელი გაიხადა და გადაყარა, იბანავა, სახლის პატრონს ექიმი მოაყვანიხა და ჭრილობა კარგად შეახვევინა, მერე ლოჯინში ჩაწვა და სამი დღე აღარ წამომდგარა. განუწყვეტლივ ეძინა, ხოლო როცა გაეღვიძებოდა, თავქვეშეღამოდებული ჭერს შესცქეროდა და ფიქრობდა. დღისა და ღამის საზღვრები წაიშალა მისთვის, როგორც წაშლილიყო ომში გატარებული დღეები და კვირეები, საიდანაც მხოლოდ ცალკეული ნაგლეჯები დარჩენილიყო, რომელიც იმ ჯოჯოხეთური ორომტრიალიდან მეხსიერებას გამოეტანა და შემოენახა. ბრძოლის უკანასკნელი დღე, თითქმის სრულიად აღარ ახსოვდა თანმიმდევრობით, თითქოს მაშინ თავის თავს არ ეკუთვნოდა, და მართლაც არ ეკუთვნოდა, რადგან გარემოებანი ნაფოტით ისროდა აქეთ-იქეთ. მაგრამ მაინც ნათლად და მკაფიოდ ახსოვდა ალვის ხეებით გარშემორტყმული მშვიდი ეკლესია და მომაკვდავი არბენინის გაფითრებული სახე. ეს ხატება განუწყვეტლივ თვალწინ ედგა. ეკლესია სამშობლოს აგონებდა, რადგან სამშობლო ძველი ეკლესიის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. მხოლოდ ეკლესიები, ნახევრად დანგრეული გალავნები და სურომოდებული ციხის ბურჯები უნარჩუნებდნენ მის ქვეყანას აცე თუ ისე თვითმყოფ იერს. ზოგიერთი მათგანი ნანახი ჰქონდა ქუთაისში სწავლისას, ბაგრატი, მოწამეთა, გელათი. იმ ძველისძველ ნაგებობათა მიხედვით წარ-

მოიდგენდა თავის სამშობლოს ისტორიას, რომელზედაც ჯერ კიდევ უკმის განუწყვეტლივ ესაუბრებოდა. მანაც, როცა თავის ბნელ ოთახში შეიყვანდა, სანთელს აანთებდა და იწყებდა მოყოლას დავითის და კონსტანტინეს გმირობაზე, აბო თბილელზე, მეფე დავით აღმაშენებელზე, შალვა ახალციხელზე, დიმიტრი თავდადებულზე, თედორე მღვდელზე, ლუარსაბ წამებულზე, ქეთევან დედოფალზე, მონოტონურად, თითქოს ლოცვას წარმოთქვამსო, უკითხავდა წიგნებს საქართველოს წარსულზე, ხავსივით რომ გადაჰფენოდა დავიწყების ბნელი ბურუსი, რომელსაც სხივმოსილი ტამბების ამაყად თავაღმართული, აკიაფებული გუმბათები ფხრიწყვენენ და ამზიანებდნენ. მხოლოდ ტამბები, საყდრები და ციხეგალავნები, დარჩენილიყვნენ ნაშთად ძველი დიდებისა, მაგრამ სავალალო იყო, რომ ნესტორი არც იმას იცნობდა, რაც მტრის მსახვრალ ხელს გადაარჩენოდა, რადგან ქუთაისს არ გასცდნოდა, სამშობლო ქვეყანა თვალთ არ ენახა; მერე როდესაც მოვლო რუსეთი, ციმბირი, ევროპა. ზღეები მოიარა და ბალკანეთში ებრძოდა თურქებს, საქართველოს სამხრეთი რომ ჰქონდათ მიტაცებული, მაგრამ რად გინდა სამხრეთი, თუკი არც ჩრდილოეთი გვეუთვნის? მართლაც, რომ სადაურსა სად წაიყვანო! სერბიის ომში მონაწილეობით ვერც სერბებს არგო რაიმე და ვერც თავის ბედარულ ქვეყანას, მხოლოდ საკუთარი თავი გამოსცადა და შეისწავლა ამ ომში, სადაც შიში და სულმოკლეობა არ განუცდია, არც არავისთვის უღალატნია, მაგრამ ფუჭია ვაჟაკობა თუ... და მისი ფიქრები კვლავ რაევსკაიას ქალს უბრუნდებოდნენ, ეენევაში გატარებული ღამის მოგონება მამივე ლოდით აწვებოდა გულის ფიკარზე და ყველაფერს კარგს და მნიშვნელოვანს, რაც მას გააჩნდა, აზრს უკარგავდა. იწვა ლოჯინში და ჭერს შესცქეროდა. სიამონებდა სუფთა, გაქათბათებული ზერები.

კედლებზე აკრული ფერადი შპალერი, პარიზის წვიმიანი შემოდგომის ყომრალი ცა, ფანჯრიდან რომ მოჩანდა.

სიამოვნებდა ფიქრიც ოშში განცდილზე, რადგან ადამიანს უბედურების მოგონებაც კი ეამება ზოგჯერ, თუ იმ უბედურების დროს ღირსეულად ექირა თავი. მხოლოდ სირაცხელის მოგონება აუტანელი, და რაკი ოშში საკუთარი თავის არ შერცხვენია, ახლა კვლავ უბრუნდებოდა გადატანილ ხიფათს, წამებას, ალექსანდრე არბენინს, ბრძოლის უკანასკნელ დღეს რომ განგვირა ტყვიამ, მღვრიე მდინარესთან, რომლის მეორე ნაპირას, თურქი კავალერისტები უწყალოდ ჩეხდნენ ალყაში მოქცეულ სერებებს. თავისი ხელით გამოიტანა ბრძოლის ველიდან მეგობრის გვაში, თუმცა ეს საქმე ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დაამარხინა ეკლესიის ფართო ეზოში. როცა საფლავის ბორცვი შეიქმნა, კვლავ ჩაება ომის ფერხელში, ვიდრე მტრის ხიშტმა მკლავი არ გაუკაწრა. ამ დროისათვის ბრძოლა წაგებული იყო. არბენინის სიკვდილმა დაანახა ადამიანის საუკეთესო მისწრაფებათა განწირულობა, მიახვედრა, რომ გარემოებანი და საჭიროებანი ჭმნიან ღირებულებას და არა მისწრაფებანი.

პარიზში ჩამოსვლისთანავე ჩამოიშორა დაძაბულობა და მოლოდინი, უძილო ღამეებით და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მოუსვენარი ცხოვრებით გამოწვეული. დაღლილ სხეულს ეამებოდა განუწყვეტელი ძილი და დაუბრკოლებელი მოსვენება. ასე გაატარა სამი დღე ლოჯინში და მეოთხე დღეს, წამოდგა. სწორედ მაშინ გადასცა სახლის პატრონმა გენერალ გივი ამილახვრის წერილი.

— თქვენ რომ პარიზიდან გაემგზავრეთ, ერთი კვირის შემდეგ მოვიდა აქ ბატონის მსახური და გიკითხათო, მეორე დღეს, თვითონ ბატონი გენერალი მობრძანდაო, როცა გაიგო, რომ სერბიაში ხართ საომრად, მითხრა, თუ გამოიჩნდეს, მაცნობეო. მე გუშინ შევატყობინე და დღეს, აი, ეს ბარათი მოგი-

ვიდათო, — აუწყა სახლის პატრონმა.

ნესტორმა ბარათი წაიკითხა. გენერალი ნესტორს შინ იბარებდა. სუფთად გაიბარსა, თავისი საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა, მტკივნაი ხელი სურთუქის უბეში ჩაიდო, მეორე ხელში ხელჯოხი აიღო და გენერალ გივი ამილახვარს ეწვია. ამჯერად, გენერალი ღიმილით შეხვდა ომიდან დაბრუნებულ თანამემამულეს. მან კარგად იცოდა მისი ასავალ-დასავალი, იცოდა დაჭრილი რომ იყო, მაგრამ გივი ამილახვარს არ უყვარდა გრძელი სიტყვები, მოკლე სიტყვას აძლევდა უპირატესობას.

— თქვენ, ბატონო ნესტორ, სამხედრო განათლების მიღება გწყუროდათ.

— დიახ, ბატონო.

— მე გავიკითხე შაგის თაობაზე და მოენახე კაცები. თუ არ გადაგიფიქრებიათ, შეგიძლიათ, გამოცდებისთვის მოემზადოთ.

— გადავიფიქრე, ბატონო გივი!

გივი ამილახვარი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გადაიხედა. ისევ შემობრუნდა და გამომცდელი თვალით შეხვდა ტყავის სავარძელში მჯდარ ნესტორს, რომელსაც რაევსკაიას ქალთან განცდილი მარცხის შემდეგ თავისი თავი მებრძოლად აღარ მიიჩნდა, ჩემი საქმე, ალბათ, ფუტკრების მოშენებააო...

— რა გაეწყობა, უფალო ჩემო, იქნებ სხვა რამე გქირდებათ?

— არაფერი, ბატონო გივი, — ფეხზე წამოდგა ნესტორი.

— ნუთუ მართლა არაფერი გინდათ, არაფერი გენატრებათ?

— მხოლოდ სამშობლოში დაბრუნება, ბატონო გივი, მხოლოდ სამშობლო მენატრება, მაგრამ...

— ჭერ ეს შეუძლებელია!

— დიახ, — ნალვლიანად თქვა თავჩაქინდრულმა ნესტორმა.

ბოლო ხანს, ხშირად იპყრობდა სევდა მამულზე, არ ასვენებდა მისი ხატება. რა ხანი იყო ქართულად არ დაუღაპარაქნია და შიშობდა ენა არ გადა-

მაინწყდესო. საშინლად მოსწყინდა სხვის მიწაზე წაწალი. ახალი ქვეყნების და ახალი წეს-ჩვეულებების გაცნობა პირველად იტაცებდა, მაგრამ ახლა აღარაფერი ერჩია მამისეული სასახლის აივნებიდან კავკასიონის თეთრი მწვერვალების ცქერას. სამშობლოს მონატრებულმა, ერთ მშვენიერ დღეს, გუდნაბაბი აიკრა, პარიზი დატოვა და ბრიუსელში გადაბარგდა. კვლავ უცხო ქვეყნისკენ გასწია, სამშობლოს ნაცვლად. ბელგიაში, რუსეთიდან ჩამოსულ კაცსაც კი შეეძლო თავი მშვიდად ეგარანო. ამ დროისათვის, რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი ახალი დაწყებული იყო.

ნესტორმა ბრიუსელის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა. ეკონომიკას, სამართალს და სოფლის მეურნეობას, ეუფლებოდა. აქ ერთი ქართველი პროფესორი მუშაობდა ენების კათედრაზე, რომელსაც გვარი გადაკეთებული ჰქონდა ფრანგულ ყაიდაზე. ნესტორს არ უცდია მისი გაცნობა. მთელი წელიწადი მართო გაატარა, თანდათან ევროპელს დაემსგავსა, ახალი ჩვევები გამოუმუშავდა, ახალი შეხედულებები გაუჩნდა, გემოვნება შეეცვალა, გონიერ განსჯას ყველა საქმეში უპირატესობას აძლევდა, ყოველშემთხვევაში ასე ეგონა, დაუცხრა ბობოქარი ვნებები და ყველაფრის ერთი ხელის მოსმით გადაჭრის სურვილი. მოთმინება და სიფხიზლე მისი ხასიათის ნიშანთვისებად იქცა, მეოცნებე კაცი, ანგარიშისანი რაციონალისტისტი ხდებოდა, რაც უფრო ენატრებოდა საქართველო, მით უფრო ეჩვენოდა ევროპულ ცხოვრებას, რადგან დრო გადიოდა და მისთვის ევროპა შორეულ საქართველოზე უფრო რეალური და მახლობელი იყო, საქართველო თანდათან ოცნებას ემსგავსებოდა, ოცნებისეულ ქვეყანას, გამოგონილს, არ არსებულს, მხოლოდ მამისგან გამოგზავნილი ფული, მისი ყოველდღიური საარსებო სახსარი არწმუნებდა მშობლიური კუთხის არსებობაში და სიძყარეში.

შრომასა და მეცადინეობაში გაატარა ის წელიწადი. ერთ მშვენიერ დღეს, როცა საუზმის შემდეგ, პარიზული გაზეთი გადაშალა, ბოლო გვერდზე წაიკითხა ცნობა, გემი „ლუარა“, რომელმაც დედამიწას ირგვლივ შემოუარა, მარსელის ნავსადგურში დაბრუნდაო. ამ ცნობამ ისე ააღელვა, ისე მოენატრა ბეგლარ ნიგურიანი, რომლის ამბავი კარგა ხანია არ იცოდა, რომ იმ საღამოსვე იყიდა მატარებლის ბილეთი და მარსელში გაემგზავრა. მარსელში ჩასვლისთანავე, პირდაპირ ნავსადგურში გაემართა. ქალაქი ამფითეატრივით ეშვებოდა ზღვისკენ. საღამო ხანი იყო. ნავსადგურისკენ მიმავალი ვიწრო ქუჩები მთვრალი მეზღვაურებით იყო სავსე. დუქნებიდან მუსიკა და სიმღერა ისმოდა, საროსკიპოებიდან როსკიპების კისკისი. სინათლეები მკრთალად ბეუტავდნენ ნავსადგურში, სადაც უამრავი გემი იდგა, დიდი და მცირე, ორთქლის და აფრის, ახლად მოსული და წასასვლელად გამზადებული. ნესტორმა ძლივს იპოვა ერთ-ერთ მისადგომთან, ბაგირებით მიშვული „ლუარა“, გემბანზე ავიდა და ბეგლარი იკითხა. ბეგლარს დაუძახეს. გაოცდა, ისე გაზრდილიყო ბეგლარი, მთელი თავით მაღალი იყო ნესტორზე. სამშობლოდან გამოგზავრებისას, ნესტორი ზემოდან დასცქეროდა ბეგლარს, ახლა კი ეს მზეზე გარუჭული ვაჟაკი აღარაფრით ჰგავდა იმ უმწეო ბიჭს, ფოთისკენ მიმავალი გემის ერთოზე მდგარი, თვალცრემლიანი რომ გასცქეროდა რიონის სევდიან ქალებს, ლაქაშებით და კოთხუჯით ამოვსებულ ქაობებს... ერთმანეთის ნახვით დიდად გაიხარეს. ბეგლარი წყალივით ლაპარაკობდა ფრანგულად, ეტყობოდა, გემის საქმესაც დაუფლებოდა. „მე თქვენ გაბარებთ შესანიშნავ მეზღვაურს“, უთხრა ნესტორს მოხუცმა კაპიტანმა.

იმავე საღამოს ჩამოვიდნენ ნაპირზე, დუქანში შევიდნენ და ბურგუნდული ღვინო სვეს. გათენებაამდე ილაპარაკეს. ბეგლარი უამბობდა ნესტორს, რაც

თავს გარდახდა, რაც ნახა ქვეყნად; უამბობდა აფრიკის სილიან ნაპირებზე, სადაც აქლემებზე ამხედრებული არაბები, თეთრ სუღარაში გახვეულნი, გარს უვლიან უდაბნოს; ლათინური ამერიკის მწვანეში ჩაფლულ კუნძულებზე, სადაც ერთმანეთში არეულან შიშველი ზანგის ქალები, ძუძუები რომ ჩამოსაბავრიათ ძირს და ცხვირში რგოლებგაყრილი ინდიელები, მეტისეები და მულატები, თეთრები და ყვითლები; ტრაპიკული ქვეყნების სიცხეზე და ციებ-ცხელებზე, სადაც ზაფხული და ზამთარი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება; ზღვებზე მომხდარ უცნაურ შემთხვევებზე, ერთ ნავსადგურში გემი რომ შემოვიდა, რომელზედაც არცერთი სულიერი არ ჰქანებდა, ხოლო კაპიტნის კაიუტაში ჯერ კიდევ იდგა ახლად მოწეული სიგარის ბოლი; უმძლავრეს მდინარე ამაზონასზე, რომლის მღვრიე ყავისფერი ზვირთები შორს გადიან ზღვაში და ფერს უცვლიან წყლის ზედაპირს; უამბობდა ცეცხლოვან მიწაზე, მაგელანის სრუტეზე, გემების სასაფლაოდ რომ ითვლება; ოკეანის კუნძულების ტანშიშველა მცხოვრებლებზე, ფრინველთა ფრთებით შემოსილ დასერიანებულ ველურებზე, ადამიანის ხორცს რომ ჰკმენ; უამბობდა იაპონიაზე, სადაც ცხოვრობს სუფთა, გამრჩე და თავაზიანი ხალხი, მომხიბვლელი ცხვირაქუთა ქალები ჩიტებივით ქლურტულევენ, ბრინჯის ყანები მწვანედ ბიბინებენ, ხოლო ღღეში ორჯერ მიწა იჭრის და ამიტომ ყველგან ბამბუკისა და ლერწმის ქოხები დგას. ბეგლარი ელაპარაკებოდა ნესტორს ჩინეთზე, ინდოჩინეთზე, ინდოეთზე, სადაც სპილო ისე ჰყავთ მოშინაურებული, როგორც ჩვენში ცხენი; კუნძულ ცეილონზე და კუნძულ მადაგასკარზე, წითელ ზღვაზე და სუეცის არხზე, და ამ ბაასის დროს, ზოგჯერ, ფრანგულ ენას იშველიებდა, რადგან ცოტათი გადავიწყებოდა ქართული, უწინდებურად აღარ ემარჯვებოდა. ნესტორმაც უამბო ბეგლარს თავისი ამბა-

ვი. ლაპარაკით გული იჭერეს, ისინი სრულიად აღარ ჰკავდნენ ^{ბატონს} და მსახურს, ან თავადს და ^{გულს} უწონაც, როცა ერთად ცხოვრობდნენ, ნესტორი ბეგლარს ეპყრობოდა როგორც ნათესავს, როგორც ამხანაგს. ბეგლარის მოწიწება და პატივისცემა ნესტორის მიმართ, უფრო ასაკით უმცროსის რიდი იყო უფროსისადმი. ახლა ასაკობრივი ზღვედ წაშლილიყო, იმდენი რამ ენახათ ქვეყნად, იმდენი განეცადათ, რომ გათანაბრებულიყვნენ, გამქრალიყო მათ შორის ზღვარი უთანასწორობისა და მოხდა ისე, რომ სამიკიტროდან გამოსულებმა საროსკიპოში შეუხვიეს.

საროსკიპო მთვრალი მეზღვაურებით იყო სავსე. სხვადასხვანაირად მორთულ-მოკაზმული მეძავეები იტყლარქებოდნენ, სემდნენ, მღეროდნენ. ნახევრად შიშველი მკლავების, მკერდის, ზურგის და ბარაყების დანახვაზე ნესტორს გული შეუქანდა, მუხლებში სისუსტე იგრძნო, აღეღებისგან ოფლმა დაასხა. აქედან წასვლა მოუნდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და საკუთარ თავში დაეჭვებულმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. ამასობაში, ბეგლარი ვიღაც ინგლისელ მეზღვაურს გამოელაპარაკა და ინგლისურის საკმაოდ კარგი ცოდნა გამოამჟღავნა. მაგრამ რაღაცაზე დავა მოუვიდათ და მთვრალმა ბეგლარმა გაარტყა ასევე მთვრალ ინგლისელს მოჩხუბრები გააშველეს, ხოლო ნესტორი ისე გაებრუებინა ღვინოს და უჩვეულო ადგილს, რომ კედელთან ატუხული, მოწმესავით გულგრილად შესცქეროდა ბეგლარს გაწამაწიას. ბეგლარი ნესტორს მიუახლოვდა.

— აირჩიე, ბატონო, ქალი!

ისევ დაასხა ნესტორს ჭირის ოფლმა.

— არ გვინდა, ბეგლარ, მოვეშვათ.

— რავე გეკადრება, ბატონო?! — ღვინისა და ჩხუბისაგან გათამამებულმა, მოსში გამოწყობილი შავგვრემანი ახალგზნებულმა ბეგლარმა დარბაზში ახლად შემოსული, მეზღვაურის ტანის-

ლგაზრდა მეძავი დაინახა, გაქანდა, ხელი სტაცა და ნესტორთან მოაბენინა. ქალი ნესტორს დაუტოვა, თვითონ კი ისევ მეზღვეაურებში გაერია.

ნესტორს აღარ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა სუნამოს სურნელით გაქლენთილ ქალთან ერთად ცალკე ოთახში. ამ ნახევრად ბნელ ოთახში თავბრუდამხვევი მძაფრი სუნი იდგა ნელსაცხებლებისა და მყრალი თევზისა. „კატუნია, ფისუნია, ოქრო, ვერცხლო“, — ეტიტინებოდა მეძავი გაზეპირებულ სიტყვებს, მაგრამ ნესტორს არ ესმოდა მისი სიტყვები, გული ბაგაბუგით უცემდა, ხარბად უცქერდა ქალის ახალგაზრდა, მოქნილ სხეულს, ჯერ კიდევ რომ არ დამჩნეოდა საზიზღარი და მძიმე პროფესიის კვალი, და გრძობდა, მის არსებაში როგორ იღვიძებდა მამრი, აქამდე მორიდებული და სირცხვილნაქამი. როდესაც როსკიპმა მეზღვეაურის ხალათი გაიხადა და ტუტეები გადმოყარა, ნესტორი მოუახლოვდა მას, ტუტეებზე მოუსვა ხელი, ერთბაშად ეძგერა და აღფრთოვანებულმა იგრძნო, როგორ დაუბრუნდა კაცობა და მერე იგი ისეთი თავდავიწყებით, ისეთი გაშმაგებით მიარღვევდა ენების მორევს, თითქოს სიკვდილი ელოდა თუ მეორე ნაპირს არ მიაღწევდა, ხოლო როცა მიაღწია ნაპირს, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, და ქანცგაწყვეტილმა როსკიპმა მიქმავებული ხმით უსაყვედურა:

— ჩემო კარგო, ნამდვილი ნადირი ყოფილხარო! — რაზედაც ნესტორს უდიდესი სიამოვნებით გაეცინა, რადგან საოცარ თავისუფლებას და სიმსუბუქეს გრძნობდა.

— მთელი სახლი ზანზარებდა, კინალამ ჭერი ჩამოინგრა!

მეძავი ქალის ეს ურცხვი სიტყვები ნესტორს ოქროს ფასად უღირდა. ამიტომ, მეორე საღამოს, აღრიანად მივიდა საროსკიპოში, ისევ იხმრ იგივე მეძავი, განმარტოვდა მასთან ერთად და კვლავ დარწმუნდა თავის ძალაში. გამთენიისას, სასტუმროში მიბრუნდა, გა-

მოიძინა, მაგრამ როგორც კი ჩამობნელდა და წითელი შუქი საღამოს საროსკიპოში შესასვლელთან, ნესტორს იქ იყო.

— ისევ მეზღვეაურს ინებებთ? — შეეკითხნენ მას.

— ისევ მეზღვეაურს!

ასე გაგრძელდა მთელი ერთი კვირა. ყოველ საღამოს მიდიოდა ნესტორი საროსკიპოში და ყოველ დღით ბრუნდებოდა იქედან სასტუმროში. დღისით ეძინა, ღამით ფიზილობდა. მეზღვეაურის ტანსაცმელში გამოწყობილ მეძავი, რომელმაც დაუბრუნა რწმენა და ილაჯი, თანდათან უფრო იზიდავდა. მესამე საღამოს სახელი ჰკითხა, მადლენი ერქვა. მეოთხე საღამოს სადაურობით დაინტერესდა, პარიზელი ყოფილიყო. მეხუთე საღამოს ასაკი ჰკითხა, ოცდაორი წელი შესრულებოდა. მეექვსე საღამოს იმის გაგება მოიწადინა, თუ როგორ მოხვდა ეს ქალი საროსკიპოში და მადლენმა უამბო თავისი თავგადასავალი.

გავლენიანი ვექილის ქალიშვილი ყოფილიყო. ბავშვობა თურმე, ჰქონდა უღრუბლო და ბედნიერი; ვიდრე პარიზში მომხდარმა არეულობამ და აჯანყებამ არ შეურყია ცხოვრება. მას ახსოვდა, როგორ დაამხეს ვანდომის სვეტი, იმპერატორ ნაპოლეონის სადიდებლად აღმართული. ახსოვდა, მოედანზე გამოსული აზვავებული ხალხი, ახსოვდა ხანძრები კომუნის მშფოთვარე დღეებში და მისის ის საშინელი სისხლიანი კვირა, როცა კომუნარები და ვერსალელები დაუნდობლად ქლეტდნენ ერთმანეთს პარიზის ქუჩებში და პერ-ლაშეზის სასაფლაოსთან. მადლენის მამა, კომუნართა ერთ-ერთი მოღვაწე, ბარიკადებზე დაიღუპა. დარჩა ოჯახი უპატრონოდ, ყოველგვარი სახსრის გარეშე. გამარჯვებული ვერსალელები ვადარჩენილ კომუნარებს ხერცტდნენ, მათ ოჯახებს დევნიდნენ, არ ინდობდნენ არც ქალს და არც კაცს, არც ბავშვს და არც მოხუცს. მადლენის დედა პარიზიდან მარსელში გადა-

სახლდა შეილებითურთ. აქ იგი კერვით არჩენდა ოჯახს, რეცხავდა კიდეც, მერე მოკვდა. სუსტი აგებულების, ავადმყოფი ქალი იყო, ხშირად ახველებდა. მადლენი და მისი უმცროსი და უპატრონოდ დარჩნენ. და დაავადდა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მადლენი მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. მეზობლების ხელშეწყობით ერთ მდიდარ ოჯახში შინამოსამსახურედ მოეწყო. ერთხანს შვიდად ცხოვრობდა, ხელსაქმეს სწავლობდა, ქალბატონს უყვარდა, მაგრამ თვრამეტი წლის რომ შეიქმნა, ქალბატონის მოხუცმა მამამ დიდიმართხელა და ნაშუსი ახადა. ამ შემთხვევამ გული გაუტეხა და იავარქმნილი, მალე ქალბატონის უფროსი ვაჟის, თხუთმეტი წლის ყმაწვილის საყვარელი გახდა. ეს რომ ქალბატონმა შეიტყო, სასტიკად განრისხდა, ოჯახიდან დაითხოვა და უპატრონო ქალიშვილი უსახსროდ და უსახლკაროდ დარჩა, ათასგვარი ცდუნებებით სავსე მარსელის ქუჩებში, სადაც ჭრელი ხალხი ირეოდა მუდამ. ბავშვობაში ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდნენ, ცოტა სიმღერაც შეეძლო. გაჭირვებამ და უნუგეშობამ საეჭვო სარდაფებისკენ და სამიკიტნოებისკენ უბიძგა. 'მღეროდა, ზოგჯერ ფულს შოულობდა, ზოგჯერ — ვერა, აწვიმდა, ათოვდა და ამ დაუსრულებელმა გამოუვალობამ, შიშმა, შიმშილმა, ბოლოს და ბოლოს საროსკიპოში მიიყვანა, სადაც ლუკმა მაინც ჰქონდა და ჭერი იცავდა. მისი საქმე არ იყო ძნელი, თუმცა მამაკაცები დასანახავად ეზიზღებოდა, მაგრამ ახლა, როცა ნესტორი გაიცნო, რომელთანაც უკვე ზედიზედ ატარებს რამდენიმე ღამეს, თითქოს რაღაც გაელვია სულში, თითქოს რაღაც გაუღვია, გაუნათდა, თითქოს პირველად ეამა, რომ თავისი სხეულთ ასეთი დიდი და თავდავიწყებული სიამოვნება მიანიჭა სხვას, ვისაც მისი ალერსი, თურმე, პაერივით სჭირდებოდა, და პირველად იგრძნო, რომ თვითონაც საჭირო ყოფილა...

მეძვეი ქალის გულახდილ აღსარებას

მდუმარედ უსმენდა თვალცრემლიანი ნესტორი და მეშვიდე საღამოს, ცოლობა თხოვა. არ გაჭრა ბეგლარის ხეყნა-მუდარამ, ნუ იჩქარებ, ბატონოო! ნესტორს ბედნიერად მიაჩნდა თავი. ერთი კვირის თავზე, რაც პირველად მოხვდა საროსკიპოში, ნესტორმა მადლენზე ჯვარი დაიწერა. ეკლესიიდან რომ გამოდიოდნენ, ბეგლარი განზე გაიყვანა.

— იცოდე, ბეგლარ, მადლენის უბედური თავგადასავალი არავინ უნდა იცოდეს!

— ჩემგან ვერავინ გაიგებს, ბატონო!

ამის შემდეგ, ახალდაქორწინებულნი მარსელიდან გენუაში გაემგზავრნენ. ნესტორს იტალიის სიძველეთა დათვალიერება და იტალიური ენის დაუფლება სურდა. ორი თვე დაჰყვეს ამ მშვენიერ, მზიან ქვეყანაში, მოიარეს მილანი, ვენეცია, რომი, ნეაპოლი, დაათვალიერეს ამ ქალაქთა ურიცხვი ღირსშესანიშნაობანი და შემოდგომით ბრიუსელში დაბრუნდნენ. ერთ ოთხსართულიან სახლში მანსარდა იქირავეს და იქ გადავიდნენ საცხოვრებლად. ღარიბად ცხოვრობდნენ, მაგრამ ბედს არ უჩიოდნენ. ცოლქმრულმა ურთიერთობამ ვერ დააცრო ნესტორის ვნება და მადლენიც ყოველ ღამე უკმაყოფილებდა წადილს. დღისით, როცა ნესტორი მეცადინეობდა, მადლენი ოჯახში საქმიანობდა, ჭრა-კერვას და ქარგვას სწავლობდა. ამასობაში, გემი „ლუარა“, რომელზედაც მეზღვაურად იყო ბეგლარი, ესპანეთის ნაპირების გარშემოვლით, ინგლისს ჩავიდა. ინგლისში, ბეგლარი საზღვაო სასწავლებელში შესვლას აპირებდა, რადგან ზოგი რამ იცოდა გემის მართვისა და ცოდნის გაღრმავება სურდა. შტურმანთა სკოლაში მოწყობა მოახერხა და ამის შესახებ ბრიუსელში აცნობა ნესტორს.

იმავე ხანებში, რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და ერთ მშვენიერ დღეს, ნესტორმა პეტერბურგიდან ბარათი მიიღო, რომელსაც გენერალი გივი ამილახვარი აწერდა ხელს. გივი ამილახვარი ნესტორს

ატყობინებდა: გენერალი ლორის-მელიქოვი, რომელთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს, ამჟამად დიდი გავლენით სარგებლობს რუსეთში. მასთან გიშუამდგომლე, დანაშაული გეპატია და უფლება გეძლევა საშობლოში დაბრუნებისა, სადაც სახელმწიფო სამსახურში არ იქნები მიღებულიო. ამ ცნობამ ნესტორი დიდად გააბარა. დაუყოვნებლივ შეატყობინა ბეგლარს სასიამოვნო ამბავი და იმ გაზაფხულზე, სანამ სასწავლებელში მორიგი სემინარი დამთავრდებოდა, ბეგლარი ბრიუსელში ჩამოვიდა. სასწრაფოდ აიკრეს გულანაბადი და სამივენი პარიზს გაემგზავრნენ, იქედან ბერლინისკენ აიღეს გეზი და მერე ოდესაში ჩავიდნენ, სადაც ნესტორმა ინახულა ქალბატონი ფეფო, რომელმაც იგი კვლავ გულითადად მიიღო. ოდესაში, ფოთისკენ მიმავალ გემზე დასხდ-

ნენ. გემი ნელა შეცურდა ზღვაში. მეოთხე დღეს, განთიადისას, როცა გემი შხელით მიაპობდა ზღვის შშიშე ტალღებს, ობობას ქსელივით გაწეწილი თხელი ღრუბლები დაიქსაქსნენ ცაზე, გაჰქრნენ, და პორიზონტს მიღმა წამოიზარდნენ საქართველოს ცისფერი მთები, ოქროს ზარქაშვით რომ შემოვლებოდა ალიონის ორთქლისებური ნისლი. თბილი ნიავე უბერავდა და ხმელეთიდან საშობლოს ნაცნობი სურნელი მოჰქონდა. ბარე ათი წელი იქნებოდა არ დამტკბარიყო თვალი ამ ფერთა ჭერეტით, არ გამძლარიყო ფილტვები ნექტარივით ტკბილი, მშობლიური ჰაერის სუნთქვით. ნესტორი და ბეგლარი გემბანზე იდგნენ და გასცქეროდნენ მწვანედ დაბურულ ოქროსფერ ნაპირს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და საცნაურდებოდა.

ხუტა ბერულავა

ქარიშხლიანი ღუმელი

დრამატული პოემა

პარი მახუთა

მიხეილ ზანელის სამეზაო ოთახი.
ფოთოლა და მიხეილი წიგნებს ალაგებენ.

ფოთოლა:

წიგნები, როგორც მეგობრები, არ გშორდებიან!

მიხეილ:

წიგნებსაც, როგორც კაციშვილებს, არ გააჩნიათ
დასვენების და უმოძრაოდ ყოფნის უფლება.
უამწიფნებოდ ნუ მაცოცხლოს ბედმა წამითაც.
მათ ამიხილეს თვალე ჭაბუკს, მათ გამინათეს
გზა და სავალი...

ფოთოლა:

ბედნიერად გველოს ამ გზაზე!

მიხეილ:

ბედნიერი ვარ, რომ ვეკუთენი, ჩემო ფოთოლა,
შშობელი ხალხის სიკეთისთვის მებრძოლთა რიგებს.

ფოთოლა:

შვილი ერთგული იმ ხალხისა შენც ხარ, შურივე!

მიხეილ:

მეცა ვარ. დიახ. ამიტომაც ვიდრე ვსულდგმულობ,
არ დავიღლები...

ფოთოლა:

იღლებიან მდინარეებიც.



იღლებიან და ისვენებენ თუნდ ერთი წამით.

შენ კი დღემუდამ ბრძოლაში ხარ, იწვი, ბობოქრობ, ლამობ, ჩაუდგა უგულოსაც გული ძლიერა.

მიხეილ:

გისმენ, ფოთოლა!

ფოთოლა:

აფეთქება ენთუზიაზმის,

რაიც თან მოპყვა საქართველოს დიდ განახლებას,
მრავალს და მრავალს აღამაღლებს სულით, გონებით,
ადამიანებს შეუძლებელს შეაძლებინებს,
მაგრამ ამ სოფლად ხომ არიან...

მიხეილ:

არამზადებიც,

პრამზადებიც, ორბირებიც, შურიანებიც,
რომელთაც ჩვენი წმინდა საქმე არეტვიანებს...

ფოთოლა:

განა არ უწყვი, ღამეები მითენებია

მე შენს ლოდინში და ათასჯერ მიგრძნია შიში,
მაგრამ ამგვარი — არასოდეს! იყავი ფრთხილად,
როდი ახარებს ყველას წინსვლა, სიკეთე შენი!

მიხეილ:

შე დალოცვილო, უთენია გულს რად მიხეთქავ,
არ გირჩევნია, საკეთილო რამე მომიტხოვ?

ფოთოლა:

მე წინათგრძნობა მიკარნახებს და მეშინია,
არ მოგვედღე ისე, არ გაუწყუო საშიშროება!

მიხეილ:

რა დროს ეგ არი! ამ შენს შვილებს რას ეუბნები,
უნდა დაზარდო საიმედოდ, დააფრთიანო...

ფოთოლა:

მეც ეს მაღარდებს, ეს მაღონებს, ამდენი ბარტყი
ვის უნდა ანდო? ვინ გაუწყვეს იმათ დედობას?
გთხოვ, მაპატიო, ასე მწარედ რომ ვლაპარაკობ!

მიხეილ:

ჩუმად, ფოთოლა, მეგობარო უსაყვარლესო,
შენი ალერსი თუ მუხსავით არ მომეფინა,
ჩემი სიცოცხლე ან ოჯახი რას ემგვანება!
ნუ მტყუვი ისეთს, შემაძულოს წუთისოფელი...

ფოთოლა:

არ მეშვებიან ღამღამობით შავი სიზმრები,
თუმცა ძილისთვის ვინღა იცლის...

მიხეილ:

ღამშვიდდი, სულა!

სააფხაზოში რომ წაგიყვან ორიოდ დღეში,
დაგავიწყდება ეს ფიქრები კაეშნიანი.

განიკურნები, დაისვენებ და გამხნელები.

(შემობის კახუმტი).



მიხეილ:

გამოიქცევი და ჩაეკარ დედაშენს, მუხა!

ვახუშტი:

გამოვიქცევი, თუ ამიყვან ხელში...

ფოთოლა:

ვახუშტი!

გთხოვ, ერთი წუთით მომეახლო...

ვახუშტი:

აგერ ვარ, ნანა.

ფოთოლა:

აი ეს წიგნი შენ გეკუთვნის, ჩემო ბიჭუნო!
მას „დედაენა“ ეწოდება და მზედ ეფრჭვევა
დიდს და პატარას, ვინც ჭართველად დაბადებულა.
აი აქ იყოს, ამ თაროზე, და შენც იცოდე,
რომ უამწიგნოდ მომავლის გზას ვერ გაიკაფავ.
გთხოვ, დაიხსოვო.

ვახუშტი:

მეხსომება, ნანასა ვფიცავ!
გუშინ გვიამბო ჩვენმა ნიკო-მასწავლებელმა,
ძია იაკობ გოგებაშვილს — ამ წიგნის შემქმნელს
რა ძნელი გზა და ჭირვარამი გამოუვლია!

მიხეილ:

ჰო, შვილო ჩემო, იმ დიდებულ მოძღვარს და მწერალს,
რომელსაც ერი უსათუოდ დაადგამს გვირგვინს,
არაკაცებმა თვითმკვლელობა აფიჭრებინეს.
მტკვარში ხიდიდან თავის ნებით გადაეარდნოლი,
წარმოიდგინეთ, სულ შემთხვევით გადაარჩინეს...

ფოთოლა:

რას ამბობ, მიხა? სიმაართლეა ეს თუ ლეგენდა?
ამისი მსგავსი არაფერი გამიგონია.

მიხეილ:

სჭობდა, არცა ვის გაეგონა, ან ეს ამბავი
ლეგენდა იყოს უსაფუძვლო...

ფოთოლა:

ო, ღმერთო ჩემო!

მიხეილ:

სიკეთეს ებრძვის უმეცრება გააფთრებელი.
ორთაბრძოლაში შეუჭურებიც ილუპებიან,
ილუპებიან ფიზიკურად, მაგრამ სახელი.
პატიოსნებით, სათნოებით გარემოსილი,
რჩება ქვეყანას, ვით ლამპარი...

ვახუშტი:

რად ხდება ასე?

ფოთოლა:

რად ხდება ასე? გიპასუხებს თვითონ ცხოვრება.
ახლა წავიდეთ, მამას ხელი არ შეეშალოს.
თავის ნებაზე დაალაგოს ბიბლიოთეკა,
რომ არ დასჭირდეს სასურველი წიგნის ძიება.



მიხეილ:
დარჩით, ფოთოლა. შენ და მუხა ხელს არ შემიშლით.

ვახუშტი:
მსურს, რა ხანია, შეგეკითხო და მერიდებო:
რად მიხვობ ასე, მამაჩემო? მუხა ხომ ზეა,
ჩვეულებრივი, მოშრიალე შვილი მიწისა?

მიხეილ:
მუხა ზე არის, ზე სიცოცხლის და იმედისა.
ჩემი იმედიც და სიცოცხლაც შენა ხარ, ბიჭო!
თუკი გრივალმა შენს თავზედაც გადაიარა,
უნდა ვაუძლო იმის ქროლას, ვით მძლავრმა მუხამ.
მიხარის, წიგნი რომ გიტაცებს ყველაზე მეტად.
ის მოგანიჭებს ძალასა და სიბრძნეს.

ფოთოლა:
(ვახუშტის)

წავიდეთ!
შენ კი, შურივე, გაიხედე, ვილაც ამოდის.
(ფოთოლა და ვახუშტი გადიან).

დახილი:
კარი გამიღეთ, მასპინძლებო, გამოიხედეთ!

მიხეილ:
ვინა ბრძანდებით?

ლაჭყეიანი:
მე ვარ, ბაგრატ ლაჭყეიანი.

მიხეილ:
ბაგრატ, ძვირფასო მეგობარო...

ლაჭყეიანი:
აქა მშვიდობა!
კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ სახლში, ზალხო!

მიხეილ:
კეთილი კაცი რომ შეაღებს მეზობლის კარებს,
მწამს, შემოიტანს სიხარულს და ბედნიერებას!
მე კარგად ვიცნობ შენს ცხოვრებას და გულმართლობას...

ლაჭყეიანი:
კვადუაშელი გლეხისა და ღურგლის ნაშიერს,
სხვა რა შემეძლო იმ შავ დროში, გარდა იმისა,
რომ დავამთავრე „სამინისტრო“ სასოფლო სკოლა...

მიხეილ:
ბაგრატ, ძმობილო, მთავარია, რა გისწავლია,
რა საგანძური ავივსია ცოდნის და სიბრძნის,
რა მწვერვალეები ავიღია მეცნიერების,
სხვა დანარჩენი ჭაღალდია, არაფრისმთქმელი...
შენ კი არ ჰგავხარ მაძიებელთ იმგვარ ჭაღალდის!

ლაჭყეიანი:
თხუთმეტი წლისამ გამოვცადე ყველა სიმწარე,
მოჭამაგირის წუთისოფელს რომ თან სდევს მარად.
გამდიდრებულ ზალხს ვემსახურე სოფელ რიყეში,
წალენჯიხაშიც და საკუთარ სოფელშიც დიდხანს...



მიხეილ:
მერე რკინიგზა...

ლაკუყუბიანი:
რკინიგზაზე, მაშინ ვისწავლე
მე ანაბანა ბრძოლისა და რევოლუციის.
ცხრაასთვრამეტის იანვარში, ერთ-ერთ კრებაზე
ხელისუფალთა წინააღმდეგ ხმა აღვიმალე
და ამისათვის...

მიხეილ:
ამისათვის დაგაპატიმრეს.

ლაკუყუბიანი:
დიახ, ნამდვილად ეგრე იყო. რას ვიფიქრებდი,
თქვენც თუ გახსოვდათ, რაც კი თავზე გარდამხედია.

მიხეილ:
ცხრაასთვრამეტი მოიგონე, ჩვენი სოფელი,
პარტიზანული ბრძოლის შტაბში მორიგეობა,
შუალამედლე საუბრები, ზოგჯერ კამათიც...
აი საიდან მახსოვს შენი ბიოგრაფია!

ლაკუყუბიანი:
თქვენ არაფერი გავიწყდებათ, მიხავ, ძვირფასო!

მიხეილ:
ო, ძმაო, ნეტავ ასე იყოს. მე გავიწყდება
ნაწყენობა და გულისტკენა, თავდასხმაც მტრული...
სამაგიერო ხომ დავთარში არც მიწერია!

ლაკუყუბიანი:
რაც მართალია, მართალია!

მიხეილ:
რაც შეეხება,
შენს თავდადებას, შემართებას და ერთგულებას
რევოლუციის საქმისადმი, რა დამავიწყებს!
სადაც კი საქმეს დასჭირდები, იქ მოღვაწეობ
მთელი გულით და მონდომებით...

ლაკუყუბიანი:
მადლობელი ვარ.
მადლობელი ვარ, ამხანაგო, რომ არ მიკარგავთ
ჩემს მცირეოდენ ამავსა და დამსახურებას.

მიხეილ:
ყველაზე მძიმე სასჯელია უმადურობა.
უმადურობის გამოვლენა შვილთა წინაშე
არც ადამიანს, არც ქვეყანას ეპატიება.

კირილე:
(შემოდის)

როგორც ყოველთვის, მართალი ხართ, მწავ საყვარელო,
უმადურობა გულმავიწყთა აოის თვისება,
ღმერთმა გვაშოროს ჩვენ ამგვარი ავადმყოფობა!

ლაკუყუბიანი:
მართალსა ბრძანებთ.

**კირილე:**

(ღამილით)

და გთხოვთ, მაინც გვიამბო, ბაგრატ,
როგორ წაართვი შენ სახერხი ქარხანა სოფელს?

მიხეილ:

როგორ წაართვი და გადაეცე რაილმასკომს
ის, რაც კანონით ეკუთვნოდა კოლმეურნეებს!

ლაჭუყუბიანი:

(იციხის)

ორივემ უწყით, ლიანეთი, სადაც მდებარებს,
რომ ამყოფდა საკუთარი სახერხი ქარხნით.
ერთ მშვენიერ დღეს რაიკომმა გამოიტანა
უსაფუძვლო და უცნაური დადგენილება,
რომლის ძალითაც ჩამოერთვა ქარხანა სოფელს
და გადაეცა, რა გგონიათ, რაილმასკომს.
უკანონობის წინააღმდეგ რადგან ვიყვირე,
მე დამავეალეს შესრულება დადგენილების.

კირილე:

მერე? სოფელმა ხომ მადლობა გამოგიცხადათ
თქვენი ამგვარი გონიერი მოქმედებისთვის?

ლაჭუყუბიანი:

რას მეხუმრებთ? რა მადლობა, რისი მადლობა!
მთელმა სოფელმა მყის საჩივრით მიმართა თბილისს.
გამოგიტყდებით, იმ საჩივარს მეც ხელს ვაწერდი.
თბილისმა უმალ გააუქმა დადგენილება.
გაჯავრებულმა რაიკომმა პასუხად ამის
მე საყვედური ჩამიწერა პირად ბარათში.

კირილე:

მაშინ წამოდგა ჩვენი ბაგრატ ლაჭუყუბიანი
და გაემგზავრა საქართველოს დედაქალაქში.
ბოდოში, ბაგრატ, მიგაველინეს, რათა გესწავლა...

ლაჭუყუბიანი:

დავასრულე და გამამწესეს მახარაძეში,
ვით სახკომსაბჭოს რწმუნებული...

მიხეილ:

მახარებს, ბაგრატ,
რომ ეს მაღალი, დიდი ნდობა დაიმსახურე!

ლაჭუყუბიანი:

ძვირფასო მიხა, უთენია მისთვის გესტუმრე,
რომ ამჯერადაც, ვით, ახლობელს, დაგემშვიდობო!

ფოთოლა:

(შემოდის)

გთხოვთ, მომიტევეთ, რომ დაგტოვეთ უყურადღებოდ.
ვიღრე როდიონს ტოლწორებში გავისტუმრებდი,
ვიღრე ეუუუუნას პატარა დას ჩავაბარებდი,
დრო გამეპარა და კიდევაც შემავგვიანდა.
გთხოვთ, წაიხეშოთ... ისე მაინც გატეხოთ პური...
სხვა ვერაფერი მოვასწარი...

**მიხეილ:**

დიასახლისო,
ისე ავიხდეს ყველა ნატვრა ულამაზესი,
როგორც ამიხდა, ამ წუთებში რაც გავიფიქრე.
უპირველესი სადღეგრძელოც დაიმსახურე:
ნუმც დაგიძვირდეს გამოჩენა კეთილ სტუმართა!

ფოთოლა:

ჯერ სათითაოდ დამილოცე ყველა მათგანი.

კირილე:

იკოცხლე, დაო საყვარელო, ამიერიდან
თქვენს ლაფაროში არ ჩაევილოს ავადმყოფობას.

ფოთოლა:

მადლობა მითქვამს. გაიხაროს თქვენმა ოჯახმა!

ლაჭყეპიანი:

მეც გადღეგრძელებთ. დაგილოცავთ შვილებს და მიხას,
რომელსაც მუდამ ვაყაყივით უდგახართ მხარში.

ფოთოლა:

ბატონო ბაგრატ, მსურს, მადლობა გითხრათ გულწრფელი
და გურიაში მიმავალი გზა დაგილოცოთ!

მიხეილ:

ჩვენი სამშობლოს კურთხეული კუთხეა მართლაც!
ოზურგეთშიაც, ლანჩხუთშიაც, ჩოხატაურშიც
უერთგულესი მეგობრები მყავდნენ და მყვანან.
ხალხო, როდია შემთხვევითი, დიდი ლენინი
რომ ალტაცებით მიესალმა გურიის გმირებს!

კირილე:

უთუოდ გახსოვთ: ათას ცხრაას ხუთში, როდესაც
იმ ალიხანოვ-ავარელის დაიბრა ურდო,
რათა გურია ძირფესვიან გადაეზუგა,
თვითონ ილია ჭავჭავაძის ხმამ დაიჭექა.

მიხეილ:

დიახ, გურიას იგი მკერდით გადაეფარა,
ვით საქართველოს ნატვრისთვალს და ერთ-ერთ
მშვენიერებას:

მგზნებარე სიტყვით მოუწოდა მთელ საქართველოს,
სჯობს, სულ ყველანი დავიხოცოთ, ვიდრე ამ კუთხეს
დაგვირბედედესო გენერალი ალიხანოვი.
ილიას სიტყვამ დაიჭექა და გასჭრა კიდევ:
მეფისნაცვალმა, დამფრთხალმა და შემწუნებულმა.
ის შავი რაზმი გაიწვია საჩქაროდ უკან.
აი რას ნიშნავს ჭეშმარიტი პოეტის ძალა!

ფოთოლა:

განა ტყუილად უთქვამს ბრძენკაცს: მე ცა მნიშნავსო
და ერი მზრდისო წინამძღოლად საქართველოსი!

მიხეილ:

მწამს, ილიასაც, ვით სამშობლოს მამას და ქურუმს,
ალამაღლებენ საბჭოეთის კიდითი-კიდევ.



ლაქუეპიანი:

თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ძმებო! რა სათნო სიტყვას, რა ნათელსა და წმინდა აზრებს მატანთ აქედან. კვლავ არაერთხელ შეგვახვედროს ბედმა ერთმანეთს!

პარი მემძვსე

სამუშაო ოთახი. მაგიდას უზის მიხეილ ზანელი.
შემოდის ბათლომე.

ბათლომე:

თქვენ გელოდებით რედაქციის თანამშრომელი, ახალგაზრდაა, გარეგნულად თავაზიანიც, მაგრამ იმდენ ხანს იწრიალა ბანკის ეზოში, და იმდენ ვინმეს ესაუბრა თითქმის ჩურჩულთ, არ მომდის თვალში...

მიხეილ:

დაგიშვათ შაინც რაიმე? ეურნალისტების პროფესია ასეთი გახლავთ: აინტერესებთ ყველაფერი — ავი და კარგი! თქვენც ხომ ამოწმებთ, და მკაცრადაც, ადამიანებს. რატომ გგონიათ, იმ წუთებში ვისაც ამოწმებთ, თითქოს ზღვებიან ალტაცებით თქვენს გამოჩენას.

ბათლომე:

რა მოგახსენოთ, მე არ ვიცი, როგორ მხედებიან, მაგრამ ეს ვილაც კაი სულის არ ჩანს, ბატონო!

მიხეილ:

ეურნალისტები! გეფიცები, მიყვარს ისინი, დრო სად მაქვს, თორემ მათ რიგებში მეც ჩავდგებოდი. ნაკლს ეძიებენ, მაგრამ კეთილს როდი მალავენ! დგანან დღემოდამ ცეცხლის ხაზზე, ჯარისკაცულად. მე სიტყვა მზიბლავს ცეცხლოვანი და პირდაპირი. ჩემო ბათლომე, თქვენ „კვიმატი“ გაგიგონიათ? — ხშირად ვკითხულობ ჩვენს გაზეთში ნაკვესებს მისას. მწარეა, მაგრამ ალამაზებს გაზეთის ფურცლებს, სიტყვა მართალი, მოქნეული, როგორც მათრახი,

ბათლომე:

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, გამოგიტყდებით: არა მწამს, როცა კალმოსანი მკითხველს არწმუნებს, პატროსნებით ქვეყანაზე არ მყავს ბადალი, ცამდე მართალი, გულმართალი, ვინმე გახლავართ და ამის გამო ვლალადებო ჭეშმარიტებას. სწვისი სხვამ უწყის, ულამაზო ამ განცხადებით, მე, როგორც მკითხველს, არცა მცია და არცა მცხელა... შენ ილაღადე სიმართლე და ჭეშმარიტება. ჭკვიანი კაცი თვით მიხედება, რასაც გულისხმობ.

მიხეილ:

ჩვენ, მახარია, როგორც ვხედავ, შორს შევიჭრით. შემოქმედება ურთულესი საიდუმლოა, რომლის სიღრმეში ჩაწვდომასაც ალბათ სჭირდება თვალი — თვალისთვის უხილავი საგნის მჭვრეტელი.



ქართული
ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

ბათლომე:

მოლით, იმ სტუმარს დაეუბრუნდეთ: დღეს ნუ მიიღებთ
დღეს თათბირი გვაქვს...

მიხეილ:

ჩემო ბათუ, ვთხოვ, შემოვიდეს.

რაცა სურდეს და როგორც სურდეს, დაწეროს ბარემ.

ბათლომე:

ო, როგორ გინდათ, ყველა კაცში კეთილს პოვებდეთ,
ლმერთმა გისმინოთ და თქვენც სწორი აღმოჩნდეთ მუდამ.

ზურაბ

(შემოდის)

ბატონო მიხა, მე გახლავართ კორესპონდენტი...

მიხეილ:

ღაბრძანდით. გისმენთ, ამხანაგო. რამ შეგაწუხათ?

ზურაბ:

ჩვენს გაზეთებში მე წერილებს ვაქვეყნებ ზოგჯერ...

მიხეილ:

და ჩვენი ბანკის კოლექტივზეც გნებავთ დაწეროთ?
ეს ხომ ძნელია.

ზურაბ:

არ მასვენებს დიდი ოცნება,
დაეწერო წიგნი თქვენისთანა საოცარ ხალხზე...

მიხეილ:

განიმეორეთ!

ზურაბ:

თქვენისთანა საოცარ ხალხზე...

მიხეილ:

(იციანის)

წიგნს, მახარია, ბელადებს და გმირებს უძღვნიან,
მე კი ვინა ვარ, ან საოცარს რას ზედავ ჩემში?
ბიოგრაფიაც უჩვეულო არა მქონია,
რომ გააკვირვო მკითხველი და ქვეყანა მთელი.
აბა, რა უნდა შთაგაგონოს ჩემმა ცხოვრებამ?

ზურაბ:

თქვენ ვერ გამოიგეთ, მე ვოცნებობ მომავლის წიგნზე.
თქვენს თანამებრძოლთ არ მოვეშვი და მათი სიტყვით,
მათი წყალობით გამოგვეკეთე საზე კაცისა...
დღეს შეგაწუხებთ რამდენიმე შეკითხვით მხოლოდ.
რომელ სოფელში დაიბადეთ, მიხავ, ბატონო!

მიხეილ:

მე დავიბადე ულამაზეს მთიან სოფელში.
გლეხის ოჯახში გავიზარდე, ღარიბი გლეხის,
ვისაც გააჩნდა ერთადერთი: პატიოსნება.
მას უბრძოლია მართალია თოდუას ჭარში!

ზურაბ:

არ გამოიგია მე ასეთი სახელი დღემდე.

მიხეილ:

უტუ მიქავას აჯანყება გაგეგონება.



ზურაბ:

გამიგონია, რა თქმა უნდა!
მიხეილ:

იმ უტუს ჯარში,
მეორე ბელადს, თოდუასაც, უტუ რქმევია.
რომ გაერჩიათ, ბრძენ და კეთილ უტუ თოდუას
ხალხმა უწოდა: მართალია.

ზურაბ:

ეს არ ვიცოდი.

მიხეილ:

იმ მართალიას ერთი გმირი თანამებრძოლის
შვილი გახლავართ, თუმცა პაპას ვერ დავემგვანე.

ზურაბ:

რა დროიდან ხართ, ძია მიხა, პარტიის წევრი?
ან სად მივიღეს?

მიხეილ:

შეგიძლიათ ასე ჩაწეროთ:
იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის აპრილის თვიდან,
ითვლებოდა-თქო ბოლშევიკთა პარტიის წევრად.
იქ მიიღეს-თქო, პეტროგრადში, ცეცხლის წვიმაში;
ორმა ნაცადმა ლენინელმა, ორმა მებრძოლმა —
ჟურავლიოვმა და მემედა იბრაჰიმოვმა
გაუწიეს-თქო თავდებობა ქართველ ჯარისკაცს...

ზურაბ:

როდის დაბრუნდით რუსეთიდან, მიხაე, ბატონო?

მიხეილ:

ოქტომბრის დღეებს შევეგებე ნევის ნაპირას,
როგორც რიგითი ჯარისკაცი რევოლუციის.
მოწმეა ჩემი ბრძოლისა და ერთგულებისა
თვითონ სამხედრო კომისარი ნევის ქალაქის.
იმ კაცზე ვამბობ, სახელოვან თანასოფლელებ,
ვინც ვოლხოვჭესი ააშენა და რიონჭესი.
ცხრაას თვრამეტის გაზაფხულზე კომისრის რჩევით,
გამოვეშურე სამშობლოში საჩქაროდ.

ზურაბ:

ღიახ!

მიხეილ:

თუ არა ვცდები, იწყებოდა იმ დროს აპრილი,
როცა ჩამოველ ჩემს სოფელში, ნასაღდათარო.
ღარიბ გლეხობას და ფრონტიდან დაბრუნებულებს
ბრძოლა სწყუროდათ და მზად იყვნენ ყველანი.

ზურაბ:

ღიახ!

მიხეილ:

მაგრამ არ თვლემდნენ მაშინდელი ხელისუფალნიც,
ვერ გადაურჩა იმათ დილეგს და მრისხანებას,
ვინც კი ოქტომბრის და ლენინის მზესა ჰფიცავდა.
მეც ხელთ ჩამიგდეს, მაგრამ მალე გავიქეცე. შვილო!

საგუბერნიო კომიტეტმა წამომაყენა
პროფესიონალ მომუშავედ მთელი მაზრისა.
ოცი წელია მე პარტიის წევრად ვითვლები
და ოცი წუთი არ მქონია ამ ხნის მანძილზე,
რომ არ მეფიქრა, არ მეზრუნა და არ მებრძოლა
მაშვრალი ხალხის სიკეთისთვის.

ზურაბ:

ღიბ, ბატონო.

მიხეილ:

როდესაც საქმეს დასჭირდება, ვარ მშენებელი,
როდესაც საქმეს დასჭირდება, ვარ აგრონომი,
როდესაც საქმეს დასჭირდება, ვარ პედაგოგი,
საჭირო გახდა, აგერ მხედავთ, სასოფლო ბანკში...

ზურაბ:

უბრალოდ რომ ვთქვათ, დღენიადაგ ბრძოლის ველზე
ხართ!

მიხეილ:

გთხოვთ, არ იფიქროთ. არ იფიქროთ ერთი წამითაც,
ამხანაგებში ოდნავ მაინც განვირჩეოდე,
არა, კეთილო მეგობარო. ჩვენს შორის რამდენს
დამსახურებაც და მხნეობაც უფრო მეტი აქვს!
მე შათვან ვსწავლობ დღე და ღამე, თავგანწირულად
და არ ვთაკილობ, რომ ცხოვრებას სხვათაგან ვსწავლობ.

ზურაბ:

წიგნთსაცავს ჰგავსო თქვენი ბინა, ასე გადმომცეს.
ო, როგორ მიყვარს წიგნთსაცავში ყოფნა, ოცნება!

მიხეილ:

წიგნები მომდის თბილისიდან, ქუთაისიდან,
რიაზანიდან, განჯიდანაც კი მიგზავნიან.
მთელი ცხოვრება მათ ვაგროვებ და ერთადერთი
განძი ნამდვილი, ქვეყანაზე რაც გამაჩნია
და რაც დარჩებათ შვილებს ჩემდა მოსაგონებლად,
ეს წიგნებია...

ზურაბ:

და ეს არის ბედნიერება!

მიხეილ:

(ბათლომეს)

თქვენ, მახარია, ზიხართ ისე გარინდებულნი
და ისე უსმენთ ჩემს უცნაურ ამ აღსარებას,
თითქოს პირველად გაიცანით მიხა ზანელი.

ბათლომე:

გაოცებული არა ვარო, რომ განვაცხადო,
ეს იმას ნიშნავს, თქვენ წინაშე მართლა ვიცროსო!
თქვენი ბუნება თუ არ იცის ბათუ ხაჩიძემ,
ერთი მიბრძანეთ, მაშინ ვილას ეცოდინება?
მაგრამ არ მახსოვს, არაოდეს გამიგონია,
საკუთარ თავზე მიხა ზანელს ელაპარაკოს!



მიხეილ:

მიღალფარდოვნად ვლაპარაკობ, ალბათ, ძმობილო!

ზურაბ:

აბა, რას ბრძანებთ, რასა ბრძანებთ...

ბათლომე:

ბატონო მიხა,

მიღალფარდოვნად მეტყველება არ ძალუძს იმას,

ვინც თავსა სწირავს, იფერფლება, ცხოვრობს

თქვენსავით!

(ისმის კაცნი)

მიხეილ:

სხვას ვის აქვს წესად, ჩემს კარებზე დააკაუნოს.

მობრძანდით, ვიქტორ.

ვიქტორ:

(შემოდის)

გამარჯობათ, ამხანაგებო!

ბათლომე:

(იყინის)

ვიქტორ-ბატონო, აქ სახბანკი ხომ არ გვონიათ?

სასაფლო ბანკში არ ურის თქვენი ძალაუფლება.

ზურაბ:

(ზელს ვუწოდის ვიქტორს)

ზურაბ ზარიძე, შტატგარეშე კორესპონდენტი.

ვიქტორ:

(უსიამოვნოდ)

პატივცემულო ახალგაზრდავ, კორესპონდენტი,

თუ დაერქმევა ანონიმურ წერილის ავტორს?

ზურაბ:

არა, ბატონო! თქვენ ხომ უკეთ მოგეხსენებათ!

ბათლომე:

ცილისწამებელს უწოდებენ ისეთ ვაგბატონს,

როგორც გახლავთ ზელიშხანა ვარსიმაშვილი...

მიხეილ:

(შეკრთება)

ეს ვინ ახსენეთ?

ბათლომე:

მე ვახსენე უხსენებელი,

რომელსაც ძალუძს, უწმინდესი კაცი დავგსლოს.

ვიქტორ:

ვისაც არ უნდა მიაწოდო, მათარით წყალი,

თუნდაც წყურვილით იზრჩობოდეს ძალმიღებული!

ზურაბ:

ვისაც არ უნდა მიაწოდო პურის ნატეხი,

თუნდაც შიმშილით გაოგნებულს ხდებოდეს სული!

მიხეილ:

რას ამბობთ, ხალხო! მაშ, იცოდით და მიმალავდით,

რომ ზელიშხანამ უკადრისი საქმე იკადრა,

რომ აქეზებდა ავადმყოფ კაცს — ყოფილ ბრიგადირს, ვინც ლოთობისთვის დავითხოვე სამსახურიდან.

ბათლომე:

მან დაუწერა, იმ ცოდვილმა, ყოფილ ბრიგადირს: ოთხი ჰექტარი პლანტაცია ნარინჯოვანთა განზრახ, მავნებლურ დაღუპაო თვითონ ზანელმა: წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ ხელს ართმევს იგი იმ ადამიანს, სასიკვდილოდ ვინც გაიმეტა!

მიხეილ:

გთხოვ, მახარია, ერთი წუთით მათხოვოთ ყური: ვიქტორ თოდრიშვილს — სათნოებით აღსავსე ვაჟკაცს, ვით ჩემს კირილე მიქიაშვილს და მის სეზნიას, მიხო შველიძეს და იასონ ჯანაშვილს, ყველას, საშობლოსა და ხალხისათვის თავდადებულებს, — ვეტყვოდი ჩუმად, მაგრამ მკაცრად: ასეა, ძმებო! ახია ჩვენზე, ზელიშხანებს გზას რომ ვაძლევდით, რომ ვადიდებდით ერთგულებას, პატიოსნებას, ვერ კი ვამჩნევდით არაკაცთა ვერაგ ბუნებას... ო, ვერ ვამჩნევდით ლაჩრებსაც და უგულოებსაც, რომ აკანკალდნენ უმცირესი საფრთხის წინაშე! საქმეებს ჩვენსას, ავი ხელი ვერ შეეხება, კეთილ საქმეთა გამრავლებით, გმირული სულით, მშობელი ქვეყნის ამალგებით და გამარჯვებით ჩვენი შეილები ჩვენს სახელებს ნათელს მოჰფენენ! კაცთა ძეთაგან უშეცდომო ვინა ყოფილა, რომ არ გვექონოდა საჭოჭმანო ან დასავლობი. მაგრამ... ამგვარმა არამზადა ზელიშხანებმა უნდა განსაჯონ ჩვენი მადლი, ჩვენი ამაგი, ჩვენი წარსული, ვაჟკაცობა, დამსახურება?

ვიქტორ:

დამწვიდდი, ძმაო, ჩვენ ბრძოლაში გავკვალარავდით, დასამკვიდრებლად სიმართლისა და სიკეთისა. და ჩვენი განსჯა შეუძლია მხოლოდ სიმართლეს, და ჩვენი განსჯა შეუძლია მხოლოდ სიკეთეს!

ბარი მუხვილი

ზუგდიდი. ბოტანიკური ბაღი. ტბის პირას სხედან თურავლიოვი და იბრაგიმოვი. დგას ვახუშტი.

თურავლიოვი:

შვილო ვახუშტი, თექვსმეტი წლის ბიჭი ხარ უკვე...

ვახუშტი:

თექვსმეტი აგერ დეკემბერში შემისრულდება.

იბრაგიმოვი:

ჩვენ ხომ აქამდე არაფერი გვიკითხავს შენთვის, გერიდებოდით...

ვახუშტი:

ძია მემედ, განა არ ვგრძნობდი! მეწადა, თვითონ წამომეწყო ეგ საუბარი,

მაგრამ მიმძიმდა, წარმოშეთქვა სახელი მამის, რომლითაც ერთ დროს ვამაყობდი თანატოლებში. ეს შერამდენე წელი გადის, მასჩრობს ცრემლები და ვტირი ჩუმად, რომ არავეინ დამცინოს.

ფურავლიოვი:

შვილო,
 კვლავ იამაყე, სიამაყის გაქვს საფუძველი:
 როგორც წმინდანმა, ისე განვლო წუთისოფელი,
 იცხოვრა ისე, დავიწყება არ უწყერია.
 ხალხის ერთგული, ხალხისათვის თავდადებული
 იცოცხლებს-მეთქი მაღლიერი ხალხის ხსოვნაში.

იბრაგიმოვი:

მე და ეგორმა სათითაოდ მოვინახულეთ
 ყველა, ვინც ოდეს შეხვედრია ჩვენს ძვირფას ძმობილს,
 ვესურდა, გაგვეგო ყოველივე და ყველაფერი,
 სიყმაწვილიდან იმ უმწარეს ტრაგედიამდე...

ფურავლიოვი:

ძე ხორციელი ვერ ვიპოვეთ, კაცი ნამდვილი,
 არ სწამდეს მისი სიმართლე და უანგარობა!
 სადაც დაუდგამს ფეხი მიხას და გაუვლია,
 ყველგან სიკეთე უთესია...

იბრაგიმოვი:

მხოლოდ სიკეთე.
 ალბათ შენც უწყი, გვიბრძოლია ერთად სამივეს.
 მე და ეგორი, დაჭრილები, განწირულები
 გამოგვიყვანა სამშვიდობოს ჩვენმა ძმობილმა...

ფურავლიოვი:

გამოგვიყვანა, მოგვიარა, გადაგვარჩინა...
 არ მოერიდა სასიკვდილო საფრთხეს და ტყვიას,
 ჩვენზე ზრუნვისას რომ დასდევდა ქართველ ჯარისკაცს.
 ქვეყანამ იცის, პირადული კეთილდღეობა
 არ არსებობდა მისთვის ქვეყნად, მაგრამ სხვათათვის,
 მუდამ მზად იყო, გაეწირა თუნდაც სიცოცხლე.

იბრაგიმოვი:

სამოქალაქო ომის ცეცხლში ასეთი იყო,
 ასეთი იყო შრომის ფრონტზე და ცხოვრებაში.

ფურავლიოვი:

დიახ, ვახუშტი, ამ ნათელმა ბუნებამ მისმა
 დაგვაკავშირა, შეგვაერთა, გაგვხანა ძმები.

ვახუშტი:

ყოველ წელიწადს ჩვენს ქალაქში რომ ჩამოდინხართ,
 იმ დიდი, ძმური სიყვარულის პატივსაცემად,
 მე ორივე ერთად მიცოცხლდება — მამაც და დედაც.

იბრაგიმოვი:

ჩვენი ფოთოლა ბედნიერი ქალი აღმოჩნდა,
 რომ ვერ მოესწრო იმ საშინელ უკუღმართობას.

**ეურავლიოვი:**

როცა ფოთოლამ მიხას ხელში დალია სული, თავსასთულმალთან მეც ვიდექი. სწორედ წინააღმდეგ ჩაველ სოხუმში, აფხაზეთის დედაქალაქში. საავადმყოფოს მივაშურე დაუყოვნებლივ, რომ შემომხედა, გაელიმა ავადმყოფს მყისვე, წამოიწია და ჩურჩულით წარმოთქვა.

„ძმაო,

გელოდა მიხა მოუთმენლად. მეც ასე მწადადა, რომ ამ დღეს, ამ დღეს ყოფილიყავ შენს მეგობართან. გმადლობთ, ძამიკო. დამიჭერე, შენი აქ ყოფნა შეუღმსებულებს ჩემიანებს ყველა სიშწარეს. ნეტავ, მემედიც მომისწრებდეს... თუმცა რას ვამბობ, ნუ შეაწუხებთ ამდენი ხნის ნავადმყოფარს... მერე აუწყეთ, ჩემს სოფელში რომ წამასვენებთ!“

ვახუშტი:

საბრალო დედა.

იბრაგიმოვი:

როცა მწარედ ჩაფიჭრებული ვიდექ საფლავთან, მე საკუთარ დას დავტიროდი.

ეურავლიოვი:

მე ვერ შევიძელ, დამემალა ეს მწუხარება და ორიოდე კვირის შემდეგ მივწერე მემედს...

იბრაგიმოვი:

შენ, ალბათ, გახსოვს, ვიდრე მიხა არ დავამშვიდეთ, თუ დამშვიდდება დაერქმევა მის მწარე ყოფის, შინ არ წავსულვართ. დღე და ღამე ერთად ვიყავით, ხან სათევზაოდ წავიყვანდით, ხან სანადიროდ. მუშაობაში მთელი გულით ჩაერთო, მაგრამ ვგრძნობდით, აღმური მის დიდ გულში არ ნელდებოდა.

ვახუშტი:

ჩაის ფაბრიკის მშენებლობა რომ დაამთავრა, გაილიმა და მოგვეფერა უწინდებურად. მაშინ ვიგრძენი, რომ ჭირვარამს გაუძლო კაცმა და ძვირფას მშობელს ერიაშულით შემოვეხვიეთ.

ეურავლიოვი:

ბოლოს თავისი გაიტანა მტყიცე ბუნება და ნებისყოფამ, ნებისყოფამ ფოლადიანმა.

იბრაგიმოვი:

მჯერა, ვახუშტი, ის ფოლადი მამისეული გამოგყვა შენცა და შალიკოს გზას არ გაჰყვები.

ვახუშტი:

ო, ძია მემედ! თქვენ შალიკოს არ იცნობთ კარგად, თორემ აუგად არაოდეს მოიხსენებდით.



ვთხოვთ, მომისმინოთ: მამაჩემის დაღუპვის შემდეგ
 ორიოდ წელი იქნებოდა გასული, ალბათ,
 სკოლის უზომი შევეიკრიბეთ თანატოლები.
 შალვაც იქ იყო და ზოგიერთს ანიშნა თვალით,
 რომ გაპყლოდნენ მწიფე ხილის მოსაპარავად.
 ძალიან ვთხოვე, წავეყვანე, რადგან ქლიავი
 დიდხანია არ მეჭამა, მენატრებოდა...

უურავლიოვი:

რამ, რა სთხოვე, ჩემო ბიჭო? არ გადაპრიო.

ვახუშტი:

შალვას თვალეში, ო, იმგვარი რისხვა ჩაუდგა,
 არ დაგიმალავთ, შემეშინდა, არ მცემოს-მეთქი.
 იმედი ნუ გაქვს, მე ნაჭურდალ ხილს არ გაჭმევო.
 მიბრძანა, არსად წავსულიყავ და შინ გაიქცა.
 საკუთარ ბაღში მოეკრიფა მწიფე ქლიავი,
 იმდენი, ცხრა დღეს გვეყოფოდა მე და ჩემს და-ძმებს.

იბრაგიმოვი:

საოცარია! ვინ ყოფილა?! მე კი ვფიქრობდი...

ვახუშტი:

გამიმეორა: ნაჭურდალ ხილს შენ არ გაჭმევო.
 რამდენიც გსურდეს, მიირთვიო ჩემი ბალიდან
 ქლიავიც, მსხალიც და ატამიც. მე მოგიტანო.
 როდესაც მამა ჩამოგივა, რაღას ეტყვიო,
 შენ, ძმაო, კაცი, კაი კაცი უნდა დადგეო.
 მე რომ ვითვლები დაღუპულად, ისიც კმარაო.

უურავლიოვი:

ახლა სად არის ის ყმაწვილი?

ვახუშტი:

ქალაქში არ ჩანს.
 არავინ უწყის, სად წავიდა ის დალოცვილი!

უურავლიოვი:

ვახუშტი, მამცნე, კომკავშირის რიგებში თუ ხარ?

ვახუშტი:

ჯერ არ მიმიღეს, ძია ეგორ, უარი მტყორცნეს.

უურავლიოვი:

რამ, უარი? მაინც რისთვის, არავინ ვითხრა?

ვახუშტი:

გეგუტიშვილი მოდის აგერ და ის ვიამბობთ!

ალექსანდრე:

(აღტაცებული)

ძია ეგორ და ძია მემედ!

უურავლიოვი:

ჩვენა ვართ, საშა.
 მოიტა ხელი! რამოდენა გაზრდილხარ, ბიჭო?

**იბრაგიმოვი:**

(ლიმლით)

გეგუტიშვილებს სიმაღლეში ვინ დაეწევა!

ფურავლიოვი:

რატომ არ არის კომკავშირში, გეცოდინება,
ეს შენი კარგი ძმადნაფიცო?

ალექსანდრე:

რატომ არ არის?

თითქმის ოთხი თვე ვამზადებდით მე და ვახუშტი.
თერთმეტ პიონერს — კომკავშირის ასაკის ბავშვებს.
ნიკო ბუკიამ, დირექტორმა, რომ ჩაგვაბარა.
როდესაც გვიხმეს რაიკომში დასამტკიცებლად,
ქვილ-ხივილით გავეშურეთ და სიხარულით.

ვახუშტი:

ყველა მიიღეს იმ ცამეტში, გარდა ერთისა.

ფურავლიოვი:

მიზეზი, რატომ არ ვიღებთო, არ გითხრეს მაინც?

ვახუშტი:

(იენის)

გაგიგონიათ მეცამეტე გოჭის ამბავი?

ალექსანდრე:

წამოდგა ერთი მეტიჩაბა უცნობი ბიჭი
და განაცხადა: შარშან მინა რომ ჩამტერია,
ამიტომ თავი შევიკავოთ ახალ წლამდეო.
იცრუა იმან, არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა...

იბრაგიმოვი:

გვარი თუ გახსოვთ იმ ჰაბუკის ანდა სახელი?

ალექსანდრე:

როგორ არ მახსოვს, რაიკომის მდივანმა მაშინ
ასე მიმართა: თქვი და გეყო, ღვარამაძეო...
ჩანდა, უცნობის საქციელი არ მოეწონა,
უკმაყოფილოდ, ბრაზიანად იმზირებოდა...

ფურავლიოვი:

ეს გვარი რამეს გეუბნება, ძვირფასო მემედ?

იბრაგიმოვი:

ღიბ, რაღაცას მიმანიშნებს და მიგრძნობს გული,
შვილსაც იმავე მეთოდებით ებრძვიან, ხედავ?
სადაც კი ხელი მიუწვდებათ, შხამსა ანთხევენ...

ალექსანდრე:

ძია ეგორ და ძია მემედ! ამგვარ სიცრუეს
რად შეურეგდა მაშინ ყველა...

ვახუშტი:

ყველას რად ამბობ?

თქვენ არ იყავით, თორმეტივე რომ აღრიალდით,
ეს ვილაც არის, გაუგონარ ტყუილს კადრულობს,
ის ჩვენს სკოლაში სტუმრადაც კი არ ყოფილაო.



თუ არ მიიღებთ კომპაქტში ვახუშტი ზანელს,
ნურც ჩვენ მიგვიღებთ, სათითაოდ უარს ვამბობთო.
იყო თუ არა ასე, ძმაო?

ალექსანდრე:

მაგრამ შედეგი?

მინც იმ ცრუ კაცს დაუჭერეს, იმ ღვარამაძეს...

ურავლიოვი:

კარგო ბიჭებო, ნულარ ღელავთ, დადგება ეამი,
როცა ხმამალა წარმოითქმის სახელი მათი,
ვინც მსხვერპლი გახდა საშინელი ცილისწამების.
ვინც შეეწირა გაუგონარ უკულმართობას.

იბრაგიმოვი:

მიხა ზანელიც ბოლშევიკის სახელით ცოცხლობს,
თუმცა დაეცა ბრძოლის ველზე. ეგ სულერთია.
ტყვიამ დასცა თუ უგუნურთა ცილისწამებამ,
ის დაიღუპა, ვით რიგითი რევოლუციის.

ურავლიოვი:

დასამალავი რა გვაქვს თქვენთან, თუმც ნორჩები ხართ,
პიტლერის ურდო ემზადება, თავს რომ დაგვეხსას.
ამხანაგ სტალინს, რომლის სახელს მზეს ადარებდნენ
მიხაც, ვიქტორიც, იასონიც, ორივე კირილაც, —
რამდენი გმირი დააკლდება თავის ლაშქარში!
რამდენი გმირი დააკლდება ტყუილებრალოდ
თავისუფლების დასაცავად დაძრულ ქვეყანას!

იბრაგიმოვი:

რას იზამ, შვილნი შეავსებენ მამათა რიგებს.

ვახუშტი:

ძია ეგორ და ძია მემედ, მადლობელი ვარ...
ფიცს გაძლევთ, როგორც მამაჩემის კეთილ მეგობრებს,
ვიცხოვრებ ისე, ვიყო ღირსი თქვენი აღურსის,
თქვენი ღიმილის, მზრუნველობის და ყურადღების.

ურავლიოვი:

გეჭერა, ვახუშტი.

იბრაგიმოვი:

ტოლსწორები გელიან, ალბათ.
წადით, შვილებო. ჩვენ ამ ბალში დავრჩებით კიდევ.
მიხასთან ერთად აქ მრავალჯერ გვიოცნებია.

ვახუშტი:

(გადაეხვევა ურავლიოვსა და იბრაგიმოს).

მალე ნახვამდის!

ურავლიოვი:

ბედნიერად. ახალგაზრდებო!
(ალექსანდრე და ვახუშტი გადიან).

პარი მერვე

ისევ პროფესორ ზანელს კაბინეტი. პაპიროსის კვამლში გამონღლირით
დება თორმეტ-ცამეტი წლის უმაწვილი.

ვახუშტი:

ეს მე გახლავართ.

პროფესორი:

გამარჯობა, პატარა ბიჭო!
კვლავ უნებართვოდ შემოხვედით ამ კაბინეტში?
კვლავ უნებართვოდ სავარძელში მოიკალათებთ?

ვახუშტი:

ო, არა, არა! მე მადლობის მოველ სათქმელად,
რომ ყურად იღეთ რჩევა ჩემი და თხოვნა ჩემი,
რომ დავიწყების ბურუსიდან გამოიყვანეთ
დასი ქვეყნისთვის უძვირფასეს ადამიანთა.

პროფესორი:

არ გამოგია თხოვნა თქვენი, მხოლოდ ბრძანებით...

ვახუშტი:

მეამაყება, მიხარია, რომ არაფერი
არ დაკარგვია თქვენს გულსა და მეხსიერებას,
რომ უსათუთეს სიყვარულით გიტარებიათ
მოგონებანი წამებაში წასული წლების.

პროფესორი:

ეს არის ხვედრი ყველა კაცის, ვინც კი აზროვნებს.

ვახუშტი:

ხომ შეიძლება რამდენიმე შეეკითხვა მოგცეთ?

პროფესორი:

რადგანაც ერთხელ დავარღვიე სიჩუმე სრული,
რაიც გენებოთ, შემეკითხეთ, ჩემო ვახუშტი!

ვახუშტი:

ეურავლიოვის ცხოვრებისა არა იცით რა?
ანდა მის განჯელ მეგობარზე ვსმენიათ რამე?

პროფესორი:

ეურავლიოვი ომის შემდეგ მოსკოვში ცხოვრობს.
ორმოცდაორში მიანიჭეს გმირის წოდება.
გმირიც არის და გენერალიც სატანკო ჯარის.
ერთ ტანკზე თურმე რუსულადაც და ქართულადაც
წაუწერია თავის ხელით „მიხა ზანელი“.

ვახუშტი:

რაო, რას ამბობთ, ტანკს უწოდა „მიხა ზანელი“?

პროფესორი:

მეწინავე ტანკს, ქართველი რომ მეთაურობდა...
იმ ტანკიანად ბერლინამდე უვლია ბრძოლით.

ვახუშტი:

აი, ეს არის მეგობრობა და ერთგულება!

პროფესორი:

დიახ, ეს არის მეგობრობა და ერთგულება!
 რაც შეეხება ძია მემედს, ვით ინვალიდი,
 არ წაიყვანეს თუმცა ფრონტზე, მაგრამ ბაქოში
 დაევალო დიდი ქარხნის მეთაურობა.
 ოთხი წლის წინათ მიდებეშა უფროსმა ვაჟმა,
 ის ოქროკაცი რომ უეცრად გარდაიცვალა.
 მეც, რა თქმა უნდა, ვესწრებოდი დაკრძალვას მისას.
 და ყვავილები დავაყარე მკერდზე შეილივით...

ვახუშტი:

მიქიაშვილის, თოდრიშვილის, ლაჭყვიანი
 თუ იცით რამე? ან შეილები როგორ არიან?

პროფესორი:

შშობელ მხარეში არც ისინი დაბრუნებულან,
 ვით მამა ჩემი... და გაცოცხლდნენ სიკვდილის შემდეგ.

ვახუშტი:

შვილები მინც თუ მოესწრნენ ამ გაცოცხლებას?
 როგორ და რა გზით წარიმართა მათი ცხოვრება?

პროფესორი:

შვილთაგან ბევრმა გაიკაფა გზა სასახელო!

ვახუშტი:

მათზე რას მეტყვი, ვინც დათესა ღვარძლი და შური?
 ვინც სასიკვდილოდ გაიმეტა ხალხი კეთილი?

პროფესორი:

არ მიფიქრია მე იმ ხალხზე ერთი წუთითაც,
 არც ბავშვობაში, არცა შემდეგ... შურისძიება
 ეამიყამ იქნებ მახვილია სამართლიანი,
 ჩემთვის კი იგი არ არსებობს... არც იარსებებს...
 როგორც ახალი საქართველოს მეისტორიეს,
 ვალად მდევს მხოლოდ, აღვადგინო ყველა სიმართლე —
 დიდი თუ მცირე, რიგითის თუ მეთაურისა.
 არავითარი პირადული — განსაზღვრულად,
 არავითარი პირადული — დასამცირებლად.

ვახუშტი:

ბავშვურ ოცნებებს, ჩანს, ამოდ არ ჩაუვლია
 და ამისათვის მოგახსენებთ გულწრფელ მადლობას.

(ზარის წკიალი. ვახუშტი გაუჩინარდება).

პროფესორი:

მობრძანდით. კარი ღია გახლავთ. მობრძანდით-მეთქი.

ალექსანდრე:

(შემოდის)

სალამი შენდა, პროფესორო, და გამარჯვება.
 მარტო ყოფილხარ. კვამლში ცურავს ოთახი მთელი.

პროფესორი:

მარტო არ ვიყავ. სტუმრად მყავდა ბავშვობა ჩემი,
და ვსაუბრობდით მეგობრულად იმ დალოცვილთან.
თავდაპირველად ვკამათობდით, ბოლოს შევირიგდით.

ალექსანდრე:

(გაოცებით)

ავად ხომ არ ხარ? მუშაობამ დაგვალა, ალბათ.

პროფესორი:

არა, ძვირფასო, ჭკუაზე ვარ, ნუ გეშინია!
თავს კარგადა ვგრძნობ, ვოცნებობდი, როგორც პოეტი.
მეცნიერიც ხომ უნდა ჰგავდეს პოეტს ეამიყამ.
დროის ქედებზე მე ფიქრებით გადავიარე.

ალექსანდრე:

გთხოვთ, მაპატიო, უღროო დროს გამოგეცხადე!
მაგრამ ძალიან მომენატრე...

პროფესორი:

იუუჩე, ძმაო,
გამახარე და კიდევ აქეთ მებოდიშები.
შენი სტუმრობა ახდენაა დიდი ნატვრისა
და გაგრძელება წამიერი ჩემი ოცნების.
მადლობა შენდა, ერთი დღითაც რომ არ მშორდები,
თუმცა ერთმანეთს ხშირად წლობით ვეღარ ვნახულობთ.
შენ ჩემთანა ხარ, როგორც მაშინ, იმ მწარე დროში,
მე დედაშენის უნახესი მახსოვს ალერსი,
გულს რომ მითბობდა ობოლ ბიჭს და ძალას მმატებდა.
მე ყველაფერი, ყველაფერი მახსოვს ამქვეყნად:
როგორ ბლალდით, კომკავშირში რომ არ მიმიღეს,
როგორ ხარობდი, კომკავშირში როცა მიმიღეს,
როგორ ვტიროდით, ჩემი შრომა რომ დაიბეჭდა,
ომის დღეებში, ყაუარივით მაგარ ქალაღზე...

ალექსანდრე:

ნუ ამატირე, ორმოცდაათს ვცილდებით, ვახტანგ!

პროფესორი:

და მით უმეტეს ახლა მინდა, ბავშვს დავემგვანო,
ვახუშტი ზანელს, თმახუჭუჭა, გამხდარ ბიჭუნას!
მახსოვს ყოველი გაღიმება და მოფერება,
ყოველი თბილი შემოხედვა და ამოთხვრა,
ყოველი სიტყვა დალოცვისა გულისმიერი,
ისიც კი მახსოვს, ვინც დამადო მხარზე ხელები.
ნიშნად ძმობის და თანაგრძნობის, ან გამხნეების.
ო, რამდენია ქვეყანაზე კეთილი სული, —
ასი ათასჯერ, მილიონჯერ მეტი ბოროტზე.

ალექსანდრე:

ბოროტი სული ძლიერია გაიძვერობით,
ფარისევლობით, ორპირობით და მაცდურობით!
ბოროტს მომხრეც ჰყავს არაერთი — შურიანობა,
კიდევ სისუსტე, კიდევ შიში და უმეცრება!



პროფესორი:

და მაინც, მაინც სიკეთეა ძალა იმგვარი,
რომლის წინაშეც იჩოქებდნენ ფარაონებიც,
კეთილი ხალხით სავსე არის ჩემი ზუგდიდი,
კეთილი ხალხით სავსე არის ჩემი თბილისი,
კეთილი ხალხის მხრებზე დგას და იმარჯვებს მარად
განახლებული საქართველო — სიცოცხლე ჩვენი.

ალექსანდრე:

სწორი ხარ, მშაო, და, სასმისი რომ მეპყრას ხელში,
ამ კეთილ სულთა სადღეგრძელოს ვიტყვოდი ახლა.

მიხეილ:

(შეჷოდის)

საშა ბიძია, აჷა დოქი და წინანდალი,
აჷა ჰიქებიც, დედასპური და გულის ყველი!

პროფესორი:

შვილო მიხეილ...

ალექსანდრე:

(გადაეხვევა)

იცის ბიჭმა, რა დროს გამოჩნდეს!
შვილიშვილია დიდი პაპის — ძია მიხასი!

პროფესორი:

(ასწევს ჰიქას)

ეს გაუმარჯოს ხალხისათვის წამებულ კაცებს,
აგერ კედლიდან რომ გვიმზერენ გაოცებულნი!
(განათლებიან ფოტოსურათზე აღზევდილ ადამიანთა
სახეები).

ალექსანდრე:

მამათა ჩვენთა შეუბღალავ, წმინდა სახელებს
ნურც შეხებოდეს დავიწყების მსახვრალი ხელი!

მიხეილ:

თავისუფლების ჯარისკაცებს და მახარობლებს —
ხსოვნა მარადი...

ალექსანდრე:

და სიცოცხლე მრავალეამიერ
მას, ვინც შეჷხარის საქართველოს დიდ ამალეებას,
გამარჯვებათა სიხარულში ვინც გაგვიტენა
ეს მესამოცე წელიწადი გაზაფხულისა!

1980 წ.



ნოდარ ნარსია

მობრძანდი, ვაგიფ!

რომ საქართველო სასწაულია,
რისი თქმა გინდა მაგით?—
იქნებ თბილისში გავლა გწყურია,
მოდო,
მობრძანდი, ვაგიფ!
რაც იმღერე და—
დაგცდა გულიდან,
რომ ჰქმნიდი წვით და დაგვით...
დასტამბულია ლალ-ქართულითა,
მოდო
იგემე, ვაგიფ!
ისევ დალოცე,
როგორც ლოცავდი,
ქალწულნი, შენის ბაგით—
დაუკრეფიათ ვარდი-სოსანი,
მოდო,
ინებე, ვაგიფ!

მომინახულე,
გადმოიარე
ბოტანიკური ბაღით...
აქ მოგიშუშებ სულის იარებს,
აქ მოგიშუშებ... ვაგიფ!
ქალიშვილები დასეირნობენ,
რუსთველზე, ლურჯი კაბით...
და ზეიმობენ—
და სეირნობენ,
მოდო
ვუყუროთ, ვაგიფ!
—რომ საქართველო სასწაულია,
რისი თქმა გინდა მაგით?..
ვიცი,
თბილისში გავლა გწყურია,
მოდო,
მობრძანდი, ვაგიფ!

ვ ე დ რ ე ბ ა

მოგონებები ცეცხლად ანთია,
იმ წლების გამო
ენაღვლობ,
თათია!
მოდო, შეიხსენ ყელზე ბორკილი,
მოდო, იმღერე,
მოდო, იანცე...
ამოყვავილდი ატმის ტოტივით

და შეუერთდი თოვლის ღრიანცელს.
მოდო, მოისბი თეთრი ბლონდები,
თეთრი მარმარილო,
თეთრი ფარჩები...
ტაძარში შესულს მომაგონდები
და უღმერთობით დავიტანჯები.
შენ უნდა იყო ცაში ნისლივით,
გვირგვინად გედგას ატმის ფანტელი...



შენ უნდა შეგარჩეს ფერი ისრიმის,
 შენ უნდა ენთო, როგორც სანთელი.
 ამ აურაცხელ სხივთა გიზგიზში
 შენ უნდა იყო ველის ჭურციკი,
 შენ უნდა იყო წყაროს კისკისი
 გაბრუებული თოვლის მუსიკით.
 არ დამაღონო უამინდობით,
 ისედაც მაკრთობს ღრუბლის ცრიატი,
 ფეხქვეშ გაიგე ლურჯი მინდორი,
 გამოგოვდი და გამოცქრიალდი.
 თორემ იმღვრევა შავად მგოსნის გზა,
 გზა ზეციერი,

გზა მიწიერი...
 შევეთმა შუქი მისრის-მოსრისა,
 დათალხულია თვალსაწიერი...
 მინდა ერთბაშად გახდე ოცი წლის,
 შემოიტმასნე ტანზე ქაოსი...
 წელთა ჭირითი ცოტას მოიციდის...
 ამ საოცრებით, მოდი, გაოცდი.
 ...ჰოდა, შეიხსენ ყელზე ბორკილი,
 მოდი, იმღერე,
 მოდი, იანცე,
 ამოყვავილდი ატმის ტოტივით
 და შეუერთდი ფერთა ღრეანცელს.

ერთი დღის სევდა სოფლად

ჩამოთალხულან ჩემი ნუშები,
 მოხედვას მთხოვენ...
 მაგრამ რაღა ღროს...
 ეღგავარ მარტოკა და ვიშმუშნები,
 არ ვიცი, დარდი ვის შევღალადო.
 ჭრის...
 იმტვრევიან ნუშის ღერონი,
 უხმოდ გაეცქერი ცას წინწყლებიანს...
 გუშინ არ იყო? —
 გუშინ ვმღეროდი,
 ახლა ის ჰანგი დამვიწყებია.
 წუხელ ვბორგავდი და ვაბოდებდი,
 ვაი, უკაცოდ სახლი დაობლდა...


აქ, გარდი-გარდმო მახსოვს ოდები,
 და მტკივა, ესე არაარობა.
 მამრუებს სევდა ამ ლურჯ მდელოსი,
 გადაზელილი მშობლის ნაღველთან...
 არც სატანა ჩანს,
 არც ანგელოსი,
 რომ შეუბეროს სული ნაღვერდალს?
 დავალ ბარდებში და ვიკაწრები,
 ველარას ვშველი ტკივილს
 დატბორილს...
 არ ვარგა —
 ჩემებრ ფიჭრის კაცები,
 მიწას თავისი უნდა პატრონი.

რომ არ სცოდნოდა...

რომ არ სცოდნოდა
 ქართველ კაცს რთველი,
 როგორ გაძლებდა
 ურთველოდ
 ქართველი?...
 არ გვექნებოდა:
 „შენ ხარ ვენახი“,
 „მრავალკამიერ“,
 „კუჩხა“,
 „მაყრული“...
 ქართველი აგრე
 ჩემს მტერს ენახა,



— გულდაჩაგრული და ფერნაკლული.
 მაშ, მოდი,
 ძმაო,
 შევლევო, შევო,
 ერთი სიმღერაც მითხარ შეგობარს...
 იქნებ ვარამი ამოვიშრალო
 და ჭიქა ღვინო რაღას მეყოფა.
 იქნებ ბევრია ეს ერთი ყლუბიც,
 გადმომიბრუნდა გულის ფიცარი...
 მაგრამ ეს ღვინო
 თუ ვინმეს უკვირს,
 აგერ დამიდგით ფერი ცინცხალი.
 არეინ გაგვისხლტეს მარნის კარითა,
 თორემ თვალები სად გაეახილოთ...
 და ამ ღვინითა, მოკამკამითა,
 უნდა დავგეშოთ გული სალხინოდ.
 არ გამაგონოთ სიტყვა უსხივო,
 სიტყვა უსისხლო და ყურმოკრული...
 სადღეგრძელოში მინდა, უცილოდ,
 რამე დიადი,
 უფრო მოყვრული.
 მეც სადღეგრძელოს
 გეტყვით პასუხად,
 მოგეფერებით მეც ჩემებურად...
 ვიდრე არ თქმულა:
 საით წასულან...
 ვაი, ეამთა სელა შეჩერებულა.
 ...რომ არ სცოდნოდა
 ქართველ კაცს რთველი,
 როგორ გაძლებდა
 ურთველოდ ქართველი?...
 მარანში ენთო თაფლის სანთელი,
 და სტუმართანაც
 ჰქონდა სათქმელი.



ალი გუგუსიძე

ავტომობილი

ისევ მივდივარ შენგან ნახუქარ
ადგილმამულში:

გოლგოთისკენ, სიმარტოვისკენ.

რა უნდა შეგქმნა

ქიმიკატებით შეთხუბნული ქალებითა და
ავტომობილთა საყვირებით დამფრთხალი გულით?..
მაინც ვეცდები რომ გავაღვიძო
საქესთან მჯდარი

ჩაძინებული

ქვეყნიერება,

თუმც კარგად ვიცი,

ლამის მასაში გაჭრილ გვირაბს: მანქანის გრძელ შუქს
ჩემი ოცნების გადაყვანა არ შეეძლება

სამშვიდობოზე.

სად ეჩქარება ავტომობილთა

რბილ საზურგეზე გადაწოლილ კაცობრიობას,
რომელიც ზშირად სულს ნაყიდი იით იბრუნებს,
ხოლო გული აღარ უვარგა,

რადგანაც მთელი მისი სიცოცხლე
ოთხ კედელს შორის გამომწყვედულ
მიზაკების ტკნობას უმზერდა.

ვიცი:

ხელოვნურ ყვავილების საკრეფად დახრილ
ამ საუკუნეს სიყვარული არ ელოდება,
მაგრამ იმ ბავშვებს რაღას ერჩის, თავის ეზოდან
გზატყვილზე რომ ჭრელი ბურთი გადმოუფორდათ?!



ბელტებად აყრილ სველ მომავალს (ყამირს) ზემოდან
სვედას აფენდა მოგონება (ძველი მოტივი).
უსასრულობის ეკალბარდებს წამოდებოდა
ლამე ვარსკვლავთა ბრჭყალებისგან აზრდაკორტნილი.

რა მძიმე იყო მიწის ტვირთი: საოცრად კვიმატ
სოფლისგან უხვად ნაბოძები გლეჯვა და წეწვა.
ვიყავ თუ არა ბედნიერი?.. თუ ვიყავ, იმით,
რომ ღვთისგან ზეპირგადმოცემით ვიცნობდი ზეცას.

გთხოვ, დაუბრუნო ფერი და აზრი
პირველ სამყაროს, პირველ თოფის ხმას,
თეთრი ღრუბლებით დაფარულ
წარსულს
(გადაქანებულ სიბრტყეს ყოფნისას).

მახსოვს ღრუბელი: წვიმის სამშობლო
და გაბრწყინებულ ასკილის ფიქრი...
ელვით დამფრთხალი ჩემი ბავშვობა,
გთხოვ, ადღეგრძელო პირველი ჭიქით...

იხვ ყვავილები

წალეკილია ცეცხლით ზენიტი.
რა თაედასხმაა და ყაჩაღობა!
მიწიდან თანდაყოლილი გზნებით
მოჩუხჩუხებენ ყაყაჩოები.

მოჩუხჩუხებენ ყაყაჩოები
მიწის სიღრმიდან თავის გზაწვრილით
ფერადკანიან და თეთრკანიან
ყვავილებისკენ
სამეგობროდ
ხელგაწვდილი.

როგორ ჰყვავიან!
რა ძალით და რა სიამაყით!

(გადამდებია მათი სიცილი).
ღმერთო, გვიშველე!
ჩვენს აქამდე აუყვავებელ
იმედებს ხომ არ დასცინიან ნეტავ
ისინი...

როგორ დაესჯილვართ სიზმარსა და
ცხადს შორის საზღვრის
გატარებისთვის
(შეპყრობილნი თრთოლეით,
კანკალით).

ანთია ცეცხლი ყვავილების.
ამ ძვირფას ცეცხლში
გაზვეულია ჩვენი სახლ-კარი!

უშენოდ ყოფნა

გაიზუზუნა გრიგალმა სოფლად...
ასეც ველოდი... ასეც ვიცოდი...
უკვე დაიწყო უშენოდ ყოფნა:
ყველაზე ცივი დრო წელიწადის.

ცა შეეწირა ზამთარს უღმობელს:
დაჰფარა ნისლმა და ბუხრის ბოლმა.
მხოლოდ ფიქრებით თუ ლებულობენ
აყვავებული ხეების ფორმას.

მიძღვნა თბილისს

პოეზიის ქუჩაზე, საიდანაც სულმნათი დაგვცქერის,
დავშორდი უსათნოეს პოეტს,
უბრალოდ ვისაუბრეთ და ისიც კმაროდა,
სიამაყით გაეყოლოდი რუსთაველის გამზირს.
რუსთაველისა და ჭავჭავაძის გზაჯვარედინთან,
მთაწმინდისკენ რომ გაგვირბის შუერა,
მოკრძალებული საღმთი შევეგებე ქეშმარიტ ქალაქელს,
შის სისადავეს, გულწრფელობას დიდ პატივისა ვცემ,
უზადოა მისი ქვევა და ბუნებრივი, და რა გახედა ქალაქის სივრცეს,
ალტაცებით გამენდო — დიდებულია აქედან ხელი.
ღიახ, კარგია „რუსთაველი“ და მეც დავდივარ,
ზოგჯერ ვივსები სასმისივით და თავად ვცლი სადღეგრძელოს,
და მართლაც, რა სჯობს შეეყარო ადამიანს, სულს რომ სწაღია...
და ამეგზავრა, ვინაც კარატეს მაღლი წააცხო ქალაქს;
ორმა თუ იცის, რომ ის გიტარაზე უკრავს;
კლასიკაა მასში ჩალგრილი — ბახი, ჰენდელი თუ ბეთხოვენი.
ის საოცარი სიყვარულით ლაპარაკობს სიჯანსაღეზე — ქალაქს რომ ელის,
ერჩები მარტო და რეალური მესახება: — მომავლის სიხალისე ამოტივტივდა —
და ვერ ვგრძნობ — ვდგავარ, ვზივარ, თუ შივაბიჭებ...
და უცებ, ისეთი კაცი, შილიარდში ერთი რომ იბადება, ჩემი კლასელი, —
პიპროზიორი, ტელეპატი და ხელის თითებით ფერის შემცნობი,
მხარზე ხელს მადებს,
ვკოცნით ერთმანეთს და მახსენდება მისი გამოსვლა,
„მიეცით ჩანაფიქრს სილაღე“ — ამბობს იგი;
საღამოს თავისთან მიმიპატიეა, უყვარს ჭადრაკი და მიხმო სახლში.
და მიხარია არა მხოლოდ სიყვარულისთვის, — პირუთენელია ქალაქი ჩემი,
რაც მთავარია, პომპეზური მასში არ არის.
მზე ზომიერად ეფრქვევა ქალაქს და სივრილეა, მატულობს რიტმი, —
მოსწავლეები, სტუდენტები გამოფენილან,
თვალი ხარბად სვამს და გონება სრულად ისრუტავს.
და ამ ზღვა ხალხში თვალი შევავლე სიყრმის მეგობარს,
ვის სულშიც ქალაქური ფოლკლორი ითხზვის,
და სანამ ერთმანეთს გადაეხვევით, გავიფიქრე —
რა დიდებული დღეა თბილისში.



მომხიბვლელობდა პატარა სკვერი,
 ლეთაებრივი ზმა აკაციებს გარს ევლებოდა, —
 ქალი პატარებს უკითხავდა ზღაპრის მსგავს ამბავს
 და მათ თვალები ჰქონდათ ისე ამობურცული,
 თითქოს თვალბზე თავი მოებათ.
 მეჩვენებოდა — კეთილ ზრახვებით ფეთქდა სამყარო,
 ზეადვსილი შევიქენი და მოსასმენად გული წამიძღვა,
 „ეს კალმახია, — ჰყვებოდა ქალი, — და უნდა გითხრათ მისი თვისება:
 რა შეედრება მდინარის აღმა კალმახის ლტოლვას,
 მთის წყლიან კიბეს რომ აუყვება, ზოგჯერ ისეთ ლოდს გადაეცლება,
 საოცრებისაგან გული გვეკუმშება“...
 სმენად ჰქეულნი ნთქავდნენ ბალები შშობლის ნაამბობს,
 „ჩვენც გვინდა ვიყოთ კალმახები“, — დასძინეს ბავშვებმა,
 „ეს არ შეიძლება“, — აუხსნა დედამ,
 „არა, გვინდაო“, — პატარებმაც გამართეს ჟივეჯი...
 ფერწერულ ტილოს დაედარა ამ სკვერის ბრწყინვა,
 დედაო ლეთისავ, შენ ნათელჰყავ ესე ამბავი.

ნათელზე ფიქრით ზენაარისკენ თვალმიპყრობილი მე ვლოცულობ,
 სურვილი მახლავს შემეცნებით წარმოდგენილი —
 ფრინველთათვის არსებული შლაგბუმები დაეინახო თავაწეული.
 და თქვენ, ფრთოსანო, აი, იმ მაღლობზე,
 სად ჩვეულ იყო საუბარი ღმერთთა ენაზე,
 ენობრივიდან ჩამოვასხათ მსოფლიო ღვინო,
 რომ ჩვენი ნადიმი, სიდიადით და კრძალვით მოცული,
 ნებას გვაძლევდეს შემხმარი ტოტებით, დავანთოთ კოცონი.

სურვილების სამრეკლოდან გეპატივებით არაფერზე,
 ღმერთო ჩემო, მოვა ვინმე? არაფერზე არავინ დადის
 და მე ეაცხადებ, არაფერზე მოდითო ჩემთან.
 როგორ ვერ მიხვდით, საუბარი მწაღია მხოლოდ,
 თქვენ თქვენი სთქვით, მეც ჩემსას ვიტყვი,
 ამაზე მეტი სათნოება არ არის ქვეყნად.

რ ვ მ ე ნ ა

რომანი

ბათულია მივიდა და მის წინ შედგა. თავის აწევა ვერ გაბედა. ისევ ისევ ედგა თვალწინ ქალიშვილის მკერდი, თეძოები და ხელებში ჩასატევი წელი.

უნდოდათ დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გული საგულეს არ ჰქონდათ, სული უგუბდებოდათ. ბოლოს ნატაშამ პირველმა სძლია მღელვარებას:

— ხომ არ დამუნჯდი, ბათულია?!

— არა.

— რატომ გამოხვედი გარეთ? — ეშმაკური ღიმილით შეანათა თვალი.

— არ ვიცი.

— არ გეძინება?

— რა დამაძინებს, — წამოცდა ბათულიას.

— რატომ, ბათულია?! — ვითომ გაუყვირდა ნატაშას.

— არ ვიცი.

— ცხელა ფაცხაში?

— ცხელა, — უთხრა ბათულიამ.

— მეც იმიტომ გამოვედი, — იცრუა ნატაშამ. — მართლა ვიწროდ ვართ ფაცხაში.

— მე არა ვარ ვიწროდ, — მიუგო ბათულიამ. — და არც მცხელა.

— აკი თქვი ცხელაო, — ნატაშამ კვლავ ეშმაკური ღიმილით შეანათა თვალი.

— ეს ისე ვთქვი, სიტყვაზე.

— აბა, რატომ გამოდი, რატომ არ გეძინება?!

— არ ვიცი, — ისევ თავაუღებლად მიუგო ბათულიამ. ისევ თვალწინ ედგა ნატაშას მკერდი, თეძოები და ხელებში ჩასატევი წელი.

— არც მე ვიცი, ბათულია, რატომ გამოვედი, — უთხრა ნატაშამ. ნიკაპზე ხელი მოკიდა და თავი აუწია: — არც მე მცხელა. არც მე ვარ ვიწროდ, — თვალეზში ჩახედა: — სანამდე ვარდოთ თავი ერთმანეთს?!

— მე ყოველთვის გხედავ შენ, — უთხრა ბათულიამ.

— რანიირად?! — გაიოცა ნატაშამ. — ერთხელ არ შემოგახედავს ჩემთვის. ახლაც არ მიყურებს.

— მაინც გხედავ.

— მეც ერთხელ არ შემომხედავს შენთვის, მაგრამ მაინც გხედავდი.

— ფოთში რომ წახვალ სამუშაოდ, მაშინაც თვალწინ მედგომები, — პირდაპირ თვალეზში შეხედა ბათულიამ. — ისეთი, როგორიც ახლა ხარ.

ნატაშას გაახსენდა, რომ პერანგის

ამარა იდგა. სწრაფად აიფარა მკერდზე ხელები.

— მეც თვალწინ მედგომები ისეთი, როგორიც ახლა ხარ, — უთხრა ნატაშამ. მკერდზე ლამაზად ეწყო ნაჭათარი, მზისაგან გარუჭული ხელები.

— არ წახვიდე ფოთში, — თხოვა ბათულიამ.

— კომკავშირის კომიტეტს პირობა მივეცი, — უთხრა ნატაშამ. — პირობას ვერ დავარღვევ, ბათულია. იმ ქარხანაში სამხედრო საპურველს ამზადებენ.

— იმ ქარხანაში სამხედრო გემებს არემონტებენ, რომ ისევ საომრად გაგზავნონ. — გაუსწორა ბათულიამ. — მართალი ხარ, პირობას ვერ გატეხავ.

— ვერ გავტეხავ. ისეთ საქმეზე მივდივარ, რომელსაც არ ეღალატება. შენც წამოდი ქარხანაში, ბათულია. მუშახელი აკლიათ თურმე.

— წამოვალ, — არც დაფიქრებულა, ისე დაეთანხმა ბათულია. — ჯარში წასვლამდე ვიმუშავებ.

— ფერმა?! — ჰკითხა ნატაშამ. სიხარულს ვერ იკავებდა, — ფერმას მიატოვებ?

— ფერმა უჩემოდ არ დაიქცევა. ქარხანაში მუშახელი თუ აკლიათ, მე იქ უფრო საჭირო ვიქნები.

ნატაშა ალტაცებით შეყურებდა. მკერდიდან ხელები ჩამოიღო. ხელი ხელზე მოკიდა. იდგნენ და ერთმანეთს ხელს უჭერდნენ..

— ხელი არ მომტეხო, ბათულია, — ბურდასა და მაკარს რომ არ გაეგონათ, ჩუმად გაიცინა ნატაშამ.

არა, არ ეძინა ბურდას, მიხვდა, რატომ დააგვიანა ნატაშამ დაწოლა, რატომ შემოვიდა გვიან და რატომ გავარდა გარეთ ისევ. დიდი ხანი იყო ამჩნევდა ბათულიასა და ნატაშას შორის დატრიალებულ მალულ ტრფივას. გახარებულად, გასუსული იწვა. ყურს უგდებდა ნატაშასა და ბათულიას. უჩემოდ ფერმა არ დაიქცევაო. ჰო, ბაბუ, არ დაიქცევა ფერმა. შენს მაგივრადაც მე ვიმუშავებ.

— შეხედე ნატაშა, რა ლამაზად ჩახჩახებს მთვარე, — სხვა სათქმელი ვერ იბოვა ბათულიამ.

— შენ მთვარეს კი არა, მე მიყურებ, ბათულია. — ისევ გაიცინა ნატაშამ. — სირცხვილია, ბიჭო, კაბა არ მაცვია.

— სიყვარულმა სირცხვილი არ იცის, ნატაშა, — გათამამდა ბათულია.

ბურდა ცდილობდა არ გამოპარვოდა არც ერთი მათი სიტყვა. ისე იყო გახარებული, ეშინოდა არ წამომდგარიყო, არ გასულიყო ფაცხიდან და გულში არ ჩაეკრა ორივე.

— დიდი ხანი გარიდებდი თვალს, — უთხრა ბათულიამ. — აწი ველარ მოგარიდებ.

— აწი რატომ ველარ მომარიდებ?! — ბურდასა და მაკარს რომ არ გაეგონათ, კვლავ ჩუმად გაიცინა ნატაშამ.

— აწი ეშმაკიც ვერ მომარიდებინებს შენგან თვალს — კიდევ უფრო გათამამდა ბათულია.

— ეშმაკი?!

— ამბობენ, ეშმაკი ყველაფერში ერევაო.

— სიყვარულშიცო?

— სიყვარულშიცო. — მიუგო ბათულიამ. — მაგრამ ეშმაკი ვერ ჩაერევა ჩვენს სიყვარულში.

„რა კარგად თქვი, ბაბუია, — მოუწონა შვილიშვილს ბურდამ და გაილიმა, — ეშმაკი კი არა, ღმერთიც ვერ ჩაერევა თქვენს სიყვარულში.“

— სანამდე ვიდგეთ გარეთ, ბათულია?!

— გარეთ ჯობია, — უთხრა ბიჭმა.

— რატომ ჯობია გარეთ?! — ვითომ ვერ მიხვდა ნატაშა.

— ფაცხაში ცხელა.

— რატომ ცხელა ფაცხაში?

— არ ვიცი.

„მეც დამცხებოდა, ბაბუია შენს ადგილზე,“ — ისევ გაილიმა ბურდამ.

— მართლა გარეთ ჯობია, — კვერი დაუკრა ნატაშამ. ეშინოდა ხელი არ გაეშვა ბათულიას და თვითონ უჭერდა ხელს. — ასეთი მთვარე ჯერ არ მინახავს, ბათულია!

— იგი ჩვენთვის ამოვიდა ასეთი!

— არც ასეთი ლამე მინახავს, ბიჭო.

— იგი ჩვენთვისაა ასეთი, — უთხრა ბათულიამ.

თხმელის ძირას იდგნენ. შრიალბდა მათ თავზე რიონიდან მობერილ მსუბუქ ნიაზე ფოთლები და კრიალა ზედაპირზე ანარეკლი სხივები ნატაშასა და ბათულიას სახეზე ციმციმებდა.

— არ დაილაღე ფეხზე დგომით, ბათულია? — ჰკითხა ნატაშამ.

— შენთან რა დამლღის, გოგო, — უთხრა ბათულიამ და კიდევ უფრო მოუჭირა ხელი.

— მეც რა დამლღის შენთან, ბიჭო! „მთლად გადაურეგვია სიყვარულს. — იღიმებოდა ბურდა. — ასე უნდა, ბაბუებო,“ — ასეთი ფიქრით ჩაეძინა მთელი დღის შრომით დაქანცულს. განთიადისას გაიღვიძა. ნატაშასა და ბათულიას ერთმანეთის ხელი ისევ ხელში ეჭირათ და ტკბილად ეძინათ.

როგორც ყოველთვის, რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია ამ დღითაც ადრე მოვიდა „ოქროს საწმისში“. გამგობის კანტორას გვერდი აუარა. პირდაპირ ცია ცანას ბრიგადის ფარდულს შიადგა თავისი ძველი მანქანით.

მთელი რაიონი „ოქროს საწმისის“ სიმინდის ყანებზე ლაბარაკობდა. ასეთი ზღვა მოსავალი არ ენახა შავი ზღვისპირეთის სოფლებს. სხვა ბრიგადების ოვალურმა კვლებმაც ისევე იმუშავეს წელს, როგორც შარშან ციას ბრიგადის ყანამ. ცხადი იყო ყველა ბრიგადა აიღებდა უხვ მოსავალს.

მსხვილი ღეროები ისე იყო დაჯოგრილი ტაროებით, სიმძიმეს ვერ იკავებდა. მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. დამბალ მიწაში ფესვების დამაგრება უჭირდა სიმინდებს, ბევრგან ერთმანეთში ჩახლართულ-ჩაქცეული იწვა. წვიმას ქარიც რომ მოყოლოდა, როგორც ეს ხშირად იცის აქ, ყანა მთლად ჩაწვეებოდა.

ამის შიშმა ააყენა ადრე რაიკომის მდივანი. ამის შიშით გაეშურა ციას ბრიგადაში, შარშანდღევით კვლავ

ციას ბრიგადა ითვლებოდა მოწინავედ, მის ყანაში კიდევ უფრო მეტ სიმინდის ატეხვას მოელოდა ვახტანგ ქანთარია. საჭირო იყო ამ ბრიგადისათვის ხელის შეწყობა.

ცია ბრიგადის რამდენიმე წევრთან და მეექვსე ბრიგადის ბრიგადირთან, მიხეილ ლოშკარიოვთან ერთად, ფარდულში დახვდა მდივანს. წვიმისათვის შეეფარებიათ თავი და სწორედ იმაზე მსჯელობდნენ, რაც ვახტანგ ქანთარიას აწუხებდა, რისთვისაც მოვიდა აქ.

ქანთარია უქანასკნელ ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. სიცხიანი მიდიოდა რაიკომში, კოლმეურნეობებში, მშენებლობებზე. ვერავენ შეძლო დაეჭერებია ცოტახნით მაინც დაწოლილყო სამკურნალოდ.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, — მიესალმა ფარდულქვეშ შეყრილებს მდივანი. ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ლოშკარიოვის დიდი თათი დიდხანს ეჭირა ხელში. — როგორაა საქმე, მიხეილ ფილიპოვიჩ! ვიცი რომ შვილი უკეთ გყავთ. ყანის საქმე კი არა გვაქვს კარგად.

— მართალს ბრძანებთ, ვახტანგ სემიონოვიჩ. — უპასუხა ლოშკარიოვმა. — გამოდარების პირი არ უჩანს ციას. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი გადაუღებელი წვიმა.

— სინობტიკებიც არ იძლევიან გამოდარების იმედს.

მდივანმა ხელი რომ შეუშვა ლოშკარიოვს, გრძელი მაგიდის გარშემო მერხებზე მჭდარმა კოლმეურნეებმა მიიწმინწიეს და ადგილი დაუთმეს. ქანთარია დაჯდა და ქუდი მოიხადა. ლოშკარიოვი გვერდზე მოისვა.

— მე კი ბევრჯერ მინახავს ასეთი წვიმიანი შემოდგომა. მიხეილ ფილიპოვიჩ! შეჩვეულები ვართ ამგვარ ტაროსს. აქაური გლეხი წინათ ნაბდის სიფართე მიწიდან ადვილად იღებდა წვიმაში და ქარში ათიოდე კალათ სიმინდს. ასეთი ყანის მოტეხვა ამოდენა ფართობზე ამ თავსხმამა გაგვიჭირდება.

— ჩაწვება სმნდ. პატენ ვახტანგ.

— უთხრა თავით ფეხამდე გალუმპულ-
მა ისიდორე სიორდიამ.

მდინამა ახალა დანახა სიცივისა-
გან გალურჯებული ისიდორე.

— ტომარა მინც დაგფარებია
თავზე ისიდორე. გაცივდები.

— სმნდს რა ეშველება თვარა, მე
წემა ვერ გამაცებს.

— ხელს თუ გამოვიღებთ. ეშველება
სიმინდს, — გაამხნევა მდივანმა.

— ხელს რაეა რა გამოვლებთ, მარა
თავს ზევთ ძალა არაა, — თქვა ისიდო-
რემ.

— შეუძლებელი უნდა შევიძლოთ!

— მართალს ბრძანებთ, პატენ მდევან,
— დაეთანხმა ისიდორე. — დღეს ვნაა
სეთ, თავ რომ დაზოგოს. მაგრამ მანც
მეშნა, ვერ მოვასწრებთ სმნდს აღებას.
ჩაწვება ყანა.

— ბრიგადირი რას იტყვის?

— ცია მაკარ ბაჩილოს გვერდით მდივ-
ნის პირდაპირ იჭდა.

— არ უნდა ჩაწვეს ყანა. — უთხრა
ციამ.

— რა უნდა ვიღონოთ ამისათვის?

— როგორც მარგვლაში, ისე ტეხვა-
შიაც კვლავ უნდა დავიხმარიოთ, მას-
წაველებები, მოსწაველები, მოსამსა-
ხურეები.

— და ლამითაც ვიმუშაოთ, — თქვა
მოულოდნელად მაკარმა.

— რაო?! — შეხედა მდივანმა მა-
კარს: — ლამითაც? როგორ?!

მაკარიც წვიმით გალუმპული იყო,
ფეხშიშველი, უქულო. თმა შუბლზე და
საფეთქლებზე ეკრა.

— ლამითაც, — თავი დაუქნია რაი-
კომის მდივანს მაკარმა. ძაგძაგს ვერ
ერეოდა. სახეზე სიცივისაგან ბუსუსები
ეყარა, — შარშანწინ მე და გუდუია ბა-
ბუ ლამითაც ვმარგვლავდით.

სახურავზე წვიმას ხათქახუთქი გაუ-
დიოდა. წვიმის წყალი ფარდულშიაც
იღგა და გარედან სულ უფრო მზარდი
ნაკადი შედიოდა.

— მაშინ წვიმაში არ მარგვლავდით,
მაკარ, — უთხრა რაიკომის მდივანმა, —
მე თავსხმაში...

— თავსხმაშიც უნდა შევიძლოთ. —
კუშტად უპასუხა მაკარმა რთვორც
თქვენ ბრძანეთ, შეუძლებელი უნდა
შევიძლოთ, — დაფიქრებული. არაბავ-
შეური თვალებით უყურებდა ქანთარიას.
ხელები ჭიბეები ეწყო, რომ ძაგძაგი
შეეკავებია.

„რა აღრე დაეცდნენ ბავშვები“. —
სინანულით გაიფიქრა რაიკომის მდი-
ვანმა. უნდოდა რაღაცა კარგი, გამამხ-
ნევებელი ეთქვა მაკარისათვის, შეექო.
მაგრამ ზედმეტად, უადგილოდ ჩათვალა.

— თქვენ რას იტყვით გუდუია? —
ჰკითხა მდივანმა ესვანჭიას.

— რაც ამ ბავშვმა თქვა, იმაზე უკე-
თესს ვერაფერს ვიტყვი.

— მართალს ბრძანებთ. ვერ იტყვის
კაცი უკეთესს, — რაიკომის მდივანმა
კვლავ მიაპყრო თვალი მაკარ ბაჩილოს.

მაკარს ხელები ჭიბეებიდან ამოეღო.
მძიმე მუშტები მაგიდაზე ეწყო.

ქანთარიას გადაწყვეტილი ჰქონდა,
ყანების შემოვლა და სალამოს ბრიგა-
დირების თავმჯდომარის კაბინეტში
შეკრეფა. მაგრამ გადაფიქრა. საჭირო
აღარ იყო...

წვიმა არც დღე წყდებოდა და არც
ღამე. ზედ ნისლიც დავსართა, წყლით
დაიფარა გზები, რაც დრო გადიოდა,
გააგებული ტაროსი უფრო მაგრად
იკიდებდა ფეხს.

სიმინდის ტეხვა ყველა ბრიგადაში
ერთდროულად დაიწყო. ტეხდნენ დღი-
სით. ლამით.

სიმინდს მიწაზე ვერ ყრიდნენ. პირ-
დაპირ კალათში ისროდნენ. ჩალა აჭრი-
ლი არ იყო და ურმები ყანაში ვერ შე-
ყავდათ. საესე. ტყვიასავით მძიმე კა-
ლათები გზაზე გაქონდათ. სიმინდს იქ
ყრიდნენ ურმებზე. კალათებს წურ-
წურით გაუდიოდა წყალი.

ადამიანებსაც თავზე, სახეზე. ტანსა-
ცმელზე წურწურით ჩამოსდიოდათ
წყალი. წყალში იდგნენ. წყალი ესხმო-
დათ ციდან.

ასეთ ამინდში გარეთ არ გაისვლებო-
და, მაგრამ გარეთ იყო ყველა: კოლმე-
ურნეები, მოსამსახურეები, მასწაველებ-

ლები, მოსწავლეები, ფაბრიკა-ქარხნების მუშების ცოლები.

გზები აიზილა.

ურმები ძლივს გაჰქონდათ ლაფში და ტალახში ხარებსა და კამეჩებს. ყველგან — ყანებში, გზებზე წვიმის შხუნილი, ზათქში, ნისლში, ქვე-ქუხილში განუწყვეტლად ისმოდა მეურმეების შეძახილები — აქეზებდნენ, ეხმარებოდნენ ხარ-კამეჩებს.

ზეზეურად არ ეტყობოდა ყანას ამდენ სიმინდს თუ აიტეხდა. მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჭერ ნახევარი ყანა არ იყო აღებული და უკვე აშკარად ჩანდა, რომ ვერც სასიმინდეები დაიტევდა სიმინდს და ვერც ბოსლები.

გადაწყვიტეს, შრომადღის ანგარიშში თავიანთი წილი კოლმეურნეებს ყანიდან პირდაპირ შინ წაეღოთ.

რაიკომის მდივანმა ფოთის ელევატორს თხოვა ყანებიდან გაეტანა სიმინდი, ელევატორს ტრანსპორტი არ გაჩნდა. ომის დაწყების პირველ თვეებიდანვე ქალაქის ყველა სატვირთო მანქანა მობილიზებული იყო.

დაიძრა „ოქროს საწმისისაკენ“ ქალაქიდან და ახლო სოფლებიდან ურმები. ფორნები, ცხენები. გაიჭიმა ყორათ-ფოთის გზაზე სიმინდით დატვირთული გრძელი ქარავანი.

ვინ მოთვლის გადაუღებელ წვიმაში, ნისლში, სიცივეში რამდენჯერ აუღია ჰირნახული ყორათელ, ქალადიდელ, ქვადონელ თუ ყულეველ გლეხს, მაგრამ ასეთი გაცოფებული თავსხმა ბერიკაცებსაც არ ახსოვდათ.

გაქირვება რას არ შეაძლებინებს ადამიანს. ერთი ტაროს დაკარგვა და ნაშაულად მიაჩნდათ, როგორც კოლმეურნეების წევრებს, ასევე დასახმარებლად მოსულ ქალსა და კაცს, ლტოლვილებს, თვით ბავშვებსაც კი. არავინ ჯდებოდა პურის საჭმელად. დასვენება რა იყო აღარ ახსოვდათ...

ტარიელ ქარდას ცოლი მარიამი უკანასკნელ დღეში იყო. შვილის დაღუპვის ამბავი რომ მოუვიდა, იმ დღის

მერე ლოგინიდან არ ამდგარა, სული კბილით ეჭირა. რა დროს გათავადებოდა. კაცმა არ იცოდა. ტარიელი იმუღბული იყო მეზობლების ანაბარად დაეტოვებია ასეთ დღეში მყოფი ცოლი და სიმინდის აღებისათვის ეხელმძღვანელა.

რამდენი ეხვეწა გალინა არკადიენა, შინ დამჯდარიყო. მომაკედავი ცოლისათვის მიეხედა. ვერაფერს გახდა. ტარიელს გაგონებაც არ უნდოდა. არასოდეს დაუყენებია პირადი საქმე საზოგადოებრივი, ქვეყნის საქმის წინ და ასეთ გასაქირის ეამს რა დასავამდა შინ.

იმ ღამის შემდეგ, კიბეზე რომ ცუდად შეიქნა და შვილის დაღუპვის ბართი დახვდა ოჯახში, გული სულ უფრო ზშირად ახსენებდა თავს, განსაკუთრებით წვიმიან და ცივ ამინდში. ახლა წვიმაც იყო, სიცივეც და ნისლიც. მის ჩაშაგებულ, ჭავრთან გულს ამან მთლად დაუქარგა საძრაობა.

თვითონაც უკვირდა რა განგების ძალით იღგა ფეხზე. ექიმს არ ეკარებოდა. ექიმი მუშაობას დაუშლიდა, შინ დასვამდა. იცოდა, გაციება და ერთი ძალი სიცხე მის გულს სიკეთეს არ მოუტანდა. რა ეშველება ჩემს ობოლ შვილიშვილებს? მოსკოვში ვინც კი ნაცნობი ეგულებოდა, ყველას თხოვა, გამიგეთ რძალი და ბავშვი ცოცხლებია თუ არა, სად არიანო. მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ეს აწუხებდა, ტანჯავდა თორემ არც თავის თავის ჭავრი ჰქონდა და არც ცოლის. ჩვენი თავი ჭანაბას, ქვეყნის წინაშე ვალი მოხდილი გვაქვსო, ფიქრობდა ტარიელი.

ამ გადაუღებელ თავსხმაში, ტალახში და ტბორებში სად არ ნახავდი სველს, დაქანცულს, უსმელ-უქმელს; რომ ეგონათ ყანაშიაო, ამ დროს სასიმინდეებში ამოჰყოფდა თავს, ან კანტორაში, ელევატორსა, თუ ბოსლებში გაჩნდებოდა. წყალდიდობამ დააზიანა გზებიც და დაანგრია ხიდებიც. ქსელეებიდან მცირე არხებიდან, კოლექტორებიდან და კვლებიდან იმდენი წყალი

ჩავიდა დედაარხში, რომ არხმა ველარ დაიჭია თავის ათეულ კილომეტრიან სიგრძეშიც კი, და რადგან ბოლომდე არ იყო გათხრილი, ნაპირებიდან გადავიდა. წაიღო ბოგირები, კიპორები, წანწალები, ხიდები და ზღვაში ჩაიტანა. ყოველივე ამას მიხედვით უნდოდა.

ტარიელიც ცდილობდა ყველაფრისათვის მიეხედა, გალინა არკადიევნა გვერდიდან არ შორდებოდა მას. სადაც წავიდოდა, თან დაყვებოდა. შეცივებულსა და სველს ხან ასპირინს მიაწოდებდა, ხან ვალერიანის წვეთებს დაუპყურებდა შაქრის ნატეხზე. ყველაფერს ამას ისე დროულად, მოხერხებულად, შეუმჩნევლად აკეთებდა; კაცს, რომელსაც თავის დღეში არ დაუღვია წამალი, მისი დიდი მოძულე იყო, ახლა ერთხელ არ უთქვამს სეროვასათვის უარი. გულში ემადლიერებოდა გალინა არკადიევნა რომ არა, აქამდე ასჯერ გავჰიამვდი ფეხსო. წამალს იმიტომ კი არ სვამდა, რომ სიცოცხლე წყუროდა, საქმისათვის, შვილიშვილისათვის ინახავდა თავს.

„ოქროს საწმისში“ იყო კიდევ ერთი კაცი, ტარიელზე რომ შეტკიოდა გული. ეს გულდუია ესევანჯია გახლდათ.

ტარიელმა გულდიუას გაციებულ გულში ჯერ კიდევ მაშინ დაიღო ბინა, როცა იგი ბოლშევიკების სამაზრო კომიტეტს ხელმძღვანელობდა, მის კარავში მართავდა წევრების ფარულ კრებებს.

ტარიელი და გულდუია ერთი ხნისანი იყვნენ. ისე დაბერდნენ, ერთი კარგი დღე არ უნახავთ. ტარიელი ფოთის ნავსადგურის მტვირთავად მუშაობის დაწყების დღიდან ჯერ რუსეთის თვითმპყრობელობას, შემდეგ მენშევიკურ მთავრობას ებრძოდა ხან არარეგულარად, ხან აშკარად. არასოდეს არ ჰქონია მოსვენებული ცხოვრება.

სამჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე იყო.

ახლა ქარდას ბედი ცოტათი განსხ-

ვადებოდა გულდიუას ბედისაგან. ტარიელს ცოლ-შვილი მაინც ჰყავდა, გულდიუასავით მართებელა არ დარჩენილა, მაგრამ ახლა შვილი დაკარგა, ცოლი უკანასკნელ დღეში ჰყავდა. გულდიუას მარტოკაცის სიმწარე თავის თავზე რომ ჰქონდა გადატანილი, ამიტომაც განიცდიდა მტკივნეულად ტარიელის ასეთ ხვედრს.

რით შეეძლო გულდუია ესევანჯიას დახმარებოდა, ენუგეშებია ტარიელი? არაფრით. მხოლოდ გულში თანაუგრძნობდა ძველ მეგობარს. ეს იყო და ეს. სიტყვიერად არც იცოდა, როგორ გამოეხატა თანაგრძნობა, ტკივილი. ერთი რამ, რის ძალა და უნარიც შეწყვედა, ხელისგამოღება იყო ამ საქმის წინსვლაში, რომელსაც ტარიელი უძლოდა.

ამას შრომით აკეთებდა გულდუია, დაულაღვი შრომით. მიუხედავად მისი შავბედიითი ცხოვრებისა. ათეული წლების განმავლობაში ჯანი არ გატეხია. ორი კაცის საქმეს აკეთებდა. ბრიგადაში მისი ყანა ყველას ყანას ჯობდა. როგორც შარშან, ისე წელსაც სხვებზე მეტ სიმინდს მოიწვედა. მხოლოდ შრომაში პოულობდა სიცოცხლის აზრს, სხვა არავინ და არაფერი არსებობდა მისთვის.

შემოდგომის მიწურულს მზიანი და თბილი დღეები დაიჭირა. ხანგრძლივი, კოკისპირული წვიმების შემდეგ ცა და მიწა ისე იყო განბანული, ყველაფერი ბრწყინავდა და კრიალებდა — მცენარეც, მიწაც.

ჰაერი ჯერ კიდევ მწიფე ნაყოფის სურნელით იყო გაქლენილი.

ზღვა მშვიდად ლივლივებდა. შავი კი არა. ცასავით ლაქვარდი.

ირგვლივ ისეთი მყუდროება, სიმშვიდე სუფევდა, თითქოს ქვეყანა ცეცხლი არ ეკიდა, არ ინგრეოდა, ყოველ დღე ათასობით ადამიანი არ იღუპებოდა ფრონტებზე.

გარეგნულად კი იყო აქ სიმშვიდე, მყუდროება, მაგრამ ადამიანთა გულში ცეცხლი და ვაება ენთო. კვირა ისე

არ გაეიდოდა; „ოქროს საწმისში“ შავი ქალაქი არ მოსულიყო. ხან სოფელში ავარდებოდა მოთქმა-კივილი, ხან ბარაკში, სადაც ღტოლვილები ცხოვრობდნენ.

ხალხი ტიროდა და შრომობდა. ცხოვრება მანც თავისი გზით მიდიოდა.

კოლმეურნეობამ ჭირნახული აიღო და დააბინავა, მხოლოდ ჩალა არ იყო აჭრილი და მუხუდო გაღწეული.

ყველა ბრიგადაში ოვალურ კვლებზე თითქმის იმდენი სიმინდი, ლობიო და მუხუდო მოიწია, რამდენიც შარშან ცია ცანას ყანაში.

ცია ცანას, მიხეილ ლოშკარიოვის და ცისანა ცინცაძის ბრიგადებმა შარშანდელი გამოცდილება გაითვალისწინეს, ორის ნაცვლად. სამჯერ გამარგულს ყანა და ჰექტარზე სამოცდაათი კენტნერი სიმინდი აიღეს.

სიმინდის ასეთი უხვი მოსავალი ახლამახლო რაიონებში და თვით აბაშის რაიონში, სიმინდის ამ ბელელში ჯერ არავის არ მოუწევია.

ოვალური კვლების ამბავი სწრაფად მოედო დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებს. მის უპირატესობაში ზმირ წვიმიან და ნესტიან რაიონებისათვის ეჭვი აღარავის ებარებოდა. ბევრ კოლმეურნეობებში გადაწყვიტეს გაისად „ოქროს საწმისის“ გამოცდილება გადაეღოთ — სიმინდი, ლობიო და მუხუდო მხოლოდ ოვალურ კვლებზე დაეთესათ.

კარგ მოსავალს კარგი გამრიგე უნდაო. ასეთ კარგ გამრიგედ რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შორის ჯერ კიდევ შარშანდელი მოსავლის მიხედვით ტარიელ ქარდა ითვლე ბოდა.

ტარიელს იწვევდნენ რაიკომში, რაიკომსაკომში სოფლის, მეურნეობის განყოფილებაში რჩევისა და დახმარებისათვის. იწვევდნენ თათბირებზე და პლენუმებზე. კრებაზე საპატიო პრეზიდენტში პირველ რიგში სემდნენ, გა-

ზეთებში წერდნენ ტარიელზე და მის კოლმეურნეობაზე.

ტარიელის სახელი რაიონის ფარგლებს გაცდა. ისიც შეიტყუეს სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა, რომ „ოქროს საწმისმმა“ შარშანდელთან შედარებით წელს გეგმის ზევით სიმინდი, ლობიო, მუხუდო, ხორცი, და რძე გაცილებით უფრო მეტი ჩააბარა სახელმწიფოს, ვიდრე გეგმით გათვალისწინებული, რომ ტარიელ ქარდა, ცია ცანა, ცისანა ცინცაძე, სეროვა, გუდულია ესევანჯია, უკრაინელი მიხეილ ლოშკარიოვი და პარტორგანიზაციის მდივანი ლონგინოზ ლოშკარია თბილისში გამოიძახეს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების შეკრებაზე.

ერთი კოლმეურნეობიდან ამდენი ადამიანის მიწვევამ ყველა გააკვირვა. მერე ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე წაიკითხეს. რა კარგი სიტყვები ითქვა ახალი მიწის ამ ადამიანებზე და თვით კოლმეურნეობაზე.

ქარდა თავისი კოლმეურნეობის, თავისი ხალხის წარმატებით დიდად კმაყოფილი იყო, მაგრამ ისეთი მწარე, ისეთი აუტანელი სევდა ჰკლავდა, რომ მის მძიმედ დადაღულ სულს ოდნავადაც არ უგრძნია შებვა. ოღონდ გული ისე აღარ ახსენებდა თავს, მარიამიც ფეხზე წამოდგა, თითქოს მოიხედა.

ცია ცანა, ცისანა ცინცაძე, გალინა არკადიევნა, მიხეილ ლოშკარიოვი, ისიდორე და მაკარი ადრიან დილით კოლმეურნეობის გამგეობის წინ იდგნენ და ფოთისაკენ მიმავალ სატვირთო მანქანას უცდიდნენ.

ომის დაწყების შემდეგ ამ გზაზე მხოლოდ სამხედრო მანქანები მიმოდინდა.

აქ იყო ბურდა კვარაცხელიაძე. მხარზე საგზლით სავსე პატარა ხურჯინი ეკიდა. ლელავდა ბურდა. ბათულიასა და ნატაშას აცილებდა ფოთში, იყოდა, გაზაფხულზე ბათულია ქარხნიდან პირდაპირ ჯარში აპირებდა წასვლას.

ბათულიას მამა და მისი ძმები

ფრონტზე იყვნენ. ერთადერთ იმედად ბათულია ეგულებოდა მოხუცს და ისიც ტოვებდა.

ბათულია გრძნობდა ბაბუს მღელვარებას. ეცოდებოდა. გვერდში ედგამხრით ეხებოდა მხარზე, მაგრამ ისე, რომ სხეებს არ დაენახათ. განსაკუთრებით არ უნდოდა ნატაშას შეეძინა.

მაკარიც ღელავდა. დაი, ერთადერთი ახლობელი ვინც დარჩა, უცხო ქალაქში მიდიოდა, უცხო ხალხში უნდა ემუშავა. ნატაშას ბათულია მიჰყვებოდა. მაგრამ ბათულიაც წაივლიდა ქარში და ნატაშა სულ მარტო დარჩებოდა.

გალინა არკადიევნა თან გაჰყვა ნატაშასა და ბათულიას ფოთში. მან მისცა სიტყვიერი დახასიათება ქარხნის კადრების განყოფილების უფროსს, სათვალთან, სიმპათიურ მამაკაცს ნოდარ ქორიძეს და საბუთებიც მანვე გადასცა.

ქორიძემ გულდასმით გასინჯა ნატაშასა და ბათულიას საბუთები.

— კეთილი და პატიოსანი, — გაუღიმა ორივეს. — თქვენ ალბათ, იცით, რომ ნავსადგურს ბომბავენ.

— ვიცით, ბიძია, — უთხრა ნატაშამ. — ჩვენს კოლმეურნეობამდეც კი აღწევდა ბომბების ხმა.

— კეთილი და პატიოსანი, — სათვალის შუშებიდან აღერსიანად შესცქეროდნენ ნატაშასა და ბათულიას ქორიძის ქროლა თვალები. — შენ აქაურს არა ჰგავხარ, — უთხრა ნატაშას.

— არა ვარ აქაური. ბელორუსიიდან ვარ.

— ევაკუირებული?

ნატაშამ თავი დაუქნია. მხრებზე დაყრილი თმა შერბევისას ფანჯარიდან შემოჭრილი მზის შუქზე ბრინჯაოსფრად აუბზინდა.

— მაშ, გეცოდინება, რა არის დაბომბვა.

— როგორ არ ვიცი, ბიძია.

— საამწყობოში იმუშავენ.

ნატაშამ არ იცოდა რა იყო საამწყობო.

— შენ კი, კვარაცხელია, სამღებროში, — უთხრა ბათულიას.

— არ შეიძლება, ბიძია, ერთ საამქროში გავგვზავნოთ, — თხოვა ნატაშამ. კადრების განყოფილების უფროსს ქროლა თვალებში უცებ ჩაუქრა ალერსიანი შუქი.

— ჩვენ აქ საჭიროების მიხედვით ვანაწილებთ ადგილებს, — უთხრა ნატაშას მიუხედავად იმისა, რომ მიხვდა, რატომ უნდოდა ნატაშას კვარაცხელიასთან ერთ საამქროში მუშაობა. — გასაგებია?

— გასაგებია, ბიძია.

— იცით, რამდენი გემი ჩაგვიძირეს, რამდენი დაგვიზიანეს. ბევრი გემი ჭირდება ქვეყანას. დაზიანებულები სასწრაფოდ უნდა აღვადგინოთ. გასაგებია?

ქარხანა ნავსადგურიდან მოშორებით, ზღვისპირას იყო გაშენებული. შარშან დოკად გადააკეთეს. აქ არემონტებდნენ სევასტოპოლში, ოდესაში და ნოვოროსიისკში დაბომბილ გემებს.

ნატაშასა და ბათულიას პირველი, რაც თვალში მოხვდათ ქარხნის ეზოში, ყუმბარებით ამოთხრილი ორმოები იყო. ქარხნის აქა-იქ ჩამონგრეული კედლები, სახურავიდან აგლეჯილი თუნუქები და დაღეწილი დაზგების ნაწილები იყო.

კედლებისა და სახურავის შესაკეთებლად არავის ეცალა.

დოკში რამდენიმე გემი და კატარა იდგა რემონტზე. მუშები ფუტკარივით ეხვივნენ გემებს. ისმოდა ჩაქურების ტაკატუკი, კომპრესორების წივილ-ლმუილი, ამწე ონკანებისა და ჯაჭვების ღრქიალი.

— ნუთუ დაბომბვის დროსაც მუშაობენ, — თქვა ნატაშამ,

— დაბომბვის დროს თავშესაფარში იქნებიან. — უთხრა ბათულიამ.

— ჩვენ ვერსად ვერ ვაფარებდით თავს ბელორუსიისა და უკრაინის გზებზე.

ნატაშა და ბათულია საერთო საცხოვრებელში გვიან ღამით ბრუნდებოდ-

ნენ ქარხნიდან. ზოგჯერ მთელი ღამე რჩებოდნენ იქ. მხოლოდ საერთო საცხოვრებლის დერეფანში, ან პირსაბან ოთახში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

— შენ რომ შეღებე ის გემი ხვალ უნდა ჩაუშვან ზღვაში, — უთხრა ერთხელ ნატაშამ პირსაბან ოთახში ბათუ-ლიას.

— ვიცი.

— ხუთი დღით ადრე უშვებენ. ჩვენც მიგვიძღვის ამაში წველილი, ბათულია!

— მე მხოლოდ ვღებავდი გემს.

— დაბომბვისას ღებავდი, — უსაყვედურა ნატაშამ.

— ასე მოითხოვდა საქმე. სხვანაირად ვერ მოვასწრებდი.

— ვერ მოვასწრებდი. — დაეთანხმა ნატაშა. — არ გეშინოდა?

— როგორ არ მეშინოდა, — გაიცი-ნა ბათულიამ, — მაგრამ დრო არ იცდიდა.

ონკანთან იდგნენ, დიდხანს იმშრალდებდნენ ხელ-პირს, ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ, არ ერიდებოდათ თავის ტოლების, წარამარა რომ შემოდიოდნენ და გადიოდნენ. იქნებ ვერც ამჩნევდნენ მათ. რული ართმევდათ თვალს.

— ძალიან იღლები, ბათულია? —

— მზრუნველობით ჰკითხა ნატაშამ და შეხედა მის გამხდარ, ფერწასულ სახეს.

— შენც იღლები, — უთხრა ბათულიამ.

— გახდი. ალბათ, პირისქარად არ გყოფნის შენი ულუფა!

— არც შენ გყოფნის შენი ულუფა!

— მე გოგო ვარ.

— გოგოსაც უნდა ჰქამა, — გაიცინა ბათულიამ.

— ბაბუ ბურდას რძე და სულგუნი არ მოგენატრა?

ბათულიამ ტუჩზე ენა მოისვა. ორივეს სიცილი წასკდათ.

— ჩუმად, — ტუჩზე ხელი მიადო ნატაშამ, — სანამდე ვიდგეთ აქ?

— წავიდეთ.

9. „მნათობი“, № 12.

მხარზე პირსახოცგადაკიდებულები დერეფანში გავიდნენ.

ოთახების კარი მთელ სივრცეზე ყველგან მიხურული იყო. მუშებს ეძინათ. სიჩუმე იდგა შენიღბული ნათურებით განათებულ დერეფანში.

— ხელიდან საჭრელ დაზგაზე გადავყავარ ოსტატს, — უთხრა ბათულიას ნატაშამ, თავის ოთახის კართან რომ შედგა.

— მე კი ისევე მღებავად დავრჩები. — უკმაყოფილოდ თქვა ბათულიამ. — ნეტა მალე წამიყვანდნენ ჯარში.

— შეუღებავ გემს ზღვაში არ ჩაუშვებენ, ბათულია. — დაამშვიდა ნატაშამ, — დაზგასთან მუშაობა რით ჯობია შენს საქმეს.

— დაზგა მანქანაა. მასზე მუშაობა სხვაა. ჰკუა უნდა, ხერხი უნდა.

— შემპირდი, რომ დაბომბვისას უსათუოდ მოხვალ თავშესაფარში, — ნათურის მკრთალი შუქით განათებულ სახეზე ნატაშას თხოვნაც ეხატა და მოთხოვნაც.

— გპირდები.

— შენ წინათაც შემპირდი, მაგრამ სიტყვა გამიტეხე, — საყვედურით უთხრა ნატაშამ.

— აწი აღარ გაგიტეხავ.

დერეფანში არავინ იყო. როგორც იქ, ბაბუ ბურდას ფაცხის წინ, ხელი ხელზე მოკიდა ნატაშამ.

— აწი აღარ გაგიტეხავ. — გაიმეორა ბათულიამ და ხელი ხელზე მოუქირა.

— ხომ მოხვალ?

— მოვალ, ნატაშა!

— შენ და მაკარი ჯარში რომ წახვალთ, სულ მარტო დავრჩები, — ნაღვლიანდ უთხრა ნატაშამ, თვითონაც მოუქირა ხელი ხელზე.

ბათულიას ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

— რა მეშველება უშენოდ, ბიჭო!

— აწი ომი მალე დამთავრდება, ნატაშა!

— ღმერთმა ქნას, — უთხრა იმედით ნატაშამ.

ბათულია შესცქეროდა მის რბილად

განათებულ გრძელ, აპრეხილ წამწამებს, სევდიან თვალებს, ცისფერ შუქზე მკაფიოდ რომ ციმციმებდნენ და მხრებზე დაყრილ, ბინდშიაც ბზინავ თმას. თავი ველარ შეიკავა, სწრაფად მიიზიდა მისი სახე და აკოცა, მერე მხრებზე მოხვია ხელი.

— კიდევ მაკოცე, ბათულია, — ჩურჩულით უთხრა ნატაშამ და შიშით და მოლოდინით შეანათა თვალი.

ბათულიამ გაიგონა მისი ჩურჩული, მისი აჩქარებული გულისცემა. ის იყო მიიზიდა, რომ ამ დროს მოპირდაპირე ოთახის კარი გაიღო, ვიღაც გამოვიდა საცვლების ამარა და დერეფნის ბოლოსაკენ გაეშურა. ნატაშა ხელიდან გაუსხლტა ბათულიას, კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში შევიდა.

მეორე დღეს ქარხანაში, შესვენებადმდე ნახევარი საათით ადრე, ქალაქში საპაერო განგაშის ხმა გაისმა. ერთად ზღაოდა და წიოდა ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან და ქარხანაში რამდენიმე სირენა.

მუშები გამოდიოდნენ ქარხნის ფართო კარიდან, გადმოდიოდნენ გემებიდან, ჭგუფჭგუფად მირბოდნენ თავშესაფარისაკენ, რომელიც ქარხნის ვრცელი ეზოს სიღრმეში იყო.

სირენების გაბმული ზღაილი და წივილი ტალღატალღა მიერეკებოდა ადამიანებს, ეაების ზარივით ფეხდაფეხ მისდევდა მათ, უძვრებოდა სულში, გონებაში, სისხლში და მაშინაც არ წყდებოდა, სულისშემხუთავ თავშესაფარში რომ ჩადიოდნენ.

ადამიანთა ნაკადს ნელა იწოვდა მიწისქვეშეთი.

ზღაილი და წივილი თავშესაფარშიც იდგა. აწყდებოდა კედლებს, იატაკს, ქერს და მისი გაგუდული, დახშული ხმა თავისივე ექოს ასკდებოდა.

თავშესაფარის შესასვლელთან ნატაშა იდგა. დოკისაკენ იყურებოდა. ბათულიას უცდიდა. იქვე მდგარი ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ნოდარ ჭორიძე ხმამაღალი შეძახილით აჩქარებდა მუშებს.

მუშები ქარხნის ყველა კარიდან გამორბოდნენ. გამორბოდნენ დოკის მხრიდან. ხტებოდნენ გემებიდან.

სირენების ხმა სულ უფრო იზრდებოდა, მატულობდა, ერთდებოდა. ამ ხმებს უცებ ჩაეწნა მტრის თვითმფრინავების ძრავების გუგუნ-ღმუილი.

ნატაშას თვალები ამაოდ ეძებდა მუშებში ბათულიას.

შევიდა თავშესაფარის კარში უკანასკნელი მუშა.

— შენ რას უცდი?! — დაუყვირა ნოდარ ჭორიძემ ნატაშას.

სირენების ზღაილი-წივილში და თვითმფრინავების ძრავების გუგუნ-ღმუილში ნატაშას არ ესმოდა ჭორიძის ხმა. მთელი ყურადღება დოკებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— არ გესმის, ბაჩილო?! — დაუყვირა ჭორიძემ უფრო ხმამაღლა. დღეს ის მორიგეობდა თავშესაფარში.

ნატაშას არ ესმოდა მისი ხმა. თვითმფრინავები ზღვის ნაპირს მოუახლოვდნენ.

გაისმა მეზენიტეების ზათქი, ყუმბარების წივილი და აფეთქებების გრუხუნი.

იმავე წუთში ქარხნის მოსახვევიდან სირბილით მომავალი ბათულიაც გამოჩნდა.

მტრის თვითმფრინავები დაბლა მოფრინავდნენ. თითო-თითოდ ჰყრიდნენ ყუმბარებს.

ნოდარ ჭორიძემ ხელი ჩასტაცა მაჯაში ნატაშას, რომ თავშესაფარის კარში შეეგლო, მაგრამ ნატაშა დაუსხლტა და ბათულიასაკენ გაიქცა.

— ჩქარა, ჩქარა, ბათულია, — უთხროდა შიშისა და მღელვარებისაგან ჩახლელილი ხმით.

ბათულიას ზედ თავზე გადაუქროლა თვითმფრინავმა, მის წინ წივილით დაეცა ყუმბარა, გასკდა და მიწის შავი ბოძი აიჭრა ჰაერში.

ნატაშა პირქვე დასცა აფეთქების მიძღვრვა ტალღამ.

დაბომბვა სულ რამდენიმე წუთი გაგრძელდა.

თვითმფრინავები ქალაქში არ შესულან. მხოლოდ ნავსადგურსა და ქარხანას დაყარეს ბომბები, მერე მალა აიჭრნენ, ნახევარი წრე შემოხაზეს და უკან გაბრუნდნენ.

თავშესაფარიდან პირველი ქორიძე გამოვარდა და იქით გაიქცა, საითაც წელან ნატაშა გარბოდა.

ქარხნის სახურავს ცეცხლი ეკიდა, ჩამონგრეულ ფასადიდან აგურები ცვივოდა.

ქორიძემ დაინახა ნატაშა შუა ეზოში, იქ, სადაც ყუმბარები დაეცა. ქალიშვილი აფეთქებით ამოყრილ მიწაზე იჯდა, ორმოს ნაპირზე. ორმოდან თხელი კვამლი ამოდიოდა. ქორიძემ ნატაშასთან მიიბრინა.

ნატაშას თმაზე და მხრებზე მიწა ეყარა. ორმოს ჩაცქეროდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მის შორიახლო ღენტითა და ალით აღანძული ბათულის ქული ეგდო.

ქორიძე მხარზე შეეხო ნატაშას, იგი არ განძრეულა. არ უგრძენია ხელის შეხება. თავზე უკიდევანო, შეკვამლული ცა დაპყურებდათ.

თავშესაფარიდან გამოსული მუშები ორმოსაკენ მორბოდნენ, მის ირგვლივ იყრიდნენ თავს და ქულს იხდიდნენ.

ომის დაწყების დღიდან ტარიელი ადრე ჩართავდა ხოლმე რადიომიმღებს, მერე ხელ-პირს იბანდა, საუზმობდა, მარიამს დაარიგებდა, წამლები დროზე დალიე, სახლი არ დაალავო. სწრაფად იცვამდა და კოლმეურნეობაში მიდიოდა.

ამ დღით გვიან ადგა. მთელი ღამე თოვლჭყაბი მოდიოდა. ქალაქი სქელი ნისლით იყო დაბურული. ტარიელს გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს. ლოგინიდან წამოდგომისას თავბრუ დაეხვა, ტანი დაუშოშოდა, მარიამს არ უთხრა, არ აგრძნობინა უგუნებოდ რომ იყო.

რადიომიმღები რომ ჩართო, ომზე ინფორმაციურად ცნობების გადაცემა დამთავრებული იყო. ახლა ქართულ

ხალხურ სიმღერებს გადაცემდნენ. ტარიელს უნდოდა მიმღები გამოერთო, რომ ამ დროს სიმღერა შეწყდა და მოსკოვის დიქტორის ხმა გაისმა. იგი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას გადასცემდა, სოფლის მეურნეობის მოწინავე აღამიანებისათვის სოციალისტური შრომის გმირობის მინიჭებისა და ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

ტარიელმა სკამი გამოაჩოჩა მაგიდიდან და რადიომიმღებთან დაჯდა. დიქტორი სხვა რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეთა გვარებთან ერთად, ქართველ კოლმეურნეთა გვარებსაც ასახელებდა.

ტარიელი სულგანაბული უსმენდა. აი, დიქტორმა „ოჭროს საწმისის“ კოლმეურნეობა ახსენა. მერე ტარიელმა გაიგონა თავისი გვარი, ციას, ცისანას, ლოშკარიოვის, ესვანჭიას და სეროვას გვარებიც — ყველას სოციალისტური შრომის გმირობა ჰქონდა მინიჭებული სიმინდის უხვი მოსავლის მოწვევისათვის. ტარიელმა იცოდა, თვითონაც და ისინიც ამ მაღალ ჯილდოზე რომ იყვნენ წარდგენილნი, მაგრამ არ მოელოდა, ასე მალე თუ მოიცილიდა სახელმწიფო ამ საქმისათვის. დიქტორი ორდენებით დაჯილდოებულთა გვარებსაც გადამოცემდა.

მარიამი საწოლი ოთახიდან გამოვიდა. მაგიდასთან მივიდა და ტარიელს წინ დაჯდა.

— ტარიელ, — დაილაპარაკა სუსტი, ჩივარდნილი ხმით, როცა დიქტორმა დაჯილდოებულთა გვარების ჩამოთვლა დაამთავრა. არ უნდოდა მის გულს სიხარული, ცრემლი მოადგა თვალებზე. ტყვილის ცრემლი. შვილის დაღუპვის შემდეგ სიხარულის გრძნობა ვეღარ გაიღვიძებდა მის გულში.

ოთახში უცებ მჭახედ აწკრიალდა ტელეფონის ხარი.

ქარდა აპარატს გადაწვდა. მილი აიღო.

რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია ურეკავდა.

— ტარიელ, მომილოცავს, — მდივანი ღელავდა. გახარებული იყო. გამარჯობა არ უთქვამს, პირდაპირ ასე მიმართა. — სულითა და გულით გილოცავ მაღალ ჭილოს, აგრეთვე მთელ კოლმეურნეობას... პირდაპირ დაუქვარებელია. ასეთი დაფასება, ასეთი ყურადღება.

— ვმადლობთ, ვახტანგ, — უთხრა ქარდამ.

— ხვალ საღამოს საერთო კრება მოეწევიოთ. შეიღ საათზე ჩამოვალ. ამ დროისათვის გაზეთები მოსული იქნება თბილისიდან. კიდევ მოგილოცავ და გეხვევი, — მდივანმა მილი დადო...

საერთო კრება კლუბში მოიწევის. მაგიდას წითელი ნაჭერი ეფარა. ჰერზე სამი ლამაზი ეკიდა. ზამთარი იდგა. ადრე ღამდებოდა. ღამები ცუდად ანათებდა დარბაზს. ფანჯრებში მათი შუქი არ ატანდა. მაინც სქელი ფარდებით იყო შენიღბული.

კოლმეურნეები ნელა, მგვრამ როგორღაც ზეიმურად შემოდოდნენ კლუბში. მკრთალი შუქის მიუხედავად სახეზე მაინც ეტყობოდათ კმაყოფილება. მოსულების შერთი ნაწილი ხანშიშესულები, მოხუცები, ქალები და ბავშვები იყო.

არც ერთ სოფელში ახალგაზრდა არ დარჩენილა. ისინი სხვადსხვა ფრონტებზე იბრძოდნენ, ბევრი მათგანი რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის მიწაში იწვა. მათ დედებსა და დებს შავები ეცვათ, თავზე შავი ცახოცი ეფარათ, არც სხვებს ემჩნეოდათ საზეიმო განწყობილება, ჭავრითა და სიმწრით სავსე იყო გული.

დარბაზს ხალხი თანდათან ემატებოდა. ყველა ადგილი დაიკავეს, ქალები ერთ მხარეს ისხდნენ, მამაკაცები მეორე მხარეს. ბავშვებს მაგიდის წინ იატაკზე მოეკალათებიათ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

მაკარ ბაჩილო მამაკაცებში იჯდა, გუდუიას გვერდით. ის, ნატაშა და ბათულია საპატიო ნიშნის ორდენით იყვნენ დაჯილდოებული. მაკარი ფოთ-

ში გაგზავნეს დის ჩამოსაყვანათ, მაგრამ ნატაშა ისე იყო დამწუხრებული ბათულიას დაღუპვით, ვერ გამოჰყვა მაკარს საზეიმო კრებაზე. მწუხარება უფრო გაუორკეცდა, როცა გაიგო, რომ ბათულიაც იყო ორდენით დაჯილდოებული და ვერასოდეს ვერ მიიღებდა მას.

იმ დაბოძების შემდეგ ნატაშა ერთხელაც არ ჩასულა ყორათში. მაკარი თვითონ აკითხავდა კვირადღეს, ბურდაგან გამოტანებული მცირე მოსაკითხით.

ბურდას მოკლულ გულს ნატაშა ვერ ანუგეშებდა, მაგრამ ის გოგო ახლა თავის შვილად მიაჩნდა მოხუცს. მაშინ, მთვარიან ღამეს ფაცხის წინ, ბათულიასა და ნატაშას ლაპარაკი რომ გაიგონა, იმ ქამიდან ეს ბელორუსი გოგო ყველაზე ახლობელ ადამიანად გადაიქცა მისთვის.

რაიკომის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაიალმასკომის თავმჯდომარე პავლე ქავთარაძე, და ვასო ბრეგვაძე კოლმეურნეობის კანტორაში ისხდნენ და ხალხის შეკრფას ელოდნენ.

სრულ შეიღ საათზე ლონგინოზ ლომჭარიამ შეაღო ტარიელის კაბინეტის კარი.

— ხალხი მოსულია, ამხანაგო ვახტანგ, — უთხრა რაიკომის მდივანს, — შეგვიძლია დავიწყოთ...

პრეზიდენტი. მაგიდას შემოუსხდნენ. ლონგინოზ ლომჭარიამ, რომელიც საზეიმო კრებას თავმჯდომარეობდა, მაგიდასთან მიიწვია სოციალისტური შრომის გმირები.

გუდუიას გარდა, ყველა წამოდგა. ცია ცანა, ცისანა ცინცაძე, მიხეილ ლოშკარიოვი, გალინა არკადიენა პრეზიდენტი. მაგიდასთან მივიდნენ და ტაშის გრიალში მიუსხდნენ.

გუდუია ესვანჯია არ განძრეულა. თავი დახარა. შეშინებულივით ახამზამებდა თვალებს.

— მობრძანდით, გუდუია, — თხოვა რაიკომის მდივანმა ესვანჯიას.

გულდუამ უარის ნიშნად ხელი გაიქნია.
— უხერხულია, ბაბუ, მიდი, —
უჩურჩულა მაკარმა.

— გთხოვთ, გულდია, — უთხრა ისევ
რაიკომის მდივანმა და წამოდგა, ტა-
ში დაუქრა.

რაიკომის მდივნის ტაშს სხვებიც
აყენენ და გულდიას წასაქვებლად
იმათაც დაცხეს ტაში.

ამან უფრო შეაქართა და დააბნია მო-
ხუცი. სახე სად წაეღო, არ იცოდა.
პრეზიდენტში ჯდომას მიწა რომ გასკ-
დომოდა, ის ერჩინა.

სეროვამ თავიდანვე შეატყო, რომ
გულდიამ დაიმორცხვა. წამოდგა, მივიდა
მასთან, მკლავზე ხელი მოკიდა.

— მთელი დარბაზი გთხოვთ, ბაბუ,
— უთხრა ღიმილით.

ტაშის გრიალი უფრო გაძლიერდა.
გულდიას სხვა გზა აღარ ჰქონდა, წა-
მოდგა და გაჰყვა გალინა არკადიევნას.
ტაში არ შეწყვეტილა, ვიდრე სეროვამ
გულდია გვერდით არ მოისვა.

კრების თავმჯდომარემ პირველი სიტ-
ყვა ტარიელ ქარდას მისცა. ტარიელმა
ძალიან მოკლედ ილაპარაკა კოლმეურ-
ნეობის წლებიდან მდგომარეობაზე
და იმ დიდ მიღწევაზე, რისთვისაც ასე-
თი მაღალი შეფასება მიიღო მთელმა
კოლექტივმა. მერე გაზეთი გაშალა და
დაჭილდოებულთა გვარები წაიკითხა.
წამოდგა, მივიდა მათთან და ყველას
სათითაოდ ჩამოართვა ხელი. მაკარ
ბაჩილოს კი თავზე აკოცა. მერე მაგი-
დას დაუბრუნდა და სიტყვა განაგრძო:

— ამხანაგებო, თავდადებული შრო-
მა ისევე ფასდება ჩვენი პარტიისა და
მთავრობის მიერ, როგორც თავდადე-
ბული ბრძოლა ფრონტზე. თქვენც იბრ-
ძოდით აქ, ზურგში. ფრონტი ზურგის
გარეშე არ არსებობს. კიდევ ერთხელ
მოგილოცავთ, ამხანაგებო მაღალ ჯილ-
დოს და გისურვებთ ახალ წარმატებებს,
— დარბაზს გადახედა: — ჩვენთან
ერთად მხარდამხარ შრომობენ მოძვე
რესპუბლიკების წარმომადგენლები.
ისინი ჩვენთან თავის აობრებულ, გა-
დამწვარ, გაჩანაგებულ სოფლებიდან

და ქალაქებიდან მოვიდნენ, მხარში
ამოგვიდგნენ, ჩვენს უღელში შეებნენ
ქალები, ბერიკაცები და ბავშვები. ნა-
ტაშა და მაკარ ბაჩილოები დიდებს არ
ჩამოუვარდებიან შრომამში. ამ ბავშვებმა
იმდენი სიმინდი, ლობიო და მუხულო
მოიწიეს, რამდენიც კაცებმა და ქა-
ლებმა. რამ შეაძლებინათ ბავშვებს
ასეთი სასწაული?! ალბათ, ვიტყვით,
მოვალეობის გრძნობამ, სამშობლოს
სიყვარულმაო. დიახ, ეს ასეა. ზოგს
ასეთი სიტყვები გაცვეთილად მოეჩვე-
ნება, მაგრამ უკეთესად ვერ იტყვი, —
ტარიელმა შეისვენა, გული დაეღალა.
დოქიდან წყალი ჩამოასხა ჭიქაში, მოს-
ვა და განაგრძო: — ეს გრძნობა უწინაც
ჰქონდა ხალხს, ჩვენს წინაპრებს. ამ
გრძნობას დღეს ახალი გრძნობა —
— კომუნისტური მოვალეობის, კომუ-
ნისტური მორალის გრძნობა მიემატა.
ამ ახალმა, დიდმა გრძნობამ შეაძლები-
ნა ადამიანს ომის ფრონტზე და შრო-
მის ფრონტზე შეუძლებელის გაკეთება,
— ლაპარაკობდა ტარიელი და თან
მარიამზე ფიქრობდა. კრებაზე წამოსე-
ლის წინ მარიამს ცუდი ფერი ედო,
ტურჩები გალურჯებული ჰქონდა, ენას
უკიდებდა.

დარბაზი ყურადღებით უსმენდა თავ-
მჯდომარეს.

— ქართველებს, რუსებს, უკრაინე-
ლებს, ბელორუსებს, ყველა მოძვე რეს-
პუბლიკას, ერთი პირისხელიანი მტერი
გვებრძვის. ამ მტერს ფაშისში ჰქვია.
ჩვენ ერთად აღუდევით მას თოფითა
და თოხით ხელში. ერთად ვებრძვით
მის წინააღმდეგ და ერთად ვშრომობთ.
ყველამ ერთად ვაიძულეთ მტერი, რო-
მელმაც თითქმის მთელი ევროპა დაიპ-
ყრო, ზურგი ექცია და იქით ებრუნა
პირა, საიდანაც მოვიდა.

თავმჯდომარის შემდეგ სიტყვა რაი-
კომის მდივანმა აიღო. მოკლედ ილაპა-
რაკა დაჭილდოებულთა და მთელი
კოლმეურნეობის შრომით მამაცობაზე.
ილაპარაკა იმაზე, რომ ეს ჯილდო უფ-
რო მეტს ავალებს კოლმეურნეობის
წევრებს, რომ ეს ჯილდო მოპოვებუ-

ლია მკედრეთით აღმდგარ, ახალ მიწაზე და ამითაც არის იგი სასიხარულო და საამაყო, რომ ადამიანები, რომლებიც ამ მიწას ჭაობს ტაცებდნენ, ახლა თოფით ხელში იცავენ მას რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის შორეულ მიწებზე.

ტარიელი გვიან ღამით დაბრუნდა წინ. მარიამი რომ არ გაეღვიძებია, გასაღები ფრთხილად გადაატრიალა. ევადმყოფის დღიდან მარიამი, ტარიელის თხოვნით, ქმრის დაბრუნებას არ უცდიდა, ადრე წვებოდა. ასრულებდა მის თხოვნას, მაგრამ არ იძინებდა. სინათლეს ჩააქრობდა. იწვა ლოგინში ტარიელის მოლოდინში. ის რომ ოთახში შევიდოდა, თვალს დახუჭავდა, თავს მოიძინარებდა და განახული უგდებდა ყურს, ვიდრე ტარიელი არ ივახშმებდა, არ დაწვებოდა და არ დაიძინებდა.

ჭარბად კარი შეაღო და იქვე შედგა. სასადილოში შეჭი ენთო. რატომ არ წევს მარიამი?! შიშმა გაკრა გულში. კარი მიხურა და სწრაფად შევიდა ოთახში.

მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე მარიამი სახით დამზობილიყო. ეტყობოდა, დაჭილდოებულთა გვარებს კითხულობდა და ამ დროს დამართნია ის, რასაც ყოველდღე, ყოველსაათს და წუთს ელოდა. მაგიდიდან მკლავები უსიცოცხლოდ ჩამოყროდა.

ტარიელმა მხრებზე მოკიდა ხელი და წამოწია, მაგრამ მარიამის გაციებულ სხეულს არ დაჰყვა. ძლივს აიყვანა, საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლზე დაასვენა. თვლები დაუხუჭა, ხელები მკერდზე დაუწყო. მერე თავის საწოლზე ჩამოწადა. იჭდა უხმოდ, ფერწასული, შებლმეკრული და ტკივილით დაცქეროდა მეუღლის გაციებულ სახეს. არ გადმოვარდნია ცრემლი, ამდენად დიდი იყო მისი უბედურება. გათანგული იჭდა გათენებამდე მიცვალეზელის წინ, გაციებულ ოთახში. რვა საათზე ვალინა არკადიევანს დაურკა და თხოვა მოსულიყო.

— ცუდად ხომ არა ხართ, ტარიელ

გრიგორევიჩი? — არ მოეწონა სეროვას ტარიელის ხმა.

— ძალიან ცუდად, ვალინა არკადიევანა, — უთხრა ტარიელმა. რატომღაც ძალიან ნელა დადო ტელეფონის მილი აპარატზე.

მარიამი შესაძენ დღეს დაქრძალეს.

გაზაფხული კოლხური ბუნების სიჩაუქით მოვიდა ყორათში, მოვიდა უხვი და ცხელი მზით, მაცოცხლებელი ძალითა და დამთრობელი სურნელით. გადაიპენტა, გადაფერადა მიწა ყვავილებითა და სიმწვანით. მოფრინდნენ თბილი ქვეყნიდან ფრინველები. აჭიკიკდნენ, ამოერდნენ ხეებზე და ღობეებზე, ბუჩქებზე და ბალახებში, ალოკლიდა ღელეები, ახმურდა. დიდი და პატარა მდინარეები.

ფრონტებზე კი კვლავ იწვოდა მიწა, ინგრეოდა ქალაქები და სოფლები, სისხლით ირწყვებოდა ერთხელ უკვე მორწყული ბრძოლის ველები, ათასობით ეცემოდნენ იქ ჯარისკაცები და ოფიცრები.

დადგა მაკარის ჯარში წასვლის ეამი, დასთან ერთად ფოთის რკინიგზის ვაგზლის სადგურზე იდგა. მაკარს ნატაშას შეკერილი, ჯარისკაცის საველე ჩანთა ეკიდა მხარზე. შიგ პირსახოცი, პურის ნატეხი და გამხმარი თევზის ნაჭერი ედო, მეტი არაფერი ჰქონდა საგზალად.

ნატაშასა და მაკარის წინ წვევამდებლობით გაქედლი ვაგონი იდგა. ვაგონთან გამცილებლები ირეოდნენ.

მაკარი ორი დღით ადრე ჩავიდა ფოთში, რომ ჯარში წასვლამდე დარჩენილი ის ორი დღე დასთან გაეტარებია. ნატაშა რაც დრო ვადიოდა, სულ უფრო მძიმედ განიცდიდა ბათულის დალუქვას.

ნატაშასათვის მიატოვა ბათულიამ ბაბუ ბურდა, ფერმა, კოლმეურნეობა და ქარხანაში გამოჰყვანა ნატაშა რომ არა, არ წავიდა კარხანაში სამუშაოდ. ფერმაშიაც ისევე საჭირო იყო იგი, როგორც ქარხანაში, არც ბაბუს მიატოვებდა. ნატაშას გამო დაიღუპა

ბათულია. ეს ფიქრი თავიდან არ ამოდოდა, არც შინ, არც ქარხანაში, სადაც ახლა მუშაობდა.

ყორათიდან წამოსვლისას მაკარმა ციხანასა და ციას თხოვა გასაცილებლად არ ჩამოსულიყვნენ. ბრიგადებში გახურებული ხენა იყო გაჩაღებული და არ უნდოდა ასეთ დროს მოეცინა ბრიგადირები.

გარდა ამისა, უნდოდა, მარტო ნატაშა გაპყროლოდა ვაგზალში, მარტო დარჩენილიყო დასთან გამგზავრების წინ. ვინ იცის იქნებ ვერასოდეს ვერ ნახონ ერთმანეთი. უნდოდა განშორების წუთები სამუდამოდ დარჩენოდათ ხსოვნაში. უნდოდათ ელაპარაკათ განშორების ტკივილზე, მაგრამ უცებ იგრძნეს, რომ ეს ზედმეტი იყო და სათქმელი დაკარგეს, მხოლოდ თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ალბათ, ეს უსიტყვო საუბარი უფრო ბევრის მთქმელი იყო მათთვის.

ვაგონებს ელმავალი მოაბეს.

აჩქარებით ალაპარკდნენ ბაქანზე მდგარი დედები, მამები, დები და ძმები. აცილებდნენ ყმაწვილებს, რომელთაგან ბევრს ასაკით ჭერ არ უწევდათ ჯარში წასვლა და მოხალისედ მიდიოდნენ.

მშობლებისათვის ისინი ჭერ ბავშვები იყვნენ; მაკარს რომ არ გაეგონა დედების ტირილი, მამების დარიგება, ნატაშას ხელი მოკიდა, ვაგონიდან მოშორებით გაიყვანა ბაქანზე.

— ნატაშა, — უთხრა დას, — ბათულიას დალუპვის შემდეგ, ბაბუ ბურდას, შენ მოაჩინებარ შეილაღ.

ნატაშამ იცოდა, რომ ეს ასე იყო.

— მე წავართვი, ბაბუ ბურდას ბათულია.

— ხშირად ჩაკითხე ბაბუ ბურდას, — თხოვა მაკარმა.

— მივაკითხავ, — შეპირდა ნატაშა.

ნატაშა ცრემლს ვერ იკავებდა.

— დვიძლი შვილივით უყვარხარ ბაბუ ბურდას.

— მივაკითხავ, — გაუმეორა მას ნატაშამ.

— ჩემზე არ იღარდო, — თხოვა მაკარმა. — კარგი?

— კარგი, მაკარ! ვეცდები. დარწმუნებული ვარ, შენ დაბრუნდები... — უვნებელი დაბრუნდები, — ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე.

— ჰო, ნატაშა... რასაკვირველია, უვნებელი. აწი ომი მალე დამთავრდება. ჩერნიახოვსკის არმია ბელორუსიის მიწაზე ებრძვის მტერს. ჩვენს მიწაზე, ნაშატა, ჩვენი სამშობლოდან ერეკება. უცებ ორივემ ერთად იგრძნო ვილაცები უახლოვდებოდათ. მიიხედეს.

ბურდა კვარაცხელია და გულუია ესვანჯია მოეშურებოდა მათყენ. სამუშაო ტანსაცმელი ეცვათ. პირდაპირ ყანიდან და ფერმიდან მოდიოდნენ. ბურდას ის პატარა ხურჯინი ეკიდა მხარზე, ბათულიას რომ ატანდა ფოთში გაცილებისას.

მოდიოდა ერთი მალალი, გერგები, მეორე — დაბალი და გამხდარი, სწრაფად ეელოთ იმის შიშით, რომ მატარებელს ვერ მოესწრებდნენ, ოფლის ხვითქი გადასდიოდათ სახეზე.

ნატაშა და მაკარი არ ელოდნენ მათ. არავის არ ელოდნენ. ბურდა და გულუია რომ დაინახეს, გაეხარდათ, მიეგებნენ.

— რატომ შეწუხდით, — უთხრა მაკარმა ორივეს და კმაყოფილებით შეხედა მოხუცების სწრაფი საარულით წამონთებულ სახეებს.

— არა, შვილო, არ შეეწუხებულვართ, — უთხრა ბურდამ.

— მოვედით, რომ გაგაცილოთ. გამარჯვებით დაბრუნება გისურვოთ, — გულუიამ გაუღიმა. — აქედან ორდენით მკერდლამშვენებული გიშვებთ, ომიდან სხვა ორდენით მკერდლამშვენებული დაგვიბრუნდით.

თანავი გოგოლაძე

ცისფერი ცაცხლი

დოკუმენტური მოთხრობა

წამს დუმილი ჩამოვარდა. რუსუდან-
მა თავისი სათქმელი თქვა და გოგრი-
ტიანის სიტყვას დაელოდა. მიხეილი
ფიქრობდა, თავის სიტყვაზე დარჩენი-
ლიყო თუ დათანხმებულიყო. მაგრამ
როგორ არ უნდა გაეწია ანგარიში თა-
ვისი მფრინავისათვის, რომელმაც ასე-
თი კარგი ბიჭი მოუყვანა.

— კარგი, დაწერე განცხადება და
ჩაგრიცხავთ. — მიმართა აეროკლუბის
უფროსის მოადგილემ სახელეწილ
შოთას, მაშინვე რომ წამოდგა სკამიდან
და ემანდ კიდევ რამე არ მოხდესო, კა-
ბინეტიდან გაქცევა დააპირა, მაშინვე
დაეწერა განცხადება.

— მადლობელი ვარ. — უთხრა რუ-
სუდანმა გოგრიტიანს. შოთას კი შეგო-
ბრულად წაართყა ხელი, — წადი
ახლავე და დაწერე განცხადება.

კაბინეტიდან ერთად გამოვიდნენ. ამ
დროს ნესტორ მეტრეველიც გამოჩნ-
და. შოთა რომ რუსუდანთან დაინახა,
გაუკვირდა. ნესტორი რუსუდანს მიე-
სალმა და უთხრა, ეს ბიჭი ჩემი პლანე-
რისტია, აქ მისი ჩარიცხვა ვთხოვე და
ისეთი უარი მტყიცეს, ვერაფერს გავუ-
ბლო.

— ჩვენ კი უკვე მოგვარეთ საქმე, —
გაუღიმა რუსუდანმა, — ახლა განცხა-
დებას დაწერს და ჩარიცხვენ. რატომ
გოგრიტიანთან არ მიხვედი? არ იცი რა
გულიანი კაცია? — მერე შოთას მიუბ-
რუნდა, — წადი, დაწერე. მე ახლა ჩემ
საქმეს მივხედავ, ნახვამდის.

რუსუდანი ისე უცებ შეტრიალდა და
გაშორდა მათ, შოთამ მადლობის თქმაც
ვერ მოასწრო.

— საიდან იცნობ? — ჰკითხა ნეს-
ტორმა შოთას.

— გუშინ ქალაქგარეთ ვიყავი. აე-
როკლუბი იქ შეგონა და ვნახე როგორ
აფრინდა ჰაერში... რა ყოჩაღი ქალი
ყოფილა!

— ეგ განთქმული მფრინავი რუსუ-
დან ეორდანიია. არ გაგიგონია მაგისი
სახელი?

— როგორ არა... ეორდანიია! —
უცებ გაოცებით გაიხედა იმ მხარეს,
საითყენაც წელან რუსუდანი წავიდა,
მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა. რამ და-
აბნია შოთა, ასე რამ გამოათაყვანა,
რომ გუშინვე ვერ მიხვდა ვინ იხილა.

— აი თურმე ვინ ყოფილა! — პირი
დაალო შოთამ. მერე უცებ მოაგონდა,
განცხადება დასაწერი რომ ჰქონდა და

ნესტორ მეტრეველს რომელიღაც ოთახში შეჰყვია, სადაც ერთ-ერთ მაგიდაზე მან თავის სიცოცხლეში პირველი განცხადება დაწერა ნესტორის კარნახით.

— ახლა? — იკითხა შოთამ, როცა ხელი მოაწერა და თარიღიც დაუსვა — 1936 წელი.

— ახლა ადექი და შეუტანე მიზელი გოგრიჭიანს. თანხმობა ხომ მიღებული გაქვს. მხლებლები კი ყოველთვის საჭირო არ არის. ცაში მარტო რომ დარჩები, უფრო რთული და სარისკო საქმეებიც უნდა გადაწყვიტო.

შოთამ გაბედულად შეაღო აეროკლუმბის უფროსის შოადგილის კარი.

აეროკლუმბი სავსე იყო ახალგაზრდებით. აქ ვიწრო და მოუხერხებელ ოთახებში სამ წყებად მეცადინეობდნენ. სკამები რომ არ ჰყოფნიდათ, ზოგი მსმენელი რვეულითა და ფანქრით მთელი გაკვეთილი ფეხზე იდგამაგრამ აქ იქვენ ისეთი ბიჭები თავისი ნებით რომ მოვიდნენ საფრენოსნო საქმეზე და ახლა მათთვის მთავარი ის კი არ იყო, მერხზე თუ კოხტა მაგიდასთან გამოიჭიმებოდნენ, სულგანაბლნი უსმენდნენ ინსტრუქტორებს, მასწავლებლებს, რომლებიც აეროდინამიკას, ფრენის ტექნიკას, მანქანათა ნაწილებს აცნობდნენ, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებშიც უკითხავდნენ ლექციებს.

კომისიამ საფრენოსნო საქმისათვის ვარგისად ცნო შოთა მერკვილაძე და ერთ დღეს იგი მომავალ ავიატორთა შორის მოხვედრილი, კარებთან ატუხული უკვე ისმენდა პირველ ლექციას. მეორე გაკვეთილზე ერთი მასავით პირტიტველი, მთლად ბავშვური სახის ყმაწვილი გაეცნო და გაეხარდა, რომ მისი სეხნია ყოფილა, გვარად ცირამუა.

— ახლა ნე დადგები ფეხზე და შენ დაჯექი. — შესთავაზე თავისი ადგილი შოთა ცირამუამ.

— მე არაფერი მიჭირს, არ დავიღლები, — შოთას ესიამოვნა ახლადგაცნობილის გულკეთილობა და უმაღ

შეება იგრძნო უცხო ბიჭებში მოხვედრილობა.

კარგა ზონზროხა ბიჭებს მოეყარათ თავი. ბიჭები კი არა, ზოგიერთი მომწიფებული მამაკაციც იყო. უღვაშდამშვენებული. ცირამუა კი მათ შორის პატარა ბიჭივით გამოიყურებოდა, მაგრამ მერკვილაძეზე რამდენიმე თვით დიდი კი აღმოჩნდა. იგი თექვსმეტს გადაცილებული იყო.

გულში აგული იპოვა. ორი პირტიტველი ბიჭი იმ წუთებიდან ისე შეეწყვინენ ერთმანეთს, კლასში ერთი შოთასთვის რომ არ აღმოჩნდა დასაჯდომი ადგილა, მეორე შოთამაც უარი თქვა დაჯდომაზე. მაშინ ბიჭები ცოტა ხალვათად დაჯდნენ იმ სკამზე, სადაც ცირამუა იყო ჩაჭედული.

— რატომ დაქარგე ადგილი? — ჰკითხა მერკვილაძემ.

— ჩვენ მფრინავები ვართ, მედროგეები კი არა, — თვალი ჩაუკრა ცირამუამ.

ბოლოს და ბოლოს, დრო გავიდა და შოთა კლუმბში გაშინაურდა, ძალიან უნდოდა საკლასო ეურნალში ჩაეხედა გოგრიჭიანს, ენახა რომელ მსმენელს მეტი ხუთიანი ყავდა, თავს რომ იკავებდა მის მიღებაზე. ის კი, ის ბოროტი, შავტუხა კაცი მას მერე აღარც შეხვედრია, თვალიც არ მოუკრავს, ასე ეგონა ნიადაგ თავის კაბინეტში იჯდა და იქიდან არ გამოდიოდა.

მუდამ ხალისიანად არბოდა კლუმბის კიბეზე, ხელის კვრით ალებდა კარს და გარბოდა ვიწრო დრეფანში.

...ბიჭების ბედი კი გაზაფხულზე უნდა გადაწყვეტილიყო, როცა თეორიულად შეიარაღებულთ რუსთავში წაიყვანდნენ და თვითმფრინავში ჩასვამდნენ.

დადგა ნანატრი დღე. მთავარი და გადამწყვეტი ხანა აეროკლუმბის მსმენელებისათვის — ბიჭები საბარგო მანქანის ძარაზე შესხეს და აეროდრომისკენ გზას გაუყენეს.

მფრინავ-ინსტრუქტორი იაშა ანგუროვი, სუსტი აღნაგობის, მაგრამ მკვე-

რცხლი ახალგაზრდა კაცი, შოფრის გვერდით იჯდა კაბინაში.

ბიჭები მანქანის ძარაზე იდგნენ.

ქალაქის ქუჩებში საბარგული ნელა მიდიოდა და ხელხელგადახვეული ბიჭები მძიმედ ირწეოდნენ. საბარგული ქალაქს რომ გასცდა, ერევნისაკენ მიმავალ გზატკეცილიდან მარცხნივ გადაუხვია, რომელიღაც სოფლის შუაგულში ჩაიჭროლეს.

გაზაფხულის მზიანი დღე იყო. მზემ აქეთ თათქოს უფრო მეტად დააცხუნა და ბიჭებს უღაბნოს შშრაღმა ქარმა შემოუბერა.

სოფელი უკაცრიელი ჩანდა, მხოლოდ ერთგან, ბანიანი მიწურის წინ, ჯოხზე დაბჯენილი ახერბაიჯანელი ბერიკაცი გამოჩნდა. მანქანის დანახვაზე ხელი მოიჩრდილა და ისე გააყოლა თვალი დაფეთებით მიმავალ საბარგულს. ბერიკაცი მტვერში გაეხვია.

თითქოს განგებ, იქ სადაც გზა არ ვარგოდა, შოფერმა სვლას უმატა და ბიჭებიც მხიარულად ახმაურდნენ, მაგრამ მალე ერთმანეთს მიაწყდნენ და დაიბეგვნენ. მანქანა კი თავქუდმოგლეჯილი მიჰქროდა გორმახებიან საურმე გზაზე რუსთავისაკენ.

აეროდრომი რუსთავში იყო, იმ ტრიკალ, დაცემულ მინდორზე, სადაც ახლა ქალაქი რუსთავია გადაჭიმული. დიახ, ამ ადგილებს ახსოვთ პირველი თვითმფრინავები.

მანქანა აეროდრომზე მივიდა და ფიცრულ სახლებთან გაჩერდა, იმ სახლბს იქით მოჩანდა ორი მოზრდილი ანგარა, სადაც თვითმფრინავები ეყენათ.

შოფერმა ძრავა გამორთო და ანგუროვიც ვადმოვიდა კაბინიდან. ბიჭებს ასძახა:

— აბა, არწივებო!

არწივები კი დათეთქვილი ლეკვებივით, ძლივსლა იდგნენ ფეხზე.

— ამისი ყოფა არ იყოს, მგონი ალარაფერი მაქვს მთელი! — ტანსაცმელი გაიბერტყა შოთა ცირამუამ.

ბიჭები მანქანის ძარიდან ვადმოხტნენ. შოფერმა ერთი კი შეხედა თავის

მგზავრებს და უახლეს ანგარისაკენ გასწია, ალბათ ავიამქანიკოსებთან ჰქონდა საქმე.

ცირამუამ არც აცია, არც აცხელა, შოფერს მიადახა:

— მაღლობელი ვართ, ბატონო, ჩინებულად ვიმგზავრეთ!

შოფერი ყრუ-მუნჯივით მიაბიჯებდა და სულ არ ენალვლებოდა როგორ იმგზავრეს ბიჭებმა.

იაშა ანგუროვი ბიჭებს გაუძღვა და მიიყვანა ერთ-ერთ ფიცრულ სახლთან, რომელიც სიდიდით დანარჩენებისგან გამოირჩეოდა.

შესასვლელთან კაცი იდგა. მერკვილამემ შორიდანვე იცნო იგი. ეს მიხილ გოგრიჭიანი იყო, აეროკლუბში იშვიათად რომ ჩანდა, უმეტეს დროს თურმე რუსთავის აეროდრომზე ატარებდა. ეს მოგვიანებით გაიგო შოთამ. ამ კაცს ელოდა კიდევ აქ. მაგრამ ასე უცებ, კარებშივე თუ შეეგებებოდა...

— მოვედით, პატრუცემული მიხილ! — სამოქალაქო ყაიდაზე მოახსენა იაშა ანგუროვმა გოგრიჭიანს. ეს რალაც მოდუნებული, უნიათო პატაკი არ მოეწონა მერკვილამეს. იაშას უფრო მეტი სიყოჩაღე შეშვენოდა. ახლა ალბათ გზაში ძლიერ დაიღალა.

გოგრიჭიანმა ისე შეათვალა ბიჭები, თითქოს იაშა ანგუროვმა კი არა, ვილაც ყაჩაღმა, ადამიანების გამტაცებელმა, გასაყიდი ტყვეები მოუყვანა. ახლა ისლა აკლდა, ბიჭებისთვის კბილები გაეხინჯა და იაშასთვის ფასი ეკითხა.

ეს ყველაფერი შოთა ცირამუამ წარმოიდგინა და თავისდა უნებურად გაეღიმა. ეს კიდევ არაფერი. სიცილი ვერ შეიკავა და ფხუქუნი წასკდა. მაგრამ გრძნობა მალე მოთოკა.

გოგრიჭიანი ცივად მიაჩერდა.

— რაო, რა გაცივებს, ყმაწვილო?

— არაფერი, პატრუცემულო, — თავშეკავებით მიუგო ცირამუამ და ქვედა ტურჩე იკბინა. თავი დახარა.

— მე მგონი აქ სასაცილო არაფერიც, — მკაცრად შენიშნა მიხილმა, —

მფრინავს მეტი სერიოზულობა მართებს!

მერე ანგუროვს უთხრა, წაიყვანე, დააბინავეო.

ბიჭები რომ ადგილიდან დაიძრნენ, შოთას უცებ თავისი გვარი შემოესმა. წამით შეყოვნდა, ალბათ მომეჩვენაო. ხმა განმეორდა. შეტრიალდა და დაინახა, რომ გოგრიტიანი მას უყურებდა. ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო.

შოთამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— კმაყოფილი ხარ? — გაუღიმა გოგრიტიანმა.

— კმაყოფილი ვარ, პატივცემულო მიხეილ, — ხალისიანად მიუგო შოთამ.

— კარგია რომ სწავლაში სიბეჯითე გამოიჩინე. ახლა ენახოთ თვითმფრინავზე რას იზამ. იქაც უნდა იყოჩალო.

— ჩემი ოცნება ეს იყო, ჩემთვის მთავარი ფრენაა... ფრენა... — და ამ სიტყვებზე შოთას გაუცისკროვნდა თვალები, წამით ცას მოავლო მზერა.

გოგრიტიანმა თავზე გადაუსვა ხელი და უთხრა:

— წადი ახლა, დაეწიე შენს ამხანაგებს.

და შოთამაც ხალისიანად მოკურცხლა.

პირველი ნამდვილი გაფრენა, პირველი მღელვარე წუთები!

მაგრამ ეს იყო უბრალო გასეირნება მფრინავ-ინსტრუქტორთან ერთად, რომელიც თვითმფრინავს მართავდა.

დილიდანვე ლელავდნენ ის ბიჭები, თვითმფრინავში რომ არ მქდარან. მათ საღამო ხანს ვააცნეს მეორე დღის განაწესი. მაშინ შეიტყვეს, რომ მათ მფრინავ-ინსტრუქტორები მორიგეობით გაასეირნებდნენ ცაში. ეს იქნებოდა ცასთან ნაცნობობის დამყარების ყველაზე მარტივი საფეხური, როგორც გოგრიტიანმა თქვა. მაგრამ ამ „მარტივ საფეხურში“ დიდი მღელვარება იყო ჩაქსოვილი.

ბიჭები კარგა ხანს კამათობდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, მოუთმენლად ელოდნენ მეორე დღის გათენებას. და

აი, დადგა ნანატრი წუთი, როცა ანგარიდან ორი „უ-2“ გამოავორეს და საფრენ ბილიკზე დააყენეს.

ერთ თვითმფრინავს გრიშა გაგოშიძე მართავდა, მეორეს იაშა ანგუროვი. ორივე პილოტს ტყავის პალტო ეცვა, ბეწვიანი ქუდი ეხურათ ღიდრონი სათვალეებით.

ვინაიდან აეროკლუბში საკმაო სპეცტანსაცმელი არ ჰქონდათ, ბიჭები რიგრიგობით იცვამდნენ თბილ ქურთუკებს. ჩაისვამდა მფრინავ-ინსტრუქტორი კურსანტს, აგუგუნდებოდა თვითმფრინავი, გასრიალდებოდა ასაფრენ ბილიკზე, ღმუილით აიჭრებოდა ცაში, აეროდრომზე წრეს მოხაზავდა...

ბიჭები გულის ფანცქალით ელოდნენ თავიანთ რიგს და თვალს არ აშორებდნენ ცაში ასულ ორ მანქანას, მზის სხივებში რომ დაცურავდნენ. მერე რიგრიგობით ეშვებოდნენ, სულს მოითქვამდნენ მიწაზე და ისევ ცას უბრუნდებოდნენ.

შოთას ჯერიც დადგა.

სახეგაბრწყინებულმა, ფრენით მოგვირილი ნეტარებით აღვსილმა შოთა ცირამუამ, რომელიც ის იყო გადმოხტა თვითმფრინავიდან, თავიდან მოიშვლია ბეწვიანი ქუდი და მერკვილადეს ჩამოაფხაბა.

— რა ბედნიერება გელის, ვერ წარმოიდგენ!

შოთას აღრ ახსოვს რაიმე დრო დასჭირდა თუ არა საფრენოსნო ტანსაცმლის მოსარგებად, ცეცხლწაყიდებულებით მიიჭრა თვითმფრინავთან. იაშა ანგუროვი წინა კაბინაში იჯდა და კურსანტს ხელით ანიშნა, მის უკან კაბინაში ჩამქდარიყო.

ჯერ მოტორის გუგუნმა გააბრუა. თვითმფრინავი ადგილს რომ მოწყდა, შოთამ თვალები დახუჭა. როცა მანქანამ ცაში აიწია, სხეულის სიმსუბუქე და გულის სიმძიმე იგრანო. გულისა, რომელიც აქამდე მიწიერი სიცოცხლით ფეთქავდა და ახლაც მიწიერი ყოფა არჩია, თითქოს დაბლა დარჩენას ლა-

მობდა, ისე ეწეოდა, ამძიმებდა ჭაბუკის სხეულს.

ყურებიც დაუგუბდა. რაც უფრო მაღლა ადიოდა თვითმფრინავი, მით უფრო დაეხშო ყურთასმენა. თვალების გასვლას ვერ ბედავდა და ნერწყვს ყლაპავდა, რომ დაგუბებული ყურები გაეთავისუფლებინა.

რეზინის მილიდან, რომლითაც ინსტრუქტორთან იყო დაკავშირებული, ყრულ ჩაესმა:

— თავს როგორ გრძნობ?

თვალი აახილა. თვითმფრინავის ირგვლივ თბელი ღრუბლები ირეოდნენ, სიფრიფანა, სიფრიფანა ფთილები. ცა ისეთი კაშკაშა და ლურჯია, რომლის მსგავსი მიწიდან შოთას არასოდეს დაუნახავს...

ნეტაეი მიწაზე გადაახედა. რა ხდება ახლა იქ? როგორი ჩანს ზემოდან? გაახსენდა ალვის ხის კენწეროზე რომ მოექცეოდა ხოლმე კიცხში. და გუნებაში გაიციანა. ახლა ალბათ იმ სიმაღლეზე არიან, აქედან კიცხიც გამოჩნდება და ღურბინდი რომ მოიშველიოს იპოლიტე ბაბუასაც ვალანდაც თავის კარ-მიდამოში.

იაშა. ანგუროვმა სანახევროდ ისევ მოიხედა მისკენ, რეზინის მილში ჩასაძახა და ხელითაც ანიშნა, როგორ ხარო.

— კარგად, — უპასუხა, მაგრამ თავისი ხმა ოვითონვე ვერ ვაიგონა. ძალა მოიკრიბა და ხმამალა ჩაპყვირა მილში:

— კარგად, ძალიან კარგად!

ეს კი, მართლაც, ისე ხმამალა გამოუვიდა, მარტო ანგუროვმა კი არა, ალბათ მთელმა ჭვეყანამ გაიგო, რომ თვითმფრინავში ზის ბიჭი, შოთა მერკვილაძე, რომელიც კარგად არის, ძალიან კარგად.

მერე ბიჭები ერთმანეთს უზიარებდნენ პირველი გაფრენით მიღებულ შთაბეჭდილებას. ყველას გადმოუხედავს მიწაზე. შოთამ კი ვერ გაბედა...

ერთი კვირის მერე, როცა უკვე პირ-

ველი საფრენოსნო გაკვეთილი უნდა მიეღო მფრინავ-ინსტრუქტორისაგან, თვითმფრინავში ისევ იაშა ანგუროვმა ჩაისვა შოთა მერკვილაძე. ინსტრუქტორის მითითებით მას რამდენიმე მარტივი ილეთი უნდა შეესრულებინა.

თვითმფრინავმა აეროდრომის თავზე წრე მოხაზა და მაღლა აიწია. შოთას უხაროდა ფთილა ღრუბლებს რომ უახლოვდებოდნენ, გაზაფხულის მზის სხივებში რომ ალივილივდნენ... ახლა ისე ეჩვენებოდა, თითქოს თვითმფრინავი კი არ იძვროდა, მათკენ ღრუბლები მოისწრაფოდნენ...

ამჯერად შოთას ისევე ეჭირა საჭე, როგორც იაშა ანგუროვს. მაღლა რომ ავიდნენ, მერკვილაძე წუთი-წუთზე ელოდა ინსტრუქტორის ბრძანებას, მაგრამ რატომღაც აყოვნებდა იგი. ერთხელაც არ მიუხედავს კამბინაში გატრუნული კურსანტისათვის, დაძაბული რომ ჩაფრენოდა საჭეს.

— რა სიმაღლეზე მიფრინავთ? — ესმის რეზინის მილში ანგუროვის ხმა შოთას.

ამ შეკითხვას კი ნამდვილად არ მოელოდა იგი. უცებ ისე დაიბნა. იმის ნაცვლად, სიმაღლის მაჩვენებლისათვის შეეხედა ხელსაწყოების დაფაზე და ინსტრუქტორისათვის დაუყოვნებლივ ეპასუხა, თავი გვერდზე გადასწია, კისერი წაიგრძელა და მიწას გადახედა.

ეს იყო რაღაც საოცარი სანახაობა.

ნაირფერად აქრელებულ მიწას ერთიანად ცისფერი ცეცხლი ეკიდა.

ცისფერი ცეცხლი, მზურვალე აღმურით...

ეს დედამიწის სუნთქვა იყო, ცოცხალი და მარად მშვენიერი პლანეტის სუნთქვა.

შოთა მერკვილაძეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მფრინავისთვის აუცილებელი იყო თვითმფრინავიდან გადმოსტომა. მის შეგნებაში გამორიცხული იყო ყოველგვარი ავარია, მა-

რცხი... ის მხოლოდ დანაწარმობდა ცის ლურჯ კამარში. ყმაწვილისათვის ავიატრობა მხოლოდ ნაწარმი იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ავიაკლუბის განაწესს რომ გაეცნო, იქ საპარაშუტო საქმის შესწავლაც შედიოდა. შეფიქრიანდა და ცოტა არ იყოს შიშითაც ელოდა იმ დღეს, როცა თვითმფრინავიდან უნდა გადმოშტარიყო.

ამ შიშით სხვა ბიჭებიც იყვნენ შეპყრობილი.

„მორჩა, ყველაფერი გათავდა... თვითმფრინავის ფრთას მოეწყდები თუ არა, სულიც გამძვრება...“ — შიშით ფიქრობდა შოთა.

თვითმფრინავები პარაშუტით ხტომისათვის მოამზადეს.

ბიჭებს დანა კბილს არ უხსნიდა. თითქმის ყველას ნაცრისფერი დასდებოდა. ზოგიერთი ცდილობდა ამხანაგებს ყოჩაღად სჩვენებოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა ნაძალადევი ოხუნჯობა.

ყველა დამაბული იყო. ნაცემი ხარებივით მიიზღაზნებოდნენ თვითმფრინავისაკენ. ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ.

ერთ-ერთ თვითმფრინავთან გრიშა გაგოშიძე ვილაც უტხო გოგონას ესაუბრებოდა. ვინ იყო? რა საქმე ჰქონდა ამ დროს აეროდრომზე? გრიშას ისე შინაურულად ელაპარაკებოდა, ბიჭებს მისი ნათესავი, ან ახლობელი ეგონათ. ნამდვილად განგებ მოიყვანა გაგოშიძემ, უნდა აყურებინოს რა ცოდვა ტრიალებს ახალბედა მფრინავების თავზე, როგორ შიშობენ და განიცდიან პირველ ნახტომს. ვინ იცის, ეს გოგონა რამდენს დასცინებს გუნებაში, მასხარად აივლებს. ანდა, იქნებ იმიტომაც მოიყვანა გრიშამ, რომ ბიჭები გაემხნევიან, ვითომ ქალისა შერცხვებათ, მოერიდებათ და გაბედულება მიეცემათ, სითამამეს მოიკრებენ და შიშს განიქარებენო.

გოგონა არ იყო ლამაზი, არც ულამაზო ეთქმოდა. ტანდაბალი იყო, ხალისიანი ჩანდა.

შოთა ცირამუა მერკვილიძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— სწორედ ეს გვაკლდა ახლა! ამისთანა დროს ქალს რომ აეროდრომზე მოიყვანენ და ჩვენს ტანჯვას აყურებინებენ, ამათი რალა უნდა იწამო!

ამ დროს გრიშა გაგოშიძემ რიხიანად შეუძახა ბიჭებს.

— რა ინდოურებივით იფხორებით? გახსენით შუბლი, გაიციენთ! ხომ არ გეშინიათ?

ყველას მაგივრად წინ შოთა ცირამუა წამოდგა, თავს ძალა დაატანა და ეცადა რაც შეიძლება გულადად ეთქვა:

— სიხარულით ველოდით ამ დღეს, შიში რა ბრძანებაა, პატივცემულო გრიშა... ხტომისათვის მზად ვართ... ასე კი არაა საქმე... თუ გინდათ ყველა ერთად გადმოუხტებით, აბა!

გოგონას ნიშნის მოგებით გადახედვდა ყელი თავმომწონედ მოიღერა.

ზოგიერთ ბიჭს სიცოლი წასკდა. გაგოშიძემ და იმ უცნობმა გოგონამაც გაილიძეს.

— აბა ვნახოთ, რა ბიჭები ხართ!... ოღონც ცოტა ხანს გეცალეთ... — მიმართა ბიჭებს გრიშა გაგოშიძემ, მერე გოგონას მიუბრუნდა, — აბა, მოემზადე, ანიკო!

მოემზადეო? ბიჭებმა პირი დააღეს, როცა ანიკომ პარაშუტი მოირგო. გაგოშიძე მიეხმარა ქამრების შეეკრაში. შეათვალერა, ხელკავი გამოსდო და თვითმფრინავთან მიიყვანა. მერე ორივენი ჩასხდნენ.

ნუთუ მართლა უნდა გადმოხტეს ეს გოგო? თუ ბიჭების დასანახად მოაწყვეს ეს ცირკი?

— მართლა უნდა მოიკლა თავი, ამ გოგომ რომ გვაჯობოს! — თქვა ცირამუამ.

ძრავა აგუგუნდა, თვითმფრინავი დაიძრა, მიწას მოწყდა და გაგოშიძემ ცაში გაიტაცა გოგონა.

თვითმფრინავი სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა. აეროდრომის თავზე წრებებს ხახავდა და ღრუბელთა სამფლობელოში აღიოდა. მალე სულ მთლად დაპა-

ტარავდა, თითქოს ერთ ადგილზე გაჩერდა. უცებ ბიჭებმა შენიშნეს ცაში პატარა ქოლგა და მის ქვეშ შავი წერტილი.

— პარაშუტისტი სადღაა? — ანგარიშშიუცემლად იკითხა ვილაძემ.

— აცალე, ბიჭო... ასე უცებ მისი მაჯის საათით ხომ არ გინდა. დაინახო, — უპასუხა მეორემ.

სანამ ანიკო წიკლაური მიწას შეეხებოდა, აეროდრომზე დაგვიანებით მოვიდნენ მიხეილ გოგრიძიანი, საავიაციო რაზმის მეთაურები — ალასანია, ჩინჩა-ლაძე, ეპიშვილი და ინსტრუქტორი ჩხეიძე. ისინი ცას მიაჩერდნენ, საიდანაც ნელა ეშვებოდა პარაშუტისტი.

შთავარი სიმაღლე იყო, თორემ შოთა მერკვილაძე ადრეც გადმოშტარა პარაშუტით. მუშტაიდის ბაღში იყო საპარაშუტო კოშკი. იქიდანაც კი ყველა როდი ბედავდა გადმოშტომას, მაგრამ შოთამ გაბედა და რამდენჯერმე გადმოშტა. ახლა იმ დღეს იხსენებდა და გულს იიმედებდა, რომ იგივე განცდა იქნებოდა ათასი მეტრიდანაც... გულს იიმედებდა, რომელშიც შიში შეპარულიყო და არა და არ გამოდიოდა.

პარაშუტი კი ნელა, ლამაზად ეშვებოდა. აი, საცაა მიწას შეეხებოდა პარაშუტისტი. ისე ეტყობოდა, არხეინად იჭდა ლევდებზე და ცის ფერიასავით ეშვებოდა მიწაზე.

როცა ანიკო წიკლაური მიწას ფეხით შეეხო, ერთი შექანდა, წაიბორძიკა, მაგრამ პარაშუტის ლევდებს ღონივრად ჩასქიდა ხელი... პარაშუტი მიწაზე დაეფინა და ანიკომ გამარჯვებულის იერით გამოხედა მფრინავებსა და კურსანტებს.

— ყოჩაღ, ანიკო! — ვინ იცის მერამდენედ იძახდნენ ალასანია, გოგრიძიანი, ჩხეიძე და ეპიშვილი.

ბიჭებმა ვერაფრის თქმა ვერ გაბედეს, ოღონდ ალტაცებულნი კი იყვნენ მ გოგონას გამბედაობით.

მფრინავებმა ჩხეიძემ და გავოშიძემ რიგრიგობით აიყვანეს თითო კურსანტი გადმოსახტომად.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა.

ისინი, ვინც უკვე შეასრულა ხტომა, ალტაცებას ვერ ფარავდნენ.

ამჯერად თვითმფრინავები ძალდა არ აღიოდნენ. ბიჭები გადმოშტომისთანავე შლიდნენ პარაშუტს. დაბალ სიმაღლიდან დაყოვნებით მაინც ვერ გადმოშტებოდნენ. ეს სარისყო იყო. ამასთან, დაყოვნებას რომელი ახალბედა გაბედავდა! ისინი თვითმფრინავის ფრთას მოწყვდებოდნენ თუ არა, უმაღვე პარაშუტის რგოლს გამოჰკრავდნენ ხელს.

დადგა ის წუთი, ის საბედისწერო ეკამი, როცა მფრინავმა ვახტანგ ჩხეიძემ უბრძანა კურსანტ შოთა მერკვილაძეს კაბინიდან ფრთაზე გასულიყო. შოთა კი არ გადავიდა, გადაფოფხდა, მაგრამ როგორც კი ჩხეიძემ შეატყო, რომ კურსანტი ისევე კაბინაში აპირებდა დაბრუნებას, თვითმფრინავი გადახარა და მაშინ კი ყველაფერი წამში მოხდა.

— ჩვენ მივდევიართ დაჭრალი მხედის კვალდაკვალ, მწავარი და დაუნდობელი მხედისა,

რომელსაც შეუძლია ყველაზეაიხი ავანტიურა მოგვიწევს. დაპირილი და მოუხელოებელი მტაცებელი ნაღობი ზედმეტად საშიშია.

ეს თქვა დივიზიის არტილერიის უფროსმა პოლკოვნიკმა კროხოვსკიმ და თითქოს ჩემი ნათესაობის ხმაზე გაიშინა. ჩვენ, მე და ის 1200-ე პოლკში მდებარეობით, რადგან ამ პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ვლოდვიმმა ნაბეჭები საათის წინ შტაბს აცნობა, რომ მდინარე შარას მისაღვომებთან მტერი წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრიერისზე გადმოდისო და ახლა სწორედ იმიტომ მივდივართ, რომ ვითარება ადგილზე გაგვერკვია და პოლკის მეთაურისთვის აუცილებელი მითითებები მოგვეცა.

პოდპოლკოვნიკმა ვლოდვიმმა მოგვახსენა, რომ მტერებლები ყოფილი პოლონეთის არმიის მიერ მდინარე შარას ნაპირზე მოწყობილი ნაშენებელი სარგებლობენ და რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერისზე ერთ პოლკამდე ქვეითი ქარით, რომელსაც ოციოდე ტანკი და თვითმავალი უბერდა მხარს. პოლკმა წარმატებით მოიგერია მტრის კონტრიერისზე და მ იეილის, ნაშუადღევს, მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გამოვიდა.

როგორც კი პოდპოლკოვნიკმა ვლოდვიმმა ეს მომახსენა, ამავე წამს ვუბრძანე დივიზიის არტილერიის უფროსს პოლკოვნიკ გროხოვსკის, რომ საჩქაროდ მოეშაადებინა ძლიერი საარტილერიო მხარდაჭერა წინ გაბრძნობ პოლკის ნაწილებსა და მისთვის გამოეყენებინა 921-ე საარტილერიო დამმტყორცნელი დივიზიონი, ზოლო ვლოდვიმს — განებორკილებინა არტილერიასთან ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, გაეტანა რღვეული მტრის თავდაცვაში, გადაეღობა მდინარე შარა და დაეკავებინა პლაცდარმი მის მარჯვენა ნაპირზე.

ეს ამოცანა ნაკლები დანაქარგებით რომ შეგვესწორებინა, საჭირო იყო საჩქაროდ დაგვეზუსტებინა დივიზიის პირისპირ მდგარი მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალების რაოდენობა, დივიზიის დაზუსტების უფროსმა მაიორმა ანტიპენკომ მოთხრა:

— აქ ახლოს პარტიზანები არიან. ისინი კარგა ხანია, რაც კამ ადგილებში მოქმედებენ და შეიძლება ძვირფასი ცნობები მოგვანოდონ მოწინააღმდეგის ძალების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ, დაზუსტებით მონაცემების დაზუსტებისას, წინათაც არა ერთხელ მივეიმართავს პარტიზანებისათვის ასეთი თხოვნით და მათი მოწოდებული ცნობები ყოველთვის დიდ დახმარებასაც გვიწვევდა საბრძოლო ოპერაციის სწორად დამუშავებაში.

მე მოვიწონე ანტიპენკის წინადადება და სულ მალე ჩემს ბლინდავში, სადაც დივიზიის

სათვალთვალო პუნქტი იყო მოთავსებული, ოცდაათიოდე წლის მაღალი მთელად ტანადი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. მისი სახელი იყო სახმედრო ფორმა ეცვა. ქუდზე წითელი ვარსკვლავი ეყუთა, ზოლო ქმარზე უზარანზარი მათურები ეყიდა.

— კოშაკის პარტიზანული დივიზიის პირველი პოლკის მეთაური კაპიტანი ბაქრაძე, — წარმოამდგინა თავისი თავი.

უნდა გამოეტყუდე, რომ თავისი წარმოსადგენი გარეგნობით ჩემმა თანამემამულემ პირდაპირ მომხიბლა.

სკამი შეთავაზე და ჩვენთვის საჭირო ცნობების გამოცხობვა დაუწყე. პარტიზანთა მეთაური გარკვევით და სახმედრო საკმის სრული ცოდნით მასუბობდა. მისი მოწოდებული ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ ჩვენს საბრძოლო გეგმას ახლაც საფუძვლად დაედო.

ოციდაათი საუბარს რომ მოვრჩით, მე ვთხოვე ბაქრაძეს, როგორ მოხვდი-მეთქი პარტიზანებში, და რეგულარულ არმიასი, კერძოდ, ჩემს დივიზიასი გადმოსვლა შეუთავაზე, მაგრამ იგი არაფრით არ დამთანხმდა.

— როგორც ჩანს, მე პარტიზანად დავიბადე, — მითხრა ხუმრობით, გამომეშვეილობა და წავიდა.

მეორედ მე და ბაქრაძე ომის შემდეგ, 1946 წელში შევხვდით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის პირველ სესიასი, რომლის დეპუტატებადაც ორივენი საქართველოს ნაწილებში მიერ იუყავით არჩეული. ვახარებულემა გადავკოცნეთ ერთმანეთი და ბარანოვიჩის ბრძოლება გავიხსენეთ. უზომოდ ვამაზარა მის მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირობის ოქროს ვარსკვლავის დანაბეჭ. და გულითაც მივლოცე.

ამ ცოტა ხნის წინ ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია პოლონეთში ჩავედით. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა პოლონელმა ამზანავებმა დაეთ ბაქრაძე მოიკოთხეს. გულისტკივილით ვაუწყეთ მათ, დავით აღარ არის-მეთქი. პოლონელმა ვეტერანმა საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძის ხსოვნის აღსანიშნავად ერთ-ერთ საშუალო სკოლას მისი სახელი უწოდეს.

...სათვალთვალო პუნქტიდან პარტიზანთა მეთაურის წასვლის ცოტა ხნის შემდეგ, დივიზიის მეთაურმა ძალებმა გადმოინაცვლეს, შვ. გრამ ქერ კიდევ მათ მოსვლამდე, მე პოლკის მეთაურები გამოვიძახე და მდინარეზე გადახვდის უბნები ვაწუსაზღვრე. ასევე ვანუსაზღვრე ურთიერთშეთანხმებული მოქმედება ჩვენთვის დართული ნაწილებისა და მხარდაჭერა ავიაციისა, რომლის მეთაური დივიზიის საკომანდო პუნქტზე იმყოფებოდა.

მ ლ ე

ოღე.
ოღე.
მარტოველი...

გიორგი ლეონიძე

„ავტობორტეტი“, 1921 წელს დაწერილი ლექსი, არ უნდა ჩათვალოს ავტობორტეტად გიორგი ლეონიძის; არც ეს ერთიანი, — „ცხელ რუხულანის მესახეება მე ხარცელი“, არც ეს სიმბოლისტური ენიანობა, — „არტაურ რემბოსთან ბიოტ ტყუბად ჩაბუტებული“, უშუალო არაა, ბუნებრივად არ არის პოეტისათვის, გარკვეული უფრო, ზეგავლენა უფრო, მიტმანებული უფრო შეტადა, ანუ პოეტური შედარებით რომ გამოიხატოს, ფოთოლივითაა, ნაირფერი ფოთოლივითა შემოდგომისა, ქარი რომ შეაფრინდა და ქარივე შემოაბერტყავს ზოღზე; თუმცა შეიძლება ეს ერთი მანქნ მიუსადაგდეს ამავე ლექსიდან, — „ახეთის მსუქან თეძობის ვწოვე მტევნები“ მიუსადაგდეს ისე, აზრისა და თორემ შეტაფორა ფუტურისტული სხვაგან აღარხად ვაუარება.

ავტობორტეტი უფრო „ოღე“, ავტობორტეტი გიორგი ლეონიძისა, 1921 წელს დაწერილი ლექსი; ის თუ — „შენზედ მარტო არაინ არა, შენზე უფრო შეტად“, ანუ — „ცაშე ეღე შეიკლანა, შენკენ შემობრუნდა“, გინდაც — „შეგნიღანვე გამოწყარო მარტოობის შხანით, შეგნი-შეგან დახლებილ შრეებდა და კუცად, ყოჩანისგან ჩაყფილო ზეო ერთი ბენვა“, სახეა მართლაც რომ პოეტისა, სხვა სტროფები თუ ტაეები უფრო რომ ადავებებ, უფრო რომ სრულყოფს, უფრო ნათლად რომ წარმოვლავნებს ხანათისა თუ ბუნებას იმისა, არსსაყ იმისი შემოქმედებისა, რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედებისა;

რთულია და წინააღმდეგობრივისამეთქი, — სულ სხვა ვარსკვლავზე რომ დაბადებულიყო ეს სულ სხვა ვარსკვლავს რომ ეტანებოდა; სულ სხვა გზა რომ იყო სასწრაფველი მისი და გზისა სულ სხვას რომ დახვდებოდა; სულ სხვა სევდას რომ აეტანა და სულ სხვა სიხარულს შესთამაშებდა;

შესთამაშებდა და რომ ეგონათ, დარღმანდი თუ უკვლად უწარუნველი, გაჩენილი ღმინისათვისა, რომ ეგონათ და რომ არჩევდნენ უწვლვან თამადა, უწვლვან და უკვლეოვისა; რომ იჩივდნენ და, რომ არჩევაც რომ არ უნდოდა, — თამადა გახლდა უკვლ სუფრაზედა, უმადლებსა თუ ოფიციალურსა, თავგამოსაჩენსა თუ თავგამოსადებსა თუ პატარა, მცირე, მეგობრულ სუფრაზედა, სადმე ხარდაფსა თუ სადმე ფარდულშია, ჩანახის ქამთაგან ავარდნილ ორთქლში, დიდ კორწილებსა თუ პატარა ნიშნობაში, საწყალი, ღარიბი კაცის ნიშნობაში, დიდ ქვლებში თუ სახელდაბული შესანდობარში, ფსონით გადახდილ შესანდობარში, თამადაც გახლდა და დიდებული თამადაც იყო, თავისებურიცა და შესაფერისიცა თუ შესაბამისი ადგილისა და პირობებისა... დიდთან დიდი და პატარასთან დიდი, — თუმცა რომ უთქვამო, დიდთან დიდი და პატარასთან პატარაო, აქ ისე არ გამოვლადდა, უფრო ასე შეფერებოდა; დიდი დიდთან და პატარასთანაც, — თამადა დიდი და დიდებული, რისიანი, ომბიანი, სიტყვახვარადილი, სიტყვახაბიერი, ყურადღებოანი, მომღბენი, აწყლია, აწყლიებელი, წარმშარა-

ველი დაუქანდავი ღვინისა ღვინო, დარდასა ვერსო, უფრო ღვინისა, სადაც არ დედა თუ ამოდულდა ზარის წყაროსებრა, თვითონ არ უმერა, ამოდულდა და ინთქებოდა ხეცოცხლეთა, ინთქებოდა და ინთქებოდა:

რო შეხვედრის ამ უფათა ვიორსი ღვინო-ნიძვი, — უფრო ამ უფათა, — ასეც დაუხატავთ წიარღებებსა თუ მოკრებებში, მაგრამ ასეთი არ იყო შეთქო, ანთ უკეთ არ გამოითქვას: ეს იყო მხოლოდ ერთი შტრიხი, ერთი ელფერი მისი, მისი ზნაობისა, არა თუ არსი მისა ზუნებისა, სულსა მისისა; ეს ისაც გახლდა, თუ ჩაუვებოთ ძირისძირამდისა, რომ მიეცემოდა შედლის არსებითა, რაც ატაცებდა თუ მოკიდებდა რასაცა ხელსა, და მიეცემოდა ამა-საც ისევე, — ასევეობდა და აყოლებდა; მიეცემოდა იქვე, იქვე, იმა წუთებში, და ბტოვებდა იქვე, გამოეღებოდა მარტოდა ასევე, ვითარცა შევადოდა, მარტოდა ცხადია, გამოეღებოდა აჩქარებითა, აჩქარებითვე არ შევიდოდა, თითქოს მისდევინ და უნდა გაეცეხო, თითქოს ეწევა და ვერ დასწევიათ, — ასე შევიდოდა და ასე გავიდოდა: გაურბოდა და ვერ გამოქცეოდა, ეწეოდა და ვერ დასწევიათ; გაურჩარავ უკან გამოხედოდა, ნეტავი თუ ვის გამოურბის, მიეკერა ბევრჯერ წინადა, ნეტავი თუ ვის მიჰყვინთო, მაგრამ თვალებზე არ მოჰყვებოდა არც არავინა და არც არაფერი, რამეთუ რაც იყო, ერთი გახლდა იგი ორივეა, ერთი გახლდა და მასზევე იყო, მის არსებაში, ერთი, ერთადერთი, განუღებელი თუ განურყრელი ვაქცია იგი მარტოობისა, განცდა ოდესი, ოდებობისა;

თუ გაურბოდა, გაურბოდა მარტოობისა, მარტოობისზე მიეშურებოდა;

წერდა არ ბევრსა, ბევრ საქმესაც მოჰქიდებოდა, საზოგადოებრივისა, / სახსაზურებრივისა, მისხანდა ისე, თითქოს ესაა, რომ აჩქარებოს, ოღონდ მოსჩანდა, მხოლოდ მოსჩანდა, იმას უძღვოდა ბევრად ადვილად, სიმარტოვეს ვეღარ უძღვოდა; ზნაობად თვითონვე შეპყროდა ზალბსა, ზნაობად თუ უკოდებოდა, არად ჩაუვებოდა, რა თუ ერთგობადა, არტებოდა თუ არადანი, შეპყრობა და სწუხობა მერე, საით გამოქცეოდა აღარ იყო, სწუხობა, ღონობა, ეწამებოდა, ღვინი იქნებოდა თუ კრება იქნებოდა, ერთიორად ეწამებოდა; ეწამებოდა და მერე როგორ ეწამებოდა, უფრო მაშინა, მწერალთა კავშირს რომ თავმჯდომარეობდა; აღარ უნდოდა ის უმარავი განხილვები თუ პექრობანი, მემკვიდრეობად რომ გადმოსცემოდა, აღარ უნდოდა და მკვეცავდა კოდცა, როგორც რომ შეეძლო, რაც არ შეეძლო, მაინდობდა სხვათა, დავიანებდა უსათოდ, მოახელთებდა და გასწორებდა; მერე რომ სულად მოიხალა განხილვანი თუ პექრობანი მწერალთა კავშირში, აქედან დაიწყო და მოიხალა, დავიანებდა წარმატებით; ოღონდ მოეწეა სხვადასხვა; გახლდა, მერე სულ სხვა, მაშინ სულ სხვა: მაშინ ის იყო, თვითონვე

იყო, ნდომი მისი განმარტოებისა, ჩაძრებისა პოეტურ ხილვებში, ენის ხილვებში, ქართული ენისა, რადა თქმა უნდა, რომ ენაზედაც ასევე საოცრად, რომ ანათებდა, სასწაულებოდა ლექსებში მისი, მერე პროზაშიცა, მშვენიერ წიგნში, „ნატურის ხე“ რომ ეწოდა; და მოიხარდა გულად ამითაც ქართულ პროზაზედაც, თანამედროვე ქართულ პროზაზედაც, თორემ თუ ვიტყვით ვამოტეხილდა, — აღარც რომ სწამდა ქართულა პროზა და აღარც რომ კითხულობდა ვახილ ზარნოვის მერე; ქართული კლასიკური ლიტერატურა არ იყო და ჩინებულად, კლასიკური თუ ხალხური, პოეტური იქნებოდა თუ პროზაული, ამას არ უნდა დასტური ჩემი, რომ არ დასტოვებდა არცერთ ლექსსა წაუკითხავსა, თანატოლისა იქნებოდა თუ ახალბედისი, რომ იმეორებდა მოსაწინ ბტოვებსა, თუნდაც იმწუთს გამოჩენილთა ჩვენიც ასპარტზედაც, არც ამას უნდა დასტური ჩემი, ხოლო გული რომ ავტოვებოდა თანამედროვე პროზაიკოსებზე, ეს მეც რომ ვაკი, არ დაუშავს არც არავისთანა და იქვე ეტყობოდა, იმა განხილვებისა თუ პექრობებზე, რომ არ დასძრავდა არც ერთხელ კინცხა, რომ არ დააწევდა სიტყვას არავისა, ვაგონებდა რომ არ უნდოდა, მაგრამ რომ იქნა, რომ უნდა აუტანა და, რომ იტანდა; თუშეცა დროდდრო გამოსთხოვდა პაპაროსს ვინცნა, გამოსთხოვდა და ჩაბრუნდა დარბაზსა, ვითომ და რა, ვართ მოეწეოდა, სხვები რომ იქვე გააბოლებდნენ, რომ კვარტალმდენ უღმერთოდა სასაქმეოებისა ხალხისა; ეს არ ეწეოდა, არც ვართ, რადა თქმა უნდა, ჩაქრობებდა მხოლოდ და მხოლოდა ჩაქრობებდა და ამოქრობებდა, ისევე ისევე, თითქოს გაურბის და თითქოს უნდა დეწეოს;

რო მოიხარუნა გულიმეტი ქართულ პროზაზედა, „ნატურის ხე“ რომ გამოაქვეყნა-მეთქო, მერე კითხულობდა სხვათა ობზულებებისა, კითხულობდა ასე, ჩუმულად, ერთი ვნახით და როგორ მოვლენ „ნატურის ხესთანა“; ვერ ვუტყვი, თვითონ თუ არ დაასკვნა, ხოლო ვუტყვი, დანიარტობდა ჩვენი პროზა უამრავოდა; რაც უნდა იყოს, ვერ გადაიკითხა მაინც რომანები კონსტანტინე განსაზურდიისი და უნდოდა გიგო და ზნაობად იკითხავდა: მართლათუ ისე დიდა კონსტანტინე, თვითონ რომ ბრძანებს, თუ მართლად ისე პატარა არის, ბტრები როგორცა ლაპარაკობენ. ზეპირად ახსოვდა ახალგაზრდული, მოდერნისტული ლექსები მაისი, ახსოვდა ზოგი მაშინდელი ნოველადაც მისი, ახსოვდა და ვასწავდა კოდცა, დანარჩენზე დაიღმებოდა; იმასაც ვასწავდა განცალკევებითა, პექრობაში არ ჩაეროდა, მიითმეტეს თუ ბურს რომ ადენდნენ კონსტანტინე განსაზურდიისა; მერე შემოხვევით ისიც ვიძებნე, კონსტანტინესაც რომ არ მოავიდნებოდა აღარაფერი ღვიწიბისა ახალგაზრდული ლექსების მერე, იმა ლექსებისა, სად რომ ვახსოვდა, — არტაურ“

„კოლა“ „სტეფენ...“ და მისთანანი; მაშინ ვის-ხედით პატარძელში, ლეონიძეთა სახლში ვის-ხედით, საგარეგნო გუნდი მღეროდა გარეკაბურ მრავალგამიერსა, მღეროდა ისე დახალ ხმაზედა, რო აქოლოდა კონსტანტინეს სადღევარძელისა: პირველად ვართ მე და გოგლა ერთ სუფრას-სთანო, პირველად ანა მომიპატივა, ახლა ჩემი ჭერი არისო, — მაშინ ვიკვებ, აი მაშინა, კარ-გახნის წინათ რო დასცილებოდნენ ერთმეორე-სა, მშარდაშარ დგამო რო მონდომებოდათ, იღონდ და რაო, ისე მოსხებილი წიელი აღარ მოუჩანდა კონსტანტინეს თავის ძვალ ჩოხაში და ვიორგისაც აღარ მოუჩანდა თვალში ის ცუ-ცხლი, ნაღველას ფერიც შორეოდა სახესა მის-სა, მაგრამ და მაინც არ შეიშინებდა, გუნდს მისძახოდა თითქოს ძველი ოპებითო, შენიკა-ხური მოყოლიდით, ანთ თვითონვე წამოიწ-ყებდა: ლეონიძე კობა ბიჭო, შენ გენაცვალუო, — თითქოს ძველივე ხალხითაო.

ზეიმებზე სხვად იქცეოდა, საიუბილეო ზე-იმებზედა, — სიმარტოვე რო აღარ ახსოვდა, აღარც უნდოდა, აღარც შეეძლო, თავს მოუყ-რავდა ხევრას და ხევრას, სამზადისსაც რო სკი-რდებოდა, თვით ზეიმსაც რადა თქმა უნდა, — აწყობაც რო ეადვილებოდა, გაძლიაც რო შე-ეფერებოდა, მოთავებობაც რო ეამაყებოდა, თა-ვის თავსაც რო ვაძეკებოდა და თავს მოეძეკე-ბოდა თავისავე თვისა, რო გადახმებდავდა იმა-ლმუჯარსა, საზეიმოსა, ორხვეთია თუ არწივავი-თა, მაშინ სხვა იყო, რადა თქმა უნდა, მაშინ იყოდა თავდავიწყება, ზეიმსაც შო ეს უხდე-ბოდა, — თავდავიწყება ჰქონდა ზეიმსა, ხალ-ხის ზეიმსა, დავიწყებაში რო მისცურავდა იმათთანა და იმათთან ერთად; ახედაც უხდებო-და, ზეიმაც უხდებოდა და ზეიმსაც უხდებოდა იგა; და ზეიმები ვერც წარმოედგინათ უიმისი-და, ელფერიც აკლდა უიმისიდა, მერე თანდა-თან რო ჩამოიცილებს, რო გააჩივებს, სხეშმავე რო ანებებს მოკცეულიყვენ გულში ხალხისა თუ შუაგულში; რაც თუ რა იყო, განჭრიდა თვი-თონ ისიცა, ოღონდ მაინც თუ გამოჩნდებოდა, ახეც იმისკენ შებარდებოდა, ხალხი ცხადია, — სხვა ეშხი ჰქონდა რო, სხვა ვატაცება რო იყოდა, — ამიტომაც განაჩივებდნენ, განერხიდე-ბოდა ამიტომაცა;

ეს თუ რადაო, ან თუ როგორაო, აიხსენება მე-რე თანდათანობით, გამოცხადდება ყოველივე მერე და მერე, — ეს საერთოდა; აქ მხოლოდ თვისებებს მოვხაზავ მისახსა და პატარძელში რო ვისხედითმეთქი, — აქ მოვსახენი, — აინი რო ვუსხედით ახასათვის ვაშლიდ სუფრასა, მიზეზი იქაც იგავე ვახლდა, ის განჩიდება თუ მორადება, მოცულობა თუ შენი ამისა, ეს არ მოეძეკებს უცებ ცენტრშიო; სუფრას ვუსხედით თუ უფრო — ფილასა; საზეიმო სქელს რო შეაგებებდნენ ხოლმე ძველი ქართული წესი-სამებრა: ესეც ელდა მოზეიმეთა, თელავიდან რო გამოხარუნდებოდნენ მოძიმ მწერლები, რო-

გროც იტყვიან ჩვეულებისამებრ, ეს აქ დამხე-დებოდა თავისი ფილითა, თავისი მრავალმხედობით თავისი სოფლითა და თავისი მრავალმხედობითა, დამხედებოდა, მაგრამ აიცილებს, ბურჯია დაღვა პატარძელში იმა კორტევისა, ახე ვა-პქროლებს, ბურიდა დაღვა და სწეწავდა ქარი პა-ტარძელის ბევრევეზედა, — ვუსხედით ჩვენ-და და ეგება ახეცა სქობდა, ორი ქურუმი რო შეხვედროდა ერთმეორესა, ქართული ენის ორი ქურუმი, ქართული ენის ორი ტარაგი; ეს სულ სხვა ვახლდა, ის სხვა იქნებოდა.

ეს სულ სხვა ვახლდა და სულ სხვა იყო იმ წუთების ლეონიძეთა, იგავე იყო და სულ სხვა იყო, ჩანელებული, ჩამქდარი, მშვიდი, ჩაფი-რებული, ჩაწილებული, ზეიმებში რო წამოცნ-თებოდა, იგავე იყო და სხვად იქცეოდა თით-ქნასო, სხვა უნარი მოგარბებოდა, — აღტაყ-ბისა, თავდავიწყებისა, ჩწმენისა, ნდობისა, მო-კარბდებოდა და აიყვანდა, ღამის თუ მოსწყ-ვეტდა თავის მიწასა, — აქ იქმნებოდა კვანძი-ცა იგა წინააღმდეგობრივი, ტრაგიკულიც აქ იქ-მნებოდა და ყველაზე ტრაგიკული პოეტიც აღ-მონანს იგა მოსილი ბრწყინვალეობითა, კარგა-ზანს მოხილი, ღამის თუ სამი ათეული წელიცა, ორი თუ სამი პოეტური თაობის ხარხილად რო გამოდგება ხანა თუ ზოგჯერა, ის ერთადერთი დაუფლებოდა, ერთი უძლიდა, ერთი განაგებ-და, იმ ერთსა ბაჰადნენ და მომრავლებულიყ-ვენენ ეპიგრამები მისი; ყველაზე უკეთ თუ შესა-ფერისად მან გააჩრა იგა დროის მოთხოვრ-ლებსა თუ კანონი დროისა, — საზეიმო, საპოტ-ბო, დითარამბული პოეზიის მოთხოვნილება, მან შეტქმნა უცეთესი თუ შესაფერისი ნიშნუ-ში საამისოდა, იგა მოეძევა სათვთვეს დითარამ-ბულ პოეზიასა და თავამოდებოდა მოქმლოდა იმდენი ხანი; უმდიდრესი ქართული მითოსი, უმდიდრესი ქართული ფილკლორი თუ გამოც-დილება უმდიდრესი კლასიკური ქართული პოე-ზიისა მოიხმო სამხაზურად დითარამბული ლი-რიკისა და შეტქმნა უფოოდ ორიგინალური, ფა-დრესად თავისებური საპოტბო სიმღერები, სადი-დებელი სიმღერები, — სიმღერებისა და ეპო-სიისა; თუმცა ეს უფრო ცდა გამოკვდა, ანთუ ბოლომდე ვეღარ მიატანა, — ეპოსი-მეთქი, — რაც უნდა იყოს დიდი დრო დასჭირდა, დიდი ენერგია შეეღია, შეაწყვიტა ნიჭი პოეტური, უნაბილ ნიჭი, ნიჭი კუმშარტიო, ძალიცა სული-სა ზედ შეაწყვიტა, — ტრაგიკულიც აქ არის-მეთქი. რამდენი სხვა აყუვა, რამდენი გაევიხრა, სახელსაც რამდენი ცვილებოდა, მაგრამ ტრაგი-დელა არ განუძიდა, არც განუძიდა და არც შე-ეფერებოდა, — იმან განიცადა და შეეფერე-ბოდა კოდეცა;

განიცადა და შეეეჭოდა, განიცადა და არ და-ნებდა, სძლია და აღუვდა ზელახლა მისი პო-ეტური ნიჭი, უახსურტი ენერგია აღუვდა, და შეევიხრა თავისსავე თვისა, თავისსავე შედე-არებს შეეჭობრა, აღრინდელ შედეგებებსა რადა

თქმა უნდა, — „ნინოწმინდის ღამესა“ და „უფიქრის პაემანსა“. შეეჩიბრა და აღხდა თითქოსა ადრინდელი პოეტის „ბრილის წყაროსა“ თუ „ქენანება“ თუ „სიყვარლონი“. როცა-როცა ცხოვრობდა რო წარმოუდგა, შესხმა-ხოტბანი ბილის რი იყო ღირსიერი ფორმების ხაზში და თავში ვერახდარს ვერ მოეცემა, ვერაფრის დიდებით ვერ მოეცემა, როცა ამ ხანად უკვე ათვლიდა თავისი ცხოვრების წინააღმდეგობის სკალასა, 80-ს აქოთაც გადავიდოდა და კარმაგობა კახუბოდა ვერარ იოქმოდა, სიკახუვე და ღვიპი ერთია, ერთ ჩუქურთიანში გამოუყვანილო, ბრძანებდა თვითონვე, როცა მინც „ბრილის წყარო“ იქ ჩაიწერება, უკუჩადებსა თუ „ნინოწმინდის ღამესა“ თუ პირველი თოვლის ხიზღერასა თუ ზადალთა მისთა შორისა, აქ მოახსენება, იმა ჩამოთვლიან; აღუყვდა და გადახლო ხიდა სიკახუბოს ღვიპისაჲდა; ეს არ მოხდებოდა იოლადა, რაღა თქმა უნდა, — განცადათქო, და დამწვეთა კვალისა განცდისა იმის ღვიპისა, ანათუ ცოკლსა ღვიპისა, რო გაერთიანდება გაქადარავების სიმბოლესაში პირველი კუბარაჲდ დათოვლილ სათოთრეგებისა, სხეულებსა ცხადია; და თანც მინც არ ომანი არ მოიკლებს, არ იკლებს იმედო, მუხლჩაუხრელი ოპტიმიზმი რო უძღვის მაინცა, შინაგანად ეს კიდილია უფრო შინაგან, ტრაგიკულიან კიდილი გახლავს;

და თავიდანვე ასე როცა განსაზღვრულიყო შთაგონება მისა, — გიორგი ღვინძისა, — მუხას ეს მოგებში ტრფობის პოეტადა: ქალის ტრფობისა, მეგობრობის ტრფობისა, ზუნების ტრფობისა, სიციცხლის ტრფობისა, მერე უყვლაფერი რო გაერთიანებულიყო სამშობლოს ტრფობასი, მუხაც ამანვე შენათვლიდა და წარმომდგარყო საგანს ერთია, ერთია იდეალო, ერთი და მოწყველი ურველი სიკეთისა; იმითვის მოგებში და აღევსო კიდევცა შესაფერისი თვისებებითა, აღტაცება რო მიუძღოდა, სიწრფეობა და მინდობა რო მიუძღოდა, იმდაგვარი თვისებებითა; აქ შეურჩილიყო ორი იდეალო, იდეალო მარადიული და დროგამის იდეალო, — იდეალო პიროვნებისა, შეურჩილიყო და წარმოხაზოდა ხატებად სამშობლოსი იდეალო იგო, იდეალო პიროვნებისა, ვინაც რო სულ სხვა მოვალეობა დამკისრებოდა განცდისაგანა, მაგრამ აღმაფრენამ, პოეტურმა, რაღა თქმა უნდა, ნდობამ, აღტაცებამ, ვეღარ გაარჩია თუ ვეღარ განსაჯა, ერთად აიტანა საგალობლებში, აქვდა და აიტანა მინდობითა და სიწრფეობითა; აქ შთაგონების გაბრუნება წარმოიქმნება და გამოფხიზლებება იმა წამებში საწყისიყა ტრაგიკულიან;

და შეიძლება აღსასრულიც რო უოფიდილო, როგორც პოეტისა, მაგრამ თან სდევდა იდეალო იგი უწმინდობი, იდეალო სამშობლოსი, ქართულუ ხატევისა, ქართული მიწისა, თანა სდევდა და აღამაღლებდა; განიწმინდებოდა მუხაი იგო,

გამონათობდა; მიუბრუნდებოდა ისევ იგებესა, იგივე ხაგანსა თავისასა, — ტრფობისაჲდ ქენანებასა, მიხილ ქენანებშიაჲდ სიყვარლონი ქენანებელა აღხათ ყველაზე ზატოვანდა...

ერთბელაშეთი და ერთბელაც იყო: შემაგვრა რო გიორგი ღვინძისა, მანქანის კარი გამოალო და შემიწვია, ჩაქევი, სდამე, ქალაქგარეთ პური ვჭამოთ;

ჩაქევი და დიღუბანს ვიარეთ, ქალაქგარეთ რო აღარც ეთქმოდა, მცხეთაც მოვატოვეთ და კახის მოვტოვეთ;

კახსაც ვავიარეთ და ახალქალაქს რო მივტოვეთ, თარხანაიანთ ახალქალაქს, მაშინდა მივხედო, თვითონ რო არ უთქვამს, ახალქალაქი რო ეგებებოდა, საზეიმოდ ეგებებოდა;

ეგებებოდა და სცენაზეც აღმოჩნდით, ტაშეში, ყვავილებში, სიბეჭეში გაბრუნდებოდა; სცენაზეც აღმოჩნდით და სხდომის გამძღოლმა გვემაც გააცნო მონაწილეთა:

გვემაც გააცნო და კეთილა ჩემზეცა, ეგეც მოგაოვო; მე ვერაფერი ვერ მოვაწერი, უფრო უარი ვერ მოვაწერი, გიორგიმ მიუგო გაკვირვებითა, წრფელი, წრფელი გაკვირვებითა: ახამს რო მოარხენებოდა;

მაინც ცვადე უარი მეოქვა, ასე, ამგვარადა: რა არის ერთბელ მცეა ვჭამო პური უწრამ. ღადაშეთი;

სად გაგონიდა და სად გიწერიო, კეთილა გიორგიმ და თავმდომობარემაც ჩამწერა თავუო, ისღა მოვახებრებ, ბოლოში რო გადაუტავინე;

ბოლოც დადგა და ვერაფერი ვერ მოვიფიქრე ისე წავიდე ტრაბუნისაკენ, ნათქვამა რო, დანა კიხლს რო არ უღნიდაო;

ისე წავიდე და უცხად გამახსენდა, მიძღვნად წაწერი მიხილისა თავის წიგნზედა გიორგისადამ: ქართულ მიწაში ყელამი ჩაფლულ პოეტსაო;

გამახსენდა და აგო სიტყვაყა, ანთუ რაღა აგება უნდოდა, აგებულყო და ჩამოსხმულიყო; ქართულ მიწაში ყელამი ჩაფლული პოეტისა;

და მერე სუფრაზე, თავის საზეიმო სუფრაზე, თვითონვე/რო თამაღობდა გიორგი, შენობმაგებდა დროდადრო ხაღისითა, ალალი არის ახლა შენზე პურიგაო;

ჩაფლულიყო და გადაღებულიყო ქართული მიწისაჲდა, ქართული სიტყვისაჲდა, დარღვი იმისი ქქონდა, მოეგვრებოდა სხარულიცა იმისაგანა, უმღეროდა და უგალობდა, შებდა-ღადებდა და შენადუფუნებდა, ეფერებოდა და ელოდაეფობოდა, დაუბოქებდა და წამოღუდებოდა, აღუფროვანდებოდა და მოსვენდინდებოდა კიდევცა კითომითა თუ რიდათა, შინათა თუ ეკვითაცო, ქერ რო დროდადრო იტენდა თავსა, მერთაღად რო იტენდა, მერე მკაფიოდაც რო გამოითქმოდა: რა ღვიპი ვინდა ჩემო დროცაყო, — მკაფიოდა და სინანულითა.



უხათაუროდა და უთარიოდ შესულა ეს ლექსი ერთთომეულში გიორგი ლეონიძისა, „მერანა“ რომ გამოხსყა აგერ ამ წელსა, მისი დაბადების 85 წლისთავისათვისა. ასეთი კრებუ-
ლი, სრულყოფილი ასეთი, თვითონაც არ გა-
მოუცია თავის სიცოცხლეში პოეტსა. მის ქა-
ლებს დაიღად უჭრუნიათ, შეურჩევიათ და
დაუღაგებიათ სახელოვანი მამის ნაღვაწი. ასე-
თივე ზრუნვითა და ყველაზე უაფთხადაც
გაართმევენ თავსა გიორგი ლეონიძის თხუ-
ლებთა აკადემიური გამოცემის საქმესაცა,
სხვებზე სათუთად მოცუცვლან სახელსა და
ღვაწლსა მამისა, რაღა თქმა უნდა! ოღონდ
აქ მაინც იმ ლექსს რომ ვახშენებ, უხათაურო-
სა და უთარიღისა, რომ ჩაბეჭდილა ბოლო-
დროინდელ ლექსთა შორისა, ბოლოდაც ითქ-
მის და თარიღიც არ უნდა, რადგან ეს ლექვა
თან მოპყვებოდა, რაგა ესე, შეხაფერისი და
მისახადაგებელი ლექსისა ჩვენი ურთულესი
დროებისათვისა, თან მოპყვებოდა და აფორია-
ქებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში: რა
ლექსი ვინდა ჩემო დროგავე, გამაგებინე —
რა ლექსი ვინდაო, თან მოპყვებოდა და კვან-
ძიც ეს გახლდა ტრაგიკულია: რად დამიგრძობ
ხორხზე სახელი და ფრთაში წყლული რად გა-
მიჩინე, რად აკლდევიე კენს ახელი, რომ
ერთი მძაც კი არ შეპარჩინეო; კვანძიც ეს გა-
ხლდა და დღეცა ესე დარეგდა ხელსა, ამასავე
მტარავდა რაც რომ შეეძლო, რთულ მეტაფო-
რებში გამოაბეჯდა, მანულებმა იპიტაშეშ-
ში თავბრუდამხვევში, ბოლო როცა თუ გაუ-
პირდებოდა, შეპარადა ხალხსა, ხანთუ წყნე-
თშიო, თავისთანა, ხანთუ პატარძეულშიო,
თავისთანა, ხანთუ მცხეთაშიო, წიაღში იმა პი-
რველი ტრფობისა, ტრფობის პირველი სიმღე-
რებისა, ხაწით სადო და ხანთუ სადო, შეპ-
ყრიდა და სულს მოითქვამდა, ანთუ ვერნა,
სულს მოითქვამო, ვერ მოთქვამდა და ვეღარც
საით გაეცეკოდა, იყო და იგა ოღესავითა,
მარტოდმარტო, ოღესავითა: შიგნი-შიგან და-
ხლებილი ზრებდა და კესდა, ურჩანისაგან
ჩაუფული ზეი ერთი ბეწვა;

და მაინც შეგობრობისათვის რომ გაჩენილი-
ყო, რომ ეთაუყანებოდა ავთანდილობისა, ცის-
ფერყანწილებს ასე შემახვედროდა, ცისფერ-
ყანწილებსა, ახილის რომ დაეხსნენ თავსა თა-
ვანთი ლიტერატურული მანიფესტებითა და
აფორიაქეს ცოტა არ იყოს მოდუნებული მა-

შინდელი ჩვენი სალიტერატურო სარბიელი
მაშინვე ასუვა და მხარში ამოუღდა ახალგაზრ-
დული მგზნებარბითა, ბუნებრივ მგზნებ-
რებითა; იმათთან ერთად გაიშინაურა „არტაურ“
და „სტიფენი“ ოღონდ ერთნეტელი ქართლის
ცხოვრებისა ვერ გაინელა, ოღნავადაც ვერა,
ერთი წამითაც ვერ გაინელა; მაინც ასუვა და
ტოლს მამ უფებდა არცა თუ ლექსში, არცა
თუ ლხინში, არცა თუ ფიქრში წუთისოფელზე,
ფიქრში ამოსი, ამოვებისა, ასე რომ მოსწლო-
და საუჯუნის დასასრულსა და ჩვენი საუჯუ-
ნის პირველ ათეულეშიც გადმოტობრილიყო,
— ფიქრში-მეტი წუთისოფელზე, განთიდი-
სას რომ მოერეოდათ ვერისა თუ ორთაქალის
ბაღებში; ერთად მოერეოდათ და ერთადაც
დაასკინდნენ, დაეხსროთ თავი, ცისკარი რომ
ყას შებღებავდა, გადაცენილაყვენ მტკაურ-
ში ერთადა; დაასკინდნენ და წამოცვიფებო-
ნენ, მარბოდნენ ვერე თაყუწვებლინი, ვინ ვის
გაასწრებდა თუ ვინ პირველი გადავარდებო-
და, პირველი მსხვერპლიც ის იქნებოდა იმა
ახალი პოეზიისა, დასავლეთში რომ დრო მოე-
კამა, ჩვენში რომ მაშინ იღვამდა ფეხსა, იღვა-
შდა და რომ ვერც იღვამდა, ვერც აიღვამდა,
რაღა თქმა უნდა; ოღონდ ეს სხვა დროს
სათქმელი გახლავთ...

ამ იდეალებს, წყურვილს ამასა, არ უნდა
მეტოვებინოს იგი მაინც არასოდესა, ამ წუ-
რვილს უნდა გაეღიერებინოს ტრფიალი იგი
სამშობლოსა, სამშობლოს მოებისა, ზვიადი
მოებისა თუ მოლად უნაზეს უვაილებებისა, თავ-
აწუვეტილი ჩანჩქერებისა თუ მოცანცხაღე
წყაროებისა, უფლიერებსა ქარტეზილებებისა თუ
მკრთალი სიოსი, მკრთალი, მკრთალი, მკრთალი
სიოსა, ტრფიალი თბილისისა, ძველი თბილა-
სა, ახალი თბილისისა, მარადიულია და უბად-
ლოსი, როგორც რომ სწამდა და როგორც რომ
უგალობდა, — უგალობდა და აღივებოდა, გა-
წუწედებოდა და ძალს მოიცემდა, ძალს მოი-
ცემდა და ხელს გაუწვდიდა სხვა მარტოეულსა,
— ისევე ბუნებაში, — აწუგეშებდა, მიეჭრე-
ბოდა: „მოდი ჩემთან, ვიდრე მუხი დაეჭრავს,
ავაბოლდე, ტყავამშკადრო, ნაოხარო, მარტო-
ბეო ოღე!“

არა, „ავტოპორტრეტი“ არ უნდა ჩაითვალოს
ავტოპორტრეტადა გიორგი ლეონიძისა, არა,
ესეც აქაა, „ოღეშა“: დაკიდებულ არწივს
მგავნარ მომხსნერეული ფრთებით.



მიხეილ სვანიძე

დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგირთი საკითხი

(კონსტანტინე კახთა მუშა)

დავით გურამიშვილი არა მარტო დიდი ქართული პოეტი იყო, არამედ პიროვნული მემკვიდრე. მისი „დავითიანი“ ბრწყინვალე ნიმუშია ქართული საისტორიო კლასიკა.

დ. გურამიშვილი სამშობლოს კეთილდღეობას აყენებს ყველაზე მაღლა და ისტორიულ პიროვნებებს, თავის ახლობლებს თუ საყვარელ ადამიანებს იმის მიხედვით აფასებს, თუ რა ხარგებელი ან ზნეობა მოუტანეს მათ დაღუპვის პირას მისულ სამშობლოს. ამ უმაღლესი საზომისათვის არ არსებობს არავითარი ავტორიტეტი და დ. გურამიშვილი მამასავით საყვარელ ვაჟთან შეეჭვება კი იმეტებს გასაკიცხვად, თუმცა სხვაგან მას სიბრძნით იოანე დამასკელსაც კი ადარებს.¹

დ. გურამიშვილის — შემოქმედისა და ისტორიკოსის უმაღლესი პრინციპია „სიმატლას თქმა“:

აწ რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავაქო?

მე თუ გინდა თავიე მოშკრან,
ტანი გახდეს გასაბურად,
ვინც არა ჰკავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.²

ამ სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით პოეტი სდებს მსჯავრს თავის თანამედროვე მოღვაწეებს, მათი მდგომარეობის განურჩევლად. „დავითიანის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონა-

ჟის კონსტანტინე (მამამდ უფლი-ხანი) კახთა მეფის შესახებ ჩვენში სხვადასხვა თვალსაზრისით გამოთქმული. ქართულ ისტორიოგრაფიაში კონსტანტინე (თეიმურაზ II ძმა და ერეკლე II ბიძა) კახთა მეფე უარყოფით პიროვნებადაა წარმოდგენილი. ვახუშტი ხატონიშვილი კონსტანტინეს შემდეგნაირად ახასიათებს: „ფრიად მამამადიანი, ლალი და ამაყი, მდიდარი და მესხსმადე, რამეთუ არა რიდებდა შვირებს ზედა კაცთა სიკუდილსა“³ და სხვა. ვახუშტი ბაგრატიონის ამ შინაგემებზე დაუდრწობით, ძველი და თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები, ახევე უარყოფითად აფასებენ კონსტანტინეს მოღვაწეობას. სავსებით ვეთანხმებით ე. მაღარაძეს, რომ „საქართველოს ისტორიის ფურცლებზე გამამადიანებული კონსტანტინე, იგივე მამამდ-უფლი-ხანი ერთ-ერთი შეუხრავლელი და გურკავიველი თეთრი ლაქა“.⁴

ძველი და თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები კონსტანტინეს განსაკუთრებით ზრალს სდებენ შემდეგში: ირანის შაჰის ბრძანებით, ვაზთან VI-ს ჩამოერთვა ქართლის გამგებლობა (შაჰმა შეიტყო, რომ ვაზთანს კაცობრივი ჰქონდა პეტრე პირველთან) და გადასცა კონსტანტინეს. მან კი, ლეკების დაშმარებით, ქალაქი აიღო, ააოხრა, გაძარცვა და ძმთა სისხლი დაღვარა.

დ. გურამიშვილს „ქართლის კირში“ სულ სხვანაირად აქვს აღწერილი და შეფასებული მომხდარი ამბავი:

კონსტანტინემ ეკვიპ თვალთ შეხედა შაჰის ამ „წუალობას“, მას კარგად ესმოდა, რომ მას

მეორე ქართლის ტახტის დაკავებას მოჰყვებოდა ბრძოლა ქართლისა და კახეთს შორის და მათა შორის სასტიკი მღვრელი ომი. კონსტანტინეს ურჩევნოდა შაჰის ბრძანება არ შეესრულებინა, ვიდრე ძმობის ფიცი გაეტეხა ქართლის მეფესთან:

მე მტრად სხვანიც მეყოფიან,
ძმისა რად-ლა დაემტერდები;
იმას ისევე ქართლი ქონდეს,
მე ჩემს კახეთს დაესჭერდები! (231)

კონსტანტინემ დარბაზი მოიწვია და კახელ თავადებს ამ საკითხზე აზრი ჰკითხა. ფეოდალებში კონსტანტინეს ურჩევდნენ ნუ იტყოდა უარს ქართლის ტახტზე და ხელიდან ნუ გაუშვებდა ღვთის მიერ ბოძებულ წყალობას.

შენ რომ შეილი არა გყავდეს,*
პა, ძმა შენი** და მისწული!*** (232)

შენ რა დაგიშვებება, არწმუნებდნენ კახელი თავადები კონსტანტინეს, რომ ვახტანგ ფიცა ხელმწიფის ბრძანებით? შაჰის ეს ნაბიჯი საქართველოს საწინააღმდეგოს არაფერს ვუღლისხოზსო.

კონსტანტინე კვლავ არწმუნებს თავადებს, რომ შაჰმა გავაორა, ერთმანეთის პარისპარ დაგაუნა, „ქართლი მოსცა მშათ საჩუბრად, აშბა-ნაგთა მოსაღორადო“.

კონსტანტინე, მიუხედავად თავადების რჩევისა, მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე. მას ეკრავდ ესმის, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში საჭიროა ერთობა გარეშე მტერთაგან თავის დასაცავად.

მე მას მამად მოვიკიდებ,
ვეშვილები თემცა უნდი,
გარს გვარტყიან ვით სარტყელი
სულ სხედასხვა მტერთა გუნდი,
ჩვენ ერთმანეთს ზმალა ვცემდეთ,
ეგ რჩევა არს დიად ცუდი. (238).

კონსტანტინემ მეგობრული წერილით მიმართა ვახტანგს:

თუმცა მიზოთა ყანმა,
მე ქართლსა არ გეცილები. (240)

ვახტანგიც ხსიარულით შეეგება ამ ამბავს:

მშვილობას იბოვეს სიმდაბლით,
ამად თავს უბრის აღაშსო (247)

კონსტანტინემ ვახტანგთან შეხვედრა იბოვდა. გადაწუდა კონსტანტინე მიეწვიათ თათხირზე.

* კონსტანტინე უშვილო იყო.

** ამ დარბაზს ესწრებოდა ახალგაზრდა თეიმურაზი (შემდგომ თეიმურაზ II) კონსტანტინეს ძმა და ვახტანგ VI სძე.

*** აქ იტულისხმება ერეკლე II, კონსტანტინეს მისწული.

მაგრამ ეს ჩაშალა ვახტანგ VI ძმამ იესემ, ბოროტმა და ვერაგმა აღამინამ. მისთვის სულსა ურელი არ იყო ქართლ-კახეთის შეკავშირება და ვახტანგ VI გააღიერება, რადგან თვითონ ოცნებობდა ქართლის სამეფოს ზღუში ჩაყდებაზე.

იესემ თქვა გულსა შინა:
„ჩემი ძმა არს ჩემი მტერი!
პატიმრობით დამაბურა,
გამითერთა თმა და წვერი;
ვგრე ზოგორ დავბრძავდები,
შევიქნები გივი-სტერი.
მე იგ ორნი შეუათვისო,
მე კი დავრჩე ვით ოსერი. (253)

ამ ზონას განხორციელებისათვის იესემ ხადუმლოდ წერელი გაუგზავნა კონსტანტინეს, თითქოს ვახტანგი მას მოკლას უპირებდა ფარულად. ამან კონსტანტინე დააეგვა და ის გზადან თავს გაბრუნდა. გზაში კონსტანტინეს ლაშქარს უკან დაესხნენ ქართველები და გაძარცვეს. პოეტი სინანულით გაშხვალულ სიტყვებს ათქმევინებს კახთა ბატონს:

მე მიხდოდა ყოფილიყო
ჩვენში სიყვარული ძურტი,
ჩამომეგლო რიგი-წესი,
სამართალი ბატონ-ყმური,
არ ინებეთ, არ მოშალეთ
ერთმანერთში თქვენი შური,
ცოდება-ბრალი თქვენს კსურთა,
თუ რამ მოხბდეს უწესური! (268)

შექმნილი მდგომარეობით შემფოთებულმა კონსტანტინემ მისწერა „წიგნი შართალი“ ვახტანგ მეფეს:

ჩვენ ერთმანერთსა ნუ ვახდენთ,
თორემ წაგვაბდენს მტერები. (274)

გამაფრთხილებლად ეღერს პოეტის სიტყვები:

თუმცა ლოში ხარ, ვეშაბთა
ვერ სძლევე, ვრძელი აქეთ ეუღები. (275)

კონსტანტინემ კვლავ სცადა ურთიერთობას გაუმჯობესება და მეგობრული წერილი მისწერა ვახტანგს და დაიკენებს გაატანა. კონსტანტინეს ელჩები ვახტანგმა მტრულად მიიღო და დააპატიმრებინა. როდესაც კონსტანტინემ ეს ამბავი შეიტყო, ლაშქარი დასძრა და თბილისი დაიკავა. ქართველებმა თავს დაესხნენ კონსტანტინეს, დაამარცხეს იგი და თბილისიდან განაქვეყნეს. ამის შემდეგ კონსტანტინემ კვლავ შეეარა ლაშქარი და ლეკთა გარის დამპარებით აიღო თბილისი და ააოხრა.

ამრიგად, „დავითიანს“ მიხედვით, ეს ომი იყო შედეგი იესეს მუხანათური ინტრიგებისა და ვახტანგ VI-ის წინდაუთუბლობისა.

პროფ. ვ. დონდუა თავის მეტად საყურადღებო წიგნში იმ. გურამიშვილი და საქართველოს

ისტორია“ დაწერილებით განაბილავს ვახტანგ VI-სა და კონსტანტინეს შორის მომხდარ კონფლიქტს: „გურამიშვილი, თითქოს თვითმშობლებად, მეფე კონსტანტინეს იცნობს როგორც „ერთ ხმელ კაცს“ და „ბერძენი“. საკულისხმოა, — განაგრძობს ვ. დონდუა, — რომ გურამიშვილს კონსტანტინე საერთოდ ნათელ პიროვნებად ჰყავს დახასიათებული: კახეთის მეფეს თითქოს ტანჯავს ქართლ-კახეთის გათავისუფლება, ეს ელტვის ვახტანგთან „ძმობის“ დაცვას, მის „შამად მოკლევას“. მისი მალაქიფურა მრწამსით, „წარწყმენდილი არს, ვინც რა თქვას ძმასთან ძმის დახაშობებლად“.⁵

შემდგომ პირობ. დონდუა კონსტანტინეს ახასიათებს როგორც ხსტიკ ნებისყოფის პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც ვერ გაწვიდა მის ირვადივ გახმულ ინტრიგების ქსელს. მეკლესიარის აზრით, „ქართლის კირი“ ასახული ვერძაის თანახმად, კონსტანტინეს ფეოდალებმა არ მისცეს საშუალება ვახტანგთან ჩამოეგდო „სამართლიანი ბატონ-უშურა ურთიერთობა“.⁶

როგორც ვხედავთ, ვ. დონდუა ვახტანგსა და კონსტანტინეს შორის უთანხმოების მთელ პასუხისმგებლობას კონსტანტინეს აკისრებს, რომელმაც ვერ გამოიჩინა წინადადებულობა და ხასიათის სიმტკიცე და აშუა იესებს (ვახტანგ VI-ის ძმის) ინტრიგებს, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეტად საყურადღებო დავიკრება აქვს შვეიცარლანდა და შვედუვარს გიორგი ნატროშვილს: „პოეტის თავისებურად გადმოგვეყვას კონსტანტინესა და ვახტანგის ურთიერთობას. მისი პოემის მიხედვით, პირველ ხანებში კონსტანტინეს არ უნდოდა დაპყრობა და ყველის ნებას, მან იცოდა, რომ ტახტის ამ გადაცემას შეაძლებოდა მოსყოლოდა ქართლისა და კახეთის შექაბება და ძმათა სისხლისმღვრელი ომი. აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: საქმე იშვიათია, რომ კახთბატონი კონსტანტინე გურამიშვილის „ქართლის კირის“ ერთ-ერთი მოთვარის პერსონაჟია და კიდევ უფრო ხაინტაყურის ის არის, რომ დავითი, ჩვენი ჰველი და ახლანდელი ისტორიკოსების შეხედულებების საწინააღმდეგოდ, კონსტანტინეს რატომღაც კეთილშობილურ ფიგურად გვაჩვენებს, რაღაც სიმპატიებს ახელანებს მისდამი. ასე, მაგალითად, პოემაში პირველი გამოჩენისთანავე კონსტანტინე ასეთი სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე: „იყო სანახავად ვარგი, მკეთილგობით უჩნდა ფხანი, ისანინს ტარულადა, მოტუმით აქდა კარგა ხანი, ავიკაცის თავ-სავარცხლად აქწნდის კარგი მოხუხანი“... გურამიშვილის პოემის მიხედვით, თითქოს ვახტანგს წინადადებულობით იყო გამოწვეული ქართლ-კახეთის შორის დაწყებული ომი, რადგანაც ვახტანგმა კონსტანტინეს სამეგობროდ გამოწვეულ მარქვენას მეგობრული ზედიე

აჩა, სამტრიალ მოდერნილი ხმალი შეაგება“. — წერს მეკლესიარი: მისივე დაყრდნობით „კონსტანტინეს ამგვარი დახასიათება არ ეთანხმება ყველაფერ იმას, რასაც კახთბატონზე ჩვენი ჰველი და თანამედროვე ისტორიკოსები წერენ. გამტკიცებული აზრის მიხედვით, ეს აუო ვახტანგის მოქიშა, მუხანათი კაცი. მეგობრად მანაც საინტერესოა რატომ მოხდა, რომ დავითმა სცადა კონსტანტინეს ერთგვარი რეაბილიტაცია მოეხდინა. რა საფუძველი ჰქონდა მას, ასეთ ჰყვიან კაცს, არც ეკითხა, არც ეძია და სრულიად დაუფიქრებლად იმ დროის ისტორია უარზე დაუყენებია, მარტო სარკვეში წარმოედგინა?“

ეს მით უმეტეს საკვირველია, რომ დავით გურამიშვილს მთელი გატაცებით უყვარს ვახტანგ VI, ადვდებს მის სახელს, თვით ქრისტესაც კი აღარებს, უძღვნის არაერთ ჰიმნს, როგორც სამშობლოს მფარველად მოკლინებულ უფროს რანებს — ვახტანგი, მისი თქმით, ბოძად უღვას საქართველოს, და როცა ეს დედაბოძი წიქცა, პოეტმა მისი სიკვდილი ცხარე ცრემლით დაატარა.

იმავე დროს, — განაგრძობს ვ. ნატროშვილი, — პოეტს არ შეიძლება არა სცოდნოდა, თუ რა შეხედულობას აუო მისი სათაყვანებელი ვახტანგი კახთბატონი კონსტანტინეს შესახებ. მაშ რაღად იცავს კონსტანტინეს? ამ ფაქტს აუცილებლად ახსნა ესპუარობა“.⁷

მართლაც, რა იყო მიზეზი იმისა, რომ დ. გურამიშვილმა კონსტანტინე დადებითი პიროვნებად წარმოგვიდგინა, ეს იმ დროს, როდესაც მის შესახებ სრულიად საწინააღმდეგო აზრი იყო გავრცელებული და სცადა მისი ერთგვარი რეაბილიტაცია? ნუთუ კონსტანტინეს პიროვნებათ მოქაღებულმა პოეტმა თავის მოთვარის პირიქცის — „სამართლის თქმას“ უღალატა?

ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუ რა წერალობითი წყაროებით სარგებლობდა დ. გურამიშვილი ვახტანგ VI და კონსტანტინეს შორის შექმნილი რთული ურთიერთობის აღწერისას. „დავითიანი“ ორ მუცტეს შორის მომხდარი კონფლიქტი ისე დეტალურად არის ასახული, ისეთი ფაქტები მოტანილი, რომ იქმნება შთაბეჭდილება — გურამიშვილი თვითონ არის მონაწილე აღწერილი ამბებისა, ანდა უშუალოდ თვითმხილველიაგან აქვს მოსმენილი. შეუძლებელია, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ წმინდა პოეტური ფანტაზიის ნაყოფი იყოს და ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.

დ. გურამიშვილის ადლო ისტორიკოსისა, მომხდარი ამბების კრიტიკული ანალიზის შესანიშნავი უნარი, ხომ კარგა ხანია აღიარებული ფაქტია, როგორც აღნიშნავს პირობ. ვ. დონდუა „გურამიშვილი სათანადო მოვლენებს ეტება არა მასობრივ გადაცემა-განმეორების წესით, არამედ მათა აქტიური შეფასებას წესით, ბრძნული აწონ-დაწონით. გურამიშვილი იუენებს სა-

ერთივე საისტორიო ღირებულებას უბუ მასა-
ლას, დაგროვდება და შემონახულს მისი პირადი
გამოცდილების საგანძურშიც. მის თანამედრო-
ვეთა მესხიერებაშიც და უფროდ მისთვის ხელ-
მისაწვდომ საისტორიო ნაშრომებშიც (მაგალი-
თად, ვახუშტის საისტორიო შრომა, დასრულებ-
ულა 1748 წ.). ავტორი ყველაფერს ამას ურ-
თავს საყოფარ კრიტიკულ შენიშვნებს, საკომუნ-
ტარო განმარტებებს“.⁹

გურამიშვილს კარგად ესმოდა, რომ მისეული
შეფასება კონსტანტინეს გამოიწვევდა კამათს
და საერთო უკმაყოფილებას:

ტუთული ვსოქვა, ჩემი თქმული
შეიქმნების რა საეარგი?
მართალი ვსოქვა, მეშინის,
და, თუ გავხვდ დასაყარგი. (167)

დავით გურამიშვილმა სრულიად შეგნებუ-
ლად, დამატებლად, უკველგვარი მიყრდობის
გარეშე მოგვცა კონსტანტინეს მართებული შე-
ფასება.

წყაროებისა და ახლად გამოცდილი მასა-
ლების საფუძველზე ვფიქრობთ, შესაძლებელია
ვაჩვენო კონსტანტინე კახთა მეფის მოღვაწე-
ობა. მივმართოთ ფაქტებს.

1728 წ. ივნისში კონსტანტინემ თბილისი ოს-
მალებს უბაძოვლელად ჩააბარა; მაგრამ სულ-
ტანმა მას მხარი არ დაუჭირა და ქარაღის გა-
გებლად დანიშნა ვახტანგ VI ვიცი ბაქარს, რო-
მელიც გამამადიანდა და იბრახიმად აწოდებო-
და. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ გადაწყვი-
ტა ოსმალებს გასცლიდა და თბილისიდან გაქ-
ცედილიყო. საურთაღებოთა ის ფაქტი, რომ კონ-
სტანტინე ბაქარის დახმარებით გაიქცა თბილი-
სიდან. „შემდგომად, — წერს ვახუშტი, — ა-
მაბარყოფილი მამამად-უღლებან ევედრა ბაქარს,
რათა განუტოვოს და აღუთქვა ფაცი, ვითარცა
მონა იყო მისი“.¹⁰ აქ ურთაღებებს აქცევს ის,
რომ თუ კონსტანტინეს ესოდენ დადი ბრალი
მიუძღოდა ვახტანგ VI წინაშე, მაშინ რით უნ-
და ახსნას ის, რომ ბაქარმა არამარტო აბატა
კონსტანტინეს, არამედ ხელიც კი შეუწყო გაქ-
ცევაში. გ. ნატროშვილი შენიშნავს: „მან (ბაქა-
რმა) კარგად იცოდა როგორ სძულდათ ოსმა-
ლებს კახთატონი კონსტანტინე, და მაინც ბა-
ქარმა ხელი შეუწყო პატივრად მყოფ კონსტან-
ტინე მეფეს გაქცეულიყო თბილისის ცუხიდან.
გაქცევის წინ კონსტანტინემ ფიციით აღუთქვა თა-
ვის მხსნელს — ამიერადან შენი ერთგული მონა
ვაქწებოო. ბაქარი არა მარტო მამაცი, კუკარი
კაცი იყო: ის თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ
მოხუდვად და მრავალი უძმიებთ დანაშაულისა,
კონსტანტინე ეგებს ხადრე კიდვე გამომდგარიყო
ოსმალების წინააღმდეგ მომავალი შტრატე-
გის დროს. როგორ გამართლდა ეს წინათ-
გრძნობა ატენის ომის დროს“.¹¹

ჩანს. ბაქარც გრძნობდა, რომ ოსმალებითან
„მორჩილებას“ დიდბანს ვერ გაუძლებდა. მალე

ბაქარმაც მიბაძა კონსტანტინეს და ოსმალი გაე-
ქცა, მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააჩნდა და კონ-
სტანტინეს დაუკავშირდა (ამაზე დაწერა დიდი
ქვემოთ ვაქცევა საუბარი).

თბილისიდან გაქცევის შემდეგ კონსტანტინე
კახეთში ჩავიდა და იქიდან დაიწყო ოსმალი წი-
ნააღმდეგ ბრძოლა. მოვესწინოთ სომეხ ისტო-
რიკოსებს:

«Кахетинской хан (Константин —
М. С.) был под караулом и из карау-
лу ушел к себе в Кахеты, по которо-
му Эрзерумский паша послал двух на-
шей и при них пятьсот человек, а меж-
ду тем велел им в Кахетах осмотреть
мест для строения крепости, что уведав
кахетинской хан, собрался со своими
и с лезгинцами напал на них, турнов
и побил с 300 человек и притом одного
пашу, а другого поймав и будто вы-
брил у него половину бороды и отпу-
стил его к Эрзерумскому паше, которо-
му велел сказать, что если он из Тиф-
лиса не выйдет, то они с лезгинцами
против его войну иметь будут».¹²

კახეთიდან კონსტანტინე განქცდების დასა-
მარგებლად გაემართა. 1728 წ. 9 ოქტომბერს
ოსმალებმა ვანა აძღეს და ქალაქი საშინლად
გამარტვეს.

«От Мухаммет Кули-хана (Констан-
тина — М. С.) к на помощь спешилась,
приезжал с войском своим у которых
две тысяча бонба».¹³

კონსტანტინეს გამოჩენამ ვანაში შიშის ზა-
რი დასცა ოსმალებს, როგორც მოგვითხრობს
თურქი მემბატინე ქურუმ ჩელები ზადე.¹⁴

ოსმალები დამარცხდნენ. პეტრე პირველი-
სადაც ვაგზავნილ ერთ-ერთ წერალომ განქცე-
ლი წერდნენ: ვანას ასაღებად ოსმალებმა 700-
ათასიანი ღამაზარა და ძლიერი არტილერია გა-
მოგზავნეს. 18 დღის გამმეტლობაში ცხარე
ბრძოლები გრძელდებოდა. ოსმალებმა 10-12
ათასი კაცი დაჰკარგეს, სხვებმა გაქცევიით უ-
კველეს თავს. აგრეთვე იწყებოდნენ, რომ ეს
გამარტვება მათ მოჰკოვეს თავათიი ზეღარ-
ბეგის მამშულ უღლი ზანის (კონსტანტინეს) ხე-
ლმმდევანდობით.¹⁵

ამრიგად, ვანასთან ოსმალითა დამარცხებაში
დიდი წვლილი მიუძღოდა კახთატონ კონსტან-
ტინეს.

ვახტანგ VI და კონსტანტინესათვის ნათელი
იყო, რომ ოსმალებს საყოფარო ძალებით ვერ
გაუმკლავდებოდნენ, რომ ამისთვის საჭირო იყო
გაერთიანება. ამის საფუძველზე მოხდა მათი
შერთება.

თბილისიდან გაქცევის შემდეგ ბაქარი აღნი
(სურამის მაზლიბლად) ჩავიდა. სადაც ამ დროს
ვახტანგ იმყოფებოდა. მამა-შვილია შეიხუშა-
ვეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა.

რომელიც ითვალისწინებდა საბრძოლო კავშირის შექმნას, მასში ვარდა ქართლის მეფისა, უნდა შესულიყვნენ კახეთის მეფე კონსტანტინე და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებები.

1724 წლის დამდეგს ვახტანგთან შეხვედრის შემდეგ ბაქარი მცხეთაში ჩავიდა. კონსტანტინე, თავის მძის თემურჩაზის დახმარებით, რუმელიც იმ დროს მცხეთაში იმყოფებოდა, ბაქარს დაუკავშირა.¹⁶

მცხეთაში ბაქარისა და კონსტანტინეს შეხვედრა წარმატებით დამთავრდა. „შემდგომად მოიქცა მცხეთასა, — წერს ვახუშტი, — და პუნ მოვიდა მამხად-უფლო ხანისა და ევებს აღიქმა ერთობა-სიყვარულისა და წარვიდნენ თავს თვი-სად“.¹⁷

ამ შეხვედრის დროს ბაქარსა და კონსტანტინეს შორის დაიდო საბრძოლო კავშირი, მთავარი ოსმალთა წინააღმდეგ. ამის შესახებ მათ აცნობებს სომეხთა საბრძოლო გაერთიანებებს და ოსმალთა წინააღმდეგ ომისათვის მოუწოდებს.

კონსტანტინე პეტრე პირველის ელჩს აცნობებდა:

«Я (Константин — М. С.) Шахом-Навас ханом (Вахтанг VI — М. С.) согласился о побеждении неприятеля через угодные способы как бы их победить и о Вашем прибытии Шах-Навас хану я слышал... и о некоторых делах согласился. А когда к нам придете, желаем о том согласицца и с Вами»¹⁸.

ვახტანგ VI, ბაქარსა და კონსტანტინემ კავშირი დაამყარეს პეტრე I-ის ელჩთან და ოსმალეთთან ბრძოლის თვისზე გეგმა გააცნეს.

ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე კახთა მეფე. პროფ. ა. ივანენიანი წერს:

«(Константин — М. С.) уйдя в Кахетию и признав главенство Бакара в Картии, вступил на путь вооруженной борьбы с турками. Отныне он будет в меру своих сил руководить освободительным движением народов Закавказья в целом»¹⁹.

1724 წ. 6 აპრილს განჯაში დაიდო ზელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც მოხდა ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური და საბრძოლო გაერთიანება. ეს ზელშეკრულება ზელმოწერილ იქნა

«...при посредничестве главы грузинских феодалов Закавказья Мехмет Кули-хана (Константина)»²⁰.

ამრიგად, კონსტანტინე კახთა მეფე გამორჩეულია მთელი ამიერკავკასიის ანტიოსმალური ძალების

დამარაგველად და ხელმძღვანელად.

ანტიოსმალური კავშირის მონაწილეობა შეიმუშავეს ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნის გრანდიოზული გეგმა „ძარი პარს მისცეს და კავშირი შეერეს ერთსულოვანა“.²¹

ამ გეგმის მიხედვით, ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა ერთდროულად უნდა დაწვეხულიყო აღმოსავლეთიდან (განჯა-შამხედინლუს მხრიდან) და დასავლეთიდან (გორხანეს რუდუტებილიდან, მცხეთის მახლობლად). მოკავშირეები უნდა გაერთიანებულიყვნენ სოღანლულის ველზე და შეეთიხათ თბილისისთვის. ქალაქის აღების შემდეგ ერთიანი ძალებით ერევნისკენ უნდა დამარულიყვნენ და დახმარება აღმოეჩინათ აღმშენებელთა ქალაქისათვის. გეგმა ითვალისწინებდა ერევნის განთავისუფლებასაც.²²

უდავოა, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა მოხერხებულად იყო შეშუშავებული და გაულისხმობდა მოკავშირეთა ერთობლივ და თანადროულ მოქმედებას. მაგრამ განქველვის აქტადნენ, რადგანაც ერევნის მოსახლეობამ განჯას, შამხედინლუსა და შამხედ-ულუსმხანს დახმარება სთხოვა. ასეთ ვითარებაში „განქვლები ერევნის დასახმარებლად ჩქარობდნენ და ქართველებზე ადრე ამოქმედდნენ“.²⁴ რის შედეგადაც ჩაიშალა ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედების ერთობლივა გეგმა. ოსმალებმა მოხერხებულად გამოიყენეს ეს ვითარება და ცალკე-ცალკე დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგეები. ერუბმა, როდესაც ვახტანგ VI და ბაქარსა ამ დამარცხების შესახებ შეიტყვეს, მათ იმედი დაჰკარგეს ოსმალებზე გამარჯვებისა და შესაძლებელია ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ვახტანგის რუსეთში გამგზავრებისა (1724 წ. 15 ივლისი).

ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა არცხებოდა „ქალაქის (თბილისის — მ. ს.) ტყე-ანი მოა-გორებოდან, წერს ამ ამბების თვითმონადედი გურჯი ზადე, აჩანების ქარიშხლისებური ხმა მოისმა, შემზარავი ხეობებიდან შეურყვრებლივ წამოვიდა ვერაკობისა და მუნანათობის წოდვარი, ჩანუ და ამხოხება ქვეყნისა“.²⁵

ვახტანგ VI და ბაქარის რუსეთში წახვლის შემდეგ ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეებად გამოდიან შანშე ერისთავი და იოარ არაგვის ერისთავი. თუმცა ქართლის ვილაიეთი გარეგნულად სრულ მორჩილებაში იყო, თითქოსდა სასწრაფო მოცილებო, მაგრამ თბილისის დაქვემდებარებული ყარაქალქისა (არაგვის) და ქუჩის ერისთავები... იუვნენ ურჩები და ფანტიკურად ქედუხრდნენ... აღვივებდნენ ეროვნულ ნაებრწყალს, დაუმორჩილებელი, მკაცრი ბუნების, დიდებულები ერთგულების ფიცის ქვეშ ხელმძღვანელად ჩანე-



დებან, ემპაკობასა და თვალმპეცობის დაწვევლილ საქმეში შეუდარებელი არაა".²⁶

აქანებულმა ქართლებმა დახმარებისათვის კონსტანტინეს მიმართეს და მოუწოდეს მას ჩახდგომოდა სათავეში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

წყუელი მამულ ხანიც, — წერს გურჯი ზადე, — რადგან წარმართთა სარწმუნოებას განუდგა, იგი ქრისტიანობაზე გაყვალა. სახელადაც კონსტანტინე დაირქვა და ქრისტიანი ბერებისგან ქრისტეს მოძღვრება ჩაინერგა. ადამწესებს ასი წლის მოხუც ბერებზე უფრო დახედავნილი ურწმუნო ასრულებდა, იმ ზომამდე, რომ კათოლიკეები მას ეთათობიებოდნენ ხოლმე ქრისტიანობის საკითხებზე".²⁷ შესანიშნავი დახასიათებაა! ამაზე მეტი რა უნდა ეთქვა კონსტანტინეს შესახებ გამამაღიანებულ ქართველ რენეგატს! როგორც ვხედავთ, კონსტანტინე არ იყო „ფრიალ მამაღიანი“, პირუტყვი და უძინებელი მტერი იყო ოსმალთა და მათთან ბრძოლაში დალია სული.

ვახუშტის ცნობით, „ურახნენ ქართველნი მამამდე ყულა-ხანს, რათა მივიდეს სპითა კახეთსათა, ვანამარ ოსმალნი და იუს მეფედ მათდა".²⁸ კონსტანტინემ ლაშქარი შეკრიბა და ქართლში მოვიდა: „შეიკრიბნენ ქართველნი, მოიყვანეს მამამდე-ყული-ხან კახით, თუშეთ, ფშაველ-სევეურთია და დადგნენ თედოწმინდას".²⁹

თურქი მეგაკიანე ქურუქ ჩელები-ზადე ამ წერს ქართლში დაწყებული აქანების შესახებ: „მამამდე-ყული-ხანად წოდებულმა ურჯულმ სარწმუნოება შეიცვალა და ქართველ ბუცებისაგან კონსტანტინედ იწოდა. ხელისუფლის ადგილი დოკია და გურჯისტანის ხანის სამოსი ჩაიკვა. ერისთავებმა, თავადებმა და აზნაურებმა მოარჩილება გამოუცხადეს. ქართველები, ოთხივე მხრიდან რომ გარს ედგნენ, მამამდე-ყული-ხანს და კავშირი შეერგეს. უარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10.000-ზე მეტი მოლაშქრით... გორის ციხის ასახლებად წავიდნენ".

აქანებულმა ქართველებმა მოქმედების გზა და შეიმუშავეს: მათ გადაწყვიტეს ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა გორიდან დაეწყოთ, გაეთავისუფლებინათ გორის ციხე, იქიდან კი თბილისისთვის შეეტრათ, გაედევნათ ოსმალები და დაქალიყნად და გაეწმინდათ ქართლი მტრისაგან. ამ ამბების თვითმხილველი გურჯი-ზადე წერს: „უხელოთა ტომი ურცხვი ლაშქრით უარაკალკანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა... ხედა თუ არა ზეგ გორის ციხეს აღუა უნდა შემოარტყან. ქართლის ვალაიეთში ყველა, ვინც ადრე მოარჩილებას უცხადებდა, ახლა, აშკარად თუ ფარულად ფიცს დაარღვევს და ხსენებულს დაიქვემდებარება. გორის ციხის რახათში თვითნაო დამპყრობი ფეხი ერთზელ თუ შედგეს, ხსენებულა ციხისაგან ბერი აღარ იქნება".³¹

„დავითიანი“ ეს ამბავი „ქართლის კირიან“ შემდეგნაირადაა გადმოცემული: **ეროვნული ბიბლიოთეკა**

შეიოქუნენ, შექნეს ფიცებით, ერთმანეთს მისცეს პირები, არჩივეს, გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები, კახმა ბატონმა მომართა დაბ-დაბნი და საყვირები. (314)

1724 წლის სექტემბრის დამლევს გორის მახლობლად ქართველებმა და ოსმალებს შორის შედევლასთან (გუფთასთან) დიდი, სისხლიან-მღვრელი ბრძოლა მოხდა. დასაწყისში ქართველებმა სძლიეს ოსმალებს, წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ მოღალატე იესემ გაქცეული თურქები უკან დააბრუნა, მტრის სიმრავლემ სძლია ქართველთა და გამარჯვება ოსმალებს დარჩა. ისინი სახტიკად გაუსწორდნენ ქართველებს. ასულგარდა და გურამიშვილი მონაწილეობას იღებდა ამ ომში.³²

იესეს შეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთა ქარები. მან შეიყარა ოსმალთა, იქმნა თიფლისით მარები. მოხედნენ ერთმანეთს: დიციკარაც მამინ სისხლის ღვარებო, აღაბრუნებდა ბევრს წისკვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატვეით: მან ჩემნან ქარმან აქობა პირველ მისვლაზე შატვეით, მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალაღტვეით.

ამგვარად, „დავითიანის“ მიხედვით, ზედაველასთან ქართველთა ლაშქრის მეთაური კონსტანტინე იყო, ხოლო ქართველთა დამარცხებას ერთ-ერთი მიზეზი — დღაღატი, რომლის ანიცუატორია იესე იყო.

ზედაველასთან ბრძოლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: „ეს იყო საქართველოს ქარების გამოღვი და ტრაგიკული გაბრძოლება მრისხანე მტერთან, რომელიც ცდილობდა მაგრად მოეციდებინა ფეხი და საშუალოდ დაშკვიდრებულყოფი ამიერკავკასიაში. ეს ომი უფრო დიდი ომის ერთი უბანი იყო, ოსმალეთის ქარები უფრო ფართო ფრონტით უტევდნენ, რომელიც მოიცავდა გორსა და თბილისს გარდა, ერევანს, ნახიქევანს, ორდუხაბს, უარაბას, ვანახს, თავზირს".³³

ზედაველასთან ომის შემდეგ იწყება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი.

ამრიგად, ქართული წყაროების დაწვრთვებით ანალიზისა და ახლად გამოქვეყნებული მასალებისგან აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინე (მ-

მხალ უღლი-ხანი) კახთა მეფე მეთაურობდა ამიერკავკასიის ხალხების გამათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ და მისი ხელმძღვანელობით სამი დიდი ომი ჩატარდა (ვანჯაში, ურაბახ-უაზახში, ზღაველზე, გორთან), თვითონ კონსტანტინე ოსმალეთთან ბრძოლის დროს მუზანათურად მოკლეს. 31 ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტურად, არაფერია ნათქვამი კონსტანტინეს ამ დეაქლას შესახებ, პირიქით იგი უარყოფით პიროვნებად აღწერილი.

წინამდებარე წერაში ზენ მანანს არ შეა-

დგენდა კონსტანტინე კახთა მეფის მთელი მოღვაწეობის შეფასება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოტანილი ფაქტები ნათლად ცხადყოფს, რომ კონსტანტინე მრავალმხრივ საუურადღებო პიროვნება და უნდა გადაიხსნას ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მისი მცდარი შეფასება.

დავით გურამიშვილი პირველი ქართველი მემატიანე იყო, რომელმაც წვრილად გაიგო და შეაფასა კონსტანტინე კახთა მეფის მოღვაწეობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის „დავითიანი“.

დასოფნიებული ლიტერატურა

1 გრ. აბაშიძე, გურამიშვილის უკვდავება, „ლიტერატურული საქართველო“, 10/X, 1980 წ.

2 დავით გურამიშვილი, დავითიანი, ტექსტა, გამოკვლევა, ლექსიკონი. ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931 წ., შემდეგ — ეიმოწმებთ ამ გამოცემას.

3 ვახუშტი, ისტორია... „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 619.

4 ე. შალაძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974, გვ. 221.

5 ვ. დონდუა, დ. გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 98.

6 იქვე.

7 გ. ნატროშვილი, ვითა დავლამდი, ისე გავთენდი, წიგნი დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, თბ., 1960, გვ. 116, 117.

8 იქვე.

9 ვ. დონდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

10 ვახუშტი, ისტორია..., გვ. 505.

11 გ. ნატროშვილი, ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი „მნათობი“, 1976, № 1 გვ. 143.

12 В. К. Восканян, В. А. Дилоян, Политика России в Закавказье в 20-х годах XVIII столетия. Историко-филологический журнал АН Армянской ССР, № 2 (25), Ереван, 1964, стр. 255.

13 А. Г. Абрамян, Документы из истории совместной борьбы народов Закавказья против турецких агрессоров в первой четверти XVIII века, «Вопросы истории», 7964, № 2, стр. №65.

14 ცნობები ქუჩეჩელებზე ზადე ისტორიიდან, თარგმანი ცისანა აბულაძისა, იბ. წიგნი ვ. გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ., 1975, გვ. 56.

15 Армяно-русские отношения в первой трети XVIII века. (Сборник документов). Под редакцией и предисловием А. Иоанесяна, Ереван, 1964, т. II, ч. 2, стр. 108.

16 Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тбилиси, 1970, стр. 72.

17. ვახუშტი, ისტორია... გვ. 506.

18 Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, стр. 59.

19 Там же, т. II, ч. I, стр. LIII.

20 Там же, стр. LXX, LXXII.

21 გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძე, თბ., 1975, გვ. 33.

22 იქვე, გვ. 31-35.

23. იქვე.

24. იქვე.

25 იქვე, გვ. 20.

26 იქვე, გვ. 31.

27 იქვე, გვ. 34.

28 ვახუშტი, ისტორია... გვ. 508.

29. იქვე.

30 ქუჩეჩელებზე ზადე, გვ. 54.

31 გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 36.

32 ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-ლიტერატურული ეტიუდი). წიგნი, „დავითიანი“, გვ. XXII.

33 გ. ნატროშვილი, ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი..., გვ. 152.

34 ვ. ლეონიძე, კონსტანტინე კახთა მეფის სიკვდილის თარიღის გამო („ლიტერატურული გაზეთი“, შტრ. ს. ჩიქოვანი, გ. ნატროშვილი, როდის მოკლეს კონსტანტინე მეფე, „ლიტერატურული გაზეთი“, I. VII, 1955 წ.

ლაიოზ ტარდის ქართველოლო- გიური მოღვაწეობა

ქართული მეცნიერული და შიომხედვი საზოგადოებრიობა კარგად აცნობს თვალსაჩინო უნგრელი მწერლისა და მეცნიერი-ქართველოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლაიოზ ტარდის სახელს. ავტრ. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია უნგრელი მეცნიერის წეარაღება, ნარკვევები, გამოკვლევები არ სცილდება ქართულ, რუსულ, უნგრულ და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო, თუ სალიტერატურო პრესის ფურცლებს. ამას გარდა, პროფესორი ლაიოზ ტარდი რამდენიმე ცალკეული წიგნისა და მონოგრაფიის ავტორია, ხოლო საგანგებო ინტერესს იწვევს ისტორიულ თემებზე შექმნილი მისი მხატვრული თხზულებანი.

ლაიოზ ტარდი დაიბადა 1914 წლის 28 ივლისს, ქ. ბუდაპეშტში, უნგრელი ინტელიგენტის ოჯახში. მუდ ტარდის ოჯახში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან უმაღლესი განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო — დამთავრდა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის აურადიული (1936 წ.) და ფილოლოგიური (1938 წ.) ფაკულტეტები; 1934 წელს ლ. ტარდი გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1973 წლის 8 მაისს, თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა მე-16 საუკუნეში“, რის საფუძველზეც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, საგულანხოა, რომ მთელ უნგრეთში მაშინ სულ სამ ათეულზე ცოტა მეტი ისტორიის მეც-

ნიერებათა დოქტორი იყო, მათ შორის არის ლაიოზ ტარდი.

წლების მანძილზე ლაიოზ ტარდი იყო ბუდაპეშტის სტენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეცნიერი-თანამშრომელი. ხოლო 1968-1978 წწ. — უნგრეთის ცენტრალური არქეოლოგიური ბიბლიოთეკის დირექტორი, 1977 წლიდან კი არის ქ. სეგედის ატილა იოვეტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და კითხულობს ლექციებს აღმოსავლეთის ხალხების, მათ შორის ქართული ცივილიზაციის ისტორიაში, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს კითხულობს სპეციალურ კურსს: „კავკასიის სახელმწიფოთა, ევროპის, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორია“.

უნგრეთის პარტიისა და მთავრობის მიერ ლაიოზ ტარდის სამეცნიერო და სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული: იგი დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მაღალი ჯილდოთი — შრომის ვერცხლის ორდენით (1974 წ.), საპატიო ნიშნით „სოციალისტური კულტურისათვის“ (1978 წ.); უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში გაწეული თვალსაჩინო ღვაწლისათვის კი — უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებრივი პრეზიდიუმის საპატიო სივლით (1968 წ.).

ლაიოზ ტარდის თვალსაჩინო მეცნიერულ აღიარებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი არჩეულა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობითა კომისიის, უნგრეთის ორიენტალისტთა საზოგადოების გამგეობისა და პარიზის საზოგადოების წევრად, აგრეთვე, არის პარიზში გამოშვებული ცნობილი ქართ-

ველილოგიური ცურნალის „ბედი ქართლისას“ („რევუ დე ქარფელილოგი“) სარედაქციო კოლეგიისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი.

ლ. ტარდი კოლექციონერად მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმსა და კონგრესებში. უკანასკნელ ხანს (1970 წლის 12-15 ივნისს) ბერგამო-ვენეცია-მილანში გამართულ ამიერკავკასიის ხალხების კულტურათა საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაიკითხა მოხსენება: „ევროპული წყაროები მე-16 ს. საქართველოს ისტორიის შესახებ“.

თავის მეცნიერულ მუშაობაში ლ. ტარდის ხელს უწყობს შესანიშნავი კლასიკური განაოლება და უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა: გარდა მშობლიური უნგრულია, ავი თავისუფლად ფლობს ლათინურ, გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ და რუსულ ენებს. ზოლო საქმარისად კარგად იცნობს ფრანგულ და ესპანურ, აგრეთვე, ქართულ ენებს.

ლიაოზ ტარდი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერია. მას ეკუთვნის საუფრადებო ნაშრომები უნგრეთის ისტორიის, სამართლის, მედიცინისა და პრების ისტორიის საკითხებზე.

რუმე საბჭოთა ისტორიკოსების მიწოდება დამსახურა ლ. ტარდის გამოკვლევებმა მე-15 ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის რუმე-უნგრეთის კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური კავშირთა თეორიაზე: „ტარდი ნაშრომები უნგრეთისა და რუმეის კულტურულ და ეკონომიკურ კავშირების ისტორიის საკითხებზე, დაშორებული პირველწყაროთა ფართო წარება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინტერესს“ — წერდა საბჭოთა ისტორიკოსების ერთობ კონტრალური სამეცნიერო ორგანო, 1978 წელს კი რუმულ ენაზე ითარგმნა და მოსკოვში გამოიცა პროფ. ე. შულტისის თანაავტორობით დაწერილი ლ. ტარდის ნაშრომი „რუმე-უნგრეთის სამედიცინო ურთიერთობის ისტორიიდან“, რომელიც პირველად უნგრულ ენაზე 1980 წელს იყო გამოკვეთებული ბუდაპეშტში.

ახალი მასალების სიუხვითა და სანტერესო დასკვნებით საბჭოთა ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლ. ტარდის 1954 წელს ბუდაპეშტში გამოცემულმა საქანდიატო დისერტაციამ პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ რექტორზე მიხეილ ბალუგაანსკიზე (1869-1947), რომელიც წარმოშობით უნგრელი იყო. დიგრად რადოსთან ერთად ლიაოზ ტარდის მიანგონ აგრეთვე ა. პუშკინის „კავკასიის ტყვეთა“ მანამდე უცნობ პირველი უნგრული თარგმანის ხელნაწერს, შესრულებულს 1824 წელს კავკასიაში მეოფ გერგეი იაქშინის მიერ, რომელიც პუშკინის ამ თხზულების მსოფლიოში თუ პირველს არა, ერთ-ერთ პირველ თარგმანს წარმოადგენს. რამაც საბჭოთა ლიტერატურულ წყ-

ებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საგანგებო გამოკვლევა (ბუდაპეშტში, 1959) შეტდენა ლ. ტარდის მე-18 ს. პირველ ნახევრის კრესეში მოღვაწე გამოჩენილ უნგრულ მეცნიერსა და ექიმს ი. ორლანს (1770-1829), რომელიც, სხვათა შორის, წვენიში მოღვაწეობის დროს იყო ს. ვ. გოგოლის მასწავლებელი. ლ. ტარდის აღნიშნულ და სხვა წინამორბედ ნაშრომთა გამო „შტუდია სლავია“ 1980 წელს (VI/3-4) წერდა: „ლ. ტარდის თავის ნაშრომებში გააშუქა მთელი რიგი უცნობი ან ნაკლებადცნობილი მომენტები უნგრულ-რუმულ ურთიერთობების XIX ს.-ში; ლ. ტარდის ბუნითი შრომისა და, როგორც ჩანს, ხანგრძლივი მიმწერის წყალობით დიდი რუფუნებითა და საქმის ცოდნით შეკრება თანისი მონაცემები, რისთვისაც უფლებლად იხსახურებს კებას“. ლ. ტარდის მონაწილეობა მიიღო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ერთობლივად შიშხადებულ კრებულში: „რუმულ-უნგრული ლიტერატურული ურთიერთობანი. ტ. I, 1961“, რომელმაც ასევე პრების მაღალი შეფასება დამსახურა.

თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერება უნგრულ-უკრაინულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა კვლევის ისტორიაში. კერძოდ, მანამდე უცნობ საბჭოთა მასალების გამოყენების საფუძველზე, ლ. ტარდის აღადგინა დიდი უკრაინელი ფილოსოფოსისა და პოეტის გრაციო სკოპოროდის უნგრეთში მოღვაწეობის მეცნიერული სურათი. ლ. ტარდის ეს ღვაწლიც სათანადოდ აისახა უკრაინულ ლიტერატურულ კრებაში.

მაგრამ ამერად ჩვენი მთავარი მიზანია მკითხველს შეძლებისდაგვარად გაეცნოს უნგრული სწავლულის საერთო ქართველოლოგიური მოღვაწეობა. ამის თაობაზე ჩვენში თუმცა გზადგა აღრეც კვანდებოდა რეცენზიები, მიმოხილვითი თუ საინფორმაციო წერილები (ი. ტაბაღა, ლ. ხუბულური, ა. ირემად, ს. თერნავა, გ. კარხეიშვილი, ვ. კიხიური, ვ. ცოტნაშვილი, ვ. მათრელი, ვ. ხარაშვილი, ა. ტულუვი, ა. გურგენიძე, ა. ახვლედიანი, მ. საღაძე და სხვ.), მაგრამ ამ საკითხზე ცოტად თუ ხეყრად მანც ერთად თამოყრალი ცნობები დღემდე არ გვქონია.

* * *

საქართველოსადმი, ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურისადმი ინტერესი ლიაოზ ტარდის, მიხევე აღარბებით, ღერ კიდევ აღრეც კავბუბობის წლებში ვადციებთ: „ეპიკურადიანს, 16 წლისა, როცა ერთ-ერთ მჭედ უნგრულ ეურნალში წაიკითხე, რომ უნგრეთს, რომელმაც საუყუნეთა განმავლობაში სრული განა-

გერმიათ ენოქტერბოდენ დასავლეთიდან გერმანელები, ხოლო სამხრეთიდან — თურქები. შეიძლება შეედაროს მხოლოდ ერთადერთი ქვეყანა — საქართველო, რომლის დაპყრობასაც ახვევ ცდილობდნენ ხან თურქები, ხან საარსებლები... უწინააღმდეგო ბერის იყო ნათქვამი თავსუფლებიანადმი ქართველთა დიდ სიყვარულზე და მის სხვა გამოჩინებულ ერთგულ თავებებზე. ეს უკვე საქმარისი გახდა იმისთვის, რომ განეწინააღმდეგა რაღაც არაჩვეულებრივად ინტერესი ყველაფრისადმი, რაც კი დაეკავრებოდა იყო თქვენს ქვეყანასთან".

ამის შემდეგ კიბუკი გიმნაზიელი და მალე უკვე ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სტუდენტი უფრო ახლოს გასცნობია დიდი უნგრელი მწერლების — შორ იოკაის (1826-1894) და კაროი პ. სატმარის (1831-1891) შემოქმედებას, რომლებმაც თავიანთ ისტორიულ რომანებში გამოჩინებულ ადგილად დაუთმეს ქართულ თემატკას. კერძოდ, აღსანიშნავია ამ მხრივ შ. იოკაის რომანები „რომინა“ (სანტერგო, რომ აქ გამოცემულია თანარ მიფე და რუსთაველი), „თავისუფლება თოვლქვეშ“, „ამირანი“ და კაროი პ. სატმარის „საქართველოს უკანასკნელი დღე“ და „რომელიც პირველად 1855 წელს დაიბედა ბუდაპეშტში და მიძღვნილია გიორგი XII-ის მეუღლის მარია ცაიცივილისა და მის შვიტ გენერალ ლახარვის გახმარებულ რეალელობისადმი (ამის შესახებ ცნობა უნგრეთში ჟურ კიდვე 1808 წელს დაბეჭდილია გაზეთ „მიდიარ კურირში“. სატმარის ეს რომანი სენციალური შესწავლის ღირსია). გარდა ამისა, კარგი ვერსიული განათლების მქონე ახალგაზრდა იცნობდა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში თავის თანამემამულეების მიყოლი ტოტულური-იოხისა და მიხაი იტყაიკოვის შვიტ შეტანილ წეაღს, აგრეთვე, შ. ზიის „ვეფხისტყაოსნის“ სახელგანთქმულ ილუსტრაციებსა და რუსთაველის პოემას ზელა ვიკარისეული უნგრული თარგმანის მიხედვით, რომელიც ერთერთი პირველთაგანია „ვეფხისტყაოსნის“ ვერსიულ ენებზე შესრულებულ თარგმანთა შორის (გამოქვეყნდა ბუდაპეშტში, 1917 წელს).

მასხანადამე, როგორც თვითონ ლ. ტარდი ამბობს, „პირველი სიუვარულის წეღებში“ იგეგმან პირველი სიუვარული ამ ქვეყნის წარსულია, რომელიც იგი ზედავდა თავისი სამშობლოს ისტორიის, თავისი ხალხის ბედის თანაზიარების... (ამ მხრივ, იგი ისტორიკოს აღენის მიმდევარია); მაგრამ ისევ ლ. ტარდის სიტყვებში რომ გაიფიქროთ, „ახალგაზრდა კაცმა შეიძლება პირველი სიუვარული დაიწვიოს, ახალგაზრდა კაცს შეიძლება პირველი სიუვარულის გრძნობამ გაუაროს, მაგრამ საქართველოსადმი კიბუკობის წეღებში ჩანერტილი პირველი სიუვარული მას დღემდე არ განეღებია“ (სხვათა შორის, ახალგაზრდა უნგრელი მეცნიერზე ამ

მინართულებით თავის დროს დიდი ვაჟელმა მოუხდენიათ, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის წეღებში გაქრობილ მოსკოველ კლასიკურ მკოდნეს აღეკვი ფილიპოვს, და განსაკუთრებით, ქართველ კაბატან დენიაშვილს, რომელსაც ღრმა ვატაყობითა და ცოდნით უცხოელი კაცისათვის თავისი სამშობლოს ისტორია და კულტურა კიდევ უფრო შეუყვარებია).

ბუდაპეშტიდან 1962 წლის დასაწყისში მოწერილი შემომოკუვანილი სიტყვებით გაეცნო საქართველომ პირველად უნგრელი მწერალი და მეცნიერი, მანო რაკა იგი ჩვენს ქვეყანაში ჟურ რკ ერისხელ არ იყო ნამყოფი. ამ დროს ლ. ტარდი უკვე რამდენიმე გახმარებული წიგნისა და გამოკვლევის (მათ შორის, უნგრეთის რუსეთისა და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე) ავტორი გახლდათ და ქართველოლოგიაში სერიოზული შემოხიხისათვის ემზადებოდა.

მხოლოდ 1967 წლის სექტემბერში აუხდა ოცნება ჩვენს ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულ მწერალსა და მეცნიერს: უნგრეთის კულტურის დღეებში მონაწილეობის მიხედვად საქართველოს ეწვია ლიონო ტარდი, როგორც უნგრეთის დელეგაციის წევრი და ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებში უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის შესახებ ვულწრფელი მეგობრობისა და მეცნიერული ინტერესების აღმქრელი წერილი გამოაქვეყნა, რომელიც ერთდროულად უნგრულ პრესაშიც დაიბედა.

ამის შემდეგ ლ. ტარდი უკვე რამდენიმეჯერ (1968 წ., 1969 წ., 1972 წ.) ჩამოვიდა საქართველოში ხანგრძლივი მეცნიერული მიუღანებით, უფრო ახლოს გაეცნო ჩვენს სამშობლოს, ქართული კულტურის ჭედაებს, სიჭედატისათვისა და ამყარა კონტაქტები ქართველ კოლეგებთან... 1976 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში, ხოლო ცენტრალურ პრესაში მალე გამოქვეყნდა მისი ვრცელი ინტერვიუ უნგრეთ-საქართველოს ისტორიული თანამგზობრობის შესახებ.

დიდი სულიერია მეგობრობა აკავშირებდა და აკავშირებს ლიონო ტარდის ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან (კ. გამახურდია, ი. ვეჯუა, ა. შინიძე, ჭ. წერეთელი, ა. ვასაძე, ლ. გუდიაშვილი, ალ. ბარამიძე, შ. შიფოელი, ს. ქიქია, ელ. შერტაგლი, ვ. ბერიძე, ვ. მელიქიშვილი, ირ. აბაშიძე, ბ. ვედუნი, ვ. ციციშვილი, რ. დვალა, დ. გედევანიშვილი, ა. ნონეშვილი, ბ. გორდუნიანი, ი. ტახაღუა... ყველამ ვერც ჩამოვთვლით). განსაკუთრებული სიზიზიოთ იცნობს იგი არჩ. გაცოვილს (მისი პორტრეტი ხანაში უკადა) და აღ. გამედიანის, ძლიერ დავალებულად გრძობს თავს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის

საზოგადოებისაგან (გ. შელაძე, ალ. ჟღერტი, მ. შველაძე, გ. ტატიშვილი, მ. ქვიციანი...). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მუდმივ ხელშეწყობას განიხილავს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან, კერძოდ, მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, აკად. ლაიოშ ლივტიცისაგან. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ წყაროებზე საშუალოდ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ ლაიოშ ტარდი სამჭერ საკუთარი სახსრებით მიაღწინა საქართველოში, ავსტრიაში და იტალიაში.

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შესანიშნავი წერტილ-მოკონება „შეხვედრა თბილისში“ გამოქვეყნდა ლაიოშ ტარდიმ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთ „ნებსახადეაში“ 1975 წელს 7 აგვისტოს, რომელშიც უნგრელ ჰეობიველითა თვალწინ გააცოცხლა შვიცე საუბრის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დედაბაბის დაუფიქრარი სახე, რომელსაც იგი „დაუფიქრარ ქართულ ბარდს“ უწოდებს. დიდ ქართველ მწერალთან პირადი შეხვედრებითა და მეგობრობით შეთავსებული უნგრელი ქართველოლოგი კონსტანტინე გამსახურდიას ნამდვილ ცოცხალ პორტრეტს ხატავდა, როცა წერდა:

„ქვეამ ამტკველებული ისტორიული ძეგლების, ეკლესიების, ციხის ნანგრევების კვრდით დაკვირვებული ტურისტა საქართველოს დედაქალაქში აუცილებლად შეამჩნევდა ერთ ცოცხალ ძეგლსაც: თეატრის ფოიეხა და რუსთაველის პარსპექტივზე ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე არჩევსებული გამოჩვეულებების მქონე კაცო. მოხუცებს თანამედროვე ტანსაცმელი კი არ ეცვა, არამედ სადა, მაგრამ მაინც სადღესასწაულო ჩოხა, წილზე კი ძველებური ქართული ხაჩკალი ეკიდა... იგი თავისი ხაღბის ერთგული შვილი იყო... ეს პირქუში გამოშტეტებული ბიჭის, შუასაურონების რაინდების მზავისი ვარგისობის კაცო იყო მრავალ ენაზე ამტკველებული დანტხისა და გოეთის ქართულ ენაზე შთარგმნელი, წლების მანძილზე თოხას მანისა და მრავალი სხვა მოწინავე მწერლის მეგობარი. განსაკუთრებით პეტერბურგისა და ბერლინის მქონდა მიღებული, შემოკლები მქონდა მთელი ევროპა. ამ სტრუქტურების ავტორს დიდი სიყვარულით ესაუბრა უნგრეთში მიღებული შთაბეჭდილებების თაობაზე“. ასევე გულთბილი წერალი მიუძღვნა ლ. ტარდიმ ქართული კულტურის უმწიკველი მოღვაწის, მახია ზიხის შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ბენო ვარდუჯიანის სსოვანს.

ქართველმა ხალხმა 1974 წელს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა თავისი უნგრარი მეგობრის, გამოჩენილი ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის დაბადების 80 წლისთავი და სამაგიერო მიუზლო უნგრელ მეცნიერს მის მიერ ჩვენთვის გაწეული დავალებისათვის.

ლაიოშ ტარდის ბინის კარი ზუღაგეგში შესანიშნავი ინტელაგენტი კაღისს (სსს მკვლევარი) უნგრეთში ჩასული ყოველი ქართველისათვის. საგანგებო ოთახში მას თავისებური ქართული მუზეუმი აქვს მოწყობილი. რას არ ნახავთ აქ: ქართული ნახაღი, ქაშარ-ხაჩკალი და ჩოხა, ხალიჩები, დროშები, მუხიკალური ინსტრუმენტები, ჭედურხა და კერამიკა, უნიკალური ბიბლიოთეკა ქართული წიგნებითა და საქართველოდან ყოველდღიურად მომავალი ყურნალ-გაზეთებით... ერთი სიტყვით, აქ თავი უცხოეთში კი არა, საშობლოში გგონია; აქვეა გამოუჩენილი უმევათების ძველი ევროპული რუკები და გრავირებები საქართველოს შესახებ, მთავრად განსაკუთრებით საინტერესოა ორი ძველი გერმანული გრავიურა „ქართველები“ და „თბილისი“. რომლებიც მკვლევარს ევროპულ ბუკინისტებთან და ანტიკვარებთან აქვს შედენილი. „ქართველები“ შეიძლება რომელიღაც ძველი წიგნიდან ამოღებული გრავიურა იყოს, ხოლო „თბილისს“ გერმანულად ასეთი წარწერა აქვს: „ქ. მილდებურგმაუზენის (საქსონია) ბიბლიურის საზოგადოების ტაოგრაფიიდან. გამოშეცემის საკუთრება“.

მაგრამ მაინც ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ლაიოშ ტარდის მიერ დიდი სიყვარულითა და ზრუნვით შექმნილი მდიდარი ქართულილოგიური არქივი, რომელშიც დაცულია უნგრელი ქართველოლოგის მრავალი წლის მანძილზე განუწყვეტელი შრომის შედეგად ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით, ავსტრიაშია და იტალიის სიძველეობისაყვებში გამოვლენილი და გამოკვლეული ძვირფასი წერილობითი წყაროები უნგრულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და ლათინურ ენებზე და საუკუნეების საქართველოს ისტორიისა შეა შესაკლენი ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ. ლაიოშ ტარდიმ გამოშეცემია წერილობითი დოკუმენტი (დაცულია ჩემთან), რომლის ძალითაც იგი მთელ ამ უმძღარებს ქართველოლოგიურ არქივს უტოლებს ქართველ ხალხს და დამსაცავად გადასცემს ქვეყნის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების კომისიამ უნდა აზრუნოს ამ დოკუმენტების გამოსაცემად თვით ლ. ტარდის მოწაილეობით.

* * *

როგორც უკვე ვთქვით, ქართველოლოგიური მოღვაწეობის საჩხილზე ლაიოშ ტარდიმ პირველი მოკრძალებული ნაბიჯები 1906 წელს შედიწედ გამოქვეყნდა მისი გამოკვლევები „იკოს რეინგებისა და იანოშ კოშარის მოღვაწეობა კავასიაში XVIII ს. მეორე ნახევარში“ და „იანოშ

ორღა—უნგრეთი მოგზაური საქართველოში". მას შემდეგ დასავლეთ ევროპას, რუსეთსა და საქართველოს არქივებში მკვლევარის დაუღალავმა მარჯვენამ და მამიებელმა გონებამ არაერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროს გამოაღწევინათ და ანალიზით გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, საერთოდ, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ამა თუ იმ საკითხზე.

ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ლ. ტარდის ისტორიული რომანი „იაკობ ბეი“, რომელიც ბუდაპეშტში 1982 წელს გამოქვეყნდა, ხოლო 1971 წელს ქართულადაც ითარგმნა. იაკობ ბენეცეზი (1744-1798), იგივე იაკობ ბეი, წარმოშობით საქონიელი ექიმი და მეცნიერი, გრავ კომპარისთან ერთად უნგრეთიდან ჩამოვიდა საქართველოში და 1778-83 წლებში ერცელე II-ის ტახტზე მოღვაწეობდა. მან თავი გამოიჩინა აგრეთვე როგორც დიპლომატმა და გარკვეული რაღია შესარღვა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის მომზადებაში. გულშეურთავად სიტყვები მიუძღვნა იაკობ ბენეცეზმა ქართველთა მიერ: „მეფე ერცელე ყველაზე საუკეთესო აღმამანია მათ შორის, ვისაც მე შეტყვევებთარ ცხოვრებაში. იგი ბუნებას დაუქილდობითა უყოველი საკეთილი, რაც კი აღამანს შეიძლება გააჩნდეს, იმდენად მთავსებდა, ისე დიდი იყო სიყვარული და მეგობრობა ჩვენ შორის, რომ, მიუხედავად მისი ასეთი უმადლესი მდგომარეობისა ჩემთან შედარებით, ნებას მაძლევდა მაშა შეწოდებინა მისთვის“.

იაკობ ბენეცეზის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ლ. ტარდის სხვა შრომებშიც.

ლ. ტარდის აღნიშნულ რომანს ჩვენს პრესაში რამდენიმე ტექსტზეა მივლინა, ხოლო რომანის ქართულ გამოცემას თან ერთვის ისტორიკოს ვ. გერვას „ბოლნისიტყვაობა“, რომელშიც თანამედროვე ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პოზიციებიდან მოკუმულია მისი შეფასების ცდა (თბ., 1971, გვ. 284-287).

ამის შემდეგ ლაიოზ ტარდის ხელა მოჰყავდა უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობების ისტორიის დამუშავებას, მოკლედული აღორძინების ეპოქიდან ახალ დრომდე.

როგორც ვიცით, პირველწყაროებს ზრუნე, პავსამ ძლიერ საგულისხმო ცნობები შეჰოუნახავს ქართველთა და უნგრეთთა პოლიტიკურ, რელიგიურ, დიპლომატიურ თუ მეცნიერულ ურთიერთდამხრეტრესებაზე. ამას ცხადად მოქმობს უნგრეთ ჰუმანიტთა მიერ შემუშავებული ე. წ. „სკიუთური თერია“, რომლის მიხედვით, უნგრეთთა წინაპრების ერთ-ერთი პირველსაბუჯრისად და ნათესავ ხალხად საქართველო და ქართველთა მხნეული.

ამ უზარმაზარი თემის დამუშავებისას ლ. ტარდის რამდენიმე ცალკეული ნაშრომი გამოაქ-

ვენა უნგრულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, რომელიც ქართულად 1988 წელს გამოქვეყნდა (ითარგმნა ლ. შაისურაძემ), ხოლო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში „ლიტერატურულ ურთიერთობანი“ (რედაქტორი — პრიფ. გ. ციციშვილი) ლ. ტარდის რამდენიმე პირველხარისხიან ისტორიულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ხასათის გამოკვლევას დაეძობ ადგილი, პარჩიში გამოშვად „რეფოთ დე ქართველოლოგი“-ში კი 1988 წლიდან სისტემატურად უოველი წლის ნომერში იგი აქვეყნებს ქართველოლოგიურ ნარკვევებს, რომელთა საერთო მოცულობა ერთად აღებული საკმაოდ სიღლიურ წიგნს შეადგენდა.

როგორც ვთქვით, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობებს ლ. ტარდი სწავლობს წლებს განმავლობაში და აკლევს ამ ურთიერთობებს დაწეებული XIII ს.-დან დღემდე. ამ დარგში მან არაერთი საურთადებო ნაშრომი გამოაქვეყნა უნგრეთში, საფრანგეთსა და საქართველოში. მისი ცალკეული ნარკვევები დაიბეჭდა აგრეთვე ავსტრიაში, პოლანდიაში და ევროპის სხვა ქვეუნებში.

შანიც განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. ტარდის წელილი XVI ს.-ში საქართველოს შესახებ არსებული შუაევროპული საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის საქმეში. მანამდე მეცნიერებაში განმტკიცებული იყო აზრი, რომ დასავლეთ ევროპა საქართველოს უმთავრებდა იცნობდა თამარის ბრწყინვალე ეპოქით, ან კლდე. უფრო მეტად XVIII ს.-დან, კერძოდ ერცელე II-ის ეპოქიდან მოკლებულია. ლ. ტარდის მიზნად დასახა დამტკიცებინა, რომ დასავლეთ ევროპა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობით და მასთან კავშირურთიერთობით ამ შუალედურ პერიოდშიც იყო დაინტერესებული, რომ საქართველოს სახელმწიფო, როგორც ძლიერი პოლიტიკური ერთეული განუწყვეტლივ დომინირებდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ შეგნებაში.

ამ მიზართულებით გაწეული ლ. ტარდის მრავალწლიანი დამახული შრომა დაგვირგვინდა მის სადოქტორო დისერტაციაში: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა მე-16 საუკუნეში“. რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1978 წლის 8 მაისს, თბლისში. სადისერტაციო ნაშრომის ბუნაწერი შედგებოდა 2 ტომისაგან და შეიცავდა 200-მდე გვერდს, რომელიც დააწერა უნგრეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის და ევროპის სხვა ქვეუნების არქივებსა და სიძულეთსაცავებში ავტორის მიერ გამოკვლენილი მასალების საფუძველზე. ით-

ცალდრმა ოპონენტებმა პროფესორებმა ე. ნიდერშაუერმა (უნგრეთი), ზ. ანახაძემ, ა. ტაბაღაძემ და გ. პაიჭაძემ მაღალი შეფასება მისცეს უნგრელი ისტორიკოსის გამოკვლევას და ლ. ტარდის ერთხმად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი: ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში უნგრელი მეცნიერის სადოქტორო დისერტაციის დაცვისა.

1980 წელს, „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა ლ. ტარდის აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი სათაურით: „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“ (გვ. 8-188), რომელსაც წინ უძღვის პროფ. ილია ტაბაღაძის წერილი: „უნგრელი ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი“. ამ წიგნს მიეძღვნა ჩვენი რეცენზიაც.

სხვათა შორის, მონოგრაფია პირველად სწორედ ქართულ ენაზე გამოქვეყნდა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს ცნობილ ისტორიკოსებს, პროფესორებს ილია ტაბაღაძეს, ზურაბ ანახაძეს, გიორგი პაიჭაძეს და გამოცემილობა „საბჭოთა საქართველოს“ მცხეთურებს, რომლებმაც არაფერი დაიშურეს ნაშრომის მაღალ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე გამოსაცემად.

ლაიოშ ტარდის ნაშრომში გამოუყენებია უნგრულ, გერმანულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე არსებული პირველწყაროები: მან შეყვარულ მიმოკვლევაში შემაიტანა ბევრი დღემდე სრულიად უცნობი მასალა, ახალი ცნობებით გაამდიდრა ჩვენი ისტორიოგრაფია და წყარომომსოვდნობა, ვგაჩვენა, თუ როგორი წარმოდგენისა იყო XVI საუკუნის შუაეუროპული სახელმწიფოებისა და, პირველ რიგში, უნგრეთის საზოგადოებრიობა საქართველოზე, ქართულ ხალხზე, მის თავაწყნრულ ხარბლად უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ამ ეპოქაში უნგრეთს განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში უზღებოდა სპორტვანა. ქვეყნის დიდი ნაწილი თურქეთის ბატონობის ქვეშ მოექცა, მაგრამ დანარჩენ ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა უნგრეთის სახელმწიფოებრიობა, რომელიც პაბსბურგთა დინასტიის სამფლობელოში შედიოდა და მისი ხანოთი ცენტრი იყო ვენა. ცხადია, უნგრელთა მრავალტანჯული ქართველი ხალხის სახით თავისი ბედის მოზიარებს ხელაფინე, მაგრამ ვენის (და არა მარტო ვენის) ხელისუფალთ საქართველობა და ქართველების, განსაკუთრებით კი, უცხოელ მომალდეთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ომების მიზართ, პირველ რიგში, პოლიტიკურა და დიპლომატიური ინტერესები ამძრავებდა. ლაიოშ ტარდის დღე-შრომის შედეგად ევროპის ხიდვედღისსაყვესუ გამოვლინდა უმეტესწილად დღემდე გამოუყვე-

ნებული, ან ნაკლებად ცნობილ მოგზაურთა ჩანაწერები, დღეურები, დიპლომატიური მოხსენებოთი ბარათები, ცალკეულმა ცნობებმა, სხედნაწერი ვაჭრეთების სტატებიო... არ შეიძლება აუღელვებლად ვაეცნოთ მკვლევარის სიტყვებს: „შუაეუროპის ქვეყნების არქივებმა და ხიბლოთიეებში მუშაობის დროს უამრავი მასალის შესწავლა მომიხდა. ზოგჯერ მხოლოდ რამდენსამე ფრანს ვკოულობდა საქართველოს შესახებ. ამის მიუხედავად ვგრძნობდი, რომ ჩემი მუშაობა არ იყო უშედეგო, ვინაიდან ზოგჯერ ცალკეულ წინადადებებსაც შეუძლია საინტერესო საკითხის ვარკვევა“. ქართველ ხალხზე, მის გმირულ წარხელზე მხოლოდ ასე უსაზღვროდ შევყარებულ და თავადებულ კაცს შეეძლო შეეჭმნა ასეთი ფუნდამენტური შრომა XVI საუკუნეში საქართველო-უნგრეთის ურთიერთობისა და შუა ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის შესახებ.

ამას გარდა, ლაიოშ ტარდი უნგრულ ენაზე გამოქვეყნებული რამდენიმე ისტორიოგრაფიული მასიათის მონოგრაფიის ავტორია, რომლებშიაც ქართველოლოგიური საკითხებიც არის წამოჭრილი და წარმატებით გადაწვეტილი. მათ შორის აღსანიშნავია „ტყვეები, ელჩები და ვაჭრები ოსმალეთის იმპერიაში“ (ბუდაპეშტი, 1977), რომელშიც გამოცემულია საინტერესო ცნობები იერუსალიმის ქართველთა მონასტრის, ქართული ადამ-წიესების და სხვ. შესახებ. 1971 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც უკანასკნელ ხანს ინგლისურადაც ითარგმნა, მოთხრობილია უნგრეთ-საქართველო-ირანის კავშირზე ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ XIV ს. დან XVI ს. ბოლომდე, თუ როგორ უყურებდნენ ამ საუკუნეების თურქეთში საქართველოს, უფრო ადრე კი. 1983 წელს, დიდიდ რადობთან ერთად გამოცემულ წიგნში საუბარია საქართველოში 1829-30 წლებში წამყო უნგრელ მოგზაურ აანოზ ბეშეს შესახებ, რომელსაც ძლიერ უუვარდა საქართველო. უნგრეთში ჩვენი სამშობლოს ისტორიის პოპულარიზაციას უწყობს ხელს შანდრო ბოჯანის „საქართველოს გზამკვლევის“ ისტორიული ნაწილი, რომელიც ლაიოშ ტარდის მიერ არის შედგენილი.

განსაკუთრებით საინტერესოა ლ. ტარდის ერთ-ერთი უკანასკნელი მონოგრაფია უნგრულ ენაზე, რომელშიაც უზუა ცნობებია XVI-XVII სს. თურქეთში მოხვედრად და ოსმალეთის იმპერიის სამსახურში დაწინაურებულ ქართველთა შესახებ, მათ შორის, ზოგერთი ცნობა იმ ქართველზე, რომელიც ბუდას ბეგლარბეგიც კი გაშხდარა (მავალითად, ვეზირ გურჯი ქენანი, რომელმაც ბუდას ბეგლარბეგად უოფნის დროს ააშენა სამეფო სასახლის კოშკი, დღესაც ამაჟავა რომ დგას უნგრეთის დედაქალაქში). აგრეთვე, ცნობები სვიმონ მეფის შესახებ, აქვეა სიები თურქეთის ვზით უნგრეთში იმ დროს მოხვედ-



რად კართველია შესახებ, რომლებიც აღიარებენ, რომ „მე კართველი ვარ, მართლმადიდებელი“, „მე ტყვედ ჩავარდი ოშში, თურქებმა გამოვიდნენ“. „მე კართველი ვარ და ჩემი მეფე ერეკლე მეორეა“... ხოლო წიგნის 88-ე გვერდზე დახედვითაა მკვლევარის მიერ მოძიებული XVI ს. დანიელი მხატვრის მ. ღორიკის გრაფურა „ოსმალთა ლაშქრის კართველი მეომარა“. გარკვეულ ინტერესს იწვევს წიგნში მოთავსებული ადგიანდრე ბუტკიაშვილის (ბუტკიაშვილის) პორტრეტი და ახალი ცნობები მის შესახებ. ვინ იყო და საიდან მოხვდა ალ. ბუტკიაშვილი უნგრეთში? საქმე ისაა, რომ 1848 წელს უნგრეთში გაჩაღდა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა ავსტრიელი ძახურგების წინააღმდეგ და ის-ის იყო აჩანებულეს გაშარქვება კიდევ უნდა ეზიებოდა, რომ დამარცხების პირას მისულ ავსტრიელ დამპყრობლებს გადაწყვეტდნენ მოხეტიალე დახმარების ხელს გაუწოდო „ევროპის ენდერაშია“ ნიკოლოზ პარკველმა და აჩანებდა სისხლში ჩაახრჩვეს. რუსეთის არმიის ამ დროს მყოფმა კართველმა ოფიცერმა ალ. ბუტკიაშვილმა კი არა მარტო ტყვეობიდან, არამედ სიკვდილისაგანაც კი იხსნა აჩანებების შეთარღვრ, უნგრეთის სახალხო გმირი ლაიოზ კოშტოვი.

წიგნის საგანგებო თავი ეძღვნება თემას „იოკია და საქართველო“. რომელშიც მკვლევარი განიხილავს დიდი უნგრელი მწერლის პორტრეტს (1825-1904) შემოქმედებაში კართული თემატიკის ასახვას, აგრეთვე, მ. იოკიას ნაწარმოებთა კართულ თარგმანებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მ. იოკიას რომანს „რიუმიწის“, რომელშიც გამოყვანილია თამარ მეფე და რუსთაველი. საქართველოს შესახებ სხვა ცნობებსაც იოკოს ლ. ტარდის ამ წიგნში დანიტრებულია მკითხველი. კარგა იქნება, თუ მათ კართულადაც ვთარგმნიდით.

თავისი წვლილი შეიტანა ლ. ტარდემ უნგრულ რუსთველიანაში. მის ერთ-ერთ ნაშრომში მოთხრობილია მიხეილ ზოიას და ბელა ვიკარის დეპორტე „ვეფხისტყაოსნის“ დახურათებისა და უნგრულ ენაზე გადათარგმნის საქმეში, ხოლო უნგრულ პრესაში 1970 წელს იგი გამოვიდა საგანგებო წიგნით. რომელიც მოითხოვდა რუსთველის უნგრულ ენაზე ამტკველებსათვის ბელა ვიკარის დიდი დამხმარების აღსანიშნავად პუბლიკაციის ერთ-ერთ ქუჩას მიუყვებოდა მისი სახელი. დღეს ლ. ტარდის ეს სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. უნგრეთის დედაქალაქის ქუჩა ატარებს რუსთაველის მთარგმნელის სახელს. ამას გარდა, უნგრულ ენაზე არსებული რუსთველოლოგიურა. ლიტერატურის შესახებ ცნობებს მოწოდებით ლ. ტარდემ დიდი დახმარება გაუწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის ცნობილი კრებულის „რუსთველი მსოფ-

ლიო ლიტერატურაში“ მომზადებისა და გამოცემისათვის.

საინტერესო მასალები გამოვლენაშია ტარდემ კართული სტამბის, კართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის. ქერ იყო ლა. 1973 წელს, იტალიაში, მან მოაგნო XVIII ს.-ში, კერძოდ, 1775 წელს, პარმის მანამდე უცნობი კართული შრიფტით ქრავანი ბატონბა ბოდონის (1740-1818) მიერ დაბეჭდილ კართულ ტექსტს, ხოლო 1978 წელს მოიპოვა მიკლოზ ტოტხაღლიშვილი კივის დასფლადების დღეს (1708 წ. 24 მარტი) უნგრული მესტამბის მოწვევების მიერ თავიანთი მანამდეუბლების ხსოვნისა და დამხმარების აღსანიშნავად ლათინურ ენაზე შედგენილი და დაბეჭდილი მეშორილის ერთადერთი ეგზემპლარი, რომელშიც სხვებთან ერთად მოთავსებულია შემუშავებული კართული. საიდანაც კიდევ ერთხელ დასტურდება კართული შრიფტის დამზადებაში მიკლოზ კივის მიერ ვარეული დეკორა: „...შრიფტული აზიის საზღვართან მდებარე გვირგვინი საქართველომ შენგან მიიღო ლათინში ჩამოსხმული ანბანი... შენ გადამოწერე შენს სამშობლოში კოლხური საწილისი“. ამ თემას ეხმარება ჩვენთან ერთად დი. წერიალი მისი პოლოდრონიდელი წერიალი.

ცალკე სტატია მიუძღვნა ლ. ტარდემ პირველ უნგრულ კართველოლოგს ოსკარ აშპოისს, ვისი წინასიტყვაობითაც ვენახსა და ლიუციოში 1901 წელს გამოქვეყნდა ადოლფ დიარის „კართული გრატიკა“, ხოლო კართულ პრესაში დროდადროს იბეჭდებოდა მისი ცალკეული წერიალები და გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ამართამ საკითხებზე.

ამთავად მკვლევარი, პროფ. ა. ტაბაღაშვიან ერთად, დიდი გზაყვებთა მუშაობის უნგრულ ენაზე „საქართველოს ისტორიის“ შესაქმნელად უძველესის დროიდან დღემდე, რომელსაც ბუდე-ქვეშეში გამომცემლობა „გონდოლატი“ გამოსცემს, ხოლო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა ცალკე წიგნად გამოასვენდა ამზადების ლაიოზ ტარდის რჩეულ შრომებს, რომლის დიდი ნაწილი სწორად ავტორის კართველოლოგიურ გამოკვლევებს უჭირავს.

ლაიოზ ტარდის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც. მაგალითად, რუბინ საბოთა მეცნიერების გამონათქვამების გამოკრებას რომ თავი დაეანებოთ, რომლებიც ნაწილობრივ უემოთ უყვე მოვიყვანეთ. აკად. ალ. ბარამიძის სიტყვებით, „ლაიოზ ტარდი არაყვეულებრივად ურუდირებული და ნყოფიერი მკვლევარია უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის საკითხებში. იგი ამ დარგში ბევრი საინტერესო ნაშრომის ავტორია“. სობრინის უნივერსიტეტის პროფესორი ეან ობენი წერს: „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, და პირველ რიგში საქართველოსთან, უნგრეთის ისტორი-

ლი ურთიერთობის კვლევის საქმეში ლაიოშ ტარდის განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის. მისმა ხალხმკვებულმა საარქივო მუშაობამ შესანიშნავ წარმატებებამდე მიგვიყვანა. მატაშ კორავინის დროინდელი კონტაქტები აქამდე სრულად უცნობი და ჩვენთვის ზღმონივრდომელი იყო. ლაიოშ ტარდისეული დოკუმენტაცია, უბრალოდ, განუსაზღვრელია", ხოლო მიუნხენელი პროფესორი თომას ფონ ბოდუაი დაუფარავი კმაყოფილებით აღნიშნავს: „არაჩვეულებრივად მდიდრულად და ფაქიზად დოკუმენტირებული ლაიოშ ტარდის წიგნი აშუქებს ახლო აღ-

მოსავლეთის დიპლომატიის შეტად უცნობ გზებს გვიან შუა საუკუნეებისას".

ლაიოშ ტარდი უკვე 70 წელს მუშაობდა, მაგრამ მისი არაჩვეულებრივი ენერჯია, კმაყოფი შრომისმოყვარეობა და გატაცება, სიბულის გამაზვიებელი გრძნობა, ფართო ერთდიცია, და, რაც მთავარია, საქართველოს, ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული, დარწმუნებული ვართ, კიდევ ბევრ ახალ შემოქმედებით სიხარულს მოუტანს გამოჩენილ უნგრელ ქართველოლოგს თავის მდიდარ მეცნიერულ მონაწირობაში.



ჩვენი უცხოელი მეგობარი

ძველი ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს, ქართველი ხალხის დიდ მეგობარს, პროფ. რობერტ სტივენსონს დახადების 80 წელი შეუსრულდა.

პროფ. რობერტ სტივენსონი ქართული ენისა და ლიტერატურით ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში დაინტერესდა; იგი პირველად გაეცნო ოლავერ უორდროსს, რომელმაც მოჰყავდა ქართველილოვს ახუჯა თავისი დის — მარჯორის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

რ. სტივენსონმა ქართული ენის შესწავლა დაიწყო ლონდონის უნივერსიტეტში ანდრო გუგუშვილისა და სხვა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების დახმარებით, გამოიჩინა დიდი ნიჭი და შეხანიშნავად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. ამ გარემოებამ განაპირობა მისი წარმატებანი ძველი ქართული ლიტერატურის კვლევისა და თარგმნის სფეროში.

უპირველეს ყოვლისა, ინგლისელი მეცნიერის უსრავლესმა მიიპურს „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც მან თარგმნა ინგლისურად იუნესკოს დაკვეთით; წიგნი გამოქვეყნდა ნიუ-იორკში, 1977 წელს. თარგმანს წამჭვარებული აქვს მთარგმნელის შეხავალი წერილი და შენიშვნები, თარგმანის ბოლოს მოთავსებულია აკად. ალ. ხარაშიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ქართული პერსპექტივა“, რომელშიც განხილულია რუსთაველის დროინდელი ქართული კულტურის ხასიათი, ღრმა კავშირი ბიზანტიურ და აღმოსავლურ სამყაროსთან, პოეზიის ორიგინალობა და მასში ქართული ხინამდვალის გამოვლენება.

მკითხველის უსრავლესებს იქცევს სტივენსონის ურცხილი წერილი ქართველი პოეტის ცხო-

ვრებასა და შემოქმედებაზე. ამ წერილიდან ჩანს, რომ მას ღრმად შეუხწავლია რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება, რუსთაველოლოგიური ლიტერატურის უკანასკნელი მიღწევები და ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გადმოგვცემს საგულისხმო მოსაზრებებს.

ინგლისელი პროფესორი რუსთაველის შემოქმედებას იხილავს აშროინდელი მსოფლიო ლიტერატურის ასპექტში; იგი აღნიშნავს: „შეხანაშებს“ წინა წაწილების დეგენდური და „გმირული“ ამბების ატმოსფერო რამდენადმე პრიმიტიულია. რაც შეეხება ქართულ პოეზიას, იგი პირიქით, გამხუბალულია შუასაუკუნეების რაინდული სულიკვეთებით. ისეთსავე სულიკვეთებას შეიკავს „რომანი ანტარის შესახებ“ და ამ მხრივ იგი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიას“.

ინგლისელი ავტორი ადარებს „ვეფხისტყაოსანს“ იმ დროის ევროპულ ხარაინდო რომანებს სტრუქტურის თვალსაზრისით და დასკვნის: „ხაბუტოა, რომ რომელიმე შუასაუკუნეობრივი რომანი, აღმოსავლური თუ დასავლური, გამოირჩეოდეს ისეთი მთლიანობით, საერთო ქარგის ისეთი სირთულით, როგორც ეს არის „ვეფხისტყაოსანზე“.

ინგლისელი სწავლული ჩერდება თარგმანის სელოვნების საკითხზეც, მოკვებს ბევრს სახუთი იმაზე, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსთაველის პოემა. რ. სტივენსონს მიაჩნია, რომ რუსთაველის პოეზიის თარგმანისათვის საჭიროა ერთგვარი თანაფარდობის მოძებნა დედნის უსტტ გადმოცემასა და ზოგი ავტოლის თავისუფლად თარგმნის შორის. განსაკუთრებულ სიძნელეთებთანა დაკავშირებული იმ მაქამათ თარგმნა, სადაც სიტყვა ორასროვანია.

ინგლისელი პროფესორი მაღალ შეფასებას აძლევს მარქორი უორდროპისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ რუსთველილოვანს წინვლამ ვანპარობა ახალი თარგმანის სპეირიყება.

პროფ. რ. სტავენსონი შენიშნავს, რომ რუსთაველს არ შეიძლებაო შეუძმწველი დარჩენილია, რომ „შან-ნაშევი“ არისტოში ლეოპარდის ტუავს ატარებს. რ. სტავენსონმა, ინგლისური პოეტური ტრადიციის შესახამხამად, ვეფხის ნაცვლად გამოიყენა „პანთერა“, რადგან ვეფხი ინგლისური პოეტური ტრადიციისათვის არ არის დამახასიათებელი და სათანადო ასოციაციებს არ იწვევსო.

ასევე მთარგმნელის შენიშვნებში ვახშილუდა ისეთი სპეციფიკური ცნებებისა და სახელების შენარჩის, როგორცაა: თამარი, მერანი, ზუალი, მუშტარი, ოტარიდი და სხვ. აღნიშნულია, რომ „გულანშარი“ წარმოადგება სპარსული სიტყვისაგან „გულან-შარ“ (ვარდების ქაღალცი).

ის ფაქტი, რომ რუსთაველი ხმარობს ბერძნულიდან მომდინარე „იადონს“ („იმღერდეს, ვით იადონი მგობანი“, „ვახურელად ჯგჳნდებდა, იადონსა ვითა ვარდი“) და სპარსულ „ბულბულს“ („აქვს მიწურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“), მოწმობს რაოდენ საგრძნობი იყო უცხოური გავლენები შესაუყურნეთა ქართულ კულტურასა და ენაზე. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ფრიდონი ამბობს, რომ ავი ფლობს მუშათის (თოყვე სიარულის) ოსტატობას. მუშათობა ძალზე ხშირად გვხვდება „შან-ნაშევიც“. რუსთაველის წერადინი ახლოსაა არახული ფორმისთან „ნურ-ად-დინ“, ზოლო „ფრიდონის“ სპარსული ფორმაა „ფრიდუნ“. რაც შეეება ვარდისა და ბულბულის მოტივს, საქვეყნოდ ცნობილია, თუ რაოდენ ფართოდ იყო ავი გავრცელებული სპარსულ პოეზიაში.

ასევე შენიშნავთა სტავენსონის შენიშვნები, რომლებიც დართული აქვს თარგმანს. ავი დაეძებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა პარაღედებს ევროპულ ლეტერატურაში და აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიერ მნათობთა ხშირი გამოყენება მეტაფორებად თავისი ვიარების შემოხისათვის, ანალოგიას პოელოებს კრეტინდ დე ტრუას ნაწარმოებში. მაგრამ რუსთაველი ამ მხრივ აღმოსავლურ ტრადიციასთან უფრო ახლოა.

ქართული ხალხი მადლიერების გრძნობით შეხედა პროფ. რ. სტავენსონის მიერ შესრულებულ ახალ თარგმანს. იგი დაეხმარება ინგლისურენოვან სამყაროს შკოთხველებს უკეთ გაეცნონ დიდი ქართული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ასევე შკოთხველის ურრადლებას იქცევა რ. სტავენსონისეული მოხე ხონების „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი, რომე-

ლიც 1988 წელს გამოქვეყნდა ლონდონში. თარგმანს წამმდვარებული აქვს მთარგმნელის ვრცელი შესავალი წერალი „დღე-წინწინები“, წიგნი სულ შეიცავს 230 გვერდს.

სარაინლო რომანი „ამირან-დარეჯანიანი“ ჭველი ქართული საერო მწერლობის მინიშნელოვანი ჭველია, რომელიც შეიქმნა XII საუკუნეში. ნაწარმოები წარმოადგენს ცალკეულ მოთხრობათა კრებულს, რომელიც სიუჟეტურად გაერთიანებულია მთავარი ვიარის — ამირან დარეჯანისძის თავგადასავლოთან. ჩვენი მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ჭველი დიდი ოსტატობით უთარგმნია, მიუხედავად ამისა, რომ მისი ინგლისური ენაზე თარგმნა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. თარგმანში შესანიშნავად წარმოჩენილი ორაგინალის ძირითადი მოტივები (რაცინდობა, მამდნაფიცობა, მიწურობა). ვიარების ამედავებენ არაჩვეულებრივ ფიზიკურ ძაღას, გამსჭვალუდნი არიან მუშანისტური იდეებით და აბრძვიან უოველგვარი სიძნელეების გადასახედავად, ეხმარებიან ყველას, ვინც იჩიარება. მთარგმნელი თავის ვრცელ შესავალ წერაღში შენიშნავს, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისურად თარგმნის დროს ავი დიდ სიძნელეებს წაწყდა, რადგან მისი აზრით, XII საუკუნის სანაშურო ენით დაწერილი ტექსტის ვაზრება ადვილი არ არის, მით უმეტეს, როდესაც ავი დაწერილია ევროპოდებული ელიტური სტილით და სავნეა ვადამწერ-რედაქტორთა მიერ დაშეხებული შეედომებით.

სტავენსონისეული „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანის გამო პარიზეღმა მკვლევარმა თ. ნასყედაშვილმა გამოაქვეყნა რეცენზია, რომელიც დახეგდა ფრანგული ევრანლის „რევიუ დე ქართულილოვის“ 1988 წლის XV-XVI ტომში. რეცენზიის ავტორი სტავენსონის თარგმანსა და გამოკვლევას მაღალ შეფასებას აძლევს, ამავე დროს აკეთებს ცალკეულ შენიშვნებს. პარიზელი რეცენზენტი აღნიშნავს, რომ მთარგმნელმა ვერ გაითვალისწინა საბჭოთა მეცნიერების ნაშრომები, თარგმანი შესარული 1988 წლის გამოცემის მიხედვით, ვერ გამოყენა ს. კაკაბაძის 1989 წლის გამოცემა და სხვ. „მიუხედავად ამისა, — წერს რეცენზენტი, — რ. მ. სტავენსონის თარგმანი კარვადაა შესრულებული, ჩვენ პატივი უნდა ვესკეთ მთარგმნელს, რომელიც შეძლო ორიგინალის ხასიათისა და სტილის შენარჩუნება“ (გვ. 172).

რ. სტავენსონი თავის ნაშრომში ასახეობებს, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ ქართული წარმოშობისაა, მაგრამ ინგლისელი მეცნიერები — დ. მ. დანგი და გ. მ. შერედიტ-ოვენსი არ იზიარებენ სტავენსონის მოსაზრებას, ისინი „ამირან-დარეჯანიანს“ სპარსულ ნაწარმოებად მიიჩნევენ.



პარიზელი ავტორი ევრდნობა, რა საბჭოთა მეცნიერების მოსაზრებებს (აღ. ბარამიძე, ზ. წულუბიძე, კ. კეკელიძე, მ. ჩიქვანი, ს. სერატბერიაკოვი) და ახახულებს, რომ „ამირან-დარჯანიანი“ ქართული წარმომადგენელი იგი აღნიშნავს, რომ დ. მ. ლანჯა და მერედიტ-ოვენის ვერ გაუგიათ და ვერ აჩვენებენ იმ ღრმა განსხვავებას, რომელიც არსებობს სპარსულ ნაწარმოებ „სიკიხეზაზა“ და „ამირან-დარჯანიანს“ შორის. ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც საუფრობით, ასევე სტრუქტურით, კიდევ მეტრ, იდეოლოგიური შენარჩობით; სპარსული ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გასწავლულია ისლამური იდეებით. იგი წერს: „სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ინგლისელი მეცნიერები დ. მ. ლანჯი და მერედიტ-ოვენი „ამირან-დარჯანიანში“ არ აჩვენებენ წინდა ქართულ ნიშნებს... ჩვენი აზრით, ადვილი შესაძლებელია მოხდეს ხიზნული გამოყენება უცხოური მასალა, ვადამუშავა იგი, შევკვლია, მოიყვანა ერთ მთლიანობაში, მისცა აქტუალური, ეროვნულ-სოციალური ხასიათი. მკვს ვარწმუნა, რომ რაინდობა ქალის კულტურაა დაკავშირებული. იერარქიული ურთიერთობა დამახასიათებელია ფეოდალური საქართველოსთვის, მშენებლობის კვლს ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ. მკვლ ქართულ ზღაპრებში ვაფიქსირებულა დედგენდა ამირანზე, რაც საფუძვლად დაედო „ამირან-დარჯანიანს“, რომელიც ძირეულად ქართულია“.

რ. სტივენსონი 1880 წლის 8 აპრილის წერილში იწერება: „ახლა მივიჩნევ, როგორ გავხედო ასეთი საშუალო წამოწყება, როდესაც ოთხი წელიც არ იყო გასული, რაც ქართულან შესწავლა დაიწყო. მე ამ საშუალო ვერ შევასრულებდი, ჩემთვის დახმარება რომ არ გავიქა ა. გუგუშვილს, რომელსაც შესავალ წერილში ვიხსენებ. „ამირან-დარჯანიანის“ ტექსტის შესწავლას ვწელი მოვადრევე, რა თქმა უნდა, ბევრი დრო დასჭირდა ამ საქმეს, დავიწყო 1951 წელს და დავასრულე 1958 წელს“.

გარდა ამისა, პროფ. რ. სტივენსონი ავტორის მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომისა ქართულ თემაზე, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა საზღვარგარეთ. ასეთებია „არუსთაველი და არიოსტო“, „ვეფხისტყაოსნის შესახებ“, „ომინიანი — XVII საუკუნის ადრეული ქართული რომანი“, „ამირან-დარჯანიანის“ საფუძვლები“, „დიდმოურავიანი — XVII საუკუნის ეპიკური პოემა“, „ურტუა-ზიული სიყვარულის ქართული ვარიანტი“, „შენიშვნა პანთერის სიმბოლოზე ერთსაველიან“.

საინტერესოა სტივენსონის მოსაზრება „დიდმოურავიანის“ შესახებ; მეცნიერი ღრმად აანალიზებს ნაწარმოებს და მიღებს იმ დასკვნაზე, რომ დიდი მოურავი, ვიორჯი საყაძე იყო უან-

გარო პატრიოტი, რომელიც საქართველოში იპროდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარებისათვის. ამრიგად, რ. სტივენსონი იზიარებს აქედ. აღ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის მოსაზრებას ამ საკითხში.

ასეთვე საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული მეცნიერს „ომინიანის“ შესახებ. „ჩემი აზრით, — წერს სტივენსონი, — ამ ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს; იგი მეტად საინტერესოა როგორც ქართული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდის ნაწარმოები, როგორც ქმნილება XVII საუკუნის ქართული კულტურისა“.

რ. სტივენსონი ამგვარად დაინტერესებულია XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურით; ამ საკითხებზე პროფესორის საქართველოდან დღეულობის სიონადო ლიტერატურისა და ნაყოფიერად მუშაობს. ამ ბოლო წლებში სტივენსონი დაინტერესდა საზღვარგარეთის „ფირმალიანით“.

დიდი ქართველი მეცნიერის კ. კეკელიძის დახადების ასე წლებთან დაკავშირებით მივიღეთ პროფ. სტივენსონის წერილი, რომელშიც ეხსენება იუბილეს და დიდი ქართველი მეცნიერის ნაშრომებზე გამოთქვამს საგულანს მოსაზრებას. „მე შემიძლია გამოთქვა აზრი, — წერს ინგლისელი მეცნიერი, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომს. ეს იყო პირველი ქართული წიგნი, რომელმაც თვალწინ გადამიშალა ქართული ლიტერატურის მთელი სიმდიდრე. ჩემი მუშაობის პირველ ხანებში, როდესაც რომელიმე ნაშრომს ვსწავლობდი, უპირველეს ყოველისა, კ. კეკელიძის „ისტორიაში“ ვხედავობდი. ეს წიგნი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, დაწერილია იგი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე“.

შეიხბველი ყოველთვის დაინტერესებულია, რომ კონკრეტი კეკელიძის წიგნი აუცილებლად იმოყვას კრიტიკულ განხილვას იმ ნაშრომისა, რომლის შესახებ ეძებს ინფორმაციას ცნობებს ნაწარმოების ავტორის ვინაობის, დაწერის თარიღის, ადგილისა და ბეჭდვის თარიღის, მნიშვნელოვანი ზედწერილებისა და კრიტიკული შეფასების საკითხებზე.

წვეს დარწმუნებული ვართ, რომ ვცვლია ამ საკითხზე მიწოდებული მასალები სწორია და შეუძლებელი. როგორც კი წავაოთხავდი კონკრეტი კეკელიძის ნაშრომს ქართული ლიტერატურის ანა თუ ამ საკითხზე, უკვე შეიარაღებული ვიქნები თვით ტექსტის შესწავლის დაწყებისათვის. უდავოა, რომ კონკრეტი კეკელიძის „ისტორია“ ყველასათვის აუცილებელი იარაღია ქართული ფეოლოლოგიის დარგში“ (რ. სტივენსონის წერილი, 1978, პ. ოქტომბერი).

პროფ. რ. სტივენსონი ასევე ეხმარება პროფ. დავით კობახის ნაშრომებს; აგი წერს: „სიტყვები არ მყოფნის იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მადლობა იმის გამო, რომ კეთილი ინებეთ და გამოვიგზავნეთ თქვენი ნაშრომები: „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ და „სპარსული ლიტერატურის ისტორია“. მე უკვეთვის ვგრძნობდი, რომ ქართული ლიტერატურის რეალურად შესწავლისათვის სპირო იყო კლასიკური სპარსული პოეზიის ღრმა ცოდნა. მე ძალიან აღფრთოვანებული ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი თქვენს „შპ-ნაშეს“ ქართული კვებისის სპარსულ წყაროებს“. ბედნიერება მხვდა წილად: ამ წიგნის გამოვლის შემდეგ სწრაფად მოვიდეთ ერთი ეგზემპლარი. მისილავს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა, მისარია, რომ კონტაქტები დავამყარებ თქვენთან, გამოჩენილ ავტორიტეტულ სპეციალისტთან — სწერს სტივენსონი დ. კობახს.

თავის წერილებში რ. სტივენსონი ეხება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ და ფრანგულ თარგმანებს. „ძალიან გამბარა, — წერს სტივენსონი, — ელისაბედ ობზერვაციისეულმა ფრანგულმა თარგმანმა. სიამოვნებით წავიკითხე, თარგმანი პირველი შიშველიდებით კარგაა, სრულყოფილად მაშინ შევაფასებ, როდესაც დაწერილებით გავცნობი მას.

